



ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

28 ივნისი 2013

№13 (195)

ჩაძირული დღესასწაული
 მანანა ჩიტიშვილის ლირიკა
 ნათია როსტიაშვილის ნოველა
 კატო ჯავახიშვილის რადიოპიესა
 მოგონებანი ზვიად გამსახურდიაზე
 ნონა კუპრეიშვილი მიხეილ ჯავახიშვილზე
 ელგუჯა თავბერიძე ალექსანდრ ალიოხინის შესახებ
 ლილე შენგელიას დრამატურგიული დებიუტი
 დროისა, მდინარისა და თევზების შესახებ
 დინო ბუძატის ომის სიმღერა
 ეკა ბაქრაძის ლექსები
 კენტავრის ლიმილი



შინაარსი

| | | |
|----------------------------|----|--|
| ფიქრი და განსჯა | 2 | მაკა ჯოხაძე ჩაძირული დღისასნაული |
| აქსარას-ინტერვიუ | 10 | ცოტნე მეტონიძე „ღირსეული და ამაყი...“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა) |
| ბაღი კასისა | 11 | დავით ყალიჩაძე რევაზ ჩხეიძე და ქართული კინოფანომენი |
| პროზა | 12 | ნათია როსტიაშვილი საიტი ნაპიდა ლოლა? |
| დრამატურგია | 17 | ლილე შენგელია მივლინებიდან მივლინებამდე |
| | 20 | კატო ჯავახიშვილი ცხვარი |
| პოეზია | 24 | მანანა ჩიტიშვილი პორიდა და სხვა ლექსები |
| | 27 | ეკა ბაქრაძე ბზა და სხვა ლექსები |
| ლიტერატურული სმოკრება | 29 | გვანცა შუბითიძე მჯერა, საშველად ვიღაცა მოვა |
| უსმოკრების სმოკრებიდან | 30 | როსტომ ჩხეიძე ღრონისა, მდინარისა და თევზების შესახებ (აინ რენდის რომანი „პირველწყარო“) |
| | 33 | ელგუჯა თავბერიძე ალიოხინისა და დაზაზა დაუხედავად თამაშობა (ალექსანდრ კოტოვის რომანი „თეთრები და შავები“) |
| რეპორტაჟი | 37 | ნინო დეკანოიძე ლირიკა — მოლოდინის საპირისპიროდ (გია მურღულია, როგორც პოეტი) |
| მოგონებათა სივრდი | 40 | გურამ ყორანაშვილი ჩემი მოგონებები ზვიად გამსახურდიაზე |
| როგორ ვითხოვოვთ კლასიკას | 44 | ნონა კუპრეიშვილი ურმია, როგორც ყოფიერების სახე |
| კრიტიკა | 48 | გიორგი ყაჯრიშვილი დანიდას მაშინ, როცა დანიერა (ლაშა ბუღაძის „ახალი ქართული დრამატურგია“) |
| წარსული მოვალისათვის | 50 | ნიკოლოზ შამუგია კინტავრის ღიმილი და „კვალბერძნული სათვალე“ |
| კრიტიკა | 52 | მურმან ჯგუბურია „ცისარტყლას ქვეშ გავივლი“ ანუ „მადლით მდიდარი და ცოდვით ღარიბი“ მენიტიყვის ნიგნი (მეუფე თადეოზის პოეზია) |
| ახალგაზრდავო. ან კი თქვენი | 54 | რუსუდან ნიშნიანიძე, სალომე დეკანოზიშვილი, ლეილა ჯავახიშვილი სემინარი გრძელდება... ამჯერად — „ღირსება“ |
| იხარდა, მხანა ჯავილო | 59 | გურამ პეტრიაშვილი ირინეს ბავშვობა |
| უსმოკრი ნოველა | 69 | დინო ბუძატი ომის სიმღერა |
| მოზაიკა | 71 | სრულიად საიდუმლოდ |



ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გაერცელეზა: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 12 ივლისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თვაი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

| | |
|----------------------------------|---------------------|
| მთავარი რედაქტორი | როსტომ ჩხეიძე |
| პროზის რედაქტორი | ივანე ამირხანაშვილი |
| პოეზიის რედაქტორი | მაკა ჯოხაძე |
| კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი | თამაზ ნატროშვილი |
| მხატვრული რედაქტორი | კარლო ფაჩულია |
| დიზაინერი | მალხაზ იაშვილი |
| სტილისტ-კორექტორი | ნინო დეკანოიძე |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა | თენგიზ რობიტაშვილი |
| ოპერატორი | თამარ ჩიხლაძე |
| სარეკლამო მენეჯერი | ეკა ბუჯიაშვილი |
| გაერცელეზის სამსახური | ლევან კვიციანი |

გარეკანზე: მაიამის სანაპირო
რევაზ ჩხეიძე

გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექტით „ჩანაწერები“ მალე მკითხველი მიიღებს მაკა ჯოხაძის წიგნსაც „ჩაძირული დღესასწაული“, რომელიც წარმოადგენს მრავალფეროვან და შთაბეჭქდავ პანორამას ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრებისა. ამასთან, სანდო მეგზურს ქაოტურ რეალობაში გასარკვევად. გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ ჩანაწერებიდან.

მაკა ჯოხაძე

ჩაძირული დღესასწაული

თანაგრძნობის სიმღერა

(ციკლიდან „საბას“ კონკურსანტები“)

საერთაშორისო აფიორების, შეთქმულებების, ტაქტიკებისა თუ სტრატეგიების დინებებში მოულოდნელად მოხვედრილ ქართველთა ცხოვრება, ბუნებრივია, პოლიტიკური ამინდების მიხედვით იცვლებოდა. არადა, ეს გამჭვირვალე ცვალებადობა პიროვნული პასუხისმგებლობის მოსახსენელად, როგორც ნესი, ბედისწერად მოიაზრებოდა.

ზვიგენებისა თუ ლიფსიტების ამ სათავგადასავლო „რომანტიკას“ ჩვენი ლიტერატურა კარგად იცნობს. საკმარისია გაეხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, დემნა შენგელაიას, ვალერიან გაბაშვილის (ნიკოლოზ გაბაონის) და სხვათა მძლავრი პროზა, რომლის ზვირთებში მცურავი ემიგრანტი პერსონაჟები საბოლოოდ დეპრესიის იმ ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმით ავადდებოდნენ, ნოსტალგია რომ ჰქვია სახელად.

ისევე როგორც უამრავი რამ ცივილიზაციის ფანტასმაგორულმა ტემპმა, რადიაციულმა გამოსხივებამ და დამარბეველმა ენერგეტიკამ ნოსტალგიის ტრაგიკულობაც გამოაშრო. გააიშვიათა „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“. გლობალიზაციის მექანიკური (მანქურთული) ინერცია ახლა იმისათვის იღვნის, რომ ეშმაკის ბორბალივით ხსოვნა, შეგრძნებები, ტრადიციები, ემოციები გამოუვალისადაა წრეში ატრიალოს, სასუთიქი გზები გადაუკეტოს, მოგუდოს, გააარაფროს. ისევე, როგორც მთელი დედამიწის ჯარისკაცებს ერთი უნიფორმა ჩააცვას და ხაკისფერ ქსოვილზე აფორაჯებული ფოთლის ფრაგმენტები ჯუნგლის გაუფალი, უსიერი ტყეების ლანდშაფტებს შეუხამოს...

„პროგრესული გადახალისება“, ე.წ. „ახალი მსოფლიო წესრიგი“, სულისკეთების თვალსაზრისით, ბარბაროსთა ხანიდან მოკიდებული ბევრი არაფრით შეცვლილა დღემდე. უბრალოდ, XXI საუკუნეა და სისასტიკის მარკეტინგი ფაციალებით მაღალ დონეზეა წარმოდგენილი, გაცილებით უკეთათა შენიღბული, შეფუთული — მონყალეების, ადამიანის უფლებების, ქველმოქმედებებისა და სხვა ამდაგვარი ჰუმანიტარული წარმომავლობის ძვირფასი ჩრებითა და ტერმინებით.

მაგრამ როცა შენს ქვეცნობიერთან მარტო რჩები, როცა შენი ეგზისტენცია გაიძულებს, საკუთარ თავთან მაინც იყო ბოლომდე მართალი, მაშინ მწერლის სარდაფში მოხვედრილი მარკო მანიაკივით (ირაკლი კაკაბაძის „თანაგრძნობის სიმღერა“) ბოლომდე აღმოაჩენ იმას, თუ რას ნიშნავს საკუთარი თავის, საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წასვლა.

წლების წინათ, თუ არ ვცდები, პირველად „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაბეჭდა ირაკლი კაკაბაძის ამერიკიდან გამოგზავნილი პატარა მოთხრობები. ჯერ კიდევ იმდროინდელ ნაწერებში იგრძნობოდა ბრუკლინისა თუ მანჰეტენის რომელიღაც სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენში გამოკეტილი ქართველი ჭაბუკის განხიზვლა როგორც უცხო მხრის ქალით, ისე ზოგადად ამერიკის ე.წ. საქმიანი წრეებით. უფრო ზუსტად, ეს ჩინოვნიკური, მოსაწყენი ერთფეროვნება ჯერ მხოლოდ სუბიექტური შეგრძნებების კამერულ ხმებს (ინტონაციებს) გამოსცემდა, და მძლავრი სიმფონიის კამერტონად

არ გამოდგებოდა. არადა, გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცისა არ იყოს, მწერალიც ამკარად სიმფონიის, რომანის შექმნაზე ფიქრობდა.

„საბას“ კონკურსზე წარმოდგენილი „თანაგრძნობის სიმღერით“, როგორც იტყვიან, ავტორი ვაბანკზე წავიდა და მკითხველის თვალწინ საიდუმლო „კარტები“ გადახსნა... მის ტექსტებში მოცემულია გლობალური ინტერესები, პირდაპირი ფორმულირებები და სანქციები, რითაც დღევანდელი მსოფლიო იმართება.

„ტყუილი იყო ჩემი კორპორაციის დიადი მახვილი, ამით ვმარხავდით დღევანდელ მსოფლიოს და ამით ვუტეხდით გულს ჩვენს ახლობელ ადამიანებს...“

„მარკო მანიაკის დღიურის“ დამწერი პერსონაჟი სრულიად ახალი ტიპია ჩვენს ლიტერატურაში. ვერ ვიტყვი, სემანტიკის (შინაარსის) ან თუნდაც, სინანულის პერიოდული თუ ქრონიკული, ინტენსიური შემოტევების გამო-მეთქი. არც კონფორმისტების, რენეგატების, ჩვეულებრივი მოლაღატეების თვალსაზრისით ხდება ამ პროზაში რაიმე უჩვეულო. და საერთოდ, ცნება **ლ ა ლ ა ტ ს XX** საუკუნის პოლიტიკამ ნირვა გამოუყვანა, ბოლომდე გამოლადრა ყელი. იმდენად ბოლომდე, რომ **XXI** საუკუნის გარიჟრაჟზე ძველმოდურად კი არა, უხერხულადაც აღიქმება ამ სიტყვის ხმამაღალი ხსენება, და ცუდი ტონის მაჩვენებელია (მანიშნებელია).

როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ, ტექნიკური სამყარო, გლობალური, საერთაშორისო, საკომუნიკაციო თუ სოციალური ქსელები მთელი სიმძლავრით ჩაერთო ამ პროცესში. ცნებათა, კონკრეტულ შემთხვევაში, სიტყვა „მოლაღატეა“ ტირაჟირებითა და გამასობრიობით სისხლისაგან დაწრიტა, გააარაფრა და გააჩვეულებრივა ამ საშინელი სიტყვის ენერგეტიკა...

ირაკლი კაკაბაძის წიგნის კითხვისას თითქოს ვგრძნობდი ავტორის ერთგვარ გაუცხოებას ქართული ენის სტიქიური ძლევამოსილებისადმი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი გადაჩვეულია მშობლიურ ენაზე აზროვნებას. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში მისი საავტორო აღმოჩენები და თვით ღრმა განცდებიც კი ერთგვარი ბორძიკით აღწევს მკითხველამდე და ზოგჯერ კალკირებული ტექსტების შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ნებისყოფა და მომავალი გამოაჩენს, არის თუ არა ირაკლი კაკაბაძე მონოდებით მწერალი. და თუ მწერალია, მაშინ მშობლიური ენის მოთვინიერება ისევე შესაძლებელი გახდება მისთვის, როგორც ეს, ვთქვათ, დავით კლდიაშვილთან მოხდა.

ყველაზე დიდი ხიზლი კი მართლაც იმ გულწრფელობის ხარისხს მოაქვს, რითაც იგი თანამედროვე მსოფლიო „თანაცხოვრების“ მეთოდებსა და ტენდენციებს აღიქვამს და აანალიზებს. სამწუხაროდ, ამ ტენდენციებს უდმერთო, სულმოკლე, არაშემოქმედებითი ბუნების მქონე ადამიანები ქმნიან. ამ ლეგიონებმა თავი ჯერ საკუთარ სამშობლოში გამოიჩინეს, მერე — პოსტსაბჭოურ სივრცეში, საიდანაც თითქმის უმტიკვენულოდ, ადამიანური რესურსების დანაკარგის გარეშე (ზნეობრივი რესურსი, რა სათვალავში ჩასაგდება) გააღწიეს და გლობალიურ პროცესებში აქტიურად ჩართული ქვეყნებისა და სახელმწიფოების ბედიც გაინაწილეს. ეს ნებაყოფლობითი



ბედისწერა კი იმაში მდგომარეობს, რომ ადრე თუ ეკონომიკური ბერკეტების გამო სსრკ დედაქალაქის, მოსკოვის — ამ ჩრდილოეთის ბაბილონის — მონები იყვნენ, დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების, კლუბებისა და კორპორაციების ასევე ნებაყოფლობით მონებად რჩებიან. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ევროპულ და ამერიკულ ორიენტაციებად ინათლება.

ამიტომ მათი წყალობით მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობისა და უძველესი კულტურის მქონე ისეთი ქვეყანა, როგორც საქართველოა, ყურმოჭრილი მონების, ადგილობრივი კონკისტადორების წყალობით განვითარებადი ქვეყნის სტატუსით ჯილდოვდება და ეროვნებათა ფერადოვან ნაზავში ბაზარში დანახული დღედაღამ მომუშავე ხუთი წლის ქართველი გოგონაც ისევე ეგზოტიკურ სიმბოლოდ აღიქმება, როგორც ავღანეთის ხრიოკ ველზე მტვერში ამოგანგლული პატარა ბიჭი, რომელიც, კაცმა არ იცის, სისხლიანი ყვავილივით როდის აფეთქდება. როგორც ამერიკელი ჯარისკაცის მიერ გაუპატიურებული ბოსნიელი ქალი თუ შიმშილით დაოკნული ნიგერიელი მოხუცი.

„მე თავი ხელოვანი მეგონა და ბიზნესმენი გავხდი“, — ამ სევდიანი რეფრენით ხაზგასმულია არჩევანის უფუფლებობა თუ საბედისწერო ნებაყოფლობა. ამ სევდას თუ სულიერ დისკომფორტს აჩენს ის, რომ მთავარი მოქმედი გმირი მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს კორპორაციასთან თანამშრომლობს, ფაქტობრივად ამ კორპორაციებით ჩნდება სამყაროში სამარცხვინო დისბალანსი: ცოტა მდიდარი და ბევრი ლატაკი... ის მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც იმართება საიდუმლო კლუბებით, ლოყებით და ე.წ. ჩრდილების თეატრით, თვალს ადევნებს და აკონტროლებს მოსახლეობის შემცირების სტრატეგიულ ტაქტიკასა და გეგმებს, სხვა არაფერია თუ არა კრიმინალი, დანაშაული. უბრალოდ, ეს კრიმინალი გაცილებით უფრო შენიღბულია ეკონომიკური ბერკეტებით, რომლის ფონზეც გერმანული ფაშიზმი თავისი არიული რასიზმის ქადაგებით გაცილებით უფრო პატიოსნად გამოიყურება სწორედ ღიაობისა და გახსნილობის გამო. ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა რამ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ კარგად იკითხება სტრიქონებში, ქვეტექსტებში ირაკლი კაკაბაძის „თანაგრძნობის სიმღერაში“.

„ხანდახან რალაცაზე არც უნდა ფიქრობდე, სჯობს არაფერი იცოდე ხშირად, ცოდნა ხანდახან ძალიან მავნებელია“.

აი, ამ რეალობის — ცოდნის საშიშროების გამოა თითქოს მთელ წიგნს ლაიტმოტივად რომ გასდევს მტკიცება იმისა, რომ „ეს არის მოთხრობა“. მოსალოდნელი საფრთხეებისაგან თითქოს თავს იზღვევს მთავარი მოქმედი გმირი, თითქოს ალიბს იკეთებს, რომ ყოველივე ფანტაზიის ნაყოფია და არა სინამდვილე, რომ „ეს არის მოთხრობა“, მოთხრობა და სხვა არაფერია.

არადა, მეორე მხრივ, სინდისი, ანუ ღვთის ხმა, აიძულებს, სხვებს კი არა, პირველ რიგში, სწორედ საკუთარ თავს გამოუტყდეს: **„ველარ ვიქნები ზედაპირზე, ველარ ვიქნები ზედაპირზე, ზედაპირიდან უნდა ჩავიდე. ჩემს სულში რეკვიემია“**.

კარგია, როცა ახალგაზრდა მწერალს ფილოსოფიური და ზნეობრივი შეკითხვები ანუხებს, რაც დიდი იშვიათობაა დღეს.

„სულ იმას ვფიქრობ, რომ ცხოვრებას ბოლო აქვს. ეს ადრეც ვიცოდი, უფრო სწორედ, ის ვიცოდი, რომ ფიზიკურად ყველანი კვდება. მაგრამ ახლა სხვა გრძნობა მაქვს, ახლა მარტო ფიზიკურზე არ ვფიქრობ და ეს მაშინებს საშინლად. მე ხომ ამათთან ერთად ვარ! მეც ხომ ამათთან ერთად ვარ!“

მაშ ასე, შიში დანყებულია, კეთილი შიში კარგად ყოფნის გამო. კარგად ყოფნას ანტონ ჩეხოვი „სულიერ დამბლას“ უწოდებდა. ჰოდა სწორედ მაშინ, როდესაც უკვე ძალიან კარგად იყო, როდესაც მოვიდა დიდება, სიმდიდრე, სახელი და სამეფო თეატრები ჩეხოვის პიესებს წარმატებით დგამდნენ, სწორედ მაშინ შეეშინდა კარგად ყოფნის — ამ სულიერი დამბლის, სწორედ მაშინ გაიქცა მწერალი სახალინზე და იქ თავისი ნამდვილი და უბედური სამშობლო აღმოაჩინა.

ასე მგონია, ნელ-ნელა მნიფდება ირაკლი კაკაბაძის სულიერი ძალები და ახალი აღმოჩენებისათვის ემზადება. ამის თქმის მიზეზს გმირის სიტყვები მაძლევს: „მინდა, ისევე დავინყო იოანეს სახარების კითხვა, მაგრამ დრო აღარ მრჩება, იმიტომ, რომ კორპორაციებს დავდევი...“

ვნახოთ, როგორ განვითარდება პერსონაჟის (მწერლის ალტერ ეგოს) ცხოვრება — სულიერება აჯობებს თუ პრაგმატიზმი. ჯერჯერობით ეს ორი რამ აბსოლუტურად შეუთავსებელია... ყოველ შემთხვევაში, საქართველოში.

P.S. ...თურმე საფრანგეთშიც. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ფედერიკ ბრეგზედერის წიგნის კითხვისას, რომელიც ახლახან გამოიცა და რომელიც თავისი სულისკვეთებით, მთავარი გმირით, სარეკლამო მენეჯერით ოქტავიათი და თანამედროვე სამყაროს კრიტიკული შეფასებით ასე ენათესავება რამდენიმე წლით ადრე გამოცემულ ქართველი ავტორის, ირაკლი კაკაბაძის წიგნს.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ინტონაციურად ამ ორ წიგნს შორის დიდი სხვაობაა. ფრანგი თვითირონით, სარკაზმითა და ცინიზმით გამოხატავს ადამიანის საყოველთაო დეგრადირებას. პარადოქსია, მაგრამ სწორედ ეს დაუნდობლობა და ინტონაცია ანეიტრალებს კიდევ პრობლემის სიმწვავეს და მთავარ მოქმედ გმირთან ერთად მკითხველსაც განაიარალებს, არწმუნებს კიდევ, რომ ახლა უკვე საკმაოდ გვიანია და როგორც პირად, ისე ქვეყნის ცხოვრებაში ველარაფერს შეცვლი.

ქართველ ავტორთან კი, მიუხედავად საუკუნის სენისა — ტოტალური მოუცლელობისა, მეტი ინტიმია და მეტი თანამყოფობა საკუთარ თავთან, ფიქრებთან, აზრებთან, საკუთარ სინდისთან. და მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გმირის სულში უკვე რეკვიემია, მაინც (აქაც პარადოქსი): მეტი სინათლე, საკუთარ თავზე გამარჯვების მეტი შანსი და იმედი მოჩანს მწერლის თანაგრძნობის სიმღერაში.

თანამემამულეები (ფრაგმენტები პარიზული დღიურიდან)

დღე I

1989 წლის ზამთარში, ჟორჟ პომპიდუს ცენტრის მიერ მონყობილ მწერალ ქალთა პირველ მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა კავშირიდან შვიდი მწერალი ვიყავით მინვეული. 5 მოსკოველი: ზოია ბოგუსლავსკაია (ანდრეი ვოზნესენსკის მეუღლე), სვეტლანა სემიონოვა, ელენა კაპლინსკაია, ვიქტორია ტოკარევა, ტატიანა ტოლსტაია და ორიც (როგორც მერე გავიგეთ ფრანგების დაჟინებული მოთხოვნით) ე.წ. ცხელი რესპუბლიკეებიდან — ლატვიელი ვიზმა ბელშევიცა და საქართველოდან მე.

ნობელის პრემიის ნომინანტი ქ-ნი ვიზმა ლატვიის ცოცხალი კლასიკოსია. იგი ისევე უყვართ სამშობლოში, როგორც ჩვენთან ანა კალანდაძე. რალაცნაირად თავიდანვე გამოიყო და დამიმეგობრდა შვიდკაციან ჯგუფში. პარიზის აეროპორტში მას თანამემამულეები, იქაური ემიგრანტები დიდი პატივით დახვდნენ. სასტუმროში დაბინავების პირველივე ღამეს (მისი თხოვნით ჩვენ გვერდიგვერდ ნომრებში მოგვათავსეს) მესტუმრა. მოგვიანებით, მივხვდი ქ-ნი ვიზმას განსაკუთრებულ გულთბობასა და ყურადღებას ჩემდამი. ეს მაღალი, ძვალმსხვილი ასაკოვანი ელბატონი, შუაზე გადაყოფილი ჭალარა თმით, ცისფერი თვალებითა და კლასიკური ჩაცმის სტილით, უფრო სკოლის იმ მკაცრ დირექტორს რომ ჰგავდა (ვიდრე გენიალურ პოეტს), რომლის გამოჩენისთანავე თინეიჯერები წელში რომ სწორდებიან, ნამდვილი ავანგარდისტი იყო თავისი აზროვნების სტილით. მე იშვიათად მიხახავს უფრო თანამედროვე (ამ სიტყვის ღრმა გაგებით) ადამიანი.

ქ-ნი ვიზმას ძალიან აინტერესებდა თუ რა ხდებოდა ჩვენთან, საქართველოში. რომ გაიგო პროზას ვწერდი, თავიდანვე

გამაფრთხილა: არ გაგიკვირდეს თუ ქართული პროზისა და პოეზიის შესახებ ნაკლებ შეკითხვებს დაგისვამ. მე ის უფრო მაინტერესებს, როგორ მიდის პოლიტიკური პროცესები თქვენთან და მწერლები გათავისუფლებისათვის ბრძოლაში რა როლს ასრულებენო. იქვე გაიხსენა — რენე კალანდიას ვიცნობ, ნამდვილი პოეტი და ნამდვილი კაციაო, ცერა თითით მაჩვენა. ღიმილით დაუვდასტურე ჩემი სიყვარულიც. ახალა შევამჩნიე მისი საოცრად გრძელი, ლამაზი, მოვლილი თითები. დიდი ყურადღებით ისმენდა ჩემს მონათხრობს მიტინგებზე, მანიფესტაციებზე, ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე, საპროტესტო გამოსვლებზე. მთავრობის სასახლის წინ დაწყებულ ნოემბრის შიმშილობის აქციებზე. მასხოვს მითხრა, თუ ახალგაზრდობა ასეთი დონითა და სულისკვეთებითაა ჩართული პროცესებში, მართალია რთული იქნება, მაგრამ მაინც გაიმარჯვებთო. მერე თვითონაც მიყვებოდა არა მხოლოდ ლატვიის, ზოგადად ბალტიისპირეთის ამბებს. საოცრად მასშტაბური, ანალიტიკური აზროვნებით მიმოიხილავდა მოვლენებს. ისეთი განცდა მქონდა, პოეტს კი არა, საერთაშორისო კლასის პროფესიონალ პოლიტიკურ ექსპერტს ვუსმენდი.

შუა საუბრის დროს მოულოდნელად მაჯის საათზე დაიხედა და წამოდგა. ხვალ დღით ადრე უნდა ავდგე, ჩემი თანამემამულეები მომაკითხავენო...

გამასპინძლება მოვიდნოთ თბილისიდან წამოღებული ნუგბარით, ღამით არაფერს ვჭამო, სხვა დროს იყოს, კიდეც შემოვალო. რომ გადავხედა, მისი მხნეობისათვის ასევე მოულოდნელი სევდით მითხრა: — მიყვარხართ ქართველები... ჩემზეც მოგიყვები... — მშვიდი ძილი მისურვა და გავიდა.

მეორე დღით ქ-ნ ვიზმას მართლაც მოაკითხეს თანამემამულეებმა და მთელი დღე აღარ გამოჩენილა.

დღე III

საუზმის შემდეგ სორბონის უნივერსიტეტი გვმასპინძლობს. ფორდის მარკის ახალთახალი მიკროავტობუსით მგზავრობისას გაფაციცებით ვათვალისწინებ ყველაფერს, რასაც თვალს გასწვდება. პირველი ორი დღის გამოცდილებამ და სემინარების პროგრამამ მიმახვედრა, რომ მთელი კვირა ღონისძიებებით ისე იყო გადაჭედილი, ნაკლებად მოვიცილდი პარიზის ქუჩებში დამოუკიდებლად სიარულისათვის. გაღერები, მუზეუმები... რამდენი რამე იყო სანახავი. გული მისკვდებოდა იმის წარმოდგენაზე, რომ პარიზს ლუვრის უნახავად დავტოვებდი. მაღლობა ღმერთს, ჩვენი ახალგაზრდა თარჯიმნების — კეიტ ბოდიგანისა და ფინელი ჭაბუკის — ანტის წყალობით, პირადად მე რამდენჯერმე მოვახერხე სემინარებიდან გაპარვა და არაჩვეულებრივი ადგილების მონახულება.

უნივერსიტეტში ძალიან თბილად დაგვხვდნენ. კიბის მოედანზე ისეთივე გულითადობით გამოგვეგებნენ, დასავლეთ საქართველოში მომლოდინე მასპინძელი რომ გაგრძობინებს — სადა ხართ, დალოცვილებო, აქამდეო. საუნივერსიტეტო აკადემიზმის ამ ოდნავ ფამილარული სტილით დაჩრდილვა კარგად მენიშნა და მიხვდი: შეხვედრა საინტერესოდ და ბუნებრივად ჩაივლიდა. იქაურობის დათვალისწინების შემდეგ ერთ დიდ აუდიტორიაში სტუდენტები, ბაკალავრები და პროფესორ-მასწავლებლები მთელი საათნახევრის მანძილზე უამრავ შეკითხვას გვისვამდნენ. ცოტათი კი გამიკვირდა ევროპელი სტუდენტების ასეთი პოლიტიკუბა. საბჭოთა დელეგაციისადმი განსაკუთრებული ინტერესია. ეს ის პერიოდი, როცა იმპერია დაშლას იწყებს. გამოსვლების, მანიფესტაციების, დემონსტრაციების ტალღები და ეროვნული დროშების ფრიალი ჯერ მხოლოდ ბედნიერი სანახაობაა. ქ-ნმა ვიზამ გამომილაპარაკა — უკვე მოვასწარი „თავისუფალ ევროპაში“ და „ამერიკის ხმაში“ ჩანერა (იგულისხმება რადიოსადგურები). ხვალ იმაზე ვაპირებ საუბარს, რა დღეში ჰყავდათ რუ-

სებს ტუნდრის მოსახლეობა. ე.წ. განათლების მიზნით როგორ აგლეჯდნენ მშობლებს მცირენლოვან ბავშვებს. ინტერნატიდან გამოქცეული ბავშვები, ოჯახები რომ ენატრებოდათ, ტუნდრის ტყეებში გზააბნეულები იხოცებოდნენ... ისეთ მაგალითებს მოვიტან, ევროპელებს თმები ყალყზე დაუდგებათ.

— მარტო ევროპელებს არა, ალბათ ჩვენც, — ღიმილით ვპასუხობ.

— მართალი ხარ, ჩვენ ხომ დახურულ ზონაში ვცხოვრობთ და ერთმანეთისა თითქმის არაფერი ვიცით, — მეთანხმება ქ-ნი ვიზმა.

ერთმანეთს ვენაცვლებით, შეკითხვებს თითქმის ყველანი ვპასუხობთ. განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობა ლატვიისა და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებისადმი. სვეტლანა სემიონოვა, რომლის ფართე ყვრიმალეები და ირიბად აჭრილი თვალის კილოები აშკარად გვატყობინებს, რომ უშუალოდ დედის თუ არა, ვილაცის აზიური სისხლი ურევია მის გენეტიკაში, ჩვენს გამოსვლებს დიდი ენთუზიაზმით თარგმნის. იგი ფილოსოფიის დოქტორი, ლიტერატურის სპეციალისტი და, როგორც პარიზელები ამბობენ, ფრანგული ენის ბრწყინვალე მცოდნეა. სხვათა შორის, სვეტლანა ერთადერთი იყო რუსებიდან, რომელმაც ჩემი „ფიჭვები უდაბნოში“ რომ წაიკითხა, მითხრა: ისეთი მაგარი მოთხრობაა, პირადად მე „სტავკას“ ამითგან მხოლოდ შენზე ვაკეთებ მომავალში და, იცოდე, იმედები არ გამიმტყუნოო. მომჩვენა, რომ გულწრფელობის გარდა, რალაც ჯინიც ალაპარაკებდა მისი რუსი კოლეგებისა და თანამემამულეებისადმი. როცა გაიგო აიდა აბუაშვილის მიერ თარგმნილი ამ ერთი მოთხრობის ამარა ვიყავი ჩასული პარიზში, გულში დანყდა: — შენ არ იცი, რა შანსი გაუშვი ხელიდანო.

მართალიც აღმოჩნდა. მაგალითად, ვიქტორია ტოკარევამ რამდენიმე ევროპულ გამოცემლობასთან დადო ხელშეკრულება. შედეგების მიერ გამოცემული მისი მოთხრობების ნიგნის ჰონორარით, წლების მერე მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულა, სადღაც პერედელკინოსთან ახლოს მშვენიერი აგარაკი აიშენა და: როცა წარმოვიდგენ მომავალში შვილიშვილების ფენის ბაკუნის ხმას ამ სახლის ხის კიბეებზე, ვთვლი, რომ ჩემი მისია როგორც ბებიისა, შესრულდაო.

ვიკასაც ნაკითხული ჰქონდა ჩემი მოთხრობა. დარწმუნებული ვარ, მოენონა, მაგრამ მხოლოდ ეს მითხრა: ვფიქრობ, „ფიჭვები“ მხოლოდობითი ჯობია, „ფიჭვი უდაბნოში“ უფრო სიმბოლურია. ძირითადად ჩემი ჩაცმის სტილზე ამახვილებდა ყურადღებას და ქართველი ქალები რა გემოვნებით იცვამთო, წამდაუნუნ იმეორებდა.

ვაგრძელებ შეკითხვებზე პასუხის გაცემას. სვეტლანა პერიოდულად გამომხედავს და მარჯვენა ხელის მუშტის მკვეთრი მოძრაობით მანიშნებს, რომ ჩემს პასუხებს ეთანხმება, თითქოს ამ შესვლით მაგულიანებს კიდეც — მიდი, კარგი ხარო.

ახლა ტატიანა ტოლსტაიას უპყრია აუდიტორია. იგი ალექსეი ტოლსტოის შთამომავალია და, გარდა ნიჭიერებისა და ინტელექტისა, მისი წონაც და ჯიშისი გარეგნობაც ამის აშკარა დასტურია.

სხვა რომ არაფერი, ჯერ მარტო ყორნისფერი თმის ერთადერთი ულამაზესი მსხვილი ნაწნავი მონაშთს მის გამორჩეულ უპირატესობას და სიჯანსაღეს. ნაკითხული მაქვს ტატიანას მოთხრობები. შესანიშნავი მწერალია, ღრმა, აზაორდინარული. აქ კარგად იცნობენ და აფასებენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბევრს აღიზიანებს, იმდენად ხაზგასმული ირონიით მოიხსენიებს მისი თაობის თანამედროვე ფრანგ მწერლებს, არამარტო ფრანგებს, ზოგადად ევროპელებს, ამერიკელებს. დღევანდელი პროზა დაშრეტილი, უსიცოცხლო სტატიკაა, ამიტომ უინტერესო. არ მეთანხმებით? ეკითხება აუდიტორიას. აქა-იქ ეთანხმებიან. მერე იწყებს ილუსტრირებას და ფრანგი ავტორების ტექსტებზე ხალისიან ლადაობას. სტუმრის სტატუსის გამო უხერხულობას განვიცდით. თვი-

თონ კი გახურდა, გალალდა, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს ყველგან თავს. რა თქმა უნდა, სორბონაშიც.

ახლალა შევამჩნიე, წმინდა პოლიტიკური ინტერესებიდან როგორ შეუმჩნევლად მოაბრუნა აუდიტორია ლიტერატურისაკენ.

ტატიანა პოლიგლოტია, ნახევრად ამერიკაში ცხოვრობს, ერთი სული აქვს მთლიანად როდის დაბრუნდება სამშობლოში.

ერთხელ მითხრა: რამდენიმე ოჯახს ვარჩენ მოსკოვში, ამიტომ იძულებული ვარ ამერიკაში ლექციები ვიკითხო, თორემ ვერ ვიტან იქაურობასო. არაფერი იქაური ნამდვილი არ არის, არც სიხარული, არც ტკივილი, არც ჰაერი, არც ხე... საკვებს ხომ ნულარ იკითხავ. მოსკოვში რომ ჩამოვდივარ ხოლმე, პირველი, რასაც ვაკეთებ, ბაზარში გავრბივარ. ისე მენატრებიან ჩემი ქათქათა, თავსაფრიანი რუსი ბაბუშკები და მათი დაკოჟირილი ხელებით ლამაზ ქილებში ჩანკიკიკებუ-ლი, ხრამუნა მუყავე კიტრები.

მერე მოულოდნელად ისიც მკითხა: პოლიტიკოსი კაცები-დან ყველაზე მეტად ვის „ბალეშიკობო“. გამსახურდიას-მეთქი. **Да, он симпатичный...** მე კიდევ ყველაზე მეტად სობ-ჩაკი მომწონს. რალაცნაირი მამაკაცურია და ხასიათი აქვს... ვნახოთ, რა იქნება. ჩემთანაც ასე მოკლედ ამოინურა მისი პო-ლიტიკური ინტერესები.

როცა მწერლობაზე საუბრობს — შეუდარებელია. ერთ სა-ლამოს ქ-ნი ვიზმასი და მისი ლიტერატურული ჯაზის მომსწ-რე გავხდი ჩემს ნომერში. ეს იყო არაჩვეულებრივი, სხვადას-ხვა თაობის, სხვადასხვა ეროვნული კულტურის მატარებელი ორი ადამიანის, ორი აქტიორის თეატრი. კინორეჟისორობა და აპარატი ვინატრე, რომ ჩამეწერა და ათასებისთვის მეჩვენ-ნებინა ეს სპონტანური დადგმა. განხილვებისა და შეფასებე-ბის ამ უცნაურ ფორმებში საოცარი სიყვარულით გაისმო-და მწერლების მისამართით (ძირითადად ამერიკელების): „**Этот сукин сын**“, „**а он, просто, сволочь**“ და მსგავსი შემამ-კობელი ეპითეტები.

ისეთი განცდა მქონდა, რომ საოპერაციო მაგიდებზე დასვე-ნებული ჯოისი, ფოლკნერი და ჰემინგუეი ნარკოზსმიღმა ის-მენდნენ მწერალი ქალბატონების მიერ მათ დახასიათებას. იმა-საც გრძნობდნენ, თავისი საქმის ეს სუპერქიორული ქალბატო-ნები ქარიშხლიან ბიოგრაფიებთან ერთად მათ ლიტერატურულ ტექსტებსაც როგორ კვებდნენ და ანანევრებდნენ. ისე ფცქვნიდ-ნენ ხორცისაგან სულს, რომ საფლავებში გადაბრუნებული ამე-რიკელთა ძვლების ამკარა პროტესტიც კი გავიგონე.

კითხვა-პასუხის რეჟიმი გრძელდება სორბონის უნივერ-სიტეტში. უცებ დგება ერთი შავგვრემანი, გამოკვეთილი თა-ვის ქალის ფორმიანი ახალგაზრდა კაცი და ქართულად მე-კითხება:

— მაკა, თქვენ თბილისის რომელ უბანში ცხოვრობთ?

გაკვირვებისა და სიხარულის ჟრუანტელი ერთბაშად მივ-ლის ტანში.

— საბურთალოზე, — ვპასუხობ.

— ჩვენ თანამემამულეები ვართ. სოლოლაკში დაბადებუ-ლი და გაზრდილი ქურთი ვარ. მერე მოსკოვში ვსწავლობდი და ახლა აქ ვმასწავლებლობ — ელიმება. ისე უელავს ჯანმრ-თელი თეთრი კბილები, რომ თბილისელ ქურთებთან შედარე-ბით ზედმეტად მუქი ფერისა მეჩვენება, საერთოდაც, უფრო ალჟირელს ჩამოჰგავს. თუმცა გამოხედვითა და მზერის სით-ბოთი რალაცნაირი მშობლიური იერს დაატარებს ევროპის შუა-გულში ჩემი თანამემამულე ქურთი.

აღელვებული ამის თქმასლა ვახერხებ:

— მიხარია, დამაბარეთ თქვენებთან რამე.

ქურთი პედაგოგი ისევ ილიმება. მაღლიერებისა და უარის ნიშნად თავსა და მარჯვენა ხელის მტევანს აქეთ-იქით იქნევს. გასუსულ დარბაზში ქ-ნი ვიზმა მეკითხება:

— ქართველია?

მე რატომღაც თავს ვუქნევ და ვეუბნები:

— ჩემი თანამემამულეა.

დღე IV

მიუხედავად იმისა, რომ სუსხიანი ზამთარია, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინა მოედანზე უამრავი ხალხი ირე-ვა. აპარატოკიდებული იაპონელი ტურისტები ტაძარს გარ-შემო უვლიან. კეიტ ბოდიგანი და ფინელი ანტი გიდობას გვი-წვევენ. ყველანი ერთად შევიდვართ ტაძარში. ზღურბლზე შე-ჩერებული ქ-ნი ვიზმა მეკითხება: — მაკა, შენ მორწმუნე ხარ? მყისიერად ვუქნევ თავს და ვპასუხობ დიახ-მეთქი. მყისიერ-რადვე, რალაცნაირი პროტესტანტული სულისკვეთებით მპა-სუხობს ვიზმა — მე ათეისტი. რომ არ დაეზუსტებინა, მისი ლიტერატურული საუბრებიდან ისედაც ვგრძნობდი, რომ ღმერთი არ სწამდა.

შესვლისთანავე, მარჯვენა მხარე ტურისტებისთვისაა გათვლილი — უამრავი ბუკლეტი, რუკა, ჯვარი, მედალიონი, სურათ-ხატი იყიდება. მარცხენა მოპირდაპირე მხარეს, სვე-ტების გადაღმა, სახელდახელოდ ამალღებულები და მოწყობი-ლი სცენის ფიცარნაგზე ხელნაკეთი თოჯინებით შობით დაწყებული სხვადასხვა ბიბლიური სცენაა წარმოდგენილი. ტაძრის შუაგულში მდგარი გუმბათისაკენ ვიხედები. სივრცი-სა და მასშტაბის გამო გრანდიოზულობის შეგრძნება გიპყ-რობს, მაგრამ რალაცნაირად დაცლილი ვარ ყოველგვარი რე-ლიგიურობის განცდისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სანთ-ლებსაც უხვად ვანთებ და ჩემს საყვარელ ადამიანებსაც ვი-გონებ ამ საოცარ ტაძარში.

იქნებ ეს იმის ბრალიცაა, რომ თითქმის ბავშვობიდანვე შესისხლხორციებული „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ლი-ტერატურული გმირების ხსოვნა უფრო მოქმედებს ამ წუთებ-ში ჩემზე. ესმერალდასა და კვაზიმოდოს აჩრდილთა საუფ-ლოდ უფრო მეჩვენება აქაურობა, ვიდრე უფლისა და წმინდა-ნების. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ ჩემი ეს სულიერი გა-ურკვევლობა თუ ნელთბილი „მკრეხელობა“ რალაცით ავსხსნა და სინდისი დავიმშვიდო. ვცდილობ საერთოდ არ ვიფიქრო ამაზე, ტაძრის თვალჩინებას განვაგრძობ. უცებ ცენტრალუ-რი ნაწილიდან ხელმარჯვნივ ნიშის მაგვარ სიღრმეში ოვალუ-რი ხატის წინ მუხლზე დაჩოქილი ქალბატონის კეფას ვხედავ, გარდვიგარდმო, ჯვარედინად დამაგრებული წვრილი, ჭალარა ნაწნავებით და თვალებს არ ვუჯერებ — ვიზმა? ბელშევიცა? დაჩოქილი? ტირის?!

საოცრებაა, ამ სახელგანთქმულ უზარმაზარი ქიმერებით შემკულ უმშვენიერეს ტაძარში ყველაზე მეტად აი ამ ხატებამ მომწუსხა — ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დამხო-ბილმა ვიზმა ბელშევიცას ხატებამ. იმდენად გაგრძელდა მისი ამ მდგომარეობაში ყოფნა, შემეშინდა, მარტო როგორ წამოდ-გება-მეთქი და მისვლა გადავწყვიტე. გადავდგი თუ არა პირ-ველი ნაბიჯი, ახლა იმისი უფრო მოქმედობა, რალაც საკრალუ-რისი, უაღრესად პირადული საიდუმლოს უნებლად მოწმე რომ გავხდი და სწრაფად გამოვედი ტაძრიდან. გარეთ კი ისევ უამ-რავი ხალხი ირეოდა და ოდნავ ცრიდა.

კეიტმა ტაძრის გარეთა კიბით საკმაო სიმაღლეზე ამიყვანა და ახლა უკვე ზევიდან ვათვალისწინებდი პარიზის ხედებს. არა და არ მტოვებდა რალაცნაირი თეატრალურობის, სევდიანი ზე-იმურობის განცდა. თითქოს აქ ოდესღაც ვიყავი და ახლა ისევ თავიდან, იგივე სიზუსტით მეორედებოდა ყველაფერი.

— აი ვიზმაც... — ხელი გაიშვირა კეიტმა და მუქლურჯ პალტოში ჩაცმული ვიზმა დამანახა, მძიმედ რომ გადაეჭრა მო-ედანი და განაპირა მდგარ ცარიელ მერხზე ჩამოჯდა. ჩვენც ნელ-ნელა დავეშვით ქვევით. რომ მივუახლოვდით, თბილად გავგიღიმა, მერხს ხელი დაკრა, ჩამოჯექითო, მანიშნა და თითქოს ეშინოდა, არაფერი მეკითხა, დამასწრო და დაიწყო:

— ძალიან კარგი ბიჭი მყავდა, **Красавчик**, კარგი პოეტი და კარგი შვილი... — მოულოდნელად თავი აწია და თვალბრუნებში ჩამ-ხედა... გამცრა, მივხვდი, რომ რალაც ისეთი უნდა გამეგო...

— რუსებმა მომიკლეს!

ეს ისე თქვა, სუნთქვა შეემკრა. თვითონ რაღაცნაირი ყი-
ნულის დედოფალივით მონუმენტური და მხრებში გაშლილი
(ნასახი აღარ იყო ხატის წინ დაჩოქილი ვიზმასი მასში) თით-
ქოს სხვის ამბავს ყვებოდა:

— იურმალაში ისვენებდა, საღამოთი სასტუმროს ერთ-
ერთ ნომერში შეიკრიბნენ, ცოტას სვამდნენ, თან საუბრობდ-
ნენ. ქართველებზე ჩამოაგდეს თურმე სიტყვა. ჩემსას უთქ-
ვამს, რაც ასტაფიევმა გააკეთა, არც ნამდვილ მწერალს ეკად-
რება და არც ნამდვილ კაცსო (იგულისხმებოდა საქართვე-
ლოში სტუმრად მყოფი რუსი მწერლის გახმაურებული თხზუ-
ლება, რომელშიც მთელი საქართველო იყო გაღანძვლილი...
შეკამათდნენ. მერე ეს კამათი ჩხუბში გადაიზარდა და ჩემი
შვილი სასტუმროს ზედა სართულიდან (აღარ მასსოვს, მგონი
სართულიც თქვა) გადმოაგდეს. საქმე კი ისე შეკერეს, თით-
ქოს ქალს შეუხტა ნომერში...

ქალი...
უნდა ცცნობოდათ, ვისზეა ლაპარაკი. ასეთი ერთგული,
ძლიერი კაცები ცოტანი არიან საერთოდ. ქალი რად უნდოდა
ანგელოზივით ცოლ-შვილის პატრონს. საქმის მსვლელობის
დროს მაინც გასკდა ეს ამბავი. ერთ-ერთი, ეტყობა, სინდისმა
შეანუხა... მერე ჩვენება შეცვალა, ყველაფერი ისე წავიდა,
როგორც რუსებს აძლევდათ ხელს. ჩემი ადვოკატები ვერა-
ფერს გახდნენ, ჩემს უპატიოსნეს ბიჭს ახლა მკვდარს უნდათ
ჩირქი მოსცხონ. ამიტომ ვარ დღეს მე აქ. მოვახერხე და გამო-
ძიების მასალები წამოვიღე. აქ დაიწყებენ გამოძიებას... ვნა-
ხოთ...

თითქოს ტრანსიდან გამოვიდა, როგორც იქნა აღარ ისმო-
და ღია ცის ქვეშ ეს ხავილივით გამომშრალი, აბსოლუტურად
არაბუნებრივი ხმა. ორივეს შემოგვხედა, რიგრიგობით, რა-
ღაცნაირი შენელებული კადრით. მერე ხელისგული კი არა,
მტევნის გარეთა მხარე ღანებზე ჩამომისვა და მითხრა:
— ნუ ტირი.
ახლალა შევამჩნიე, რომ ლაპალუპით ჩამომდიოდა ცრემ-
ლები.

1989 წ. 2 თებერვალი

მოციციცია არითია

სულ მგონია, რომ ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი
დამსახურება ალბათ ისიცაა, რომ რუსული კულტურის პირ-
ველხარისხოვან წარმომადგენლებთან ურთიერთობა მათ
უანგარო მეგობრობის მაღალ ხარისხში აიყვანეს და ერთგვარ
ლეგენდადაც აქციეს (ამ თვალსაზრისით მარტო პასტერნა-
კის გახსენება რად ღირს).

მაგრამ თვით ჩემმა თაობამაც (უფროსებზე აღარაფერს
ვამბობ) კარგად დაინახა, რომ ეპოქალურ ძვრებსა თუ ექსტ-
რემალურ სიტუაციებში, როცა აშკარა დაცვა და მხარში
ამოდგომა იყო ჩვენთვის საჭირო, რუსული, მათ შორის მოს-
კოველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ე.წ. ელიტა, არასო-
დეს იტკიებდა თავს და ყოველთვის დუმდა.

როცა ამ ურთიერთობებზე ვფიქრობ, როცა თვალს ვა-
დევნებ 9 აპრილის ტრაგედიაზე იმ „სეისმურ ბიძგებს“,
რუსეთის მხრიდან რომ დაფიქსირდა, ერთ-ერთი სერიოზუ-
ლი და მნიშვნელოვანი რყევა ნამდვილად იყო მოსკოვში ჩა-
ტარებული საბჭოთა მწერალთა კავშირის მერვე ყრილობა
(1986 წ. 25-28-06). ამ ყრილობის მონაწილე მეც ვარ. აქამდე
ვიცოდი, რომ დელეგატი ვიყავი. ბ-ნი რევაზ კვერენჩილა-
ძის მიერ ნაჩუქარ წიგნში — XX საუკუნის საქართველოს
ლიტერატურული ცხოვრების მსვლელები — აღმოჩნდა, რომ
სტუმრის სტატუსით ვყოფილვარ თურმე მიწვეული (მთელი
სიაა წარმოდგენილი). სხვათა შორის ამ სიაში, ქ-ნი ლია
სტურუა საერთოდ გამოტოვებულია. არადა, ჩვენ ერთად
ვიყავით ყრილობაზე. დელეგატებად, სტუმრებად — ამას,

დიდი ანგარიშით, არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ
ვიყავით.

მას შემდეგ თითქმის 27 წელია გასული.
რატომღაც არასოდეს გამჩენია სურვილი ჩემი მაშინდელი
ჩანაწერების მიხედვით ამაზე დამენერა და მომეთხრო. თუმც
არაერთხელ გამხსენებია ყრილობის ატმოსფერო და ერთი ძა-
ლიან გამხდარი ახალგაზრდა სტუმარი (აფრო-ამერიკელს
რომ ჰგავდა), როგორი აფიტირებული ამბობდა თავის სიტყვა-
ში, რომ აქაც, ამ დარბაზშიც თურმე ჩვეულებრივი ადამიანი-
ბი ვსხედვართ, რომ ჩვენც გვეყავს ოჯახები, მშობლები, საყვა-
რელი ადამიანები და გვაქვს ჩვენი საქმე. აშკარად გაოცებუ-
ლი იყო იმის გამო, რომ დარბაზში ადამიანებს ხედავდა და
არა კანიბალებს. ისეთი გადამდები იყო მისი ენთუზიაზმი,
რომ ჩვენც გვიხაროდა, ჩვეულებრივი მოკვდავნი რომ ვიყა-
ვით და არა — ჩრდილოეთის დათვები.

თვით „ინტელექტის“ ამ პროექტით გამოცემულ წიგნშიც
კი (დამეთანხმება რედაქტორი) ბოლო წუთებამდე არ ვაპი-
რებდი რაიმეს თქმას. მაგრამ რატომღაც ბ-ნი რეზო კვერენ-
ჩილაძის წიგნი ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა, რომ ამ გახ-
მაურებული მოვლენისათვის ჩემი მოგონებებიც მიმემატები-
ნა. მით უფრო, რომ პირადად მისთვის — ჩემს შესახებ არავის
მიუწოდებია სულ მცირე ინფორმაციაც კი.

დელეგაციის წევრთა შორის ორად-ორი მწერალი ვიყავით
— რეზო ინანიშვილი და მე, რომლებსაც გიორგი ციციშვილმა
გვთხოვა, რომ სექციის მუშაობებში მონაწილეობა მიგველო
და სიტყვითაც გამოვსულიყავით.

ბატონ რეზოს საბავშვო ლიტერატურის სექციის სხდომი-
სათვის უნდა მოემზადებინა გამოსვლა, მე კიდევ პროზის სექ-
ციისათვის. მეხუმრებოდა კიდევ გზაში — მე ბავშვებს ვე-
კუთვნი, შენ — სრულიად სერიოზულ ხალხსო. არც მე ვრჩე-
ბოდი ვალში: უნდა გიხაროდეთ, თქვენ ხომ სამყაროს ყველა-
ზე ნათელი და უანგარო ნაწილის კუთვნილება ხართ-მეთქი.
მაშინ მე შენ ბნელი და ანგარებიანი ნაწილისთვის არ მემეტე-
ბიო, და ასე ხუმრობა-ხუმრობით სახლშიც მივედი.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ სერგეი მიხალკოვი ყოველთვის
მესიმპათიურებოდა (ისე, თანამედროვე რუსი მწერლებიდან
ყველაზე მეტად შუკმინი მიყვარდა). ამიტომ ძალიან გამიხარ-
და, როცა ყრილობის სხდომაზე სწორედ მან მოიხადა ბოდიში
ასტაფიევის თხზულების გამო („ციმორების ჭერა საქართვე-
ლოში“) და აღნიშნა, რომ ამ უტაქტო წერილმა გული ატკინა:
ჩვენი მეგობარი ქართველი ხალხის ეროვნულ გრძობებს შე-
ურაცხყოფა მიაყენაო (არა მგონია, მიხალკოვის ეს გამოსვლა
პარტიული დავალება ყოფილიყოს).

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემა,ც,
გიორგი ციციშვილმა,ც, საკმაოდ ვრცელად და მკაცრად შეაჩე-
რა ამ თხზულებაზე ყურადღება და... სწორედ ამას მოჰყვა ვა-
ლენტინ რასპუტინის (აქვე გამოვსყდები, რომ ეს მწერალიც
მიყვარდა, განსაკუთრებით მისი „ფული მარიასათვის“) გახ-
მაურებული, აბსოლუტურად მოულოდნელი გამოსვლა.

არ ვიცი, შესაძლოა ვცდები, მაგრამ მე ეს გამოსვლა
დღემდე სპონტანური მგონია და არა დაგეგმილი ციმბირელი
მწერლის მიერ. რატომღაც გუმანმა მიკარნახა, რომ გიორგი
ციციშვილის გამოსვლაზე მეტად იგი მიხალკოვის სიტყვებმა
გააღიზიანა და დაცივა ციმბირელი მეგობარი. ერთი შეხედ-
ვით, მეგობარს იცავდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მეორე
მხრივ, ამბობდა იმას, რასაც მისი ბოლმა ქვეცნობიერი ყო-
ველთვის თან დაატარებდა.

— ნაკითხვა არ შეგძლებიათ, მწერლის გულისტკივილს
შეურაცხყოფისაგან ვერ არჩევთ, თეთრი შავად გეჩვენებათ,
სიმართლე სიცრუე გგონიათ, — და ამ სტოლში განაგრძობდა
რასპუტინი გამოსვლას...

უკანა რიგებიდან ჩოჩქოლი მატულობდა. ჩვენები ლელავ-
დნენ. არჩილ სულაკაური და მე წინა მერხებზე ვისხედით,
გვერდიგვერდ და წამდაუნუნ ვიხედებოდით უკან...

რასპუტინი გაჩერებას არ აპირებდა, უცებ დაავიწყდა: ქართველები დაავადებულები ხართ და მკურნალობა გჭირდებათ...

ეს იყო ბოლო წვეთი — ფეხების ბრაგუნითა და მერხებზე მუშტის ცემით ქართველმა მწერლებმა ისეთი ხმაური ატეხეს, მიკროფონის ხმაც კი გადაფარა. ჭაბუა ამირეჯიბი მთელი სულითა და გულით იგინებოდა რუსულად, ჯანსულ ჩარკვიანი კიდეც — ორიგინალში. ისმოდა ოთარ ჭილაძის ხმაც, ოლონდ ვერ ვარკვევდი, რას ამბობდა, რა თქმა უნდა, გინებით არ იგინებოდა (არადა, ეს ის პერიოდი, როცა მთელი რუსული ლიტერატურული სამყარო აღფრთოვანებულია მისი ზედიზედ გამოსული რომანებით. ეს ის პერიოდი, როცა ციმბირელი პედაგოგების გამოგზავნილი ფანტასტიკური წერილები მისდის ოთარ ჭილაძეს).

უცებ არჩილ სულაკაური წამოხტა და ვგრძნობ, რომ გასვლას აპირებს, ავდექი, ხელჩაჭიდებულები გამოვდივართ, უკან მივიხედე, ჩვენები ხმაურით წამოიშალნენ, დიდ დარბაზში საშინელი ზუზუნია, რომელსაც ფარავს ერთი ნითელთმინანი ქალბატონის რალაცნაირი უსიამო მჭახე ყვილი: „Вот грузины идут на базар“.

ყველანი ცეცხლნაკიდებულებივით გარეთ გამოვედით და ამოვისუნთქეთ. ვიგრძენი, რომ რალაც დიდი და მნიშვნელოვანი მოხდა, საშიში არა, დიდი და მნიშვნელოვანი! დღევანდელი გადასახედიდან, რა თქმა უნდა, საშიში, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დარჩენილი ბევრი არაკეთილმოსურნე მერე ამ აქციას ამცრობდა და ათას ჭორ-მართალს ერთმანეთში ურევდა. მაგრამ ეს მართლა არნახული (უპრეცედენტო) საპროტესტო აქცია იყო და მერე — სად! კრემლის ყრილობათა უზარმაზარ დარბაზში, და მერე — როდის!.. იქაურობა საესე იყო არა მხოლოდ 15 რესპუბლიკის მწერლებითა და პარტიული ნომენკლატურით, არამედ მინვეული უცხოელი სტუმრებით, დიპლომატთა კორპუსით, ელჩებით...

რამდენიმე წუთში ჩვენთან გაჩნდა ბ-ნი გურამ ენუქიძე. ბუნებრივია, ყველანი ოდნავ დავიძაბეთ, მაგრამ ისე გემრიელად გვითხრა — თქვენ გენაცვალეთო, რომ გულზე მოგვეშვა. რამდენიმე მწერალმა გადაკოცნა კიდეც ბატონი გურამი.

ამასობაში საიდანლაც ლაშა თაბუკაშვილი და ენვერ ნიუარაძეც გამოჩნდნენ. აშკარად წინა ღამის ნაბახუსევები არიან. ისე მშვიდად „მოვალაკუშობენ“, ვგრძნობ, რომ არ იციან, რა მოხდა. არასოდეს დამავიწყდება რეზო თაბუკაშვილმა როგორ შეუყვია ორივეს — სადა ხართ აქამდეო...

თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ნიშნად თანდათან გვიახლოვდებიან მწერლები, ძირითადად ბალტიისპირელები და ებრაელები. ძალიან გამიხარდა, მათ შორის რიმა კაზაკოვაც რომ დავინახე.

უცებ ყველამ ერთად დავაფიქსირეთ, რომ დარბაზიდან ყველა არ გამოსულა. არ ვიცი, იმიტომ, რომ ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, არ ვიცი, იმიტომ, რომ საშინლად ველავდი, უცებ ხმამალა ვთქვი — შევალ და ვთხოვ, რომ გამოვიდნენ...

რეზო თაბუკაშვილის გარდა, არავის რეაქცია არ მიუცია ჩემს წინადადებაზე. ბატონმა რეზომ კი — შედი, შედი, მაკაო, ქალბატონი ხარ და იქნებ ამას მაინც გაუწიონ ანგარიშიო. როგორც კი შევბრუნდი დარბაზში, მაშინვე დავინახე თერ კოსტუმში საგანგებოდ გამოწყობილი, ელეგანტური კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მივუახლოვდი და ხმადაბლა ვეუბნებო:

— ბატონო კონსტანტინე, ჩვენ ხომ თბილისში უნდა დავბრუნდეთ... რას იტყვიან ჩვენები...

მიყურებს, ისე მიყურებს, უფრო თამამად და ქალური ეშმაკობით ვაგრძელებ:

— თქვენ აქაც იმდენ ქალბატონს მოეწონეთ, ესენიც რას იტყვიან (არ მომიგონია, მართლა აყოლებდნენ თვალს საშუალო ასაკის ქალბატონები), გეხევენებით, დატოვებ დარბაზი, ყველა თქვენ გელოდებათ გარეთ.

ნამოდგა (გულში გამარჯვებას ვზეიმობ), გადის დარბაზიდან. მე თვალებით მეორეს ვეძებ, ძალიან კარგ პოეტს. თითქმის ისევე ვინყებ მიმართვას... წამით შემობრუნდა, თითქოს შეამონმა, ვინც ვიყავი და ისევე შემაქცია ზურგი. საშინლად მეწყინა. ასე მგონია, რასპუტინის გამოსვლაზე მეტად მეწყინა.

გარეთ გამოსული ვუყურებდი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე როგორ ხუმრობდა და აქეთ-იქით შლიდა ხელებს:

— კაცო, ვინ ყოფილა ეს ჯოხაძის ქალი, ჰა, რა მიქნა ამ ჯოხაძის ქალმა... — მივედი და, უცნაურია, მაგრამ მადლობის ნიშნად ვაკოცე.

ზუსტად აღარ მახსოვს — ჯანსულმა თუ ენვერმა — მრავალმნიშვნელოვნად ჩამილაპარაკა:

— დაბერდა ლომი, აღარაა ის კონსტანტინე...

ჩვენ უკვე საპროტესტო წერილის ტექსტს ვადგენდით და ქართული დელეგაცია ასტაფიევისაგან საჯაროდ ითხოვდა ბოდიშის მოხდას.

ამასობაში დარბაზიდან გამოსული ერთი მაღალი, ძალიან სიმპათიური მამაკაცი მოგვიახლოვდა და მთელი არსებით გვთხოვდა, შევბრუნებულიყავით. დიდი ხეყნის შემდეგ ჩვენებმა ულტიმატუმი წაუყენეს და ტექსტიც წააკითხეს. კი ბატონო, კი ბატონო, რატომღაც იქვე დაგვეთანხმდა ეს ქალარა, სიმპათიური მამაკაცი.

მართლაც, შევბრუნდით. ნაწილი ჩამოსხდა მერხებზე, ნაწილი ფეხზე ვიცდით. უცებ ტრიბუნასთან ის სიმპათიური, რბილხმიანი ინტელიგენტი მიდის და არაჩვეულებრივი გულითადობითა და წინანულით ჩვენს დელეგაციას და მთელ ქართველ ხალხს ბოდიშს გვიხდის. ეს მამაკაცი ცნობილი რუსი მწერალი, გავრილ ტროეპოლსკი აღმოჩნდა.

„რასიაში“ ვიყავით დაბინავებულები. ღამით რეზო თაბუკაშვილს მოციმციმე არითმია დაემართა და სასწრაფოს გამოვუძახეთ. აღარაფრით აღარ დამეძინა. ასე მეგონა, ეს მოციმციმე არითმია თითოეულს ცალ-ცალკე მოგვაკითხავდა და მთელი ღამე ყურებდაცქვეტილმა სასწრაფოს მოლოდინში გავატარე...

მეორე დღეს ჩვენ-ჩვენი სექციის სხდომაზე რეზო ინანიშვილი და მე სიტყვით გამოვედით. აღმოჩნდა, რომ მომცრო დარბაზის მესამე რიგში სწორედ ასტაფიევი იჯდა და მისმენდა. მე იგი არასოდეს მყავდა ნანახი და, ბუნებრივია, ვერც ვიცნობდი. ისედაც ისეთი ლელვა ვიცი გამოსვლისას, რომც მცნობოდა, ასე მგონია, ვერ შევამჩნევდი. ჩემი სიტყვის მერე დამანახა ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა, ის არისო. მზემოკიდებული, ფართო, გაშლილი, უემოციო სახე ჰქონდა, რალაცნაირი მძიმე ცხოვრების კვალით...

ბავშვი რახანია, აღარა ვარ, მაგრამ რალაცნაირი ბავშვური ცდუნებისაგან თავს ვერ ვიკავებ თითქოს, რომ არ წავიტრაბახო: სექციის სხდომის მერე ჩემთან ბევრი მწერალი, ბევრი ლიტერატორი მოვიდა და სიტყვის გამო მადლობა მითხრა. ბატონ გურამ ენუქიძესაც კი გადაუხადა რამდენიმე ჩემს გამო მადლობა.

რა თქვი მაკა ასეთიო — მეხუმრებოდასავით ბატონი გურამი. მერე მოსაწვევი გამომიწოდა და — დაიმსახურეო, მითხრა. მოსკოვში ცნობილი ამერიკელი კოლექციონერის — ჰამერის უმდიდრესი კოლექციის ტილოები იყო ჩამოტანილი და გამოფენა ტარდებოდა. ძალიან ბედნიერი და მადლიერი დავჩი ამ ჯილდოს გამო.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩემმა მეგობარმა, მანანა ხელაიამაც გამახარა: ძია პეტრემ (ბ-ნი პეტრე ცისკარიშვილი) თქვა, ყოჩაღ მაკას, რა კარგი სიტყვით გამოსულა მოსკოვშიო. ჩასვლის საღამოსვე ჩემმა საყვარელმა რედაქტორმა, ბ-ნმა ვახტანგ ჭელიძემ დამირეკა და: გამოსვლის ტექსტს ველოდებიო. როგორც იცოდა ხოლმე ჩემი განებივრება, მითანისთანავე დაბეჭდა. ვსარგებლობ შემთხვევით და, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, გთავაზობთ ამ გამოსვლას.

შაკითხვები — სისხლიანი ყვავილები

თქვენ ალბათ ყველას შეგიძინევით ალორძინების ხანის მხატვართა ნამუშევრების დათვლიერებისას, როგორც განსაკუთრებული ინტერესით უბრაოდებდა ბავშვები ჯვარცმის სცენას, როგორც განსაკუთრებული გულისყურით ათვლიერებენ ვერცხლის სინზე დადებულ კაცის მოჭრილ თავს, ასე ამაყად რომ დასცქერის სალომეა, და ა.შ. საიდან მოდის ეს განსაკუთრებული ყურადღება? ამისი ახსნის უამრავი ვერსია არსებობს.

ჩემი აზრით, ბავშვური განზომილებები აბსოლუტურად სიკეთეზე, სათნოებაზეა აგებული და არა ძალაზე, სიდიდეზე. ეს ჩვენთვის, უფროსებისთვისაა მუხა ძლიერებისა და სიმტკიცის სიმბოლო, თორემ ბავშვებისათვის „მუხა დიდი ყვავილია“. ჩვენ გვიკვირს ამგვარი ხედვა, მათ უკვირთ ჯვარზე გაკრული კაცი.

— რატომ მოკლეს კაცი? — კითხულობენ ისინი.

არსებობს მარადიული ბავშვური შეკითხვები, რომელთა გამოჩენასაც წინ არ უსწრებს კვირტად ქცევის ხალისიანი მზადება, სიცოცხლით საყვარელი ჩუმი ხმაური. ეს შეკითხვები პირდაპირ სისხლიან ყვავილებად ამოსკდებიან დროის უსასრულო უდაბნოში, და ამ ე.წ. ცივილიზებული პროგრესის უამრავ აღმოჩენებსა და მიღწევებს ერთბაშად ანგრევენ და აუფასურებენ.

რატომ მოკლეს კაცი? — ეს შეკითხვა მარადიული მცენარის სხივამდგარი ნედლი ღეროა, ყვავილის ალისფერ სიცხეს შევლას რომ შპირდება და ჩვენს დასანახად მალა, მალა ზეცისკენ მიიწევს. ჩვენც არ უნდა დაგვეზაროს ცისკენ ახედვა. ადრინდანვე უნდა გავიმეტოთ და ადრინდანვე უნდა ვაზიაროთ ჩვენი ბავშვები მკაცრ სიმართლეს, ადრინდანვე უნდა დავინახოთ მათში პიროვნება და ამიტომ პასუხის ღირსიც გავხადოთ.

ხელოვნებაში ამ შეკითხვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ღირსეულად პასუხის გამცემი ლიტერატურაა. მრავალი ასეთი ბავშვური უშუალოდ და დროულობით დაუსვამს ლიტერატურას ადამიანებისათვის ამგვარი შეკითხვები. ამ სისხლიანი ყვავილებით მდიდარია მსოფლიო ლიტერატურა, ქართული ლიტერატურა, რუსული ლიტერატურა.

რაც უფრო მალა რანგის, დიდი ტალანტის შემოქმედი სვამს ამ შეკითხვებს, რაც უფრო პატიოსნად, თავდადებით ცდილობს იგი შეკითხვებზე პასუხის გაცემას, მით უფრო იმრავლებს მკითხველთა აუდიტორიას, მით უფრო სჯერა და განუწყვეტილ ელოდება მის სიტყვას ხალხი.

გახედავ სარკმელს — ცას ნამოგჭრის, არადა შენ ხომ თავისუფლებისათვის გაჩნდი? — ვინ იცის ამ შეკითხვაზე რამდენი ადამიანი ეძებდა პასუხს ვისოცკის თავგანწირულ სიმღერებში, სიმღერებში, რომელთაც ხშირად ისევე აკლდა ლამაზი მელიოდა, როგორც ყინვაში ჩარჩენილ კაცს ქალის უანგარო სითბო.

„რატომ სვამს ქალ?“ — ამ ულტრათანამედროვე შეკითხვაზე თავისი მკაცრი პასუხი აქვს პოეტ ანდრეი ვოზნესენსკის და ეს ქალიც ისევე ელოდება დასაყრდენს, როგორც გაბითურებული ბიჭი ოჯახიდან გაქცეულ მამას.

„რატომ მოიკლა მამამ თავი?“ — აი, სისხლიანი ლაიტმოტივი ოთარ ჭილაძის ბოლო რომანში „რკინის თეატრი“. მთელი რომანი ბავშვის მიერ დასმული ამ შეკითხვის მხატვრული კვლევაა, ისეთივე თავგანწირული, პატიოსანი და სამართლიანი, როგორც შვილის შეკითხვა — „რატომ მოიკლა თავი?“

მე ვიცი, ერთ საღამოს კინოდარბაზის მდუმარე სიბნელეში ბავშვმა იკითხა, რატომ ტიროდა მინაზე თავდაღმა დამსობილი კაცი და რატომ ღრიალებდა „**праздник хочется на душе**“ დედამ და მამამ ვერ უპასუხეს, ისინიც ცრემლებს ყლაპავდნენ ამ დროს. და ბიჭმა მანამ ატარა გულით ეს შეკითხვა, სანამ არ გაიზარდა. უკვე გაზრდილი თავისი მიხვდა. ცხოვრობდა ნამდვილი მწერალი შუკუშინი და ამ შუკუშინს იმხელა გული ჰქონდა, რომ „**праздник на душе**“ ერთი „მუჟიკისთვის“ კი არა, მთელი რუსეთისათვის უნდოდა. აი ამიტომ იყო იგი, პირველ რიგში, ეროვნული მწერალი და ამიტომ უყვარს სხვა ერის მკითხველს.

„დათა თუთაშხია“ ფირალად რომ დაბადებულიყო (ასეთებადაც ხომ იზადებინან), აშხელა თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდა ხალხში. იგი ცხოვრებამ გააყარა. ცხოვრებას კი ყველაზე მეტად ენდობა ხალხი... „მე მითხრეს, იმ პერიოდში, როცა ამ ფილმს ცენტრალური ტელევიზია უჩვენებდა, მოსკოვის ეზოებში ჯოხის ცხენებზე გადამჯდარი პატარა ბიჭები „დატა ტუტაშხიობანას“ თამაშობდნენ.

რატომ? იმიტომ, რომ ნაცრისფერი ერთფეროვნების ფონზე მათ დაინახეს, რა ამაღლებულია, როცა ერთი კაცი მეორეს იცავს,

როცა ისევე უფროხილდები საერთოდ სიკეთეს, როგორც საყვარელი ქალის რეპუტაციას, როგორც თავმოყვარე შვილის მომავალს... „რა მოუვა მარიას?“ — ესეც ბავშვის შეკითხვაა, რომელიც ასე თანაუგრძნობს მარიას, მხოლოდ მარიას და მან ჯერ არ იცის, რომ მარიას ათასჯერ უფრო ცოდოა და თანაგრძნობის ღირსი პანია ციმბირული სოფელი, რომელმაც ვერ იქნა და ვერ შეაგროვა ფული მარიასათვის.

ნოდარ დუმბაძემ ქვეყნიერებას შეახედა ომისდროინდელ გაფხვილ ქართულ სოფელში, რომელსაც პურიც აკლდა, მამაკაციც აკლდა, და მაინც იმედინად იყო, რადგან ამ სოფელში მარადიული ორი მოხუცი, სევდა და სიხარული, ილიკო და ილარიონი ცხოვრობდა. ამ მოხუცების სხეული ძვირფასი ჭურჭლივით პირთამდე იყო გალიცილიცებული სიხარულისა და მწუნარების ცრემლებით. უაზროდ არაფერი იღვრება ქვეყნად და რაღა მათი ცრემლი დაიღვრებოდა! ზურკელასათვის იღვრებოდა ადამიანური სევდისა და სიხარულის ეს უცნაური წვიმა და ზურკელასთან ერთად მილიონობით არაქართველი ბიჭი აგებებდა ამ უცნაურ წვიმას სახესა და გულს...

უცნაურია ბედისწერა (მწერლური ბედი). იყო პერიოდი, როდესაც თვით ისეთ მწერალსაც კი, ჩეხოვი რომაა, იმდროინდელი ლიბერალური, ხალხოსური კრიტიკა, „უშფოთველ, უპრინციპო, პოლიტიკურად ინდიფერენტულ მწერლად“ მოიხსენიებდა. რატომ გაემგზავრა ჩეხოვი სახალინზე? რაღა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ამ ე.წ. კრიტიკისათვის რაიმე დაემტკიცებინა. მით უფრო, არც სახალინის მკაცრი პეიზაჟის გასაცნობად და არც ე.წ. მდიდარი ლიტერატურული თუ მეცნიერული მასალის შესაგროვებლად. უფრო იმიტომ, რომ ყველაზე ნაკლებად საკუთარ თავს ენდობოდა. სულ იმის ცდაში იყო, არ დაეკარგა აქტიუობის უნარი, თანაგანცდის უნარი. ამ უნარის დაქვეითებას ადამიანი სულიერ დაბნეულად უწოდებდა. იგი უაღრესად ეროვნული მწერალი იყო და სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ ეს დიდი შემოქმედი მთელი ცხოვრება, როგორც ექიმი პაციენტს, ისე უყურებდა საკუთარ თავს.

რატომ იწებებს უბრწყინვალეს მოთხრობას „ჰაჯი მურატს“ ლევ ტოლსტოი იმ უცნაური ყვავილით, რომელიც სხვა ყვავილებივით იოლად არ მონყდა და რომლის მოგლეჯასაც სისხლისმღვრელი ბრძოლა დასჭირდა? რატომ ამბობს გაცემული და აღფრთოვანებული მწერალი: „**Экая энергия! — подумал я. — Всё победил человек, миллионы трав уничтожил, а этот всё не сдаётся**“.

იმიტომ, რომ იგი დიდი მწერალი იყო და დიდები ყოველთვის შეუძლია ამგვარი აღმოჩენებით გაამდიდრონ ლიტერატურა. უბრალო ყვავილშიც მთელი ერის ენერჯია და ხასიათია კოდირებული. რა განსაცვიფრებელი პატივისცემით, რა ღირსების მომნიჭებელი აღფრთოვანებით ლაპარაკობს იგი მთის ჯიუტ ყვავილზე, რომელშიც შამილისა და მთელი მისი ხალხის ძლიერება და სილამაზე იგულისხმება.

რა დიდებული მაგალითია! მაშინ რატომ ხდება, რომ ამ გამოცდილებას ვერ იყენებს (თუ არ იყენებს) დღევანდელი მწერალი? რატომ მოხდა, რომ დღევანდელ საბჭოთა ყურნალში „ნამ სოვრემენიკში“ მეორე ერის ცოდნისა და გაცემის პრეტენზიით დაწერილი ასტაფიევის ე.წ. დოკუმენტური „მოთხრობა“ დაიბეჭდა?

ეს არ არის მხოლოდ ზერელე, დილუტანტური შთაბეჭდილებებით დაწერილი „მოთხრობა“... აქვე უნდა გამოვცხადოთ, რომ ამ წაწერის ინტონაიისა და სულისკვეთების გამო გავგიჟიერდა ლიტერატურაში არსებული რომელიმე უანრისადმი მისი მიკუთვნება. თავისი შინაარსით, განწყობილებით, ესთეტიკით, ეთიკით ავტორის ამ „თხზულებას“ არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მწერლობასთან. ასტაფიევის მხატვრულ წარმოსახვას, ტოლსტოის მთის ყვავილივით, არ დამორჩილდა არც ჩვენი სამშობლოს ზღვა და ხმელეთი, არც ჩვენი სამშობლოს მზე (თუმცაღა აქ ხშირადაა „მზიური საქართველო“ ნახსენები) და, მით უფრო, არც ქართველი ხალხის ისტორია და ხასიათი. სამაგიეროდ, დახატა მწერლის სულიერი ავტოპორტრეტი. რატომ დახატა ასტაფიევმა ასეთი ცუდი ავტოპორტრეტი? ნულა გავაგრძელებთ ბავშვურ შეკითხვებს. ქვეყნად იმდენი ძვირფასი და მნიშვნელოვანი შეკითხვა გველოდება...

თორწონ უაილდერის რომანში „დღე მეექვსე“ ზანგი მომღერალი ქალი ლორადელი ობივტელ მსმენელებს, რომელთაც მისი სიმღერის ტექსტები არ მოსწონთ, ეუბნება — მე ყოველთვის ვიზღვრებ სიყვარულზე და ჩემს რელიგიაზე: „სულიერული გემოვნებააო — გესმით, ხალხნო! იცი რას გეტყვი — ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ დედამინაზე ასი დღით შეწყდა სიყვარული! წარმოიდგინე, ასიათვენი შენი ლორადელი. რა მოხდება ამ დროს?“

ძალიან ახლობელი შეკითხვაა, განსაკუთრებით დღევანდელი მწერლობისათვის. რამდენი მწერალიც არსებობს, იმდენი რომანის დანერა შეიძლება ამ საშინელ ასდღეზე. ნამდვილი მწერალი ყოველთვის უნდა მღეროდეს სიყვარულზე და საკუთარ რელიგიაზე — საკუთარ სამშობლოზე, მიუხედავად დღის, როცა ასე მომრავლდნენ კოსმოპოლიტურად განწყობილი ადამიანები, ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ, კოსმოპოლიტიზმიც ბავშვობაშია სუფთა და უანგარო, რადგან ბავშვმა იცის, რომ ცა არის ცის ფერი, მზე არის მზის ფერი, სისხლი სისხლისფერია და ადამიანი — ადამიანისფერი. ეს მერე იწყება შეფერადება. მერე ხდება მზე მკვდრისა (ასე ჰქვია ჩამავალ მზეს ქართულში), სისხლი — ცისფერი, ადამიანი შავკანიანი, თეთრკანიანი...

დღეს, რაც უფრო ეროვნულია მწერალი, მით უფრო ახლობელია და გასაგები იგი სხვებისთვისაც. დასასრულ, ერთი შეკითხვა-მაგალითი ცხოვრებისეული ყოფითი სიტუაციიდანაც მინდა მოვიტანო, მაგალითი, რომლის მონაწილე მეც გახლდით.

ავტობუსი. მარცხენა მხარეს ტიპიური სურათი — შუახნის ქალს მუხლებზე ოთხი-ხუთი წლის შვილიშვილი უხის. გოგონას ლამის პეპლისფერი ჭრელი ბაფთა უკეთია. თვითონაც სხვა მხარის პეპელას ჰგავს, მოულოდნელად თბილისის ავტობუსში შემოფრენილს. სამოცს გადაცილებული ჭალარაკაცი რა ხანია ყურადღებით უთვალთვალავს. ბავშვი განუწყვეტლივ რაღაცას ტიტკიტკებს. როგორც იქნა გაბედა კაცმა, დაიხარა და ჩუმად ჰკითხა: — საიდანა ხარ?

— ჩერობილიდან, — მშვიდად უპასუხებს ქალი. კაცმა თითქოს კიდევ უფრო მეტად დაიმორცხვა. მერე უხერხულად გაუწოდა ჯიბიდან ამოღებული ხუთთუმნიანი ქალს (იმედია, ავმალდებით და არავინ ვიკითხავთ, საიდან ჰქონდა კაცს ხუთთუმნიანი) და ჩუმად უთხრა: — ჩემი ჩასვლის დროა, თუ არ მიწყენთ, თქვენს პატარას ჩემს მაგივრად ტკბილეულობა უყიდეთ. ქალი ღირსეული აღმოჩნდა, ღირსეულადვე, როგორც ბევრის ნანახ და გადამტან ადამიანებს სჩვევიათ, ისე მშვიდად, მარჯვენასავით ართმევს კაცს ფულს, თან თვითონაც ჩუმად ამბობს: „ღმერთმა გიშველოთ, მადლობელი ვარ...“ მერე მუსიკა თავისით გრძელდება, მაესტრო უკვე ჩასულია. მთელი ავტობუსი წამოიშალა. თურმე ყველა ამათზე ფიქრობდა, თურმე ყველა უთვალთვალავდა მათ. ათასნაირი შეკითხვა, ათასნაირი გამხნელება, ათასნაირი კომპლიმენტი გოგონას მისამართით. ათასი მიპატივება, გულიანი, ნამდვილი, ადამიანური, ბუნებრივი... ბებია ტირის, ხალხიც ტირის, განსაკუთრებით ქალები, კაცების ტირილი ასეთ დროს ღიმილია. მხოლოდ ბავშვი ზის გაუნრევლად, აუმღვრევლად. გაყურსული, დედამინის ზურგზე ყველაზე უშიშარი და ჭკვიანი პეპელა, რადგან გრძნობს, რომ ადამიანებს მხოლოდ დაჭერა კი არ უყვართ პეპლებს, ადამიანები ასედაც აზროვნებენ: „ცოტათი გვიან ჩააქრეთ შუქი, ცოტათი მეტხანს იცოცხლონ ლამის პეპლებმა“.

რა იყო ეს? რა ჰქვია ამას? ვინ იცის, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს კითხვები, რა გამოლევს კითხვებს. კითხვებს, რომლებითაც ნამდაუნუმ გვისაფრდება ცხოვრება, ხალხი, დედამინა. ამ კითხვებს გამუდმებით სვამენ და გამუდმებით ცდილობენ მათზე პასუხის გაცემას თავიანთ შემოქმედებაში თანამედროვე ქართველი პროზაიკოსებიც: ოთარ ჩხეიძე, ვრიგოლ აბაშიძე, რევაზ ჯაფარიძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, გურამ ფანჯიკიძე, ნოდარ წულეისკერი, თამაზ ბიბილური, გურამ გეგეშიძე, რეზო ჭიჭიშვილი, რევაზ მიშველაძე, გივი მალულარია, გურამ დოჩანაშვილი, სოსო პაიჭაძე, ნაირა გელაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე...

ტყვიის სისწრაფითა და ენერჯით მოეშურებიან ეს შეკითხვები მწერლის ცხოვრებაში. პირველი დარტყმაც სწორედ მწერალმა უნდა გადაიტანოს. ასე იყო, ასეა ახლა, ასე იქნება მომავალშიც. სწორედ ამ პირველობის შეგრძნებაში ყველაზე დიდი ხიბლი და ყველაზე დიდი სიმძიმე თანამედროვე ქართული მწერლობისა.

1986 წელი, მოსკოვი.
სსრკ მწერალთა მე-8 ყრილობის
პროზაიკოსთა სექციის წარმომადგენელი სიტყვა

ორი ქრისტიანი
(სინანული და მიტევება)

ანა კალანდაძე რეკავს... მოკითხვის მერე მეუბნება, სანამ უშუალოდ ვისაუბრებდეთ, იქნებ გამაცნო საკითხებიო. წინა კვირას შევეუთანხმდი გაზეთ „ჩვენი მწერლობისათვის“ დიალოგს.

- გინდათ დღეს გადმოგიტანოთ?
- თუ გცალია იქნებ ახლავე გადმოგიდე.
- გადავდივარ.
- მიმილო როგორც იცის, თბილად, სიყვარულით. კარადის ქვედა კარს ალებს. მივხვდი და ვეხვეწები არაფერზე შენუხდეთ-მეთქი.
- ისეთი რამე უნდა დაგაღვივინო... დარწმუნებული ვარ, არ გექნება დალეული.
- გამოაქვს გრაფინი, რომელშიც ულამაზესი ნარინჯისფერი სითხეა ჩასხმული. მაგიდაზე ორ ჭიქასაც დგამს და თვითონ მისხამს. სითხე მდორედ გადმოდის გრაფინიდან.
- არაჩვეულებრივი სურნელი აქვს.
- დალიე, დალიე.
- მოვსვი, საოცარი არომატი აქვს „აბლოპისის“.
- გეცნობა?

იმდენად უნდა, არ მეცნობოდეს, რომ, არა-მეთქი, უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

- ქაცვისაა, ხომ გემრიელია?
 - არაჩვეულებრივია...
 - ჰოდა დალიე, დალიე, კიდევ უნდა დაგისხა.
- თვითონაც სვამს.

საოცარი მასპინძელია ანა...
საკითხებს გადახედა და ამას კარგი ჩაჯდომა და ფიქრი უნდაო... წინასწარ იმაზეც ვუთანხმდები, რომ მასალას ფოტოებიც დასჭირდება და როცა მეტყვით ფოტოკორესპონდენტს მოვიყვან-მეთქი.

ისე მოულოდნელად იწყებს ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის თაობაზე საუბარს, რომ ჩემთვის ვფიქრობ (ალბათ ისევ დაიბეჭდა მასალები და სიები).

- მაკა ჩვენ ნათელ-მირონობა გვაკავშირებს.
- სუნთქვა შემეკრა.
- ვიცი, ქალბატონო ანა.
- ჰოდა, იმ უბედური დღის მერე აღარც მინახავს ეს ბიჭი, მერე გადაასახლეს... დრო ხომ იცი როგორ გარბის... ერთხელ მივდივარ რუსთაველზე, ძეგლები რომ იდგა მთავრობის სახლის წინ, ზუსტად იმ ადგილზე და ვხედავ მოდის ზვიადი პირდაპირ ჩემსკენ... რომც გინდოდეს, გვერდს ვერ აუქცევ...
ვფიქრობ, რა ვქნა, რით დავიწყო... (მომიჩვენა, რომ სახეზე აღმურმა გადაჰქრან ანას).
- მომიახლოვდა...

ზვიად... იცი ზვიად — და არ ვიცი რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა გამოვხატო ჩემი მაშინდელი თუ ამწუთიერი განცდები და არ მაცლის. ჩამიხუტა, მიმიკრა მკერდზე, მომიჭირა ხელები და მეუბნება:

- ქალბატონო ანა, რკინის მკვნეტელ კაცებს ტეხდნენ კომუნისტები... არ იფიქროთ მაგაზე, არ ყოფილა, ეგ არაფერია, არ იფიქროთ მაგაზე.
- მერე ანამ რალაცნაირი, ჩამშვიდებული ხმით დაამატა:
მე ასე იოლად არ ვტირი, მასთან მაინც შევიკავე თავი, მოვედი სახლში და ვტირი.

უცებს ჩემი სულსწრაფობით თუ ემოციური დაძაბულობით თითქმის ვემუდარები:

- ეს არ უნდა დანეროთ? ქალბატონო ანა, დანერეთ რა, დანერეთ, რაც ახლა მომიყვებით...
- ჩუმადაა. არაფერს ამბობს. ჩემთვის ვფიქრობ — ის მაინც თქვას, რომ ჯერ არ დანერს, ჯერ დრო არაა.
- ანა ისევ ჩუმადაა.
- არაფერს ამბობს.

2000 წ.

ცოტნე მეტონიძე

„ღირსეული და ამაყი...“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— სასონარკვეთილება, უფუნქციობა და გარიყულობა საზოგადოებისაგან.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— აუცილებლად იქ, სადაც ვცხოვრობ — სამშობლოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როდესაც ფსიქიკა და აზროვნება გაქვს ჯანმრთელი. რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა, სიმშვიდე, სიყვარული, ღვთის წყალობა და ცოტაც მატერიალური შესაძლებლობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ასეთი ბევრია, გამორჩეულად ვერ დავასახელებ...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— საყვარელი არ ვიცი რამდენადაა, მაგრამ საამაყო ყველა ის, ვინც გადაგვარჩინა, სასულიერო, სამეფო თუ საერო პირები...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მერაბ აბრამიშვილი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გენიალური კომპოზიტორებიდან ყველაზე ხშირად მინც ყანჩელს ვუსმენ და ამიტომ ვიტყვოდი — გია ყანჩელი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კაცობას, ზნეობას, გამტანობას, სიმყარეს, სანდომიანობასა და ღირსებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— დახვეწილობას, ზნეობას, ზრდილობას, ესთეტიკურობასა და მონესრიგებულობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?

— სიყვარული და სიყვარულით გაკეთებული ყველა სიკეთე...

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— არჩეული პროფესიის კარგად დაუფლება და მიზანსწრაფვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ბევრს ღირსეული თვისების გამო შევნატრი, მაგრამ სურვილი არ მქონია, რომ ვინმე ვყოფილიყავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— არ ვიცი, ალბათ, კომფორტულობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— იმ თვისებებს რაც ჩემთვის სამაგალითოა: ნდობა, ერთგულება, ურთიერთობის პატივისცემა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ვწუხვარ მაგრამ უნდობლობა...

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როდესაც ისურვებ და გექნება... უშფოთველობა და უდარდელობა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რომ არავის ვუყვარდე და ჩემს გარშემო მყოფები არ არსებულებოდნენ.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— მინდობდა, არა, ყოველთვის მინდა, იმაზე ბევრად უკეთესი ვიყო, ვიდრე ვარ!..

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყოველდღიურობაში ყველაზე მეტად მუქ ფერებს ვხმარობ... ისე პასტელის, ჩამქრალი ფერები მომწონს.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გამოკვეთილად არც ერთი, უფრო მომწონს დეკორატიული ყვავილები, რომლებიც სიცოცხლის და არსებობის პატარა ნიმუშები არიან. სასაჩუქრედ ნებისმიერი მომწონს, მთავარია, ადრესატის სურვილი ვიცოდე.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არ მიფიქრია. ალბათ არა მყავს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, ვაჟა-ფშაველა. ალბათ, როგორც უმეტესობას უყვარს, ჩვენი გენიოსები. მაგრამ მათთან ერთად, სხვაც უამრავია. ხელოვნება საერთოდ, მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ეს განწყობა და ამდენად ცვალებადია. ძნელია სათითაოდ დაასახელო თითოეული მათგანი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ანა კალანდაძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანა კარენინა, კარმენი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ის დიადი გმირები, რომლებიც ყოველთვის და ყველასათვის პატივისცემისაგებია და საყვარელი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— ანნა, ერეკლე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უსამართლობას, ღალატს, მლიქვნელობასა და უგემოვნობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყველა ის პერსონა, ვისაც ქვეყნის ბედი ხელთ ეპყრა და ცუდი გეზი აიღო, საქართველოს საწინააღმდეგოდ და დასაღუპად.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— ქართველ მეფეთა ომებს გავიხსენებ, როცა სამშობლოს გადასარჩენად და ქართველობის შესანარჩუნებლად უწევდათ ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ამაზე არ მიფიქრია... გამიჭირდება კონკრეტულად რომელიმე გამოვყო.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— არტისტობის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი. მშვიდი, მძინარე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— დამთმენი და პოზიტივის მომლოდინე.

— ქმედებანი რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველაფერს გვპატიობს ღმერთი და ჩვენც ვალდებულეები ვართ დავთმეთ ჩვენში რაღაც-რაღაცები და შემწყნარებლები გავხდეთ ადამიანთა უარყოფით ქმედებათა მიმართ.

— თქვენი დევიზი?

— ღირსეული, შეურცხვენელი და ამაყი გავიდე ამ ქვეყნიდან!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ყოჩაღ! კარგად იქცევი (იქცეოდი), უკეთესადაც შეგიძლია (შეგეძლო), მაგრამ მაინც ყოჩაღ!..



დავით ყალიჩავა

რევზ ჩხეიძე და ქართული კინოფენომენი

უაღრესად დიდი სიხარული გვაჩუქა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონ რეზო ჩხეიძის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე! სანამ ავიხსნი, ჩემო საყვარელო მკითხველო, თუ რაში მდგომარეობს ეს სიხარული, ნება მიბოძე, მცირე შესავალი გავაკეთო დიდ კინორეჟისორსა და უშუალოდ კაცზე — რეზო ჩხეიძეზე:

ზუსტად ერთი წლის წინათ საქართველოში მოღვაწე ერთი პატარა სტუდია „გუთანის“ პროდიუსერი, თქვენი მონა-მორჩილი, დავუკავშირდი ბატონ რეზოს, გავეცანი და ვთხოვე, გამოენახა დრო, მისთვის ჩვენი სტუდიის ერთ-ერთი ფილმი რომ გვეჩვენებინა. თანხმობის მიღების შემდეგ ვესტუმრეთ შინ. როცა ფილმის ჩვენება დასრულდა, დიდმა მამულმა გვითხრა: „მე სულ არ დაგვიკვირებია, სად რა შეცდომა იყო ამ ფილმში.“

თქვენ გაქვთ ყველაზე მთავარი — ქართული სული და ეროვნული მუხტი, ამიერიდან ნებისმიერ დროს თქვენს გვერდით მიგულეთო.

ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, დიდ რეჟისორს ვაჩვენეთ კიდევ რამდენიმე ფილმი და მან იწამა ჩვენი, რის შედეგადაც პატარა სტუდიამ განიცადა მკვეთრი აღმავლობა: ბატონმა რეზომ მოგვცა უამრავი სასარგებლო რჩევა, გაგვაცნო რჩეული უცხოელი და ქართველი კინემატოგრაფისტები, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, მოგვინყო შეხვედრები საქართველოს კულტურის მინისტრთან და აგვისრულა ყველაზე სანუკვარი ოცნება — გაგვაცნო და დაგვაახლოვა უწმინდეს, უტკბილეს პატრიარქთან. ამ ერთი წლის განმავლობაში დიდმა მამულმა ხელი გაუმართა და უსასყიდლოდ დაეხმარა კიდევ მრავალ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტს. ეს თავის მხრივ, არის პროფესიული და ადამიანური თანადგომის ულამაზესი ისტორიები, რომლებსაც სამომავლოდ აუცილებლად მოგიტხრობთ ჩემს მოგონებებში.

წელს დიდი რეჟისორის იუბილეზე მართალმა და ყველასათვის საყვარელმა კაცმა, მსახიობმა კახი კავსაძემ და ჰოლივუდში მოღვაწე, ჩვენმა წარმატებულმა თანამემამულემ ლევან უჩანეიშვილმა ძალიან თბილი შეფასებები გააკეთეს.

კახი კავსაძე: „ჩემი ცხოვრების განმავლობაში უამრავ კარგ, კეთილ ადამიანს შეხვედრივარ ქართულ კინემატოგრაფიაში, მაგრამ რეზო ჩხეიძისნაირი უშუალოდ და სიკეთით სავსე კაცი იშვიათად შემხვედრია. ესაა ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უხარია სხვისი წარმატება და ყოველთვის მზადაა თანადგომისთვის“.

ლევან უჩანეიშვილი: „სულ ახალგაზრდა, პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც ბატონმა რეზომ მათამაშა ფილმში „რაიკომის მდივანი“. შემდგომ, მისი დაჟინებული მოთხოვნით, მერგო კუკარაჩას როლიცა და მრავალი სხვა. ჩემი დღევანდელი წარმატება მთლიანად უკავშირდება ბატონ რეზოს ხელდასხმასა და სიყვარულს, მან მომცა ძალა, რომელიც დღემდე მომყვება და მავსებს“.

თქვენ იცით, ჩემო მკითხველო, რომ 1973 წლიდან 2004 წლამდე ბატონი რეზო იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი და ეს სწორედ ის პერიოდი, როცა ქართულ კინოს მთელი მსოფლიოს კინემატოგრაფისტები აძლევდნენ უმაღლეს შეფასებებს და გაჩნდა ცნება — ქართული კინოფენომენი.

პირველი ფილმი საბჭოეთიდან, რომელმაც კანის კინოფესტივალზე გაიმარჯვა, იყო „მაგდანას ლურჯა“, თენგიზ აბულაძესთან ერთად შექმნილი, ამას მოჰყვა კასკადი კინოშედეგებისა: „ჯარისკაცის მამა“, „ფესვები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ნერგები“, „დათა თუთაშია“, „მონანიება“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ხარება და გოგია, „თეთრი ბაირალები“, „უძინართა მზე“, „კუკარაჩა“ და მრავალი სხვა, რომელი ერთი ჩამოვთვალო!..

დღედა კინოსტუდია „ქართული ფილმში“ შემოქმედებითი ცხოვრება, იქმნებოდა და იქმნებოდა კინოფილმები, მაგრამ ერთი რამე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეზო ჩხეიძისათვის მთავარი და პრიორიტეტული იყო არა მხოლოდ კინემატოგრაფისტის პროფესიონალიზმი და ნიჭი, არამედ ადამიანური თვისებები, ის ჯერ იხედებოდა ადამიანის სულში და მერე იწყებდა მასთან ურთიერთობას! ბატონ რეზოს ცხოვრების განმავლობაში მოუ-



დავით ყალიჩავა, რევზ ჩხეიძე, ბიძინა ივანიშვილი

ნია ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, სამშობლოსათვის საჭირობოროტო საკითხებშიც, და ძალიან ხშირად მოფიქრებისა და განჭვრეტისათვის დიდი დროც არ ჰქონია, მაგრამ არასწორი ნაბიჯი არასდროს გადაუდგამს! მისი გადაწყვეტილებები საბოლოო ჯამში ყოველთვის სათნო იყო ერისა და ბერისათვის, რაც — წმინდა მამათა გადმოცემით — პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ეს ადამიანი ძლიერ უყვარს უფალს!

ა/წ 9 მაისს, კინოთეატრ „რუსთაველი“-ს დიდ დარბაზში, გაიმართა ბატონ რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული წიგნის „ვიდექი ისე, როგორც ბერმუხა“ პრეზენტაცია, შემდეგ „ჯარისკაცის მამას“ ფერადი ვერსიის პრემიერა შედგა და საღამო უნდა დაესრულებინა კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვარსკვლავის გახსნის ცერემონიას. ეს ღონისძიება დაანონსებული და გადაწყვეტილი იყო 2 თვით ადრე. თბილისში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა უამრავი სახელოვანი სტუმარი და სწორედ ამ დღეს, 9 მაისს, დილის 6 საათზე გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი. ამ დიდი ტკივილის უწყება ბატონი რეზოსთვის მე მომიწია, ვინაიდან გახლდით ამ ღონისძიების თანაორგანიზატორი. პირველი, რაც მან მითხრა, იყო ის, რომ ყველაფერი უნდა გადადებულიყო, რადგან ქართულ კინემატოგრაფიაში არის გლოვა და იგი ვერ მისცემდა საკუთარ თავს ზეიმის უფლებას. ვერ წარმოიდგინო, რამხელა ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ მას ეს გადაწყვეტილება შეეცვალა და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით — უამრავი სტუმრის საპატივცემულოდ, თუმცა ვარსკვლავის გახსნა მაინც გადაგვადებინა სამგლოვიარო დღეების დამთავრების შემდგომ.

ახლა, ჩემო მკითხველო, მოგახსენებთ იმ სიხარულზე, რომელიც მოგვანიჭა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა: 29 მაისს, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ, საღამოს 6 საათზე, ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე მობრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და უამრავი ადამიანი. პირველი სიტყვა პატრიარქის დალოცვის შემდეგ თქვა ბატონი რეზოს მეგობარმა და თანამოაზრემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა, კინოს ცოდნემ, პროფესორმა გიორგი (გოგი) დოლიძემ. მან ისაუბრა დიდი მათემატიკოსის უამრავი დამსახურებაზე და შემოიტანა წინადადება, ბატონ რეზოს მიენიჭოს საპატიო აკადემიკოსის წოდება. შემდგომ პრემიერ-მინისტრმა პირადად გახსნა ვარსკვლავი და წარმოთქვა უაღრესად შთაბეჭქდავი და ემოციური სიტყვა, მან აღნიშნა ბატონი რეზოს განუსაზღვრელი დამსახურება ქართულ ხელოვნებაში და ამავდროულად შეგვპირდა იქ მყოფ საზოგადოებას, უახლოეს წლებში ყოველგვარი ფასადურობისა და მოჩვენებების გარეშე ძლიერი და მართალი სახელმწიფოს შექმნელობას, შემდეგ უსურვა მათემატიკოს ახალი ფილმის გადაღება. ამის მერე მერვე პატივი ორიოდე სიტყვით ახალგაზრდა კინოხელოვანთა სახელით მეც მიმელოცა იუბილარისათვის ეს ლამაზი დღე და ბოლოს გავახმოვანე ბატონ რეზო ჩხეიძის ბავშვობის დიდი ტკივილიანი ოცნება:

1937 წელს რეზო ჩხეიძის მამა, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დასავლეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, კოტე მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი დავით ჩხეიძე, რომლის ფსევდონიმი იყო დია ჩიანელი, ცნობილი რეპრესიების დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო პატარა რეზო დედასა და დედმამიშვილებთან ერთად გამოასახლეს ქუთაისში მდებარე საკუთარი ორსართულიანი სახლიდან და ახალგაზრდა ქალი მცირეწლოვან შვილებთან ერთად დატოვეს უსახლკაროდ. ამის მერე მის ოჯახს უამრავი სასწაულებრივი ამბავი გადახდა თავს, მაგრამ იმ დღიდან რეზო ჩხეიძის ყველაზე სანუკვარი ოცნება ამ სახლის დაბრუნება გახდა! დღეს ეს სახლი იყიდება და დიდი მათემატიკოსი მზადაა, სახელმწიფოს მიერ ამ სახლის ყიდვის შემთხვევაში, მთლიანი არქივი, რომელიც არის მე-20 საუკუნის ქართული კინოსა და საზოგადო მოღვაწეთა ისტორია, უამრავი კინო და ფოტო მასალა, ფასდაუდებელი ჯილდოები, ცნობილ მხატვართა ტილოები, აგრეთვე, ბატონი დია ჩიანელის მემორიალური ნივთები, ნივნები, აფიშები, სურათები იქ გადაიტანოს, რათა გაიხსნას სახლ-მუზეუმი, ხოლო პირველ სართულზე გაკეთდეს მცირე დარბაზი სცენით, სადაც მოენწყობა მუდმივმოქმედი ლიტერატურული, კინო და თეატრალური სალონი, რომელიც ძირფსვიანად გაააქტიურებს ქუთაისის საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას. ქუთაისი, რომელიც იყო ქართული თეატრის, ლიტერატურისა და კინოს აკვანი, თავს ინონებს ისეთი სახელოვანი ადამიანებით, როგორცაა: ვასილ ამაშუკელი, გალაკტიონი და ცისფერყანნელები, კოტე მარჯანიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, დავით კაკაბაძე, გიორგი შავგულიძე, უშანგა ჩხეიძე და მრავალი სხვა. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, როცა ბატონი ბიძინას გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ ეს საყოველქართველო და საშვილიშვილო საქმე და ჩვენი უსაყვარლესი ადამიანის, ბატონი რეზოს ოცნება ახდენილი იყო! საქართველოს პრემიერ მინისტრმა დიდსულოვნად გამოთქვა მზდყოფნა დახმარებისათვის.

დიდება უფალს, რომ დოკუმენტური ფილმების სტუდია „გუთანს“ მოგვეცა შესაძლებლობა ვყოფილიყავით ამ დიდი საქმის ინიციატორები და თანაზიარები. ეს იყო უდიდესი სიხარული, რომელმაც ცრემლი მოჰგვარა ბატონ რეზოს და მთელ იქ მყოფ საზოგადოებას! უღრმესი მადლობა საქართველოს მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს კიდევ ერთი ფესვით ქართული საქმის თანადგომისათვის!

ნათია როსტიაშვილი

საით წავიდა ლოლა?

— როგორ მიხარია, ასეთს რომ გხედავ. — ჰენრი ზურგიდან მომეხვია.

— ასეთს, როგორს? — გამელიძა.

ღია ფანჯარასთან ვზივარ. დაბერილი ნესტოებით შემოდგომის სურნელოვან ჰაერს დიდ ულუფებად „ცყლაპავ“, თან ჰენრის რიტმულად ვკოცნი მაჯაზე, ყოველი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისას.

მგონია ჰენრი ჩემთან ერთად დაიბადა და თავიდანვე ისევე ბუნებრივად ჩემი იყო, როგორც, ვთქვათ, ჩემი ხმაა. წარსული საერთოდ არ მახსოვს, — როგორ გავიცანი, რა თავგადასავლები გვქონდა?.. ყოველთვის ვარსებობდი მხოლოდ ან-მყოში, — ახლა, ამ წამს, და თუ ვარ მე, ესე იგი, არის ჰენრიც.

ჰენრის, სინამდვილეში, ვიქტორი ჰქვია. სახელი რომ გადავარქვი, მგონი, მხოლოდ ეს მახსოვს საკუთარი წარსულიდან. ჩემი დაკვირვებით, სახელები გავლენას ახდენენ ადამიანის გარეგნობაზე. სანამ ჰენრის ვიქტორი ერქვა, მაშინ მხოლოდ მიყვარდა. ახლა მომწონს კიდევც.

— მშვიდი დილაა, კარგ განწყობაზე ვარ. — ლოცა ხელისგულზე გავუხახუნე. კოცნა შევწყვიტე, სუნთქვა — არა.

— მიხარია, ძალიან მიხარია. — მკლავზე ხელი მომიტათუნა. დიდი და თბილი ხელები აქვს. ზოგჯერ უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჰენრის ხელები და თვალები მხოლოდ სხეულის ნაწილები კი არა, დამოუკიდებელი პიროვნებებია. ჰენრი — ეს მისი თვალებისა და ხელების ერთობლიობაა. მიყვარს ჰენრი. ერთიანობაშიც და ცალ-ცალკეც.

— სანამ მიხაილოვნა კატლეტს შეწვავს, წავალ, ტელევიზორს ჩავრთავ. არაფერზე იფიქრო და არ მოინყინო. შემპირდი, რომ არ მოინყენ. — თავზე მაკოცა, სავარძელს შემოუარა, ჩემ წინ, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და გამიღიმა.

ნიავემა ჯერ გამხმარი ფოთლები ააფარფატა ჰენრის ზურგს უკან, მერე ოქროსფერ ფოთლებნაქარგი ფარდა ააფრიალა, თან ერთი ხმელი ფოთოლი ოთახში შემოგვივლო, ბზრალით ჩამოსვა ჩვენს ფეხებთან.

გავიფიქრე, თუ ჰენრი ჩემზე ადრე მოკვდება, ამ კადრით გავიხსენებ ხოლმე: ფოთლებისა და ფარდის ფარფატაში ჰენრის უძრავი, ოდნავ დამეხუბული მხრები. ერთმანეთში ჩახვეული მეტყველი ხელები და დიდი, თბილი თვალები. რაც დრო გადის, მის მზისფერობამდე ღია თაფლისფერ თვალებს ხმელი ფოთლის ფერი ედება. მზისფერი თვალებიდან თოვლისფერი თმებისკენ მიჰყავს დროს. შემოდგომაა ახლა ჰენრიში.

— არ მოვიწყენ, გპირდები. — გავუღიმიე.

ადგა, იატაკიდან ფოთოლი აიღო, ნაწნავში ჩამიბნია.

— ამას გიტოვებ. იცოდე, თუ სიტყვას გატეხ, აუცილებლად მეტყვი. — საჩვენებელი თითი ცხვირის წვერზე ჩამომისვა.

ჰენრი გავიდა. ქარი ჩადგა. მე ისევ ვზივარ...

ღია ფანჯრიდან მობუზული ადამიანების წყება მოჩანს. მხრებ და ყურებჩამოყრილები მიდიან, საფიქრალს ზურგით მიათრევენ. „ჩემი ცხოვრება ნაცრისფერია...“ — ტელევიზორში ცნობილი შოუს უცნობი სტუმარი მოსთქვამს.

გავიფიქრე, — ადამიანები, რომლებსაც ფანჯრიდან ვხედავდი, ალბათ, ძალიან ჰგავდნენ ადამიანს, რომელსაც ჰენრი ტელევიზორში უყურებდა. კაცმა რომ თქვას, მე, ჰენრი და დედაც, დიდად არ განვსხვავდებოდით ამ ერთმანეთის მსგავსი ადამიანებისგან.

ამოვიოხრე. როგორ გინდა, ამ განწყობით პირობა შეასრულო?..

იმ ვილაც(ებ)ის ცხოვრებისფერი პლედი მოვიხურე. გრილოდა.

* * *

ლოლას ფანჯრიდანაც ასეთივე სევდისმომგვრელი ხედი იშლებოდა. მაღალ, მოწყენილ შენობას ტანზე დაყრილი ალერგიასავით ადგილ-ადგილ აჩნდა ამძვრალი ბათქაში. შენობის წინ ირიბად გადახრილ ხეს ძელსკამზე შემოეღაგებინა ტოტები. მიძიმე ჩანთებით დატვირთულ, დაღლილ ქალს ჰგავდა, — ნუთით რომ ჩამოჯდა სულის მოსათქმელად. ხეს ვერ ამჩნევდნენ ფიქრში გართული, მობუზული ადამიანები, მინას ჩასჩერებოდნენ. ყველა თავისას ფიქრობდა.

პატარა ვიყავი, ლოლას სახლის კარს შიშით რომ მივანეჭი. ეს ჩემი პირველი საიდუმლო იყო...

ბებო მაფრთხილებდა, ჩვენი კორპუსის ბოლო სადარბაზოს მოვრიდებოდი, რადგან იქ, მესამე სართულზე გიჟი ლოლა ცხოვრობდა. ამ სადარბაზოსთან გავლას მართლაც ყველა ერიდებოდა. მესამე სართულის ფანჯრიდან ხომ ხან თევზები მოფრინავდნენ, ხან ჭიკები, ხანაც ხილი...

ბებომ მშვენივრად იცოდა — ბავშვები იქით არასდროს მივდიოდით სათამაშოდ, მაგრამ დევიზს — „სიფრთხილეს თავი არ სტკივს“ — არ ღალატობდა. ჩვევად ექცა, ყოველდღე დაუზარელად, ერთგვარი წამლებითაც კი მიმეორებდა:

— სტასიი... იცოდე, ბოლო სადარბაზოში შესვლა კატეგორიულად გეკრძალებააა!..

საბოლოოდ იმას მიაღწია, რომ „აკრძალული ხილის დაგემოვნების“ დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა.

ერთხელაც, ვერ მოვერიე დაუოკებელ ინტერესს, რომელმაც ჩემში ჩაბუდებულ შიშსაც კი სძლია...

ერთ საღამოს, ბებომ პურის საყიდლად გამგზავნა. ქუჩაში გამოვედი თუ არა, მარცხნივ გავუხვიე. პურის მაღაზია მარჯვნივ იყო.

მომეჩვენა, თითქოს ამ სადარბაზოში ნესტის სუნი გაცილებით მძაფრად იდგა, ვიდრე ჩვენსაში. ლიფტის თავზე ჩამოკონიალებული დამტვერილი ნათურა, როგორღაც, ნერვიულად ციმციმებდა. ინთებოდა-ქრებოდა. ინთებოდა-ქრებოდა... ჩვენი მეზობლის დაკლული მამალი გამახსენდა, დაცალკევებული თავი და ტანი საზარლად რომ უფართხალებდა. რიგრიგობით ფეთქავდნენ: თავი-ტანი, თავი-ტანი... დავიზაფრე.

უცებ, — ტკაც! — და ჩამოხველდა. — ააა!.. — წამოვიკივლე და პირზე ხელი ავიფარე. იმის ნაცვლად, რომ გარეთ გავვარდნილიყავი, გიჟივით ავირბინე კიბის საფეხურები. თან გულში სართულებს ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი...

სახლის კარი ოდნავ შეღებული დაეტოვებინათ. რალაც ძალა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, მიხმობდა, შიგნით მექანებოდა. კარს ვუყურებდი, თან შიშისგან ვკანკალებდი. ცალკე ლოლასთან შეხვედრის მეშინოდა და ცალკე იმის, რომ ჩემი ლამის საგულედან ამომხტარი გულის ბაგაბუგი ბებიჩემის ყურამდე მიაღწევდა. ისიც ფანჯარას გამოალებდა და გაბრაზებული დამიძახებდა:

— სტაა-სიიიიი!..

მოჯადოებულებით ვიდექი ლოლას სახლის ზღურბლთან. ვნატრობდი, შიგნიდან ვინმეს კარი მიეჯახუნებინა, ჩაერაზა და ჩემთვის დაეყვირა, — აქაურობას მოსწყედი, შე წვლინტიანო! მხოლოდ ასე თუ შევძლებდი ამ სამინელ ადგილს მოვშორებოდი და მისკენ აღარასდროს გამომეხედა.

სახლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. კარი კი კვლავ მაცდურად იყო შეღებული...

ზღურბლს გადავაბიჯე, სიბნელეში სამიოდე ნაბიჯი გადავდგი და კედელს ავეკარი. არ ვიცი როგორ მოხდა, უცებ საკუთარი თავი წინიდან შევათვალეირე.

„მოვეკვი, სული ვარ.“ — გავიფიქრე. ხელის თითები გაუბედავად ავამოძრავე, თავი მივატრიალ-მოვატრიალე.

„მკვდარი ვერ შევძლებდი“. — თავი დავიმშვიდე, მაგრამ

დავიბადე... ვიმოსწავლე... ვისტუდენტი... გავჟურნალისტდი... ვწერ... ჩემი მოთხრობები და ნოველები შესულია რამდენიმე პროზაულ კრებულში, დაბეჭდილია ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურულ პალიტრაში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „ხელეუროსა“ და „ჭოროხში“. კონკურსები: რევაზ ინანიშვილის სახელობის კონკურსი — მე-3 ადგილი, „მოკლე დიქციონარი“ — „ლიტერატურული პალიტრის“ რჩეული, „ლიტბუნიობა“ — ფინალური შვიდეული, „ლექსების გამოფენა“ — ფინალი.



უბედურება ის იყო, მხოლოდ თითების ამოძრავება კი არა, მათი დანახვაც შემეძლო ისე, რომ ქვევით კი არა (ხელები ჩამოშვებული მქონდა), პირდაპირ მეყურა. გაუბედავად გავინოდე ხელი ჩემკენ. რალაც ცივს შეეხე. შიშისგან ტური მოვიკენი. უცებ გონება გამინათდა, — ჩემს პირდაპირ სარკე ეკიდა. ამ ამბავმა ისე გამახარა, ლამის ტაში შემოვკარი. ფეხაკრეფით გავყვივი ვინრო, ბნელ დერეფანს, რომელმაც ოთახამდე მიმიყვანა. ოთახში ნათურა არ ენთო, მაგრამ ისე არ ბნელოდა, როგორც დერეფანში. სარკმლის გისოსებს წრეებად დაეჭრათ მთვარის შუქი — ჭიამაიასავით დაკოპილიყო სინათლით იატაკი. ისეთი ლამაზი იყო, თითქოს ზღაპარში შევბაიჯე. მე კი გულის სიღრმეში ობობის ქსელებს და ლამურებს ველოდი... შვებით ამოვისუნთქე. როგორც ჩანს, — ხმამალა... რალაც შეირხა. დამფრთხალმა მხედველობა დაეძაბე. ის იყო — ლოლა! ჩემკენ ზურგით იჯდა. თმას იწნავდა. არ შემოტრიალებულა. ხელით მანიშნა, მისგან მოშორებით მდგარ პატარა სკამზე ჩამომჯდარიყავი. დაძაბული ჩამოვჯექი. ხელები ისე მაგრად მოვმუჭე, ხელისგულებში ფრჩხილების ჩასობა ვიგრძენი. თავდახრილი, ქვემოდან მაღულად ამოვცქეროდი. ლამაზი იყო. მის დახვეწილ პროფილში ვერც გავოცება ამოვიკითხე, ვერც გაბრაზება. მე, უცხო ბავშვი, მის ოთახში ვიჯექი. ნერვიულად ვძიძგნიდი ბებოს შეკერილი კაბის არმიას და მის უგრძელეს ნაწნავს თვალს ვერ ვაცილებდი. მას კი არაფერი გაკვირვებია, არაფერი უკითხავს, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო.

— მთვარე ყოველთვის ნამგალა იბადება. მერე ადამიანები ჩვენს ფიქრს, დარდს, სევდას ვუგზავნი. ისიც იბერება, იბერება... ჩვენი სევდით ივსება... სავსემთვარეობაა ამაღამ... თქვა და გამაცია. კუდიანებისა და მთვარის კავშირზე თითქოს რალაც ვიცოდი, ბუნდოვნად მახსოვდა. წარმოვიდგინე, რომ ეს მშვიდი ქალი უცებ კუდიან დედაბრად გადაიქცა, მომვარდა, თმამი ხელი ჩამავლო და მთვარისკენ გამაქროლა. გულგახეთქილი წამოვხტი და სირბილით გამოვვარდი ჯერ ოთახიდან, მერე სახლიდან, სართულიდან, სადარბაზოდან...

მეგონა, იმდენი ხანი გავიდა, სადაცაა გათენდებოდა, მაგრამ გარეთ ყველაფერი ისე დამხვდა, თითქოს აქ რამდენიმე წუთის წინ ვიყავი. განათებულ მაგიდასთან კაცები ისევე წარდს თამაშობდნენ, თან რალაცაზე გულიანად იცინოდნენ. მეზობლის ქალი ისევე ბაფთიან ძაღლს ასეირნებდა. ვილაც პიანინოზე „ძაღლების ვალსს“ უკრავდა. მოკლედ, ყველაფერი ძველებურად იყო. შვებით ამოვისუნთქე. უცებ, ჩემი საქციელის შემრცხვა. რას იფიქრებდა ლოლა? ქალი მშვიდად იჯდა, თმას იწნავდა. მე კიდევ ნამდვილი შემოღივით მოვიქეცი — გამოვიქეცი.

პური ვიყიდე. რატომღაც ამაყად შევედი ჩემს გაჩახჩახებულ სადარბაზოში, სართულზე, სახლში, ოთახში.

— გამაგიჟებ შენ მე, — მკაცრად მითხრა ბებომ, — რა გარბენინებდა? როგორ გაოფლილხარ!

იმ დღის შემდეგ ლოლასთან სტუმრობა ჩვეულებად მექცა. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მის სადარბაზოში შევბობდი.

— თმა ადამიანის სულია. გაშლილი თმით მხოლოდ თავი-სუფალი ადამიანები დადიან. მე ვინავე, — მითხრა ლოლამ ერთ-ერთი სტუმრობისას. უფრო სწორად, კი არ მითხრა, — თქვა. ჩემკენ არც მაშინ გამოუხედავს.

შემდეგი მისვლისთვის ბეზოს დავანწევინე. ძალიან მინდოდა, ლოლას შეენიშნა. რამდენჯერმე ჩემი პატარა თოჯინაც კი „დამივარდა.“ არ გასჭრა — არ გამოუხედავს. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ის ფანჯარას მისჩერებოდა, მე — მას. ორივენი საკუთარ ნაწნავს ვანვალუბდით. მერე ავდექი, სანამ ოთახიდან გავიდოდი, თავი გააქნია, ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

— ნუ შეეჩვევი... ყველა ნაწნავი თოჯია...

ყოველთვის მშვიდად, აურჩარებლად საუბრობდა. ზოგჯერ ვერ ვუსმენდი. მის მუდამ ჰორიზონტს მიჯაჭვულ ხავსისფერ თვალებს მივჩერებოდი და შავ წინწკლებს ვუთვლიდი. სუნთქვისშემკვრელი, დამაბნეველ-გამაბრუებელი თვალელები ჰქონდა: მუქმწვანე გარსზე ჭორფლივით ეყარა შავი ნერტილები. გამოგხედავდა და თითქოს ათ-ათი გუგით გათვალისწინებდა. ბრრრ... კიდეც კარგი, თითქმის არასდროს მიყურებდა.

გატრუნული ვისმენდი მის მონათხრობს. ეს ამბები ისევე ბუნებრივად და მარტივად შემოდინდნენ ჩემში, როგორც სუნთქვისას ფილტვებში ჰაერი. ოღონდ ჰაერივით იოლად ვეღარ „ამოვისუნთქავდი“ ხოლმე. მრჩებოდნენ, ილექებოდნენ, და თუ რომელიმე აღარ მასხოვდა, არა იმიტომ, რომ დავივინყე, უბრალოდ, სხვა ამბების სქელი ფენის ქვეშ იყვნენ მოყოლებული.

გაგონილი მქონდა, რომ ლოლა დედასთან და ქმართან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მე ისინი არასდროს მინახავს. მახსოვს მხოლოდ ლოლას პროფილი ღია ფანჯარასთან, რომლიდანაც მუდამ ერთი და იგივე მოსაწყენი ხედი მოჩანდა. მახსოვს ჩემი ერთმანეთზე მიტყუპული რეიტუზიანი მუხლები და ამ მუხლებზე მუშტად მოკუმული ჩემივე ხელები.

კითხვებს არასოდეს ვუსვამდი. როგორ გავებდავდი?! რასაც მიყვებოდა, იმით ვკმაყოფილდებოდი. ოღონდ კი რამე მოთხრობ... ერთხელ, მხოლოდ ერთადერთხელ გავებდე მე-კოთხა. გამშრალი, ერთმანეთს მიწებებული ტურები ძლივს ავახლიჩე ერთმანეთს, შედეგებული ნერწყვი გაჭირვებით გადავყლაპე და თვითონაც ვერ ვიცანი საკუთარი ხმა:

— და... ქმარი?

— ჰო, ქმარი... — ოდნავ შესამჩნევად გაულიმა ნელში მოკაკვულ ხეს, ან იქნებ შენობას, ხის უკან და სკამის საზურგეს მხრებით მიანვა. სავარძელი ზანტად ამოძრავდა: წინ... და უკან... წინ... და უკან... საათის ნიკინკს ჰვავდა, უფრო სწორად, — ძველებური დიდი კედლის საათის ქანქარის მოძრაობას. აქამდე არასდროს შემინიშნავს, რომ ლოლა სარწვეველა სავარძელში იჯდა. მიჩვეული ვიყავი, ამ ოთახში ყველაფერი გაქვავებული უნდა ყოფილიყო, — სულიერიც და უსულოც. თუმცა „უსულო“ მხოლოდ პირობითი სიტყვა იყო ლოლას ოთახში...

— ჰო, ქმარი... — გაიმეორა და თვალელები დახუჭა. სავარძელი გაჩერდა. აღარც ლოლას ფერმკრთალი ტურები მოძრაობდნენ. წამით ისევე მოჯადოებულივით გაშეშდა ირგვლივ ყველაფერი. უცნაური გრძობა დამეუფლა, — თითქოს რეალურ ქალს კი არა, ნახატს მივჩერებოდი.

— სულ თავიდან ძალიან მეშინოდა, — ტურები თითქოს არც შერხვია, ისე დაიწყო თხრობა. — მისი კი არა... ხომ ხვდები... როცა პირველად ერთ სანოლში დავნექით...

იმის მისახვედრად, თუ რა იგულისხმა, ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ იმდენად მომეწონა მისი „ხომ ხვდები“, რომ თავი დავუქნიე. მთელ ჩემს წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას მოვუხმე, შეეცადად ლოლა სავარძელში მჯდომი კი არა, ლოგინში მწოლიარე წარმომედგინა, თანაც მამაკაცთან ერთად. არაფერი გამომივიდა.

— ...სანამ დავწვებოდი, შარვლიდან ქამარი გამოიძრო და ძირს მიაგლო. არ დაუნახავს, როგორ დაიკლავა მისი ქამარი, დაისისინა და სადღაც შესრიალდა... მერე ლილები გაიხსნა და მისი შარვლიდან ჩიტები ამოფრთხილდნენ. შავ, პრი-ალა ფრთებს ერთმანეთს უხახუნებდნენ და გამაყრუებლად შეიკვებდნენ. ათი ჩიტი მაინც იქნებოდა, შესაძლოა, ოციც...

გაჩუმდა. რამდენიმე წამით ისევე ნახატად იქცა. უცებ ძალიან შემეშინდა. აი, ჩაძინებულ ბეზოს რომ ასე უძრავს ვხედავდი ხოლმე, მაშინაც ყოველთვის მეშინოდა. მეგონა — მოკვდა. მერე ჩავახველებდი ხოლმე, რომ გაღვიძებოდა. ლოლასთან ჩახველებას რას გავებდავდი?... ის იყო წამოდგომა და გაპარვა დავაპირე, ამოიხსრა და თქვა:

— ვინ იცის, იქნებ ოცდახუთიც... შენ რას იზამდი, ჩემს ადგილას, პატარა?..

— სტასი. ანასტასია მქვია, მაგრამ ბებო სტასის მეძახის. — მივყარე. აქამდე არ დავფიქრებულვარ იმაზე, რომ ლოლასთვის სახელი არ მითქვამს. რატომღაც მეგონა, ისედაც უნდა სცოდნოდა. იმდენად ჩუმად ვსაუბრობდით, თითქოს ხმას კი არ ვიღებდით, ტელეპათიურად გადავცემდით ერთმანეთს სათქმელს.

— ჰო, კარგი სახელია სტასი.

მეც ძალიან მომწონდა „სტასი“, აბა „ლოლა“ რა სახელია?..

— საინტერესო ბებო გყოლია... — თქვა და „ათივე გუგით“ შემომხედა. გამაცია.

— ყოველთვის მინდოდა, სხვებივით მეც მყოლოდა ბებია. ეს ჩემი ბავშვობის აუხდენელი ოცნებაა... ჰოდა, შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი?

ძალიან დავიბენი. ამდენი ხნის განმავლობაში ლოლამ პირველად შემომხედა თვალელებში, თან ჩემი სახელითაც დაინტერესდა. ბებიაჩემის ხსენებისას კი გულმა ისეთივე ბავა-ბუგი ატეხა, როგორც მაშინ, ლოლას სახლის კარს პირველად რომ მივადექი. ძალიან დამაბნეველი შეკითხვა იყო:

„შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი?“

მხრები ავიჩიჩე. ლოლა აღარ მიყურებდა. ისევე ჩემთვის უცნაოდ, შორეულ სამყაროს გაუმტერა თვალი და თხრობა გა-ნაგრძო.

— არ მინდოდა ჩემში ჩიტი ჩასახულიყო... არ მინდოდა ჩიტები მეშვა, ვერ ვიქნებოდი კარგი დედა. თან კერტებს ბასრი ნისკარტით დამიკენკავდნენ... არაფერი მიგრძენია და დამინახავს. მხოლოდ ჩიტების გამაყრუებელი შეიკვებოდა. თვალელები დახუჭული მქონდა. თან ისე ძლიერად, რომ ქუთუ-თოებიდან სისხლი მდიოდა. მეშინოდა, სისხლის სუნზე დაგე-შილებს, ჩემთვის თვალელები არ ამოეკორტნათ და სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, უფრო ძლიერად დავხუჭე... როცა გავახილე, შეიკვებოდა, უფრო ისევე მესმოდა, ოღონდ ჩიტებს ვეღარ ვხედავდი. იყო მხოლოდ თვალისმოძქრელი ნათება. ჩემი ქმრის თვალელები ანათებდნენ. მილიმოდა, თან შარვალს იკრავდა. შე-იკრა და შეიკვებოდა შეწყდა... არ მინდოდა ჩიტები მეშვა... რა უნდა მექნა? ავდექი და, მუცელი სამართებლით დავისერე.

წყლის დასალევად ვდგები. ჰენრის ჩემი ქოშების წკაპუნის ესმის და შემოდის.

— სად მიდინარ, საყვარელო?

— დედამინას უნდა შემოვუარო ფეხით. უფრო სწორად, შე-ნი ნაყიდი კაკუნა ქოშებით შემოვუკაკუნო. — ვხუმრობსავით. მკლავებს ნელზე ვხვევ, თავს მკერდზე ვადებ, თვალდა-ხუჭული ვეხუტები. თავზე მკოცნის.

— წყალს დავლევ და მოვალ. — თვალდახუჭულივით ვეუბ-ნები, თან ადგილიდან არ ვიძვრი. ჰენრისთან ჩახუტება ერთ-გვარი თერაპიაა. მამშვიდებს, მთენთავს, მავსებს.

— კი მაგრამ, ქმარი რისთვის გყავს? — თავს ჩემი მკლავე-ბისგან ითავისუფლებს.

— იმისთვის, რომ წყალი მომიტანოს.
გვეცინება. ლოყაზე მკოცნის და სამზარეულოსკენ მიდის. ჩემს ადგილს ვუბრუნდები. ხეს ვათვალისწინებ, აღარცერთი ფოთოლი აღარ შერჩენია. იქნებ, სულ ბოლო ესაა, ჰენრიმ მეთვალყურედ რომ მომიჩინა... ხის ტოტზე წვიმისგან დამბალი, გათხლებული, წიკბზე შეკავებული თოკი კონწიალობს. მარყუჟითაა გამონასკვეული. არა მგონია, ვინმეს სუიციდური მიზნებისთვის ჩამოეკიდა. ყოველ შემთხვევაში, მასში თავის გაყოფის მსურველი არასდროს დამინახავს. ალბათ ბავშვებმა იმაიმუნეს. უცნაურად ერთობიან ახლანდელი ბავშვები...

წლებია, ვაკვირდები. გაზაფხულობით, მარყუჟი თითქოს უხერხულად ტოკავს კვირტებამოყრილ ტოტებს შორის. ზაფხულში ფოთლებში იმალება. ზამთარში — არ ვიცი, ფანჯრიდან არ ვიყურები ხოლმე... აი, შემოდგომით კი მთელი თავისი სისასტიკით მოჩანს. მე ხატოვანად ვფიქრობ, რომ ეს ბებერი მარყუჟი ნიშნისმოგებით ფაღმომჭყურებს ჩამოცვნილ ფოთლებს და რომ ფოთოლცვენა მისი გამარჯვებაა.

სულელური ჩვევა მაქვს. ვთქვათ, ხილს მივირთმევ, კურკას დიდი მონდომებით ვუმიზნებ ამ მარყუჟს. ჩაფიქრებული მაქვს, თუ შიგ გავატარებ, მე და ჰენრი ბედნიერები ვიქნებით. ჯერჯერობით არ გამომდის.

ჰენრის წყალი მოაქვს. სველი ჭიქის ძირს ხელისგულით ამშრალეებს და მანვდის. სანამ ვსვამ, თავისი თბილი, სვედიანი თვალებით მომჩერება.

— მისტერ ჰენრი, თქვენ თქვენი საქმრო ვალი უკვე მოიხადეთ. ასე რომ, შეგიძლიათ ტელევიზორს მიუბრუნდეთ. — დედოფლური უესტით კარებისკენ ვუთითებ, თან სმას განვავარძობ.

— არა, დაგელოდები, ჭიქას ნავილებ. მსიამოვნებს იმის ყურება, ყოველი ყლუპის შემდეგ თვალებს როგორ ნაბავ.

ჭიქას რაფაზე ვდებ, ჰენრი იღებს.

— იდოს, იქნებ ისევ მომწყურდეს.

— ისევ მოგიტან, რა პრობლემაა. მე ხომ ქმარი ვარ...

მერე რა, რომ მიზანში მსროლელად არ ვვარგვივარ, მთავარია, ჰენრი ჩემი ქმარია.

პლედში ვეხვევი. ვფიქრობ, ჩემს „დედამინას შემოვუკაკუნოზე“ წესით, რამე უნდა ეპასუხა ჰენრის, თუნდაც ასეთი: „აზრი არ აქვს, მაინც არ გაგიღებენ, სახლში არ არიან“.

ეს ქოშები ჰენრიმ რომელიღაც დღესასწაულზე მაჩუქა. ზუსტად არ მახსოვს, — დაბადების დღესთან, პირველი თოვლის მოსვლასთან თუ რაგბიში რუსეთის ნაკრებთან საქართველოს გამარჯვებასთან დაკავშირებით. რა მნიშვნელობა აქვს... ამ ამბავში მთავარი ესაა: ჰენრიმ მთელი ქალაქი მოიარა, რომ მაინცდამაინც ხმაურიანი ჩუსტებით დავესაჩუქრებინე. ჩემი რეაქცია არ მახსოვს, დედასი კი დამამახსოვრდა. ამ არცთუ ძვირფასი კაკუნა ქოშებით გულწრფელად აღფრთოვანდა.

— რა კარგად მოგიფიქრებია, შვილო. — ისეთი მაღლიერებით უთხრა ჰენრის, დავეჭვდი, ქოშის ცერებზე დასკუპებული ოქროსფერი პეპლები მართლა ოქროსები ხომ არ არიან-მეთქი.

ხმაურიან ქოშებს ვიხდი. გრძელ ფეხებს განიერი კაბის ქვეშ უხმაუროდ ვიკეცავ. მთბილა.



მხატვარი ლორეცა შენგელია

იმ დღეს ლოლას სახლის კარი ჩვეულებრივზე მეტად დამხვდა შეღებული. მომესმა, თითქოს, სახლის სიღრმეში მამაკაცმა ჩახველა. დავიძაბე. უკან გაბრუნებაც კი დავაპირე, მაგრამ ეს სახლი ხომ უხილავი ძალით მიზიდავდა, მიხმობდა?! გამბედაობა მოვიკრიბე და ზღურბლს ფრთხილად გადავაბიჯე. მივაყურადე. სასტუმრო ოთახიდან ქალისა და მამაკაცის ჩურჩული ისმოდა. შევეკრთი, ნაცნობი ოთახისკენ აჩქარებული ნაბიჯით გავემართე. ფეხი შევდგი თუ არა, ვიგრძენი — რალაც ისე არ იყო.

ძირს პლედი ეგდო. ავიღე და ლოლას მივანოდე. ხელი გავინოდე და უცებ დენდარტყმულივით განზე გავხტი. პლედი ისევ იქ დავვარდა, საიდანაც ავიღე. სავარძელი გულდასმით შევათვალისწინე. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა. რაიმე არარსებულს კი არ ვხედავდი, პირიქით, შესაძლოა, არსებულს ვერ ვხედავდი. სავარძელში ლოლა არ იჯდა. მხოლოდ მისი ფეხსაცმელი ეწყო. თითქოს სავარძელზე შედგა და გაქრა.

„გიჟია, კუდიანია“, — ყურში ბეგოს ხმა ჩამესმა.

„სავსემთვარეობაა ამალამ“.

— გამახსენდა ლოლას სიტყვები.

— გიჟია, კუდიანია!.. სავსემთვარეობაა ამალამ... გიჟია!.. სავსემთვარეობაა... კუდიანია!..

კედლები ბუტბუტით დაიძრნენ ჩემკენ. ნაცრისფერი პლედი უზარაზარი ცხოველის კუდივით ეგდო ჩემს ფეხებთან. უცებ ხელფეხი დამიბუჟდა, გამეყინა და მზე ჩამექცა თავში.

ქარმა ფანჯარა მსუბუქად მიაჯახა კედელს.

— კარგად ხარ, საყვარელო?

— გამომძახა ჰენრიმ მეორე ოთახიდან.

ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ფოთლები გიგანტური მოლექულებივით ქაოტურად მოძრაობენ ჰაერში, ერთმანეთში ირევიან და მრავლდებიან. მტვერი თითქოს მიწიდან კი არ აიშალა, თოვლივით ნამოვიდა მაღლიდან. ჰაერი ჩამუქდა. ფანჯრის გადაღმა სამყაროში ადამიანები შეროჩქოლდნენ. თვალმოჭუტულ ქალებს თმები და კაბები უფრიალებო. კაცები ლაბადების საყელოში მაღავენ აფრიალებული კაბებისთვის ვერშეგლებულ მზერას. ელვა და ქუხილი ჯერ არაა. სამაგიეროდ, ვხედავ, როგორ გარბიან ქალები, როგორ ეფარებიან თვალს და როცა უკვე აღარ ჩანან, მაშინდა აღწევს ჩემამდე მათი ფეხსაცმლის წიკბუნის ხმა. ვერაფრით იფიქრებ, რომ ეს მღელვარე დღე იმ მშვიდი დილის გაგრძელებაა.

ქარმა ერთხელ კიდევ მოაჯახუნა ფანჯარა. ფარდა აფრიალდა. ქუჩამ და ოთახმა ერთმანეთს თავიანთი ამონასუნთქი ჰაერი შეასუნთქეს: პირველმა — გრილი, მშრალი და მსუბუქი; მეორემ — ტაფაში ადუღებული ზეთის ოხშივარით დამძიმებული, მსუყე. ოთახის კარი გამოუღია ჰენრის, ორპირია.

— კარგად ხარ, საყვარელო?

— ჰო. — თავი ოდნავშესამჩნევად დავუქნიე.

— უჰ, როგორი ქარი ამოვარდა, განვიმდებ... —

— ჰო. — თავი ოდნავშესამჩნევად დავუქნიე და გავუღიმე.

— არა უშავს, შენ ხომ გიყვარს წვიმა? მგონი ქმარზე მეტადაც, არა?

— ჰო. — თავი ოდნავშესამჩნევად დავუქნიე, გავუღიმე და თვალი ჩავუკარი.

— ხომ იცი, წვიმაა თუ სეტყვაა, სიტყვა სიტყვაა: ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე.

„ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე“ — ეს თითქმის არასდროს გამომდის, ამიტომ მხოლოდ გავუღიმე, რა თქმა უნდა, ოდნავ შესამჩნევად.

* * *

— მაღალი სიცხე აქვს...

თვალეები გავახილე. ბებო ტელეფონზე საუბრობდა, თან ცხვირსახოცით უპეებს იმშრალედა.

ლოლას გაქვავებული, ნახატადქცეული პროფილი დამიდგა თვალწინ. წარმოვიდგინე, როგორ ავიდა სავარძელზე, ხელები მთვარისკენ გაიწოდა და ფანჯრიდან ფენშიშველი გაფრინდა. გამაყრუოლა. ლოლა... არსებობდა კი საერთოდ? იქნებ ზმანება იყო? არსებობდა თუ დამესიზმრა? არსებობდა თუ დამესიზმრა?! მისუსტებულსა და სიცხისგან გათანგულს აზრის მოკრება, მეხსიერების კონცენტრირება მიჭირდა. ბოლოს დავასკენი, რომ ლოლა რეალურად არ არსებობდა. ყველაფერი მაღალი სიცხის ბრალი იყო.

— ...ჰო, მეც გავიგე, რომ გიჟი ლოლა სახლიდან გაპარულა. თმაგანწილი და ფენშიშველი მიწობდა თურმე წვიმაში. — ტელეფონზე საუბარს განაგრძობდა ბებო, — არავინ იცის, სად შეიძლება წასულიყო.

არ დამსიზმრებია...

„გიჟი ლოლა“ — ეს იყო ყველაზე გულსაკლავი სიტყვათა შეთანხმება, რაც კი სამყაროში არსებობდა. საბანი თავზე წამოვიხიურე და ავსლუკუნდი. ნეტავ მცოდნოდა, საით წავიდა... აუცილებლად დავედევნებოდი, აუცილებლად! დღემდე ვცდილობ, რაიმე ისეთი გავიხსენო მისი მონათხრობებიდან, რაც მიმანიშნებდა, სად შეიძლება წასულიყო, მაგრამ ამაოდ...

შუალამისას ბებომ ფრთხილად გამომიცურა ილიიდან თერმომეტრი და ექიმს ხელის კანკალით მიანოდა. გამეღვიძა.

— ნუ ლელავთ, — დაამშვიდა დალილსახიანმა ექიმმა და სათვალე გაიკეთა, — მდა... ორმოცდარამდენილა ცა... ცოტათი მეტი...

— ღმერთო!.. — აკანკალებული ხელები და ცრემლიანი თვალები მაღლა აღაპყრო ბებომ.

უცებ, ბებოს ზურგსუკან კაშკაშა სინათლე გაჩნდა. ნათებას ხმაც მოჰყვა:

— შენ მხოლოდ ნახევარი ხარ... ის, ვინც ორ ნაწილად მოვიდა, უნდა გამთლიანდეს. ის, ვინც გაყოფილია, ერთ სხეულად უნდა შეერწყას.

გასაკვირია, მაგრამ არ შემშინებია. ის კი არა, ერთგვარი აღმავრენაც კი დამუფლავა.

— უნდა გამთლიანდე... წადი, დროა! — ციმციმებდა უცნაური ნათება.

— საით წავიდე? — ვკითხე ჩუმად.

— რა თქვი, ბები? — ტუჩებზე ყური მომადო ბებომ.

— ბოდავს, — „აუხსნა“ ექიმმა.

— გელოდება. — მიპასუხა ნათებამ და გაქრა. თან გაიყოლა ბებოც, ექიმიც, ძვირადღირებული წამლებისა და ბებოს იაფფასიანი სუნამოს სუნიც, ნათურის სინათლაც... აღარაფერი არსებობდა ჩემი და სიბნელის გარდა.

* * *

დაიქუხა.

— ჰენრი, — გავძახე, — ასეთი ფოკუსის გაკეთება შეგიძლია? შარვალი გაიხსენი და ჩიტები ამოაფრთხილე. მოდი, რა, ჩემთან!

ოთახში შემოდის, ხელში პულტი უჭირავს. ვიბროსიგნალზე დაყენებული ტელეფონით ცაბცახებს პულტი.

— გაიხსენი, რაა, შარვალი და ქამარი ფანჯრიდან გადააგდე. მომიჩვენა, რომ ჰენრი გავითრდა. თვალის ფერი კი საბოლოოდ ამოეცხო ხმელი ფოთლებით.

— დამშვიდდი, ლოლა. — ამბობს და პულტს მაგიდაზე დებს. პულტი ჩერდება, ახლა მხოლოდ ჰენრის ხელი ცაბცახებს. ფარდა ფრიალებს. გარეთ წვიმს. მე ჰენრის შეეყურებ.

— ხმამაღლა ვფიქრობდი? კარგია, რომ ამყვი... ჰო, მართლა, ჩიტები მოვიფიქვე და არა მოჭიკჭიკე, ან მაგალობელი. პრიალა ფრთებით, თუ შეიძლება. ათი ან ოცი ცალი. — ვუღიმი და თეატრალურად ვაყოლებ, — ოცდახუთიც დასაშვებია...

ოთახში დედაჩემი შემოდის. დამწვარი კატელეტის სუნი შემოაქვს. კი არ შემოდის, მოფარფატებს. ისეთი გამხდარი და გაღელვებული, ისეთი, ისეთი, რომ ტირილი მინდა.

„მგონი ეწყება“, — ეჩურჩულება ჰენრი დედას.

— რას გულისხმობ? — მიკვირს.

— ლოლა, ჩემო საბრალო გოგონა, — მიყვავებს დედა. შუბლი ნაოჭებით, თვალეები უზომო სიბრაღულითა და ალბათ გული — ტკივილით აქვს სავსე. თან გამხდარია, ისეთი გამხდარი... გაღელვებული. ველარ ვიკავებ, ვლრიალებ.

— დამშვიდდი. მე და ჰენრი ახლავე დაფურეკავთ ექიმს.

„ჰენრის“ ხაზგასმით ამბობს, თითქმის დამარცხებით. საბრალო დედა... ჰგონია, რომ ვერ ვამჩნევ, ჰენრის მხოლოდ ჩემს საამებლად რომ ეძახის. სინამდვილეში, ის მისთვის ისე ვიქტორია.

— ახლავე დაფურეკავთ. — მიმორებს და ჰენრის ეჩურჩულება, — წამოდი, ვიქტორ!

— რა ლოლა, მე ხომ სტასი ვარ. ორივე ერთდროულად გაგიჟდით?! — ნერვები მეჭიმება. ეს ყველაფერი თამაშს უკვე აღარ ჰგავს.

ვუყურებ, როგორ ნერვულად უკიდებენ ჩემი ხელები სიგარეტს და მანვდიან. ტუჩებით ვართმევ, ღრმა ნაფაზს ვარტყამ და კვამლთან ერთად უკან ვუბრუნებ.

ბოლი თვალს მიწვავს. კადრი იდღაბნება. ორ უფორმო სილუეტს ვარჩევ. ერთ-ერთის ხმა ექოდ ჩამესმის: „შეტევა“. შემდეგ ორივე სილუეტი გვერდითა ოთახის კარისკენ ინელებს. თვალეებს ვიფშვინებ. ვხუჭავ. ვახელ. ყველაფერი რიგზეა. ყველა ნივთს თავისი ფორმა დაუბრუნდა.

ვცდილობ დავმშვიდდე და გავერკვიო, რა ხდება. „ახლა მარყუში თუ გავატარებ...“ — ვფიქრობ და ოთახს თვალს ვავლებ. რა ვისროლო? ხილის ლარნაკი ცარიელია. სხვას, მცირე ზომისას ვერაფერს ვპოულობ. ის ჭიქა მაინც დაეტოვებინა ჰენრის... პულტს ვიღებ და მარყუჟის ცენტრს ვუმიზნებ. მიზანს სცდება, მარყუჟსა და ტოტს შორის, გათხელეებულ თოკს ხვდება. განყვეტილი თოკი მონყვეტილი ფოთოლივით შორდება ტოტს...

ტელეფონთან დედა და ჰენრი ჩურჩულებენ. სიზმარში მგონია თავი. რა ხდება? მეორე ნაფაზამდე ჩემს თითებს ვაკვირდები. ღმერთო! ზუსტად, ზუსტად ისეთივე თითები...

— სარკეეეეე! სარკე მომიტანეეეე! — ვკვივი. პლედს ძირს ვაგდებ, მერე კაბის კალთას ნიკაბამდე ვიწვევ. ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო! ჩემს ნაიარეკ მუცელს გაოგნებული დაყვურებ. „ღმერთო, ნუთუ... მე... ნუთუ...“.

გვერდითა ოთახის კარს ფრთხილად კეტავენ, ალბათ იმიტომ, რომ არ გავიგო როგორ ეტყვიან ექიმს: „შეტევა განუახლდა“.

თვალეებს ისე მაგრად ვხუჭავ, ქუთუთოები მიბუყვდება. გონებაში სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს კადრები. კადრს ვერდამთხვეული ხმები მაგიჟებენ. უნიჭოდ გაკეთებულ მონტაჟს ჰგავს ეს ყველაფერი. უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ორი კამერიდან ერთდროულად ვიყურები: ერთით — სავარძლიდან ფანჯრისკენ: ხეს, შენობასა და ადამიანების მწკრივს ვაფიქსირებ; მეორე — სავარძლისკენაა მიმართული, კადრში ჩემი პროფილი და ღია ფანჯრის ნაწილი ჩანს. ორივე კამერიდან დანახული ერთმანეთს ედება. ხმები ერთმანეთში ირევა, სადაცაა თავი გამისკდება! გონებას ძალას ვატან, ვძაბავ. გაორებული კადრების ფოკუსირებას ვაჭირვებით, მაგრამ მაინც ვახერხებ. თვალეებს ვახელ.

დედა და ჰენრი ისევე ჩურჩულებენ. გარეთ წვიმს. ოთახში მარტო ვარ.

ემსუბუქდები. თითქოს რაღაც ტვირთი ჩამომხსნეს გონებიდან, გულიდან, თვალებიდან. თითქოს უნონო გავხდით. დამშვიდდით. ახლა რომ დედა შემოვიდეს, ალბათ აღარ მომეჩვენება გულის ტკივილამდე გამხდარი.

ვდგები. ქოშებს ვიხედავ და უხმაუროდ ვდებ სავარძელზე. სიგარეტს ვიღებ, ბოლს ვიგუბებ. ძირს მიგდებულ ფუმფულა

პლედს გვერდს ვუვლი და თითისწვერებზე გავდივარ ოთახიდან.

შემოსასვლელის კარი ოდნავაა შეღებული. ხელის შეხებაზე ძლივს გასაგონად ჭრიალებს. სანამ კიბეზე დავეშვები, ბოლს ვუშვებ, ნაწნავს ვიშლი, გულზე მეშვება: ახლა კი ნამდვილად გავიგებ, საით წავიდა ლოლა...

დაიბადა 1988 წლის 16 სექტემბერს, ვანის რაიონში. 2005 წელს დაამთავრა ვანის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლა. 2007-2011 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თეატრმცოდნეობის სპეციალობაზე. 2012 წელს სწავლა განაგრძო მაგისტრატურაში, დრამის ფაკულტეტის დრამატურგიის ხელოვნების სპეციალობაზე (ხელმძღვანელი ირაკლი სამსონაძე).

ლილე შენგელია

მივლინებიდან მივლინებამდე

მოქმედი პირნი:

ჰამი — ახალგაზრდა ქალი

ტეტი — საშუალო ასაკის მამაკაცი

სანდრა

სურათი პირველი

ჰამი — ასე ხომ სანოლს არავინ ალაგებს, არა, რა არის იმაში უცნაური, რომ ბალიშებს საპირისპირო მხარეს ვაწყობ **(პაუზა)**. უბრალოდ ასე მომწონს **(პაუზა)**. უბრალოდ? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რას იფიქრებს სხვა. ვინ სხვა? **(პაუზა)** შეიძლება სანდრა. სანდრა კარგი გოგოა...

ტეტი — ჰამი, ჰამი **(ქდახის)**, მოდი ჩემთან, ჩაგეხუტო. მშვიდობიან და ლალ დღეს გისურვებ.

ჰამი — შენც, ტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ვართ, მაინც როგორ იგრძნობა მიწის სუნი, გაზაფხულის სუნი.

ტეტი — ჰამი, შენ ჯერ კიდევ სუსტად ხარ.

ჰამი — არა, დღეს ორშაბათია, შინ ვერ დავრჩები, თანაც როგორი სიცოცხლეა ირგვლივ...

ტეტი — მაშინებ, ჰამი...

ჰამი — ნუ შინდები, ტეტი.

ტეტი — რა უცნაური ხარ, ჩემო მშვენიერო.

ჰამი — შენ უფრო უცნაური ხარ, იმიტომ, რომ უცნაურის უცნაურად გესმის... მომეფერე, ტეტი...

ტეტი — მოდი, ჰამი **(იღიმის)**.

ჰამი — რა მალე გავიდა შენი მივლინება **(პაუზა)**. ჩემოდანს ჩაგილაგებ **(პაუზა)**. მე დაგელოდები, ოღონდ ძალიან არ უნდა დააგვიანო.

ტეტი — მე ყოველთვის ვცდილობ, ჰამი.

ჰამი — მეშინია ერთ დღესაც არ გავგიჟდე ამდენი სიმშვიდით, ყველაფრის თითქოსდა წესრიგში ყოფნით.

ტეტი — ხომ იცი, **(პაუზა)** შეგიძლია მისაყვედურო, მიყვირო, ჩემო მშვენიერო.

ჰამი — მაშინ მეც გამეცქვი, როგორც მას გამოექეცი ჩემთან. **(პაუზა)** ერთი წელია ერთად ვართ, არ გიფიქრია, იქნებ დროა მოგვებზრდეს ერთმანეთი.

ტეტი — შენი მობეზრება შეუძლებელია, ჰამი.

ჰამი — მეშინია...

ტეტი — შენ და შიში?

ჰამი — ხო, რატომ გიკვირს, ტეტი, შიში ყველა ადამიანშია, უბრალოდ ყველა არ გამოხატავს.

ტეტი — შენ სუსტად ხარ, ჰამი. არ მინდა ამ მდგომარეობაში დაგტოვო.

ჰამი — კარგად ვარ **(ცოტა ნერვიულად)**, რატომ მიფუჭებ ამ მშვენიერ დილას, უნდა წახვიდე... გელოდებიან. გთხოვ, აღარაფერი მითხრა.

ტეტი — კარგი.

ჰამი — აი, ჩემოდანი მზად არის **(კარის ხმა)**.



სურათი მეორე

ჰამი — ძალღების ყეფამ გამაღვიძა. დილამშვიდობის, ტეტი. **(პაუზა)** აქ არ ხარ, ტეტი? სად წავიდა მეორე ბალიში? ასე მალე დაგიმთავრდა მივლინება? აი, მეორე ბალიშიც.

ტეტი — აქ ვარ, მშვენიერო, დილამშვიდობის!

ჰამი — როგორ გამახარე!

ტეტი — შენ ისევ სუსტად გამოიყურები, ჰამი.

ჰამი — თვალი რომ გავახილე და ვერ დაგინახე, ვიფ... **(ტეტი აწყვეტინებს)**

ტეტი — ყავას მოგიხარშავ.

ჰამი — გმადლობთ, მე თვითონ...

ტეტი — არა, მე. უშაქრო, ხომ?

ჰამი — დაგავინწყდა?

ტეტი — აჰა, როგორც ყოველთვის...

ჰამი — ეს ჩემოდანია, ტეტი?

ტეტი — ხო, ერთად ჩავალაგოთ.

ჰამი — **(გულდაწყვეტილი)** კარგი, ჩავალაგოთ.

ტეტი — ჩემი მშვენიერი...

ჰამი — რა თბილი ხარ, ტეტი...

ტეტი — უფრო მომენტარები, ვიდრე ოდესმე.

ჰამი — დარჩენილი სითბო შენს შვილებს წაუღე.

ტეტი — კიდევ მინდისხარ.

ჰამი — ათი საათია, ტეტი, ვერ მოვასწრებთ...

სურათი მესამე

ჰამი — მართლა რა უცნაური დილაა, ტეტი, ახლა მეორე ბალიში გაქრა, სად მიგაქვს ხოლმე. საყვარელოო, საყვარელოო **(ხმას არავინ სცემს)!...** აქ ხარ? სად წახვედი? რამდენჯერ გაგაფრთხილე, ყავას მე თვითონ გავიკეთებ — მეტქი. აი, საწოლის ქვეშ ყოფილა.

ტეტი — თბილი დილაა, შენ გგავს.

ჰამი — ჩამოხვედი. აი, თურმე სად ყოფილხარ.

ტეტი — ისე ჩამოვედი, არ მოგწერე.

ჰამი — მე ყოველდღიურად გწერ, ტეტი. ახლავე მოვწესრიგდები.

ტეტი — ჯერ ადრეა, თან უფრო და უფრო არ მომწონს შენი ფერი.

ჰამი — ვერ ვიტან მზრუნველობას.
ტეტი — ჯერ იწევი, მერე გავისეირნოთ.
ჰამი — სანოლს გავასწორებ, აი ასე ერთი ამ თავში, მეორე ამ თავში...
ტეტი — ასე რატომ?
ჰამი — უკეთესად ვუყურებთ ერთმანეთს.

სურათი მეოთხე

(გაისმის სახლის ტელეფონის ხმა)
ჰამი — სანდრა, მე ხომ არ მკითხულობენ?
სანდრას ხმა — არა, როგორ ხარ, ჰამი?
ჰამი — ვნერ... *(პაუზა)* ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა... *(ისევ დარეკავს ტელეფონი).*
ჰამი — სანდრა!
სანდრას ხმა — არა, ჰამი, ნომერი შეეშალათ!
ჰამი — ტეტის უნდა დაგურეკო. 593 20 20. არა *(პაუზა)*... 555 20 არა, 577 — ი, მოკლედ, როგორც არის... იმდენად კარგად ვარ, რომ აუტანელი ხდება ეს კარგად ყოფნა.
სანდრას ხმა — მე მკითხე რამე, ჰამი?
ჰამი — არა. *(თავისთვის)* 5 — ალო, გამარჯობა, — ტეტის ნომერი არ არის, *(პაუზა)* — უკაცრავად.
 — ალო, ტეტი, ჰამი ვარ *(პაუზა)*. ააა, ბოდიში... ერთხელაც *(პაუზა)*...
 — ალო, გამარჯობა.
ხმა — ნენე?
ჰამი — არა, ნენე არ ვარ.
ხმა — აბა, რომელი ხარ?
ჰამი — რა საჭიროა ერთმენეთის სახელები ვიცოდეთ.
ხმა — *(ირონიულად)* და არც გვარი?
ჰამი — *(იციინს)* გვარი მითუმეტეს.
ხმა — გეშინია გამომხილოთ.
ჰამი — შიში? შიში საერთოდ გასაქრობია სამყაროდან, ის ყველაზე დიდი მტერია ყოფის. *(პაუზა)* რა მდგომარეობაში ხართ ახლა?
ხმა — ვწევარ და ძალიან მომწონს შენი ხმა და შენ?
ჰამი — გაინტერესებს ჩემი მდგომარეობა?
ხმა — რატომაც არა...
ჰამი — მომისმენ?
ხმა — კი.
ჰამი — წეროები გადაფრინდნენ!!!
 ჩასუნთქვა — ამოსუნთქვა... ფრრრრრ... ფრრრრ...
 ბაცილები.
 მომწამვლელობა.
 წეროები გადაფრინდნენ!
 ფრაააააააააა... ფრაააააააააა...
 გულისრვა... ფრაააააააა... ფრრრრრ...
 წეროები გადაფრინდნენ!!!
 აღარ ფრრრ...
 აღარ ფრააა...
 ფიზიოლოგია... ხელის ქნევა... ფეხით სიარული... თვალთა ხედვა...
 აღარ ფრრრ... აღარ ფრააა...
 გადაფრინდნენ!
 გულის რევა.
 გულის კვლა.
 დამუნჯება.
 გარდაქმნა.
 დიდი ობლობა!!!
(დუმილია)
ჰამი — აღიარე, რომ მოლოდინი გავიცრუე.
ხმა — ვაღიარებ და ვფიქრობ, რალაცნაირად კარგი ტიპი ხარ.

ჰამი — ამას ტეტიც ამბობს.
ხმა — ტეტი ვინ არის?
ჰამი — ტეტი? ტეტი მოლოდინი. ღამემშვიდობის!
ხმა — არ გათიშო.
ჰამი — გისმენ!
ხმა — შევხვდეთ...
ჰამი — ღამე არასოდეს ვსაუბრობ.
ხმა — გამორჩეული ღამე გვქონია.
ჰამი — ვნერ.
ხმა — რას ნერთ?
ჰამი — ტეტის წერილებს. ვნერ...
ხმა — ტეტი არ ვიცი, ჩვენ შევხვდეთ, რა...
ჰამი — უკაცრავად, საქმისადმი განკუთვნილი დრო ნა-გართვით.
ხმა — რა საქმე, რატომ?
ჰამი — კარგი. დრო მართლა აღარ მაქვს.
ჰამი — ერთხელაც *(პაუზა)*... ალო, ტეტი!
ტეტი — გისმენ, ჰამი!
ჰამი — შეგიძლია მესაუბრო.
ტეტი — ყოველთვის შემძლია.
ჰამი — არა, უფრო სწორად, სურვილი ამისრულო...
ტეტი — გისმენ!
ჰამი — შეგიძლია?
ტეტი — შევეცდები!
ჰამი — ხმა არ ამოვილოთ... *(რამდენიმე წუთი სიჩუმეა)*
ტეტი — აუტანელია...
ჰამი — სიჩუმე?
ტეტი — სიჩუმის მოსმენა.
ჰამი — და ამ სიჩუმის უკან მიმაღული სუნთქვა.
ტეტი — სუნთქვის შეკავებას ვცდილობ, რომ არ დავარღვიოთ სიჩუმის ხმა.
ჰამი — კარგი, ტეტი, გამიხარდა, რომ ყურმილთან აღმო-გაჩინე.
ტეტი — როგორ შევივსე, ჰამი. არ დამემშვიდობო, კიდევ ვისაუბროთ.
ჰამი — ნახვამდის.

სურათი მხუთე

ჰამი — სანოლი უბალიშოდ, მივლინება ტეტის გარეშე...
 სანდრა*(ეძახის)*! სანდრა! კარზე ზარია, შეგიძლია გაალო?
სანდრას ხმა — არა.
ჰამი — კარგი. ჩამოხვედი?
ტეტი — ჩამოვედი...
ჰამი — რამდენი დლით?
ტეტი — არ ჩამეხუტები, ჰამი?
ჰამი — არ ვიცი.
ტეტი — შენ მე ამდენი ხანი მელოდებოდი.
ჰამი — აღარ მახსოვხარ, ტეტი.
ტეტი — ერთი წელი.
ჰამი — რომელიც ერთ საუკუნედ იქცა.
ტეტი — შეიძლება შემოვიდე?
ჰამი — *(ნაღვლიანად)* და აქ არა ხარ ...
ტეტი — ზუსტად ისეა ყველაფერი, როგორც წერილებში.
ჰამი — უბრალოდ, რამდენიმე ნივთი შევცვალე.
ტეტი — სანოლი...
ჰამი — შენი სანოლი...
ტეტი — ბალიშები სად წაიღე?
ჰამი — გაქრნენ... ისინი ჩვენ ვიყავით და ისინი ვეღარ იტანდნენ ერთმანეთს...
ტეტი — ჰამი, მაშინებ...
ჰამი — ეს შენი სიტყვები არ არის...
ტეტი — მე ვამბობ, ჰამი, ჩემს გარდა ოთახში არავინაა.

ჰამი — შენ ჩემი ბალიშის სიტყვებს ამბობ, რომელიც ჩემს წერილში ამოიკითხე.

ტეტი — მე მგონი, გადაღლილი ხარ...

ჰამი — მოლოდინით.

ტეტი — ბევრს მუშაობ?

ჰამი — მოლოდინში.

ტეტი — უნდა დაისვენო.

ჰამი — ვისვენებ.

ტეტი — მე მახდენიერებდა შენი წერილები.

ჰამი — ერთხელაც არ მიპასუხე.

ტეტი — ვერ შევძელი.

ჰამი — არ შეძელი.

ტეტი — მგონია, რომ უცხო ადამიანთან მოვხვდი.

ჰამი — შენს გამო პარტნიორი დავ-

ტოვე. **(პაუზა)** ვიცი, ეს არასოდეს გითხოვია, არც გქონდა მოთხოვნის უფლება, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო.

ტეტი — მომეცი უფლება, ჩაგეხუტო.

ჰამი — მე ამის უფლებას ყოველდღე გაძლევდი, ტეტი...

ტეტი — ახლა შენს წინაშე ვარ, მართლა ვარ, ვოცნებობდი ჩვენს შეხვედრაზე; ნამზეროდესაც გნახავდი, ჩაგიკრავდი, გაკოცებდი.

ჰამი — ადრე მეც სხვანაირად წარმომედგინა ჩვენი შეხვედრა.

ტეტი — ჰამი, ვიცი გაბრაზებული ხარ.

ჰამი — არა, არ ვარ გაბრაზებული, გადამიარა. **(უხერხული დუმილია)**

ტეტი — მომიყვები შენი ამბები. გინდა, ყავას მე მოგიხარშავ.

ჰამი — შენ უკვე გამიმზადე ყავა ღამით, დღით კი სადღაც გავექრით ორივე. **(პაუზა)** იცი, გავექრით შენც და მეც...

ტეტი — მანერვიულებ, ჩემო მშვენიერო...

ჰამი — მშვენიერო? სარკე მომანოდე, ტეტი, მაგიდაზე დევეს.

ტეტი — გამომართვი.

ჰამი — აი, მშვენიერი...

ტეტი — ექიმთან უნდა წავიდეთ.

ჰამი — შენ წახვალ, მე აქ ვრჩები.

ტეტი — ჰამი, ჰამი, ისე ძლიერ მინდოდა ჩაგხუტებოდი...

ჰამი — რა მჭირს, ტეტი? **(ტირის)**

ტეტი — როგორ მომენატრე...

ჰამი — მივლინება?

ტეტი — დიას, სახლში იციან მივლინება მაქვს.

ჰამი — მატყუარა **(ბედნიერი ხმით)**...

ტეტი — შენმა წერილებმა მისხნეს.

ჰამი — რამდენი ხნით შეგიძლია დატოვო ისინი?

ტეტი — არ ვიცი.

ჰამი — ჩემოდნის ზომით თუ ვიმსჯელებთ, რამდენიმე დღით.

ტეტი — მე გოგოები მყავს.

ჰამი — მიყვარს შენი გოგოები.

ტეტი — მე შენ მიყვარხარ, ჰამ! ჩემო სიყვარულო...

ჰამი — ჩუ, ტეტი, ჩვენ ჩვენი სიყვარული დიდი ხნის წინათ გავასხვისეთ, არ შეგიძლია ერთმანეთი გვიყვარდეს. **(პაუზა)** ტეტი, წერილები დამიბრუნე, ისინი მე მეკუთვნის.

ტეტი — არ შემიძლია, დაისვენე, ჰამი...

ჰამი — არ მინდა, სულ მძინავს.

ტეტი — შენ მუშაობ და საერთოდ არ გძინავს.

ჰამი — ვერ ვიტან, როდესაც ჩემზე ზრუნავენ.

ტეტი — ნუ მექცევი ასე, საყვარელო...

ჰამი — დამავიწყდა როგორი საყვარელი ხარ.

ტეტი — შეგვიძლია გავიხსენოთ.

ჰამი — რა საჭიროა.

ტეტი — რატომ, ჰამი, მე ჩამოვედი...

ჰამი — მესმის, რომ ჩამოხვედი.

ტეტი — როგორც კი შევეძელი.

ჰამი — უფრო მესმის.

ტეტი — შენ დამცინი, მშვენიერო...

ჰამი — არა, არ შემიძლია დაგცინო.

ტეტი — თუ რამე შეიცვალა, თუ რამე გადაწყვიტე...

ჰამი — გადავწყვიტე?

ტეტი — მითხარი და წავალ.

ჰამი — არა, არა, ტეტი, არსად არ წახვალ!

ტეტი — მაშინ მომეცი უფლება და დავრჩები. აი, ისე იქნება ყველაფერი, როგორც ერთი წლის წინათ. ყოლოფების ქვემოთ კოკისპირული წვიმა გასხოვს?

ჰამი — და ღამე ჩივილი, ჩივილი იმაზე, თუ ამხელა კაცი როგორ იქცეოდი...

ტეტი — შენთან ერთად ბავშვი ვარ, ჰამი.

ჰამი — სულ პატარა გოგო აღარც მე ვარ.

ტეტი — იცი, დღეში ასჯერ შემეძლო შენი წერილების ნაკითხვა.

ჰამი — **(იციხის)** ცოტაა...

ტეტი — და მერე ათითასჯერ მეფიქრა შენზე. **(პაუზა)** როგორ შემამინე, ჰამი.

ჰამი — გაივლის, **(პაუზა)** შიში გაივლის.

ტეტი — შენ ყველაფერს მაძლევინებ.

ჰამი — და მაინც დანამატი ვარ.

ტეტი — რა?

ჰამი — არაფერი, ტეტი. ერთი სურვილი ამისრულე.

ტეტი — ბევრს აგისრულებ, ჩემო მშვენიერო.

ჰამი — ორი ფერადი ბალიში მიყიდე და მაჩუქე, დამიბრუნე ჩვენი თავი...

ტეტი — ჩემი პატარა გოგო, ახლავ ვიქნები, ყოველთვის შენთან. **(ისმის კარის ხმა)**

ჰამი — მისი ჩემოდანი. აი, ჩემი წერილები. მისი სუნი აქვს. სანდრა, სანდრა, აი, ქვითრები, მე მივდივარ, როგორც შევთანხმდით. დიდი მადლობა ამ ერთ წლისთვის, ყველაფერი კარგად მომაგონდება. ჩემოდნები უკვე წაიღეს მუშებმა. შენ ძალიან ღამაზე და საყვარელი გოგო ხარ. ვინ იცის, იქნებ

ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. **სანდრას ხმა** — ბედნიერად, ჰამი! **(ისმის კარის ხმა, სიჩუმეა, რამდენიმე წუთში ისევ ისმის კარის ხმა)**

ტეტი — ჰამი, ჰამი **(იძახის)** ჰამი!!!

სანდრას ხმა — ბატონო!

ტეტი — გამარჯობათ, ჰამი სად არის?

სანდრას ხმა — ვერ გავიგე?

ტეტი — ჰამი?!

სანდრას ხმა — ჰამი აქ არავინ ცხოვრობს.

ტეტი — როგორ, ჰამი, ჩემი ჰამი...

სანდრას ხმა — ალბათ მისამართი შეგეშალათ.

ტეტი — აი, შავი თმით, საშუალო სიმაღლის...

სანდრას ხმა — **(ანყვეტინებს)**, ვერაფრით დაგეხმარებით.

ტეტი — ჰამი, ჰამი **(პაუზა)**! ჰამი **(თავისთვის)**, ღმერთო,

მისი გვარიც არ ვიცი... **(ისმის ფეხის ხმა)**

სანდრას ხმა — თქვენი ბალიშები, ბატონო!



მხატვარი მალხაზ თავაძე

კატო ჯავახიშვილი

ცხპარი

ხმოვანი სურათი: შორიდან ქარის შრიალი, წვიმის წვეთები. სადღაც ძალიან შორს ზღვა. მუსიკა: უფრო შორს, სევდიანი ვიოლინო, (ბერგი) რომელიც შემდეგ გადადის რახმანინოვის „ვოკალიზმი.“

1.

ლექსი:

ახლა სიჩუმე იმდენია, რამდენიც მინდა და ამ არაფრით გამორჩეულ დღეებს, რომლებსაც მთქნარებისაგან ღაპალუპით მოსდით ცრემლები, ქვაკუთხედივით აწვეთ გულზე სიცარიელე. წყლები ისევე მდორდებიან როგორც ოდესღაც განშორებისას ვერნათქვამი ჩვენი სიტყვები, ერთმანეთისთვის დუმილი რომ გამოიგონეს.

2.

დილოზი: ნატა და ნიკა.

აკუსტიკური გარემო: ოთახი. შორს — წვიმის ხმა.

ნატა — გაიღვიძე?

ნიკა — არაა, ჯერ კიდევ მძინავს.

ნატა — თვალეები რომ ღია გაქვს?

ნიკა — თვალგახელილს მძინავს.

ნატა — რომ ლაპარაკობ?

ნიკა — ტვინი ნაილე უკვე, ნატ, რა გინდა ბოლო-ბოლო, აღარც დავიძინო?

ნატა — მასზე ფიქრობ?... თქვი, მასზე ფიქრობ?

ნიკა — შემეშვი რა, არაფერზე არ ვფიქრობ... შენი ქმარი როდის ჩამოდის?

ნატა — ალბათ ზეგ.

ნიკა — აჰა, კარგიაა.

ნატა — რა არის კარგი, ის რომ ჩამოდის, თუ ის, რომ ორი დღე დარჩა მის ჩამოსვლამდე?

ნიკა — ის, რომ მის ჩამოსვლამდე მთელი ორი დღე დაგვრჩა.

ნატა — ფოტოები გაამჟღავნე?

ნიკა — დღეს! ალბათ დაევასებათ, ლიტერატურული ბომონდი მთელი თავისი სიდიადით და ძღვევამოსილებით.

ნატა — მოგწონს ეგ საქმე?

ნიკა — მძულს... არ მოვწიოთ?

ნატა — დაგვრჩა კიდევ?

ნიკა — ერთი შეკეთება იქნება, ნავალ, შევაკეთებ.

ნატა — ჯერ მაკოცე.

3.

მონოლოგი. (მუსიკის ფონზე. ბერგი.)

ნიკა — ჰაშიშით გაუფერულებულ ტუჩებზე ვეხები, მას კი კოცნა ჰგონია... გზა საძინებლიდან სამზარეულომდე — კარცერიდან თავისუფლებამდე. სუფთა ჰაშიშია, არავითარი ქართული ბალახი. ახლა მთელი ჩემი შემოქმედებითი ენერჯია ამაში უნდა დავხარჯო, ის ორგანული ზიზღი უნდა გავიქრო საკუთარი თავისადმი, ბოლო დროს რომ ავიკიდე. ფურცელ-ფურცელ დანყებული სულელური თამაში და სიყვარული ქალისა, რომელიც არაფერს ნიშნავს ჩემთვის. და რატომღაც გადამწყვეტ მომენტს ველოდები წასვლისთვის. ალბათ, ასე წასვლა უფრო მარტივია, თუმცა კი შეიძლება არც არასდროს

წავიდე და ამ ზიზღის ბოლომდე ტარებაც უნდა შევძლო მაშინ. ხელებზე მაინც რა ჯანდაბა დამემართა, ამ ბოლო დროს ისე მიბუყდება და მიშავდება საერთოდ ვეღარ ვგრძნობ. ექიმამდეც ვეღარ მივალნიე. ტარიანს ნელ-ნელა ვავსებ ტალახისფერი ფხვნილით და ისევე გზა სამზარეულოდან საძინებლამდე — ახლა უკვე კარცერიდან თავისუფლებამდე.



4.

მუსიკა — რახმანინოვი — „ვოკალიზმი“

ლექსი:

ცოცხლობ — ეს ნიშნავს რომ ჩაგაკრეს დილით აკვანში და გახსნილ პირში რძის მაგივრად წყალს განვეთებენ.

ცოცხლობ — სანგრძიდან ნადირივით თვალეებს აკვებს და სიზმარს, ღამით გამოსტაცებ მხოლოდ ნაწყვეტებს.

კვდები — ეს ანუ, არასოდეს დაბადებულხარ, გიჩანს ფესვები, ამოზრდილი ხმელი კუნძული.

კვდები — ეს ნიშნავს, რომ გაჩეხეს სოფლად ბერმუხა ნედლი ნერგები, კი ცივ ზამთარს ვეღარ უძლებენ,

როცა სიჩუმეც იმდენია, რამდენიც მინდა

ანდა მჭირდება, როგორც ერთი აბი,

საძილედ.

5.

დილოზი — ნატა და ნიკა.

აკუსტიკური გარემო: ოთახი. შორს - წვიმის ხმა. უფრო შორს

მუსიკა — ვიოლინო. ბერგი.

ნატა — გახსოვს როგორ გაგიცანი?

ნიკა — ჰო.

ნატა — რა მაგარი დღე იყო, არა?

ნიკა — ჰო.

ნატა — წვიმდა.

ნიკა — ჰო.

ნატა — უკვე აღარ ხატავდი.

ნიკა — ჰო...

ნატა — არ გიყვარვარ, არა?

ნიკა — შენთან კარგად ვარ.

მუსიკა.

ნიკა — ეს ყველაზე მარტივი მაგალითი იყო იმისა, რომ ადამიანები წრეზე დავდივართ და ერთიდაიმავე ემოციებს გარკვეული დროის შუალედებით ვაბიჯებთ. ჩაკეტილ წრეს ჰგავს. იგივეობის ფენომენი მოქმედებს ცდომით დროსა და სივრცეში. სულ ესაა. არადა ხშირად გვგონია პარაბოლაა ეს ცხოვრება და წყვეტილი მრუდის ბოლო აბსურდი.. ერთხელაც ჩემი საყვარელი საღებავებიანი ფუნჯი სადღაც ჯანდაბაში მოვისროლე და მეგობრის შემოთავაზებებს, გადაამელო ფოტოსურათები ლიტერატურულ ღონისძიებებზე ვიღაც შთაგონებისგან შეშლილი ადამიანებისათვის, დიდი სიხარულით დავთანხმდი. კაპიკები იყო, მაგრამ ეს კაპიკებიც არ ეყარა ქუჩაში... მშრალ ხიდზე დგომას ნამდვილად სჯობდა. ხანდახან, ქორწილებსაც ვსტუმრობდი ჩემი ობიექტივით. ერთი უცნაურობა მქონდა, ფოტოებს მხოლოდ და მხოლოდ ძველი, დენიკისდროინდელი ფოტოაპარატით ვიღებდი და ძველებურად წითელ შუქზე ვამჟღავნებდი ხოლმე. ნატაც ამ დროს გავიცანი: თავცარიელი, ღამაზი, დიდი შეღებილი ტუჩებით, ჩინოვნიკი ქმარი და მოთხოვნილებებით სიყვარულზე. ყოველ მორიგი მამაკაცისაგან ერთიდაიგივე უნდოდა — სიყვარული. ყოველ მორიგ მამაკაცს მისგან — სექსი. ქმარს მისგან — ერ-

თვალედა. ქმრისგან საზოგადოებას — იმიჯი. მე მისგან — არ ვიცი. ვგიჟდები ასეთ სულელ ქალებზე ვითომ იდეალების ძიებაში დატუშულ წამწამებს ცრემლებით რომ ივსებენ და მერე მკერდზე თავმოდებული მორიგი სასიყვარულო იმედგაცრუების ამბავს გიყვებიან, თქმა არ უნდა დრამატული ხმით. არც ის ორი დღეა ასეთი უსასარულო, მასთან ერთად რომ უნდა გავატარო. დაბეჩავებული სიყვარულის პანტომიმა — ამოვიკვირე ეს ფრაზა. სიმართლე რომ ვთქვა, აზრზე არ ვარ რას ნიშნავს სიყვარული. ეს ხომ ისეთივე შეგრძნებაა როგორც ჭამა, სმა ან თუნდაც ჰაშიში. ეგაა რომ გბეზრდება რა... უცებ თავში უცნაური აზრი მომდის და იქვე სკამზე მიგდებული ჯინსის ჯიბიდან ლუკას მოცემულ ყვითელ, დაჭმუჭნილ ფურცელს ვიღებ.

ნიკა — გინდა რაღაც ნავიკითხო?

ნატა — მიდი.

ნიკა — წყაროზე ამბობდნენ, პატარა მდელოს თავისთვის ადგილი შემოუფარგლავს, შიგნით ფარა შეურეკავს და გარესამყაროდან გაუთიშავსო. "უფლებები ცხვარს რად უნდაო" — ამბობდა თურმე მდელო და ფარას სასტიკად ექცეოდა. ცხვარიც უხმოდ შეექცეოდა მდელოზე მონიწილი ბალახს და მცირედით კმაყოფილს შიში ჰქონდა ყოველი ახალი დღის დადგომისა. ურჩობა ადგილზე ლიკვიდაციით ისჯებოდაო. ცხვარს კლავდნენ, ატყავებდნენ და შემდეგ მას გემრიელად მიირთმევდნენ დანარჩენი მდელოს მკვიდრნი. ასე გადიდებული ერთ დროს გაჭირვებაში მყოფი მდელო. ერთხელ, გართობას მონყურებულს უთქვამს: ღობის იქით რომ ჩვენი მინდვრებია, მგლები იმას გვართმევენ და ქუდზე კაციო. ცხვარს ბლავილი დაუნყია, საუკუნეების მანძილზე წინაპართა სისხლით გაპოხიერებული მიწა დანანებია და ღობე გაუნგრევია. დოლი ახალი დამთავრებული ყოფილა თურმე. ახალფეხადგმული ბატკნებიც წინ გაურეკიათ და მგლებთან იერიშზე გადასულან". "უთანასწორო ბრძოლაში ცხვარ-ბატკანი გმირულად დახოცილა. დანარჩენ ფარას დაღუპულთა ლოცვა-გლოვაც ვერ მოუსწრია, რომ "ახალი მგლები დანარჩენ მდელოსაც ითხოვენ და ჩემს თავსაცო". - უთქვამს მდელოს.. დაბნეული ცხვრები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ თურმე. დაეინყებიათ ბრძოლაში დაცემულ ცხვართა ბედი, ცოცხალთა თუ მკვდართა. დაუნყიათ იმ ღობის გამაგრება, რომელიც წინაპართა ძვლებისგან ჰყოფდა ცხვართა მოდგმას. ღობე გაამაგრეს და გაისმა კიდეც მონოდედა: — მე ვარ სიმბოლო მინისა და ცისა, ჩემი სხეულით ვეკუთვნი ჩემს ფარასა და მდელოს, დილა მითენდება და მიღამდება ცხვარ-ბატკნის ბედად მოფიქრალს, ამიტომ მგლებმა გადაწყვიტეს ჩემი გზიდან ჩამოცილება. რათა გადათელოს და მითთვისონ ჩვენი მდელო-საძოვრები".

ნატა — გაჩუმდი, ღმერთო ჩემო, რა მარაზია. საიდან გაქვს ეს?

ნიკა — მე ვარ სიმბოლო მინისა და ცისა, ჩემი სხეულით ვეკუთვნი ჩემს ფარას და მდელოს.

ნატა — აღარ გაჩერდები?

ნიკა — შემოთვებულა ფარა, მერე ჩვენ რა ვქნათო?! დამიცავთ მე, დაიცავთ მდელოს, დაიცავთ მომავალს. დრო აღარ ითმენს, მეგელი კარს მოგვადგა. — უთქვამს მდელოს და გაერთიანებისაკენ მოუწოდებია. ფარა ერთ მუშტად შეკრული აპროტესტებდა თურმე მგლები თავხედურ გადაწყვეტილებას პატარა, ლამაზი მდელოს ოკუპაციის შესახებ. — მდელოს გაუმარჯოს, მდელოს! — ბლაოდა ცხვარი.

ნატა — (ისტერიკაში) გაჩუმდი! გაჩუმდი!

ნიკა — არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, ჩვენ ვერავინ დაგვაჩოქებს და თუ ერთად ვიდგებით ასი ან ორასი წლის შემდეგ მტრის გულის გასახეთქად მანაც დავიბრუნებთ ღობის იქეთა მინდვრებს. — დიდება მდელოს, ვაჰა! — ბლაოდა ცხვარ-ბატკანი. წყაროზე იმასაც ამბობდნენ, ღობის იქეთ პატარა მდელოს მიერ დაპურებული მგლები იდგნენო, მრავლისმეტყველად შესცქეროდნენ მას, ის კი, მწვანე წვერზე

სისხლიან ხელს ისვამდა და კბილებში სცრიდაო — ჰო, ჰო, რალა თქმა უნდა ცხვრებისა სჯობს, ცხვრების!"

ნატა — (ჩურჩულით) ნადი.

ნატა ტირის.

ნიკა — ბეე... ბეე... ბეე! შემომხედე ნატა, ის ცხვარი ვარ მე, პატარა საყვარელი ცხვარი, პატარა ბეკეკა-აა... ბეე... ბეე... ბეე-ეე...

ნატა — ნადი, ნადი, ნ ა დ ი ი...

6. მუსიკა.

ლექსი:

შენ — ვისაც ამ ერთი უძილო ღამისთვის, არ შეგრჩა ძალები, სხეულზე ჯვრისა სულში კი ლოცვების მაჩვენებელი ტარებას. შენ, ვისაც გიცვილებ და მაინც ამ გულში ტკივილად ძვალდები და მაინც ახლოს ხარ, ყოველთვის მარცხნივ და საგულე კარებთან. შენ — ვისაც ვერასდროს, ჩემი სიძულვილი ვერაფრით მოგვწვდება, და დალი დამასვი ასეთი მძიმე და სასტიკი. ასეთი. შენ მაინც ჩემში ხარ, ტურჩებთან, ხელებთან, თვალებთან, ღანებთან, მოკვეთილ საფლავთან — ტურჩებით, ხელებით, ცრემლებით მაერთებ.

7. ნიკა, პაპუა და გოგო.

აკუსტიკური ფონი — მინდორი. თიბვა.

ნიკა — პირველად რომ ვნახე თორმეტი წლის ვიქნებოდი. ზაფხული იდგა. ცხელი, მტკრიანი და მოსაწყენი. მშობლებმა აგვისტოს სიცხეს იმერეთის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში გამარიდეს. ჰოდა, აი რამდენიმე დღეში სათიბში ნასულ ბაბუას ფეხდაფეხ მივდევი.

პაპუა — აბა ბაბუ, მე ბოლოდან დავეყვები, შენ კი ნელა-ნელა ზემოდან დაუყვი.

ნიკა — საშინელი სიცხე იყო, ყელში ბურთი რომ გაგეჩხირება და ერთ ყლუბ წყალს განატრებინებს, ისეთი. მინდოდა ბაბუასთვის დამეძახა — წყალი, წყალი დამიტოვე-თქო. მაგრამ, აბა რა ხმას გავაგონებდი ბალახ-ბულახით გამოტენილ მინდორში და ბედსშეგუებულბა თიბვა დავიწყე. აღარ და აღარ მთავრდებოდა ბალახის ტყე, პირიქით თითქოს რაც უფრო მეტს ვთიბავდი უფრო და უფრო მრავლდებოდა, ქარის ხმაზე ადამიანივით ჩურჩულებდა, აქეთ-იქით ირწეოდა და ცოტა არ იყოს მაფრთხობდა კიდეც. ნაშუადღევს ცელი ბალახზე მივაგდე და უცებ საიდანღაც ისტერიული სიცილი შემომესმა.

ნიკა — რომელი ხარ? (სიცილი ახლა უკვე უცნაურ კისკისში გადაიზარდა) რომელი ხარ?!.. რა გაციინებს?

გოგო — შენზე ვიცი.

ნიკა — ჩემზე?

გოგო — ჰოო, შენზე, სასაცილო ხარ.

ნიკა — სასაცილოც ხარ და მეტიც, რას გავხარ. ნამდვილი ფუფალა.

გოგო — აი შენ კი, მულტიფილმის გმირს გავხარ. აბა თუ მიხვდები რომელს?

ნიკა — რომელს?

გოგო — ჰა-ჰაჰა, მეგელი და კრავი ნანახი გაქვს? კრავი, კრა-ვი ხარ შენ.

ნიკა — ვითომ რატომ?

გოგო — ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები, გაიგებ.

ნიკა — შენ ხო ხარ დიდი, რა...

გოგო — შენზე სულ რაღაც 100 სააუკუნით დიდი.

ნიკა — ჯანდაბამდე გზა გქონია.

კარგად მახსოვს, უცებ კარუსელივით როგორ დამიტრიალდა ფეხებქვეშ მინა. მისი მომწვანო თმა ჯერ ცხვირში მიღლიტინებდა, მერე ნესტოებიდან, პირიდან, ყურებიდან მთელ სხეულში დაძვრებოდა

გოგოს ხმა — ჰა-ჰაჰა, მგელი და კრავი ნანახი გაქვს? კრავი, კრა-ვი ხარ, შენ, კ-რ-ა-ვ-ი.

ბაბუა — გამოფხიზლდი, ბიჭო რა გჭირს, მზე თუ ჩაგივარდა თავში.

ნიკა — ის სად არის?

ბაბუა — ვინა, შვილო?

ნიკა — ის გოგო, აქ რომ იყო.

ბაბუა — არავენაა შვილო, წავიდეთ სახლში, წავიდეთ. ოჰ, რა ხართ, ეს ქალაქელები მაინც, ვერსად წაგიყვანთ კაცი.

8.

ლექსი:

წავიდნენ.

ტანსაცმელი დაიფერთხეს.

ხურდები ააჩხრიალეს.

ქუდი დაიხურეს და

წავიდნენ.

„გზაზე მიდის სამი კაცი.

— რათა სამი?

— მაშ რამდენი?

— ორი.

— რათა ორი?

— მაშ რამდენი?

ჩუ...

ჩუ...

არცერთი.

გოგომ კისერი მოკეცა და დაიძინა.

ჩამოატარა მდინარემ და არავინ იყო.

ჩამოატარა მდინარემ გვამები და ვერ დამარხა.

ჩამოატარა მდინარემ გვამები და...

ჩამო ატარა.

9.

ნიკა, ლუკა, გომო.

აკუსტიკური გარემო: ზღვა, შორიდან სროლის ხმა. მუსიკა — ოდნავ მისტიკური.

ნიკა — ის ყოველთვის ჩემთან იყო. მაშინაც, როცა პატრიოტიზმით გულანთებული სოხუმის გზას მივყევბოდი. არც მაშინ ვიცოდი რა მინდოდა. თავისუფლება, აი რას ვეძებდი... ბორკილებით შეკრულს, გაქცევა მინდოდა, ალბათ ნებისმიერ ადგილას, სადაც საკუთარ თავს გაცვდებოდი. ომში, სიყვარულში, სიკვდილში, სადმე, თუნდაც ჯანდაბაში კი. ცხრაკილონიანი ბრონის ჟილეტი და აღჭურვილობა საკმაოდ მძიმე სატარებელი იყო ერთი გაჩხინკული მხატვრისთვის, საკუთარი პრობლემებიც რომ ვერ მოუგვარებია. როგორც იქნა სროლის ხმა მიწყნარდა. ლუკა ჩუმად იჯდა, როგორც ყოველთვის. ბავშვური თვალეები გაფართოვებოდა და გზის გადასწვრივ ლამის წყლამდე გადაწოლილ კიპაროსებს ითვლიდა. ჩუმად, თავისთვის თვლიდა, ყოველი ათეულის შესრულებაზე ტუჩებს ბერავდა და ოხრავდა.

ლუკა — ნეტავი ოდესმე თუ დამთავრდება ეს ყველაფერი.

ნიკა — ოდესმე ყველაფერი მთავრდება.

თვალი წყალზე უზარმაზარი მთვარის ანარეკლს გავესწორე და საშინელი სინანული ვიგრძენი ლუკას ამ გაუგებრობაში მოხვედრის გამო. დარწმუნებული ვიყავი, რომ არა ჩემი ახირება ის არც ომში წავიდოდა და არც მატლებდახვეული გვამების დამარხვა მოუწევდა ღამ-ღამობით. ანდა, რა უნდო-

და ომში დედისერთა, გაფუფუნებულ და ნაფერებ ბიჭს, რომელიც დილიდან საღამომდე წერდა და ნობელის პრემიაზე ოცნებობდა.

ნიკა — ნეტა არ წამომეყვანე.

ლუკა — კარგი რა.

ნიკა — ისე, ჟორიკამ ჭკუა იხმარა, რო არ წამოგვეყვა...

ლუკა — კაი, რა...

ნიკა — ნავალ, გავივლი.

შტაბს ოდნავ მოვცილდი და გზა გადავკვეთე. შიშინივით ცახცახებდა მინა და საკუთარი ფეხის ხმა კოცონში შეკვეთებული ნედლი შეშასავით მიტკაცუნებდა ყურებში. ზღვაზე გადწოლილი კვიპაროსის ქვეშ მეორედ ვნახე.

ნიკა — შენ?

გოგო — მეშინია.

ნიკა — აქ, აქ რა გინდა? საიდან გაჩნდი?

გოგო — გამოვიქეცი.

ნიკა — საიდან?

გოგო — მშვიდობიდან გამოვიქეცი.

ნიკა — აქ ხომ ომია...

გოგო — ომიდანაც გამოვიქეცი... გაიქეცი. მხოლოდ გმირები ახერხებენ სიკვდილს უომრად.

ნიკა — იმ ღამით სოხუმი დაეცა. მე და ლუკა თბილისში დავბრუნდით და ამის შემდეგ აღარ დამიხატავს.

10.

ნიკა და ლუკა.

ტელეფონი.

ლუკა — (ხმა ტელეფონში) როგორ ხარ, ბრატ?

ნიკა — ვაა, ლუკაა, ვარ რა, ცოტა უძილო. სად დაიკარგე ბიჭო, ასე უნდა?

ლუკა — რას აკეთებ, გამო, ხუთ საათზე საბჭოს მოედანზე შეგხვდები. თბილისურია, ორმოცდაათლარიანი, ბევრი არაფერი, მაგრამ გაგვისწორდება. მერე ჟორიკასთან ავიაროთ, რამდენი ხანია ერთად არ შევეყრილვართ.

ნიკა — ვინ იქნებიან იქ?

ლუკა — სად იქ?!

ნიკა — სად და იქ ჟორიკასთან, უცხო ხალხთან კონტაქტი არ მინდა.

ლუკა — არა, ტო, ჩვენ, ვინ უცხო.

ნიკა — ოკ, მოვალ.

ქუჩა.

ნიკა — რაღაცნაირი გაუფერულებული მზე დამხვდა გარეთ. რამდენი ღამე გავიტარებია მე და ამ ქალაქს დაბოლილებს გვერდიგვერდ. ხანდახან ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ეს ქალაქიც მე ვიყავი თავისი რუხი სადარბაზოებითა და ასფალტზე პროცესიის შემდეგ გასრესილი ყვავილებით. შევეჩვიე ამ ქალაქს. ცარიელია, მაგრამ მაინც აქ ვარ, თუნდაც იმიტომ რომ წასასვლელი არ მაქვს. მთელი გზა საბჭოს მოედნიდან ჟორიკას სახლამდე ხმა არ ამომიღია. იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომნატრებია ეს ყველაფერი. მთელი ბავშვობა ერთად გავატარეთ მე და ლუკამ, დაჟე აფხაზეთის ომშიც ერთად წავიდეთ. ახლადგამომძვრალ ხბორებს რომ საძოვარზე გადენი და რძის მაგიერ თივის ჭამას აიძულებ, ისე იყო ჩვენი საქმე. თავისუფლება გვინდოდა ბიჭებს, ავტორიტეტი, იარაღი. სამშობლოც ეგ გვეგონა. ისე, ნეტა რა არის სამშობლო?! რა განსხვავებაა ერთი მტკაველით მეტი იქნება თუ ნაკლები, სიგრძე-სიგანეს არ ვუმონებდეთ დილა-საღამოს ჩვენც. მეგობრის თევზივით გაყინული თვალები გამახსენდა და შემაჟრჟოლა.

ქუჩა.

ნიკა — მგონი ომი იწყება,

ლუკა — იწყება კი არა, უკვე დაიწყო, უწყება მომივიდა.

ნიკა — მერე, იქ რა გვინდა?

ლუკა — ცოტა ხნით მივიდეთ, რა... ახლა ის ამბავი მაინც არ გამოვა. ნიკა — ჰო, კარგი.

ჟორიკას ოთახი. კარის გაღება. შორიდან, ორი კაცის გაურკვეველი საუბარი.

ჟორიკა — მოდით, ბიჭებო, რას უდგებართ... ესენი ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან. ლუკა მწერალია, ზუსტად ახლა სცენარზე მუშაობს, აფხაზეთის ომზე ფილმს იღებენ ამერიკელები. ეს კი, მხატვარი. გოგი და ნიკო — გაიცანით. ჩემი თანამშრომლები და უახლოესი ადამიანები.

გოგი — გამარჯობათ!

ნიკო — სასიამოვნოა.

გოგი — სულ მაინტერესებდა, რას გრძნობდნენ ალპინისტები მწვერვალზე ასვლისას. ერთხელაც ჯგუფს გავეყვი და გარდა იმისა, რომ ძალიან დავილაღე, ამ ყველაფერს დასველებული ასანთი, სიგარეტი და შიმშილიც დაემატა. მივხვდი, რომ არაფერია მთა, ასტრალური წარმოსახვა ფსიქოპათოთავის.

ნიკო — მერე ვერ წახვედი ბოტანიკურში და კლდეზე ცოცვაში ვერ ივარჯიშე? იქ რამ წაგიყვანა.

გოგი — უბრალოდ ინტერესმა.

ჟორიკა — და ამხელა გზა ინტერესის გულისთვის გაიარე? სალოლ, შენ ძმაო.

გოგი — ეე, შენ ის უნდა გენახა პირველი ჭიქა რომ აწიეს და შინ ვინც გველოდება იმას გაუმარჯოსო, რომ თქვეს. ერთგვარი რიტუალივითაა. გულს იმშვიდებენ, რომ ვიღაც ჭირისუფალი რჩებათ მტკრიან ქალაქში

ჟორიკა — და მერე ლეგენდებს ყვებიან არა, მერე გმირებადაც აცხადებენ თავს, არადა მთელი დღე ლოთობის მეტს არაფერს აკეთებენ.

გოგი — ისე, მაგარი ნაყინი კი მაჭამებს. სგუმონი, ერთი ჯამი თოვლი და ეგაა რა.

ნიკო — აბა დარხევია კამპარას და ეგაა.

გოგი — კამპარაა, კამპარაა, თოვლმა ლოგო მოგპარა.

ნიკო — შენ ყოფილხარ მთაში?

ჟორიკა — არაა, ფეხი აწუხებს და დიდხანს სიარული არ შეუძლია.

ნიკო — არც გინდა ძმაო, აქ არ ჯობია? ბუნება გინდა? ქალაქთან ახლოს, სამწვადე, ღვინო, კარგი გოგოები და სხვა რაღა გინდა ადამიანს. აბა კარავში სიცივით სიკვდილი გვინდა ახლა ჩვენ?

ნიკა — ჰო, არ გვინდა.

გოგი — ისე თქვენ, მხატვრები, მწერლები სულ შთაგონებულები ხართ თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი?!

ნიკა — აი ისე, პახმელიაზე რომ ხარ და ხაშის ჭამის ფული არ გაქვს მერე ხატავ.

გოგი — მოდით მერე ძმაო, იმუშავეთ, ჟორჟიკაც ეგრე არ იყო? რალაც ინსტრუმენტებს ჩაჰკირკიტებდა მთელი დღე-დადის ახლა სამსახურში, იღლება და სისულელეებზე ფიქრისთვის დრო ნამდვილად არ აქვს.

ნიკა — ჰო?! საინტერესოა... მერედა, სად ვიშოვო სამსახური, შენ მიშოვი?

გოგი — მე?!

ნიკა — ჰო, შენ!

გოგი — მე საიდან უნდა ვიშოვო. ვაკანსიები თუ იქნება შეგატყობინებ, გაივლი ვასაუბრებას და იქნება გახვიდე კიდევც.

ნიკა — შენ ვაკანსიით გახვედი?

გოგი — აბა რა, იმდენი ტური გავიარე. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, ბევრი ადამიანი მიიღეს. იქნება გამოვიდეს კიდევ რამე. ჭკვიანები ყველგან სჭირდებათ.

ნიკა — ჭკვიანები თუ ბოზები?!

გოგი — ბოზობა რა საკადრისია, ჩემო ძმაო!..

ჟორიკა — მოიცა, მოიცა, რას აკეთებთ... თქვენ რა არაფერი გაგიგიათ? ომი დაიწყო, ომი!

გოგი — ჰო, გავიგეთ...

ნიკო — პროვოკაცია ხომ არ არის, ნეტა?

ჟორიკა — არა მგონია, რეზერვისტებს უწყებები მოსდით... ქუდზე კაციო...

ნიკო — ქვეყანა ვისაც უყვარს ყველა უნდა წავიდეს.

ნიკა — თქვენ წახვალთ?

ჟორიკა — თუ გაგვიშვებენ, წავალთ, აბა რას ვიზამთ.

გოგი — ჰო, ასეთები ხართ ეს ხელოვანი ხალხი, ქვეყანაო, პატრიტიზმი და საქმე საქმეზე რომ მიდგება, სირაქლემებივით შეყოფთ ხოლმე თავს თქვენს ხელოვნებაში.

ნიკა — რომელი კოვბოი მე მნახე, რუსეთის ჯარი გავანადგურო. აგერ იურისტი ყოფილხარ ძმაო წადი და იომე, შენი თავიც დაიცავი და მეც.

ნიკო — ქვეყანა ვისაც უყვარს ყველა უნდა წავიდეს!

ნიკა — ჰმ... ქვეყანა, ქვეყანას ვუყვარვარ კი მე? სხვა დროს გნახავთ.

კარის ჯახუნა.

11.

მუსიკა. ნიკა და ლუკა.

ლუკა — მივდივარ.

ნიკა — ჰო... ვიცოდი... ისინი?

ლუკა — მარტო მივდივარ. ეს რა ნახატებია?

ნიკა — ძველებია. ხომ იცი, რამდენი ხანია აღარ ვხატავ.

ლუკა — რატომ გადმოყარე?

ნიკა — ისე, უბრალოდ.

ლუკა — მშვიდობით.

ნიკა — ფანჯრიდან დიდხანს ვუყურებდი ლუკას დუტის-ჟილეტიან ზურგს, მოსახვევში მტკრიანმა ქალაქმა რომ ჩაყლაპა და ზუსტად ვიცოდი, ის არასოდეს დაბრუნდებოდა.

12.

სიზმარი.

მისტიკური მუსიკა.

კაცის ხმა — წესია ასეთი ამ სოფელში, მანამ პატრონი არ გამოჩნდება, ბატკნებს სხვა ცხვრები პატრონობენ. ახლა კი, ნაიყვანე და დამარხე შენი მკვდარი...

ნიკა — ბატკნები? ნაიყვანო? კი მაგრამ სად?

სხეულში საშინელი სიცივე ვიგრძენი და ტახტთან ხელისცეცებით მივედი. გოგონა უძრავად იწვა. სანთებელა ავანთე და სახეზე მივანათე. ტურჩები გალურჯებოდა. ყოველთვის მეშინოდა მიცვალებულების, ომის შემდეგ კი ეს შიში უცნაურმა ზიზღმა შემიცვალა, გვამები, მატლები, მინა, მინაც კი შემძულდა.

კაცის ხმა — (ეჭოთი) ნაიყვანე, ნაიყვანე და დამარხე შენი მკვდარი...

ნიკა — ყურთან ისევ უცნაური ჩურჩული მომესმა და გოგონა ხელში ავიყვანე. გარეთ ჭრიჭინების ვითომ უდარდელი სიმღერა ისმოდა. სოფლის მტკრიან და ბნელ შუკეებში ადამიანებივით გამოეყო ხელები ასკილს, შარვალზე მეჭიდებოდა



მხატვარი ნოდარ ბაღურაშვილი

და გზა-სავალს მიძნელებდა. “ნაიყვანე და დამარხე შემი მკვდარი” — ახლა უკვე ჭრიჭინები აძლევდნენ ბანს ლამეს. მძიმე იყო ჩემი ტვირთი, იმდენად მძიმე, რომ ყოველ ათ მეტრში მუხლმოკვეთილი ვეცემოდი, უცხო თვალს ეგონებოდა მეტანიას თუ აკეთებსო. როგორც იქნა სოფელს გავცდი და მოულოდნელად ტრიალ მინდორზე აღმოვჩნდი. გოგონა მიწაზე დავანვინე და საფლავის გათხრა დავინწყე. “ნაიყვანე და დამარხე შენი მკვდარი” — გამაყრუებლად კიოდნენ ჭოტები. ძლივსძლივობით ჩავეანვინე საფლავში და ის იყო პირველი მუქა მიწა უნდა დამეყარა რომ ბალახისფერი თვალები გაახილა. — მიწა არ შეინირავს ბატკანს — თქვა მან და პირველი გუნდა ბათქაშოვით ჩამოვარდა ციდან.

პაუზა.

ლუკა აღარ დაბრუნებულა.

13.

დილოგი: ნატა და ნიკა

აკუსტიკური გარემო: ოთახი. შორს - წვიმის ხმა. კიდევ უფრო შორს ვიოლინო (ბერგი). დილოგი ოდნავ შენელებულია, ისე როგორც ეს სიზმარში ხდება.

ნატა — გაიღვიძე?

ნიკა — არაა, ჯერ კიდევ მძინავს.

ნატა — თვალები რომ ღია გაქვს?

ნიკა — თვალგახელილს მძინავს.

ნატა — რომ ლაპარაკობ?

ნიკა — ეს სურათი აქ როდის გაჩნდა?.. მწვანე მინდორზე ყელგამოჭრილი ცხვარი დგას და საკუთარი სისხლით დასვრილ ბალახს ძოვს.

ნატა — ეს ნახატი?

ნიკა — ჰო...

ნატა — შენ დახატე...

ნიკა — მე? როდის?

ნატა — როცა სიკვდილიდან დაბრუნდი, მაშინ.

ნიკა — ეხლა სად ვარ?

ნატა — ახლა უკვე სიცოცხლეში.

ნიკა — არ მოვნიოთ?

ნატა — დაგრჩა კიდევ?

ნიკა — ერთი შეკეთება იქნება, ნავალ შევაკეთებ.

ნატა — ჯერ მაკოცე.

ნატა ჩემს გვერდით გულაღმა წევს მოკრემისფრო ხალიჩაზე. თვალებგამტერებული. ამ დროს როგორც წესი ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე, ზოგადად სისულელეებზე იჭერენ კაიფს.

ჩვენ ასე ვიცით — ამას სიჩუმი კაიფი ჰქვია.

14.

მუსიკა, ქალიან შორიდან — რახმანინოვის „ვოკალიზი“.

გოგოს ხმა — (ქეთო) ექიმო! ექიმო! 25-ე პალატაში პაციენტმა თავი მოიკლა!!

ლექსი:

ამ ჭიალუებს დაბადება დაუგვიანდათ.

აქ სიკვდილია.

თვითმკვლელთა შვილებს

შეგვინდე ღმერთო...

მკითხე: რა ფერი ადევს მიწას, როცა ვინგრევით.

გპასუხო: — შავი.

მონადირეობა: ნიკა წერედიანი, ნინო ლეჟავა, ქეთი ჩაჩუა, დათო ბერაძე, ჯემალ მელქაძე, ვახო ნოზაძე, პაატა კიკვაძე, ნუკრი კონსტანტინოვი.

რეჟისორი — ზურაბ კანდელაკი

ხმის რეჟისორი — ბაკო ხვიჩია

საკუთარ ლექსებს კითხულობს — კატო ჯავახიშვილი

გადაცა 2013 წლის 19 იანვარს



მანანა ჩიტიშვილი

როცა ჩემი შვილი სახლიდან მიდის, მის მოსვლამდე ამგვარად ვრჩები — მუშტისოდნად მოკუმშული და ჩუმ ვედრებით ღვთისმშობლის კაბის თბილ კალთაზე თავმიდებული.

ატენიან

ვუსმენ ატენთან ყაყაჩოს სიცილს, იდუმალ ჩურჩულს ქართლის მინდორთა, შენ ხომ არ იცი, შენ ხომ არ იცი, მე დაბრუნება როგორ მინდოდა.

თუმც ცრემლში ვანე სუყველა ლუკმა და გულსაც შენზე ოცნებით ვლიდი, იმ მდინარეზე, რაც დამრჩა უკან, აღარ მოჩანდა არც ერთი ხიდი.

ჩამი ლოცვა

მე ისეთი რა უნდა ვთქვა, არსად არვის არ გაეგოს, რას შევწვდები ყივჩაღის ლექსს, „ვეფხვს და მოყმეს“ ან „შავლეგოს“, ვინაც თავი გაუტოლა, სულწაწყმედით გარდაეგო, მიწაზე ხომ გარდაქარდა, ცაშიც ჯოჯოხეთი ერგო.

ვინა ვართ და საით მოველთ ან სად მივალთ სადაური, ზოგისა თუ ლექსი ამბობს, ზოგის — მხოლოდ სათაური. გმადლობთ, ღმერთო, შენ მიბოძე ეს სიმდიდრე, — სულის პური, თუმც არც დიდებული ვიყავ და არც ტახტის აზნაური.

ღარიბ ქოხში დაბადებულს ქარი მიმღეროდა ნანას, სულ მეგონა, ეს სანუთრო ჩემთვის აფხავებდა დანას, ქართულ სიტყვამ მიპატრონა, დამითესა ლექსის ყანა, ფიცრულიდან ზეცისმიერ სასახლეში ამიყვანა.

ხელისგულზე ლექსი მიზის,
როგორც ღვთაებრივი ბარტყი,
ალარც ქარის მეშინია,
ალარც — ელვა-მეხის დარტყმის,
უცხო სხივით კოშკი ვაგე,
ვზომე მზის და მთვარის ლარტყით,
ღვთის და ქვეყნის სიყვარული
გარს ქვიტიკირად შემოვარტყი.

აჰა, ჩემი გულის დარდი,
სულის ჩემის ამოკვნესა,
ჩვენ გადავრჩით, ჟამმა ბევრი
უმჯობესი ამოფესვა,
ღმერთო, ღმერთო, ვინც განაგებ
ქვეყანას და ზესთა-ზესა,
ერს და მამულს მიმფარველე,
სხვას არა გთხოვ არაფერსა.

ისევ მოვა მალე მარტი

უამური, ცივზე ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი — ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

არ ვიცოდი, ვინ იყავი, სადაური,
არ მიკითხავს სალოცავი ანდა რჯული,
გისდებოდა პენჯაბური ხატაური
და თვალეები, ვეფხვის მზერით დახანჯლული.

მთვარის გზებით მოდიოდა მთებში ღამე,
ძლივს მოგაგენ, შემეცვალა ალბათ მხარი,
აღსარების ცრემლით კალთა დაგინამე
და შენ მაინც ერთი სიტყვაც არ მითხარი.

დრო გავიდა.
ყანა უკვე სამკელია,
ზოგჯერ მაკრთობს მოლოდინი ავი სეტყვის,
ნუთუ ჩემთვის საამბობი დაგელია,
ნუთუ დღესაც აღარაფერს აღარ მეტყვი.

შენთან მოსვლა არ მქონია განზრახული,
იცის ღმერთმა, უნებურად მოვყევ ბადეს,
დამინოდე დროის რტოდან გაზაფხული,
რომ მწყურვალე იმედები ამიყვავდეს.

გახსოვს ის დრო, როცა ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი — ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

ლარგვისის მონატრება

ტყისპირს ვერცხლის წყარო ცივი,
დედის ცრემლებივით წმინდა,
გზად გულთეთრა მერცხალივით
მონასტერი ამიფრინდა.

დაღწეული ციხის კარი,
განყვეტილი დროის ბანდი,

ვაი, რომ ვერ მოგისწარი,
ვაი, რა დროს დავგვიანდი.

უცხო მზერას ვემალები,
ჩუმი მონატრებით ვთბები,
ჩამომსხდარან მწვერვალები,
როგორც პაპიჩემის ძმები.

აქ მასწავლეს, ვინ და რა ვარ,
მზე თვალს როგორ უხელს ვარდებს,
ღმერთო, ოღონდ დაღმა მავალს
სანუთრო არ გამიმწარდეს.

ვიდრე ძარღვში ფეთქავს სისხლი,
სხვა სატიკვარს აღარ ვჩივი, —
ამიფრინეთ კვლავ ლარგვისი
ცად გულთეთრა მერცხალივით.

კორიდა

რა მშვენიერი ჩანდა შორიდან
ცხოვრება, მძიმე დროით ნატორი,
ჩვენი სიცოცხლე ჰგავდა კორიდას —
შენ — ნიქარა, მე — ტორეადორი.

რომ დამტკბარიყო შენი დაცემით
და სულს ებრუნა ვნების მორევთან,
„ოლე! - გრგვინავდა ბრბო აღტაცებით
და შენს საკლავად სისხლს მიჩქორობდა.

ნუთუ ყველა გზა აქ მოგილიეს,
მაკრთობდა შენი მზერა გამჭოლი
და სიტყვებს, როგორც ბანდერილიებს,
სისხლით დაწრეტილ გულთან გარჭობდი.

ამგვარად სჯიდა არსთაგამრიგე —
ვის სულის ხდომა,
ვისთვის — კორიდა,
მე ვთამაშობდი და ვერც გავიგე
სიკვდილი შენთან როგორ მოვიდა.

არ შემიტყვი

მეზობლად
ქალი ჩასცქერის ყავას,
თითქოს შემდორდა
დროის დინება,
რა სანყენია,
მე როცა წავალ,
შენ არაფერი
გეცოდინება.

ქარს ჩავკითხე და
არ მიპასუხა,
ქარისთვის დარდი
ბევრჯერ მითქვია...
ძალიან ვწუხვარ,
ისე წასულხარ,
მე არაფერი
არ შემიტყვია.

უამინდობა

შორით მოისმის ურმის ღრეჭინი,
სულ სხვაა ზეცა, ვიდრემდე დილით
და წულ ლობეზე ანცი ბიჭივით
გადმოდის ალვის თამამი ჩრდილი.

ფრიალებს მთაზე ნისლის მარმამი,
თითქოს ქალწული გვიხმობდეს გაღმით
და ოქროსფერად მბრწყინავ ყანაში
ფეთქდება უცებ ჩიტების ნაღმი.

ამ წელს ვერ ვნახე ქართლის ბალები
ვაშლებმა თეთრად როგორ დათოვეს,
ასე იოლად და ხელალებით
სიკვდილს პირისპირ ვით შემატოვეთ.

ჩაიზრიალეს ზამთრის ზარებმა,
წვიმა ასველებს ერდოზე ყავარს,
მე ველოდები გამოდარებას,
იამინდებს და ჩემი გზით წავალ.

თებრონე

იმგვარი ჰქონდა სურნელი თივას,
მთელი ცარგვალი თავზე დამემხო,
მე თებრონე ვარ და წყალზე მივალ,
რომ შემომხვდე და კოკა გავტეხო.

განფენილია მწვანე მაუდად
მინა და მარტში თეთრად ენძელობს,
თებრონეს აბა ქალაქს რა უნდა,
მე სოფელ-სოფელ უნდა მეძებო.

უნინ ზღაპრების მკვიდრი მეგონე,
ამკრა აღმურმა შენი დანახვით,
„ხევ-ხევ თებრონე!
„ხევ-ხევ თებრონე!
ერთად მომძახის ყველა ბალახი.

მოჰქუხს მდინარე და კლდეებს ლოკავს,
დღე იმნაირი სხივით ნათელობს,
წავალ წყალზე და
გავტეხავ კოკას,
ეგ შენი გული რომ გავამთელო.

სამთავისთავ

ვერც მარილისთვის წაველ აღზევანს,
არც ბრძოლის უინი მქონდა ერკემლის,
სიზმრებში ახლაც ისევ ქსანზე ვარ
და ფეხშიშველი ცხვარს ვერეკები.

ვის დარჩა ჩემი სამკვიდრო მინა —
ჩემი ყრმობის და ლექსის სათავე,
უცხო ჯიში და გვარტომი ბილწავს
ჩემი შვილის და მამის საფლავებს.

დაფარა თოვლმა კუთხე-კუნჭული,
შრიალით ცვივა დაბლა წიწვები...
მე გეფერები ჩუმად, ჩურჩულით,
დიდი სინაზით და მოწინებით.

დრო მოვა, ისევ უნაღვლოდ გნახავ,
არ მომწყინდება შენი ფერება,
მშვენივრად ვიცი, ვიდრე შენ მყავხარ,
მე არაფერი არ მომერევა...

ჟამს გადაურჩა საუფლო ნებით
და ქართლის მაღალ მთებში მომზევედა,
ლამით კი ტაძარს ეზრდება ფრთები
და ცად მიფრინავს ანგელოზებთან.

ნამცვრავი

* * *
გავიდა ზაფხული
და შენც შეწყვიტე სიმღერა.
ან ვილასთვის
უნდა გემღერა, —
ჩიტები და ყვავილები
გადახვეწილიყვნენ.

* * *
ჩემი სიმაღლე უხილავია,
შენი — ხილული,
ერთმანეთს
როგორ შევეტოლებით?!

* * *
სამკვიდრო წამართვეს,
კერა დამიქციეს,
დაინგრა ჩემი სალოცავი
და ჩემს საფლავებს
ნარ-ეკალმა გადაუარა.
ზოგ-ზოგნი კი მსაყვედურობენ:
„შენს ლექსებში სევდამ იმატაო.

* * *
მზეო,
დედასთან მიმავალო,
ვიცი, გეჩქარება,
გემუდარები,
ერთ ხანს შეიცადე,
მეც დედა ვარ და
ჩემს შვილს ველოდები.

* * *
მთვარე —
ბებოჩემის ყვითელი კრუსი,
მთელი ღამე
ვარსკვლავებს ჩეკავს.

* * *
მოდგა სიბერე —
ჩემი ზამთარი
და უნებურად
უცხო მხარეში გასაფრენად
გავშალე ფრთები.

* * *

როცა სიკვდილის
პირისპირ დავრჩი,
მაშინლა მივხვდი,
რანაირად მარტო ვყოფილვარ.
თვალსანიერზე
ჩემი შვილის ჯერ ისევ ნედლი,
გამოუცდელი მხრების გარდა
არც არა ჩანდა,
არავინ იყო,
თუნდა წუთით
რომ მივყრდნობოდი.

* * *

რას მელაპარაკება
ნეტავ ეს შაშვი, —
მუდამ თალხებით შემოსილი
ბეზიარაღი?!
რას შემომჩივის
გონთგადასული,
რა ტკივილზე მესაუბრება?!

არაფერი მესმის,
თვალეებზე კი
ცრემლი მომადგა.

* * *

მამაჩემი რომ
გარდაიცვალა,
იმ გაზაფხულზე
ჩვენი სახლის
კუნჭულ-კუთხეში
მერცხლებმა აღარ დაიბუდეს.

* * *

ნუ შეგეშინდება,
რომ სიყვარული წავა
და მარტო დარჩები,
აბა შეხედე მინდვრის კიდიდან
მაყვლის ის ბუჩქი
რა მოელვარე,
მუგუზალის თვალთ გიცქერის.



ეკა ბაქრაძე

გზა

(ფრაგმენტები პოემიდან)

იქ, მწვერვალეებზე...
სადაც უღრანი ტყესავით ბლანტისფერი ნისლია...
არასდროს მდგარხარ?
ციდან ნაჟური მთიანეთი პეშვი არ აგისია?
დაკვირვებისხარ?
ჯგროდ შეყრილ ღრუბლებს
ქარი საითკენ მიერეკება...
ან სიმნრის ოფლით დანადმულ შუბლზე
გიგრძენია ფიქრის ცივი შეხება?...
მწვერვალზე მდგარხარ?
მოლიპულ გზაზე,
ფეხი არასდროს არ დაგცდენია?!
სამოთხის ბაღში, აკრძალულ ხილზე,
თვალი და ხელი არ ნაცდენია?!
დანაშაული ჩაგიდენია?!
დაუთმენელი დაგიტმენია?!
რა დაგრჩენია...
განაჩენია...
საკუთარ თავს რომ ძალიან გავხარ...
და ის სხვა არ ხარ, რომ ის სხვა არ ხარ...
ციდან ნაჟური მთიანეთი პეშვით

მწვერვალზე მდგარხარ?
მწვერვალზე მდგარხარ?!

ჩავიბილიკე კლდის ნაპრალები,
ვუგანე მხარი პირქუშ ქარაფებს.
ქარებმა ავად ჩაიქილიკეს,
აზრი არ აქვსო ახლა არაფერს.
სისინებს ქარი... და ცოცხალ-მკვდარი
ქარაფებიდან დაღმა ვეშვები...
უფსკრული აფრენს უფსკერო ხახას,
ალესილი აქვს ღამეს ეშვები...
უზარმაზარი, სველი პეშვებით
სახეში სილა გამანწაწა წვიმამ...
როგორც მახეში გაბზული ჩიტი
ფართხალებს გული...
და ცრემლი ბრწყინავს
წკვარამი ღამის თვალის გუგებში...
როგორც ოდესღაც, დიდი ხნის წინათ,
მივიწყებული სიტყვა-წუგეში...
აგორებული ლოდევით დაძრულს
ვიღაცა ძლიერ ხელს შემაშვებებს...
და შემაჩერებს უფსკრულის პირას...
და კვლავ ბედისწერის დაჭიმულ სპირალს
გამოაბამს იმედის ბორანს...
იღვიძებს დილა და ქარაფებში
ცა გაჭვარტლული ქრაქივით ბოლავს...

იღვიძებს დილა... ისევ ბინდია...
მზერა ამღვრეულ ნისლში დაცურავს...
ნეტავ ღრუბლები საით მიდიან,
გზა ადგილიდან ჯერ არ დაძრულა...
გზაჯვარედინზე, პირგახსნილ საფლავს
ახლავს სიკვდილის ეპიტაფია...
აქ ავსულები დასუნსულებენ,
ქარებს ტყეები აუკაფიათ...
აქ ათას წვრილმანს აშიშვლებს მზერა,

ნანახი განცდილს არაფრით მოჰგავს...
და აღარ მჯერა რომ აღარ მჯერა,
მაჯა რომ ფეთქავს, სისხლი რომ ბორგავს!..
დაღმა დინება ისე სწრაფია,
რომ უკანასკნელ ეპიტაფიად
აშვებულ აფრებს ვაფენ ნიაფქარს...
გზა მიმაქანებს... გზა აღარ მზოგავს,
როგორც გრივალი გემის იალქანს...

გზებო, საითკენ მიემართებით?
უმისამართო მისამართებით,
ამ აღმართებით და დაღმართებით,
უკიდევანო ზეცის კალთებით...
აგორებული ქვის აკორდებით,
აკორდებითა და მწვანე კონცხებით,
ხავსმოდებული, მიიმელოდებით...
ვიდრე სივრცეში ჩაიფორცხებით,
ცოტა ხნით მაინც დამელოდებით?
მთაში მორცხვები და გულგრილები,
ბარში თამამად მკერდგახსნილები,
აკორებული, შიშველ ბორცვებით,
ფეხისგულებით დამეკოცნებით
და უგზობით გადაღლილები
საშვილიშვილოდ დამელოცებით...
მაგ აღმართებით და დაღმართებით,
უკიდევანო სივრცის კალთებით,
გზებო, საითკენ მიემართებით?
გზებო, საითკენ მოიწვართებით?

მე მათუსალას ასაკს გადავცდი...
ყოფნა-არყოფნის მიჯნას გადავცდი —
მრავლის მომსწრე და ყოვლისმნახველი,
უხსოვარ დღეთა თანამზრახველი...
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი...
რამდენი რამე მაქვს გასამხელი,
მაგრამ სათქმელი მეჩითიერება...
სიტყვა ყლუპივით ყელში გადამცდა,
არც სახე შემრჩა, აღარც სახელი...
მე, მათუსალას ასაკს გადამცდარს,
ხომ მომიტყევე ცოდვას გამხელილს?
ო, ყოვლისშემწვე ღმერთო მაღალო!
უხსოვარ დღეთა ხსოვნის წინაშე
თავი მიწამდე უნდა დაეხარო...
ველარც ევას ვცნობ, ვერც ადამის ძეს,
ჯოჯოხეთის კუპრს ანთხევს სამყარო!..
სამოთხის ბალი უწყალოდ ჩეხეს,
ზურგი აქციეს ხატს და მაცხოვარს...
ვინ დაუკოცნის სატანას ფეხებს?..
ვინ გადაუგდებს ხურდას მათხოვარს?
— აჰა, შედეგი!!!
— ვინ არს შემდეგი?!
— ვინ არს შემდეგი?!
ვინ არს შემდეგი!!!
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი
და უსასრულო ღამეს ვითენებ...
ხის კენწეროზე ნებვირობს გველი
უზარმაზარი, ქრელი პითონი...
შემომამშველე ძლიერი ხელი!!!
უფალო ჩემო, გზა გამიმრთელე!!!
სულს სამარემდე მაინც მივათრევ,

არ ჩამდგომია მგლის მუხლში დაღლა!..
მე დიოგენეს ფარანს ვინათებ,
მე მათუსალას ხნისა ვარ ახლა!!!
მე მათუსალას ასაკს გადავცდი...

* * *

მარჯვნივ ნახვალ — დაილუპები,
მარცხნივ ნახვალ — დაილუპები...
ნარწერა ქვაზე

დაილუპები თუ მარჯვნივ ნახვალ,
მარცხნივ ხომ მარცხი გარდუვალია.
რადგანაც უკან წამსვლელი არ ხარ,
არც წინ ისწრაფვი ასე ძალიან —
გზაჯვარედინზე უსიტყვოდ დგახარ,
არ იცი რა და რისი ბრალია,
ან რუბიკონი ვინ გადალახა,
ვინ ჩაილურის წყალი დალია?
ვიღაც მხდალია და ლაჩარია
და საკუთარი სისხლი აშინებს
და ცოდვას სჩადის ჯერარგაგონილს,
ძალზედ უარესს, რაღაც საშინელს...
შენ კი ზღაპრიდან
აგორებულ ქვაზე განერილ
ორად ორ სიტყვად
ბედისწერა მოგიგდეს და
კარგად მეყოლე...
ყელზე ყულფივით გაინასკვა
გზაჯვარედინი...
რა შეგაჩერებს?
გზა — სისხლივით მარად მედინი,
უმისამართოდ აგიყოლიებს
და ჯანდაბაში გაგიყოლიებს...
ვიდრე სიბ ქვაზე დაგანარცხებს
და დაგამარცხებს,
ორად ორ სიტყვას
შეგონებად შუბლზე წაგაცხებს:
— თუ მარჯვნივ ნახვალ — დაილუპები,
— თუ მარცხნივ ნახვალ — დაილუპები...
როგორც სიამის გონჯი ტყუპები,
ისე შეზრდილან სიტყვებს სიტყვები.
გზაჯვარედინზე დგახარ და ფიქრით
დაუსაბამო სივრცეს მიჰყვები...
გზა გახსნილია...
ოთხივ კუთხივ გიხმობს სავალი,
მაგრამ სად არის
„არსაიდან“ გამოსავალი?!
— რა ბედენაა? — იტყვის მავანი,
ყველა „სიკეთის“ ავანჩავანი,
სოდომ-გომორის მამამთავარი...
მარჯვნივ თუ მარცხნივ?
უკან, წინ?
საით მიემართები გზაო, მითხარი!
გაურკვეველი ქვაზე წარწერით
უგზო-უკვლო და ნაუკითხავი...
აბა რა გითხრა, რით განუგეშო,
სწორი გზა როგორ უნდა გაჩვენო,
შენ თავო ჩემო, რით ვაგახარო?..
თუ საკუთარი ღერძის გარშემო
ბრუნავს სრულიად შენი სამყარო...
თუ ისევ თრგუნავ იქვის ბაცილებს

და რწმენა გახლავს
ცოდვათდაცემის
შემდგომ სასჯელი
თუ არ გამძიმებს...
ნუ გეშინია!
პარალელურ სივრცეებს შორის
გაიდო დიდი სინათლის ხიდი...
იმ გზას დაადექ
მხოლოდ და მხოლოდ,
რომელიც უფლის ნიაღში მიდის...
ბოლოს ყველა გზა
უფალთან მიდის,
რადგან ყველა გზა
უფალთან მიდის!!!

**პასუხი შაკითხვაზე:
„ღეღიკო, ჩიტი რამდენი წლისაა?“**

— ჩიტი რამდენი წლისაა?
— აბა რა გითხრა, რა ვიცი
ასაკი ჯერ არ ატყვია.
ვინ რას გაიგებს, მოდი და
იქნება სულაც ბარტყია.
— ხის კენწეროზე ტოტიდან
ახლა არ წამოფრთხილდა?
— სარჩოს დაეძებს, შია და
ფრენას ნელ-ნელა ეჩვევა,
დედა ჩიტი რომ გახდება
ბუდეს ხომ უნდა შერჩევა?
ჩიტი რამდენი წლისაა?
შენ მაინც როგორ გგონია?
— ბებერი ჩიტი?... ლმერთმანი,
ჯერ არსად გამიგონია...
მგონი რალაცას ვერ ვხვდები...
ჩიტი ბებერი წლისაა?
— რამდენი ღერი ბუმბულიც
ამშვენებს იმდენისაა,
— ჩვენი ლამაზი პლანეტის
ფირუზისფერი ცისაა,
რამდენსაც შემოგჭაკჭაკებს,
სწორედ იმდენი წლისაა!

**P.S.
პასუხის პასუხი**

„ჩიტი რამდენი წლისაა“ — კითხვაზე
პასუხს კარგა ხანს დავეძებდი,
არც თუ უსაფუძვლოდ დაბნეული,
ლობეში გაჭედილი კურდღელივით,
ფეტვის მარცვლივით დაპნეული...
გული კი კაკანათში გახლართული
ჩიტივით ძალუმად ფართქალობდა,
სულ სხვა ხაზზე იყო გადართული,
პასუხის გაცემას არ ჩქარობდა.
მერე თვალები ამეხილა!..
ჯადოსნურ სიტყვებზე გამემხილა
სათქმელი... დუმილი დავარღვიე,
ბოლოს როგორც იქნა გავარკვიე
ჩიტის პირნიგნაკი და ასაკი —
აჰა! ჩემი ცა და ოქროყანა —
ლექსი ხელისგულზე ასაკენიკი!..

გვანცა შუბითიძე

**მჯერა, საუბელად
ვილაცა მოვა**



უამრავი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, ვისაც დახმარება და გვერდში დგომა ესა-
ჭიროება. საბედნიეროდ, ჩვენში არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც გული შეს-
ტკივით და ყველაფერს აკეთებენ მათ დასახმარებლად. ერთ-ერთი ასეთი პიროვნე-
ბა გახლავთ **პავლე გურგენიძე**. მან შექმნა ორგანიზაცია „გვერდში დგომა თანად-
გომა“, რომლის ლოზუნგია „ვისაც უჭირს ფეხზე დგომა, მიიღებს ის თანადგომას“.

პავლე გურგენიძე ახალგაზრდა პოეტია, რომელმაც 4-5 წლისამ აღმოაჩინა სა-
კუთარ თავში პოეტური ნიჭი. პირველი ლექსი დაწერა 1995 წელს, 5 წლისამ, მამა-
შვილურ სიყვარულზე. 2010 წელს გამოუშვა თავისი პირველი კრებული, სახელწო-
დებით „შენ ჩემი ლექსის სტიქია გქვია“, რომლის პრეზენტაციაც მალევე გაიმართა.

2010 წელს „სელ“-ში გაიცნო **თინათინ რეხვიაშვილი**, ამავე უნივერსიტეტის
სტუდენტი. იგი წერს ლექსებს, მღერის **დები გოგოჭურების** ანსამბლში. გამოცე-
მული აქვს ლექსების 4 კრებული. თინათინს ავადმყოფობის (ცერებრალური დამბ-
ლა) გამო უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება. მას სჭირდება ოპერაცია. დე-
დასთან ერთად ცხოვრობს მოხუცებულთა თავშესაფარში. იყო „ფონდი იავნანა“-ს
სტიპენდიანი. პავლეს გაუჩნდა სურვილი, დახმარებოდა მას. 2011 წელს მოიფიქრა
პროექტის იდეა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ჩაიშალა ეს პროექტი და გადაი-
დო ორი წლით. ბოლოსდაბოლოს ახალგაზრდა პოეტმა ხორცი შეასხა ამ იდეას და
შექმნა ასეთი ორგანიზაცია „გვერდში დგომა თანადგომა“. ამ პროექტში ჩართუ-
ლია თითქმის ყველა უნივერსიტეტის თვითმართველობა, ფართომასშტაბურია და
კიდევ ელოდებიან ხალხისგან აქტიურობას. ვანზრახული აქვთ შემოიარონ მთელი
საქართველო და არამარტო, მის ფარგლებს გარეთაც იგეგმება ღონისძიებები.

პროექტის თანაგებტორია **მარიამ სახიაშვილი**. მხარდამჭერი და ლობისტი **გვან-
ცა პრეგვაძე**. ორგანიზაციის საპატიო წევრები არიან: **ვლადიმერ ინასარიძე, თა-
მარ მერლანი, ირაკლი დეისაძე**. ინფორმაციული უზრუნველყოფა ევალებათ: **თა-
თუკა კანდელაკა** და **სალომე დავითულიანს**, პიარ-მენეჯერი **გვანცა შუბითიძე**.

მათი ორგანიზატორობით, თინათინ რეხვიაშვილის დასახმარებლად საქარ-
თველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა პოეზიის საღამო „დავეხმაროთ თი-
ნას“. მონაწილეობდნენ პოეტები: **თინათინ რეხვიაშვილი, პავლე გურგენიძე,
გიორგი ჭუმბაძე, მიხეილ მებაღე, ბექა ტაბატაძე, ირაკლი დეისაძე, თორნიკე
ნაოზაური, გიორგი აბუაშვილი, ლაშა ხმალაძე**.

მუსიკოსი: **ვლადიმერ ინასარიძე**.
საღამოს წამყვანი გახლდათ **პავლე გურგენიძე**.
პოეტებმა წაიკითხეს როგორც საკუთარი, ასევე თინას ლექსები.
ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, მათი
მეგობრები და ის ადამიანები, ვისაც სურვილი ჰქონდა მცირეოდენი წვლილი შეე-
ტანა თინას დასახმარებლად.
საღამო დაასრულა ვლადიმერ ინასარიძემ სიმღერით „ლალე“.

**რას ვუშავეზ ნუთისოფელს არ ვიცი,
დარდინი აღმა-დაღმა დავდივარ,
ვინ რა იცის, რას ვგრძნობ ან რას განვიცდი,
ამ ცხოვრების უბილეთო მგზავრი ვარ!**
(თინათინ რეხვიაშვილი)

როსტომ ჩხეიძე

დროისა, მდინარისა და თევზების შესახებ

ვეძღვნი ზვიად გამსახურდიას,
ვისაც განსაკუთრებულად ზარავდა
მდინარეს დაყოლებული თევზების ხვედრი

ჰაუარდ რორკს გადამწყვეტი ნუთები დასდგომია ცხოვრებაში.

ბედისწერას მის კარზეც ჩამოურეკავს და, აი, კიდევ წარმდგარა სამსჯავროს წინაშე ძალიან მძიმე ბრალდებით.

ხუროთმოძღვარს ტერორისტი შერქმევია და სამისო საბუთი კი საძიებელი არ გახდომია პოლიციას — აფეთქების ხმა რომ გააყრუებს იქაურობას და წესრიგის დამცველნი მიცვივდებიან, ჰაუარდ რორკი დეტონატორით ხელში დგას და იცდის.

არც მანამდე აპირებდა დამალვას, ამფეთქებული თვითონ რომ გახლდათ, და არც წამიერად მოერეოდა შიში თუ ცთუნება, სასწრაფოდ გასცლოდა იმ ადგილს.

და ახლა სამსჯავროს წინაშე მდგარი ან უნდა სამუდამოდ დასამარდეს როგორც არქიტექტორი და ან გარღვიოს გარემომცველი სივრცე და ახალ გზაზე გაიყვანოს ხუროთმოძღვრება.

ცხადია, უფრო პირველია მოსალოდნელი — ტერორისტის სახელით ძალზე ძნელია თავდახსნაც კი, არამცთუ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ცხოვრების შემოტრიალება.

მაგრამ რორკი ასე ადვილად არ დანებდება ბედისწერას.

სიტყვის წარმოთქმის უფლება აქვს და ამ უფლების წარმატებით გამოყენება მასზე ჰკიდია. და კიდევ — ნაფიც მსაჯულებზე. და კიდევ — იმ საზოგადოებაზე, რომელიც მთელი არსებით იცავს გაბატონებულ მორალსა და შეხედულებებს და ადვილად არავის დაანებებს მის ხელყოფას.

თუმცა მანამდე...

* * *

არქიტექტურისათვის სხვადასხვა მეტაფორა და შედარება რომ გამოუძებნიათ, გაქვევებულ მუსიკადაც მოუხსენებიათ.

პოეტური შედარებაა. პირველგამოთქმისას — ძალიანაც ეფექტური, მერე სულ უფრო რომ შეეჩვიოდა ყური, ჩვეულებრივ შედარებათა რიგში მოექცეოდა.

თუმცა ვიქტორ ჰიუგო მარტოდენ მეტაფორად სულაც არ აღიქვამდა ამგვარ მოქმედებას ფრანსისა და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ ცალკე თავად რომ ჩართავდა ამ ტაძრის არქიტექტურულ განსჯას, წინასწარგანზრახვითა თუ უნებლიეთ შექმნიდა კლასიკურ მონახაზსა თუ ნიმუშს, როგორ უნდა იწერებოდეს არქიტექტურის ისტორია — როგორი პოეტური სულით, სტილური ხელოვნებითა და არტისტიზმით, როგორი სისადავითა და სიღრმით.

ან რენდი არსად ასხენებს არც ვიქტორ ჰიუგოს და არც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მის რომანში „პირველწყარო“ („არტე“, 2012) ჩართული მსჯელობანი არქიტექტურის ირგვლივ შთავაგონებული სწორედ ფრანგი კლასიკოსის იმ რომანითა და კერძოდ იმ თავით იყოს — არც პოეტური სული და სტილური ხელოვნება რომ არ აკლია, არც არტისტიზმი, არც სისადავე და სიღრმე.

სწორედ იმას აღვნიშნავ.

იმას აეყოლებინოს.

უშუალოდ, ცხადია, არაფერს გაიმეორებდა, „პირველწყაროს“ მთავარი გმირის — ჰაუარდ რორკისა არ იყოს — ვინც

დიდი დამფასებელი კი გახლავთ კლასიკური სტილისა და გარდასული ხანის ხუროთმოძღვართა ხელოვნების, მაგრამ მიაჩნია, რომ გაუთავებელი მიბაძვა და ასლების გადმოღება დამლუპველია არქიტექტურისათვის.

გაბატონებული გემოვნება სწორედ მიბაძვასა და ასლების გადმოღებას მოითხოვს?

და წარჩინებული, უფრო ზუსტად, მედროვე არქიტექტორები მორჩილად აღასრულებენ ამ მოთხოვნას?

ახალი გზის გაკვალვის მონადინეს დიდი და იქნებ სულაც გადაუღალხავი დაბრკოლებანი ელოდება?

მაგრამ ხომ არსებობენ ფანატიზმის, თავგანწირვის სულით აღვსილი ადამიანები, რომელნიც სიკვდილს ამჯობინებენ და რწმენას კი არაფრისდიდებით არ უღალატებენ, რწმენას — ნამდვილი ღირებულების შექმნისა ყალბი მოთხოვნებისა და სქემების უარყოფით.

ან რენდის სჯეროდა ასეთი ადამიანების არსებობა თანამედროვეობაშიც, ყოველ შემთხვევაში იდეალს წარმოსახავდა.

და რომანის წინათქმაში უსაზღვრო მადლიერებას რომ დაუდასტურებდა ხუროთმოძღვრის დიად პროფესიას, საგანგებოდ გაიხსენებდა მის იმ გმირებს, საკაცობრიო გენიის უმაღლესი გამოვლინების მაგალითები რომ გვისახსოვრეს, მათი სახელები კი გაქრა — სრულიად უცნობი დარჩნენ ადამიანთა უმრავლესობისათვის.

ჰაუარდ რორკი ყველას სიმბოლოდ წარმოისახებოდა, ანტიკური გმირივით შეჯახებული მასობრივ კულტურას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელს ამოფარებული სინამდვილეში ადამიანის უფლებებს რომ ზღუდავდა და სულაც სრესს.

და დემოკრატიული მორალის წინაშე მდგარი პიროვნება ყოველთვის განწირულია.

თორემ აგერ სოკრატე, ვისი გასამართლებაც დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით — ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის, მითუმეტეს, გაყალბების გარეშე — რომ მოხდებოდა და... სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ ორჯერ გამართული კენჭისყრისას.

მეორედ კიდევ უფრო მეტ შავ ხმას ჩაუგდებდნენ. და ეს მას შემდეგ, რაც იმ სიტყვას წარმოთქვამდა, დღემდე რომ აღტაცებას ჰგვრის კაცობრიობას პლატონისეული ლიტერატურული ვერსიის წყალობით.

ნაცვლად იმისა, მონინალმდეგენიც თავის მხარეს გადმოებირებინა, მომხრეებიდანაც დაკარგავდა უამრავ თანამოქალაქეს, რომელნიც განრისხდებოდნენ მისი შეუპოვრობითა და თავზეხელაღებულობით, მისი წინასწარმეტყველური პათოსითა და მკაცრი განსჯით, ადამიანური ბუნების სიმდაბლესა და ნაკლოვანებებს რომ ამხელდა.

ოდნავი მონანიება, ოდნავი ფარისევლობა მისი ბედის გადამწყვეტთა წინაშე და... ათენელები მზად იყვნენ მიეტყვებინათ სოკრატესათვის, ამდენი წელია აბეზარი კრახანასავით რომ დასტრიალებდა თავს თვისტომთ და მათ ზნეობრივ ამაღლებას ესწრაფოდა მათი თავმოყვარეობის შეჯანჯღარებითა და ყოველდღიურობის ბანგიდან მათი გამოფხიზლებით.

მაგრამ სოკრატეს ის საჯარო სიტყვა იმ ოდნავსაც არ გაირევდა და იგი მიმართავდა არამარტო იქ შეკრებილთ, არამედ — ყველა ქვეყნისა და დროის ადამიანებს.

და დემოკრატიული მსჯავრი საბედისწერო აღმოჩნდებოდა. ეს მარტოდენ ათენური დემოკრატია კი არ ხლავდა, არამედ — საერთოდ დემოკრატის არსი და ბუნება.

ამ არსსა და ბუნებას ამჯერად ჰაუარდ რორკი უნდა შეეხალღოს და სასამართლოზე წარმოთქმულ მის საჯარო სიტყვაშიც არ უნდა გაეროს მონანიებისა თუ ფარისევლობის ნასახიც კი. და მისი გამოსვლაც იმით უნდა გამოირჩეოდეს, რომ მხოლოდ იქ შეკრებილთ კი არ მიმართავდეს, არამედ მთელ კაცობრიობას, და ამხელდეს მასობრივი, კოლექტიური მორალისა და აზროვნების უმნიფარობასაც და ძალადობრივ სულისკვეთებასაც.

სასამართლოში საიდან აღმოჩნდა? მან ხომ „კორტლენდი“ ააფეთქა, თითქმის ბოლომდე აშენებული დასახლება — მის მიერ დაპროექტებული, საზღაურად კი არაფერს ითხოვდა — არც ფულს, არც სახელ-დიდებას, არამედ — მისი ქმნილების უცვლელი სახით წარმოჩენას.

პიროვნულად დაპროექტებული შენობები მასობრივი გემოვნების მოთხოვნებს შეეწინააღმდეგებდა და თავმოყვარეობაშეუღებელი და განრისხებული ჰაუარდ რორკი იმ დასახლებასაც გაიმეტებდა და საკუთარ თავსაც, რადგანაც დაე ხალხს მოესმინა ჭეშმარიტი გენიის ლაღადისი და მკაცრი მუნათი და, თუ ვერ გამოერკვეოდა სიცრუის, სტერეოტიპთა ბანგისაგან, ოდნავ მაინც შეჯანჯღარებულოყო.

თითქოს სოკრატეს სული გადმოსახლებულიყო ჰაუარდ რორკის არსებაში.

თითქოს გუინპლენის ორატორული გამოსვლა განმეორებულიყო — ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“ აკი კვლავაც პიროვნების ტრაგიზმს წარმოაჩენდა მასობრივი მორალისა და შეხედულებების წინაშე, მის მიუსაფრობას და ამო შეწყდომას ამ მორალის ქვის კედლებთან სიმართლისა და კეთილშობილების სახელით.

თუ სოკრატე ვერ გამოაფხიზლებდა თვისტომთ, გუინპლენიც მარცხისათვის გაინირობოდა.

და, აი, ჰაუარდ რორკი მათ ნაცვლადაც მოჰყვებოდა მტკიცებას იმ — დემოკრატიისაგან უარყოფილი და ფეხქვეშ გათელილი — ჭეშმარიტებისა, რომ კაცობრიობის მიღწევების თაობაზე შექმნილ ნებისმიერ მითსა თუ ლეგენდას ერთი პიროვნება გამოჰყავდა პირველადმოჩენად, რომელიც თავისივე მიღწევის მსხვერპლი ხდებოდა, და როგორც უნდა ყოფილიყო გადმოცემა, კაცობრიობის მესხიერების რომელიც კუნჭულში მუდამ ჩნდება ხოლმე იმ პირველგამკვალავის აჩრდილი, თავისივე პირველობას რომ ენიჭება.

იარაღად რა ებადათ?

მხოლოდ საკუთარი სიმართლე.

და პირველ ნაბიჯს, გაუკვალავ გზას, მართალ ხედვას ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ხვედრი რგებოდა: გარემომცველთა აღშფოთება და სიძულვილი.

— ყველა დიდი შემოქმედი მარტოსული გახლდათ და საერთო აზრის წინააღმდეგობი. ყოველ სიახლეს მოწინააღმდეგე ბევრი ჰყავს, მხარდამჭერი კი ცოტა. პირველი ძრავა გიჟის ნახელავად მოინათლა, აეროპლანი — განწირულის სულისკვეთებად, ანუთიუზი — ღვთის გმობად... მაგრამ ერთეულები ჯიუტად აგრძელებდნენ თავისას, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და იღუპებოდნენ. მხოლოდ მათი საქმე რჩებოდა გამარჯვებული.

ეს ის თვალსაზრისია, რომელსაც ყველა იზიარებს, ეგაა, საკუთარ თავს არ გულისხმობენ პირველადმოჩენთა მდევენელებს შორის და დარწმუნებულნი არიან, მაშინ რომ დაბადებულიყვნენ, ამა თუ იმ პირველგამკვალავის ჩაქოლების ჟამს, უთუოდ განწირულთა გვერდით დადგებოდნენ და შეეცდებოდნენ მათ დახსნას დემოკრატიული სიძულვილისა და დაუნდობლობისაგან. მაგრამ აკერ გვერდით მომხდარ, სწორედ ასეთივე ტრაგედიას ან გულგრილად შეჰყურებენ და ან ჩამქოლავთა შორის იმყოფებიან და სხვათაც აქეზებენ: ჰკა მაგას და ჯვარს აცვი ეგო!..

და სამსჯავროს წინაშე წარმდგარი ხუროთმოძღვარი ყველაფერს ძირისძირობამდე გააშიშვლებდა — სოკრატული თუ გუინპლენური დაურიდებლობითა და შეუპოვრობით.

ამ მარტოსულთა სიმართლე რატომ იდგა ყოველთვის ყველასა და ყველაფერზე მაღლა?

რატომ და:



— შემქმნელი არავის და არაფერს ემსახურებოდა, ის თავისთვის ქმნიდა, თუმც არა — სათავისოდ! და სწორედ ხალხის ნების უგულვებლყოფით ახერხებდა შექმნას ისეთი რამ, რაც კაცობრიობას განადიდებდა. სწორედ ამგვარია ნებისმიერი შემოქმედისა და მისი ქმნილების ბუნებაც.

სწორედ ხალხის ნების უგულვებლყოფითო...

რამ, ცდილობდნენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ არსებობს კოლექტიური გონი და კოლექტიური გონიერება?

რორკს სასაცილოდაც არ ეყოფოდა ამგვარი შეხედულება, როგორც ადამიანთა ერთი ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების მიერ მიღწეული შეთანხმება — მრავალთა ნააზრევიდან გამოყვანილი საშუალო არითმეტიკული.

სინამდვილეში ეს ხომ მხოლოდ მეორადი პროცესი გახლდათ.

პირველადი კი — თვითონ გააზრება — ერთეულთა ხვედრად რჩებოდა.

— შეგვიძლია ბოლო ლუკმაც გაუყუთ სხვას, მაგრამ ამით კოლექტივი ვერ დანაყრდება. კაცი სხვის მაგივრად ვერ ისუნთქებს, ისევე, როგორც სხვისი გონება არ გაძლევს შენ ფიქრის საშუალებას; სხეულისა და გონების მოქმედება ყოველთვის ინდივიდუალურია — მას ვერც შეეცვლი და ვერც გაუყოფ ვინმეს.

სხვათა ნაფიქრალს რომ ვიყენებთ, ბორბალს, ეტლსა თუ ავტომობილს, ჩვენი ცივილიზაციის პირველწყარო ხომ ყოველთვის ერთეულთა ფიქრი და განსჯაა.

და ეს იმიტომ, რომ შემოქმედებით საწყისს ვერც გაასხვიებს და ვერც გააჩუქებს, ხოლო ცოდნას თუ ვუზიარებთ ერთმანეთს, ცოდნა ხომ საბოლოო ნაყოფია, რომლის შექმნის უნარსაც ვერაფრისდიდებით ვერ გაუზიარებ ვერავის.

ალტრუიზმის მოძღვრებას, ასერიგად მომხიბლავსა და აღტაცების მომგვრელს, როგორღა უყურებდა ორატორი? სხვეებისათვის ცხოვრებას.

საკუთარ თავზე მაღლა სხვების დაყენებას.

წარმოსახვაში, ოცნებაში რატომაც არა — ფარისევლურად კი არა, სავსებით გულწრფელადაც შეიძლება ამის მტკიცება, მაგრამ... რეალობა რომ სულ სხვას გვკარნახობს?! სხვისთვის როგორ უნდა იცხოვრო, როდესაც საკუთარ სულს ისევე ვერ გაუცვლი ვერავის, როგორც საკუთარ სხეულს.

— ვინც ამას ცდილობს, იმთავითვე მონად იქცევა, სულიერ მონობასთან კი ხორციელი რა მოსატანია: ფიზიკურად და მონებულმა შესაძლოა შინაგანი ღირსება მაინც შეინარჩუნოს, მაგრამ მოყვასის სიყვარულით გამართლებული სულიერი მონობა აღარაფერს ტოვებს შენგან.

ეს რაღა ცხოვრებისეული ფილოსოფია და შეგონება გახლდათ, სინამდვილეში ერთნაირად რომ შეურაცხყოფდა ადამიანის ღირსებასაც და ღვთისნიერ სიყვარულსაც?

მაგრამ თუ ესაა ალტრუიზმის არსი?

და თუ არაფრისდიდებით არ შეიძლება ადამიანებს ურჩევდ, რომ მკვდარი თევზებით დაუყვინ დინებას?! და არც ის შეიძლება, გაუთავებლად უჩინებდ: „მე“ ბოროტების სინონიმია და მხოლოდ თანხმობაა უდიდესი სათნოება.

უპირველესი უფლება ადამიანისა „მე“ არისო, — ასე მკვეთრად დაუპირისპირდებოდა ჰაუარდ რორკი საზოგადოებრივ მორალს, დაე სხვებს ელაპარაკათ ჩურჩულითა და აქეთ-იქით გახედვა-გამოხედვით, რორკი, ფრიდრიხ ნიცშესი არ იყო, ხმა-მაღლა გააცხადებდა გულისნადებს და ბოლომდე გააშიშვლებდა საბურველის ქვეშ მიმაღულ სულიერ უფსკრულებს და დაუბეჯითებდა ყველას ადამიანის უპირველეს მოვალეობას, რაც ნიშნავდა ვალდებულებას საკუთარი თავის წინაშე:

— იგი მოვალეა, არასდროს გადაუხვიოს საკუთარ მიზნებს სხვა ადამიანების გამო, დაემორჩილოს მხოლოდ საკუთარ სურვილებს, რომლებიც მხოლოდ მისგან გამომდინარეობს.

ეს მოსაზრება, ასე ზოგადად, უთუოდ შეცბუნებას გამოიწვევს შესაფერისი დაზუსტების გარეშე, დაკიდევ განმარტავდა რორკი, რომ ეს ეხებოდა ადამიანის შემოქმედებით უნარს, გონსა და შრომას, და არაფრისდღობით — ბოროტ-მოქმედს, ალტრუისტსა ან დიქტატორს.

ამ სამივეს ეგოისტად რომ ნათლავენ, რორკი ეჭვს შეიტანდა ამგვარ განსაზღვრებაში, და კიდევ — არც მმართველს და არც იმპერატორს არ მიიჩნევდა ეგოისტად იმ უბრალო მიზნების გამო, რომ ისინი არაფერს ქმნიან და მთლიანად სხვის ხარჯზე არსებობენ.

და, აი, ორი ურთიერთსაპირისპირო ხედვა, დასაბამიდან რომ ეჯახება ერთმანეთს — შემქმნელისა და მომხმარებლის.

ამ ფონზე კი სევდანარევემა ირონიამაც უნდა გაიფიქროს: ბოროტის მომგონს დანარჩენებმა მადლობის მაგიერ ალბათ ბრალიც დასდეს — სხვებისგან გინდა გამორჩევაო, და ერთ-ფეროვნება, მასის მოთხოვნებიანი დაუპირისპირეო.

საერთო სიკეთის ცნება კი სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა ყოველგვარი ტირანიის გამართლება — ბრბოს ბატონობისა პიროვნებაზე:

— ის ათასი უბედურება, რაც ნებისმიერმა დიქტატორმა, იმპერატორმა თუ მმართველმა დაატეხა თავზე ხალხს, მუდამ ხალხისავე კეთილდღეობაზე ზრუნვით ინიღბებოდა. კოცონისა თუ გილიოტინის მეშვეობით სურდათ, სიკეთეს გაემარჯვა ბოროტებაზე და მსხვერპლშენიღვასაც ამით ამართლებდნენ — დიადი საბოლოო მიზნის მიღწევის სურვილით. ამგვარი კეთილი სურვილებით კი, მოგეხსენებათ, ჯოჯოხეთის გზაა მოფენილი.

ბოლოსდაბოლოს უნდა მივმხვდარიყავით, რომ უანგარობა თავისთავად სულაც არ არის სიკეთის მომტანი და როდესაც ალტრუისტი აიძულეს ხალხს, ვითომდა თავისავე სასიკეთოდ გაიღოს მსხვერპლი, სინამდვილეში ეს მსხვერპლი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი პიროვნულობის წაშლა.

ხოლო როდესაც საზოგადოება სანინაალმდეგო პრინციპს ეფუძნება?

და რორკი ალტაცებას გამოთქვამდა დამფუძნებელ მამათა ნააზრევით, სადაც ვერსად შეხედებოდათ თავგანწირვისა თუ ალტრუიზმისაკენ მოწოდებებს, რადგანაც მათთვის უზენაესი ღირებულება ცალკეული ადამიანისათვის ბედნიერებასთან ზიარების უფლების უზრუნველყოფა გახლდათ, ანუ — სწორედ პიროვნული ბედნიერება უნდა ყოფილიყო საბოლოო მიზანიცა და ამოცანაც, და არა საკუთარ ხარჯზე ვიღაც სხვის გაბედნიერება.

რორკის გამოსვლაში აშკარად შემოიჭრებოდა ლიბერალური დოქტრინის ნოტები და ამერიკული დემოკრატიის დითირამბიცი გამოერეოდა: იმთავითვე სწორედ ამ საძირკველს დაეფუძნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობა. ბარბაროსთა კულტურა საერთო ტომობრივ კანონებზეა დამყარებული, ცივილიზაცია კი ბრბოსაგან ადამიანის გათავისუფლების პროცესიაო, — და მოსალოდნელ საშიშროებაზეც ჩამოვარდებოდა სიტყვა:

— კოლექტივიზმი პარაზიტის ცხოვრების წესია, მეორადი ადამიანის კანონია, უძველესი მონსტრის. ეს საუკუნეების მანძილზე წამლავდა ადამიანთა გონებას, შთანთქმა თითქმის მთელი ევროპა, ახლა ჩვენს ქვეყანაშიც იკიდებს ფეხს.

ალარ გაგრძელებოდა ეს მწვავე თემა იმ გარემოების აღნიშვნით, თუ სად, რომელ ქვეყანაში მიეღნია კოლექტივიზმის პრინციპს უკიდურესობისათვის სახელმწიფოებრივი ძალმომრეობით განმტკიცებულს, და ეს იმიტომ, რომ აინ რენდისათვის მთავარი გახლდათ ამერიკული დემოკრატიისაგან დამკვიდრებული ცხოვრების წესის სიკეთის წარმოჩენა, თუმც არც იმის დავინწყება გვმართებს, რომ გაიდელბულის სახით შესაძლოა არც კოლექტივიზმი იყოს პირნიმნდად უარსაყოფი, ეგაა, ყოფით რეალობაში სულ სხვა ნიშნებს შეიძენდა, უფრო სწო-

რად, სოციალისტურ დოქტრინაში შეფარული ტენდენციები გამკვეთრდებოდა და უბედურებად გადაიქცეოდა.

და გაიდელბულის სახით პიროვნების უფლებათა დაცვა-ც თუ დიდად გვხიბლავს, ყოფით რეალობაში ყველაფერი ვეღარ გამოიყურება მთლად ბუნებრივად და რიგიანად, როგორც ფურცელზეა, და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ უკიდურესობა ყოველთვის აზიანებს კეთილშობილურ განზრახვებსაც კი, არამცთუ დემაგოგიით შეფერადებულ-მოპირკეთებულ შეხედულებებს.

ეს იმ პოლიტიკური ნოტების თაობაზე, მხატვრულ ქსოვილში რომ იჭრება და ეგებ არც გამოვდევნებოდით, უმწვავესად რომ არ იდგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე ადამიანის უფლებათა დაცვის უკიდურესი გამოსახულებანი და ამერიკული დემოკრატიის ის გადაჭარბებანი, რაც ლამის ერთადერთ პრინციპად დამკვიდრდეს და ვეღარც ვიპოვნოთ განსხვავება მარქსისტული რელიგიისაგან, თავი რომ ამოიჭამა და ჩვენც შევებით ამოგვასუნთქა, მაგრამ მის ნაცვლად ახალი რელიგია აღარ უნდა გავებატონოთ — დეი ლიბერალიზმი ფილოსოფიურ დოქტრინად დარჩეს და რელიგიური მიზანდასახულები-საგან გათავისუფლდეს. მაშინ საშიშიც აღარაფერი იქნება.

იქ კი, სასამართლოს დარბაზში:

არავის აქვს უფლება, ჩემი ცხოვრების თუნდაც ერთი წუთი წამართვასო, — რორკის ორატორულ გზნებას ფინალში აპოგეისათვის უნდა მიეღნია, — და არც ჩემი ნახელავის თუნდაც სულ მცირე ნაწილიო.

იგი ხომ არც სხვისათვის ცხოვრობს და არც სხვის მაგივრად. მსხვერპლშენიღვა მისი მრწამსი არაა და არც სხვათა მიმართ აქვს რაიმე ვალდებულება, გარდა ერთისა — პატივი სცეს მათ პიროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

— მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის თუნდაც ათი წელი შევწირო იმ პრინციპების ერთგულებას და იმ შემოქმედთა ღირსების დაცვას, ვისაც თავად არ ძალუძს, წინ აღუდგეს საკუთარ ქმნილებათა ხელყოფას — ბრბოს მოთხოვნათა საამებლად.

და ამ სიტყვების დასტური მისი ცხოვრების სტილია.

დარბაზში მსხდომთა მახსოვრობაში სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს წელგამართული, თავანუელი რორკის შთამბეჭდავი ფიგურა.

ნათვცმა მსაჯულებმა კი — ნაცვლად ხალხის მოლოდინისა, რომ რამდენიმე საათს მაინც მოუნევედათ ცდა, რაკილა თორმეტი კაცის მისვლა ერთ აზრამდე იოლი არასოდეს არ არის — მალევე უნდა გამოიტანონ განაჩენი და... თანაც რა განაჩენი:

— უდანაშაულოა!

აინ რენდს სჯერა, რომ ვითარება სასიკეთოდაა შეცვლილი სოკრატეს შემდგომ და ამერიკული დემოკრატია წინაა წასული ათენურ დემოკრატიასთან შედარებით. და თუმც ეს მწერლის სურვილი უფროა, ვიდრე რეალობა, დაე განეცხადებინა თავისი ოცნება და ასე გამოეხატა თანაგრძნობა ყველა იმ უღმერთოდ განწირული პირველადმომჩენისა თუ პირველ-გამკვალავისადმი, პიროვნების ღირსების შესანარჩუნებლად რომ გადაედოთ თავი და ყველაზე მწვავე წუთებშიც არამცთუ არ ნანობდნენ, გაბატონებულ მორალსა და შეხედულებებთან რამ დავგაპირისპიროაო, პირიქით, სიმართლის მტკიცების წყურვილით აღვსილნი და მჭევრმეტყველების ეშში შესულნი მომხრეებსა და კეთილგანწყობილთაც დაჰკარგავდნენ.

თავის ბედისწერას ანკი ვინ წასვლია!..

ოლონდ რასაც ვერ ეღირსებოდა ბერძენი ფილოსოფოსი, ეღირსებოდა ამერიკელი ხუროთმოძღვარი.

და მითოსური თუ ზღაპრული გმირით მოიპოვებდა მზე-თუნახავსაც — დომინიკ ფრენკონის სახით, ვინც სიმბოლური დანიშნულებითაც წარმოსდგება რომანში და მეტად კოლორიტულ ხასიათადაც, პიროვნული თავისუფლების შეცნობის ჟინს რომ მიჰყავს საბოლოოდ ჰუარდ რორკამდე, მანამდე მთელი არსებით რომ უპირისპირდება ამ უცნაურ კაცს, რათა

უშუალოდ გამოსცადოს მისი სიმტკიცე და შეუპოვრობა, დარწმუნდეს და ამის შემდეგლა მიენდოს სულითა და გულით.

მეტად კოლორიტულ ხასიათადაცო...

ისეთი ღრმა და ორიგინალური სახეა, საკუთრივაც კი შეიძლება მიძღვნოდა რომანი, ისევე, როგორც ელზუერთ თუისა და გეილ უაინენდს, არანაკლები რელიეფურობით წარმოსახულთ სულის ყველაზე იდუმალ შრეებამდე — თითქოს ტრილოგიაა დანურული ამ თავისთავად ვეება რომანად, რომელიც — დიმიტრი მოსულიშვილის სიტყვებისა არ იყოს ნიგუნის მიწანაწერიდან — მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, დიდი განცდებითა და შთაბეჭდილებებით: აინ რენდის მწერლური ხელოვნებისა და ზაზა ჭილაძისა და გია ჭუმბურიძის მთარგმნელობითი ოსტატობის წყალობით.

მათი სხვა თარგმანებისაგან განსხვავებით, „პირველწყაროს“ ქართული ვერსიის შექმნა არ მოითხოვდა რაღაც განსაკუთრებულ სტილურ ჩაღრმავებებსა და არტისტიზმს, მაგრამ აუცილებელი გახლდათ იმ მთავარი სიმის, იმ კამერტონის მიგნება, ასერიგად გამოლო თხრობას შინაგანი ექსპრესიით რომ აღავსებდა და სილალითა და ძალდაუტანებლობით განმსჭვალავდა. და ამერიკული ცხოვრების სტილს გაცილებით უკეთ წარმოგვიჩინდა და მოგვიახლოებდა, ვიდრე დახვავებული ტომები ისტორიული თუ სოციოლოგიური გამოკვლევებისა. ცხოვრების სტილს — მთელი თავისი მრავალფეროვ-

ნებით, რათა ამ ფონზე წარმოსახულიყო ყველაზე კანთიე-ლად და შთაბეჭდავად ჰაუარდ რორკის მონუმენტური სახე-ბა, ამალღებულობისა და დამთრგუნველობის განცდას რომ ინვევს ერთსა და იმავე დროს და დიმიტრი მოსულიშვილსაც ამიტომაც ვერ გაეებდა, რომ ამ წიგნის ნაკითხვა ყველასთვის ერთია, რადგანაც ზოგს ალბათ გულიც დაწყებოდა, რომ თავისი ცხოვრება ისე გამოველო, როგორც სურდა, ზოგი კი, ამ რომანი თანებული, შესაძლოა ისეთ მწვერვალებს შესჭიდებოდა, რომელსაც ან მიაღწევდა და ან ვერა.

აფორიატებით კი ყველა ერთნაირად აფორიატდება და სუნთქვაშეკრული მიაჩრდება შორს, ჰორიზონტს, სადაც ოკეანე ცას ერწყმის.

ადამიანი მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და მიზნებს უნდა ემორჩილებოდეს.

და პიროვნულობა არაფრისდიდებით არ უნდა ნაიშალოს, რადგანაც სწორედ ინდივიდუალიზმის შენარჩუნება და მისი ღვანლია სასიკეთო სხვათათვის და მთელი კაცობრიობისათვის, და არა ალტრუიზმის მოჩვენებითი ხიბლი, მითუფრო — ძალადობისა და ბოროტების გზით დამკვიდრება ადამიანური ბედნიერებისა.

...მდინარეს კი მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან.

ელგუჯა თავბერიძე

ალიოხინსა და დაფაზე დაუხედავად თამაშზე

ალექსანდრ კოტოვის რომანში „თეთრები და შავები“ ლაშა გიორგაძისაგან თარგმნილი ტექსტის ნაწილი „ერთი ბრმა და ოცდაათი თვალხილული“ („ჩვენი მწერლობა“ №6, 2013) დასრულებული ნოველაა და მშვენივრადაც უთარგმნია ლაშა გიორგაძეს. შთაბეჭდვად ამბავს, გამოკვეთილ ხასიათებსა და მომწესხველ ფინალს თხზულების ძირითად ნაწილთან მხოლოდ მთავარი გმირი (რომანში ბევრი რამაა მოთხრობილი ემანუელ ლასკერსა და ხოსე რაულ კაპაბლანკაზეც, მაგრამ ძირითადი სიუჟეტური ხაზი მაინც ალექსანდრ ალექსანდრეს ძეზეა აგებული) მრავალთაგან ყველა დროს უძლიერეს მოჭადრაკედ აღიარებული ალექსანდრ ალიოხინი აკავშირებს.

რობერტ ფიშერის უსამშობლობაზე წერდა ამასწინათ როსტომ ჩხეიძე. რალა მისი და რალა რუსეთის გავლენიან არისტოკრატთა — ალიოხინთა და პროხოროვთა ჩამომავალ ალექსანდრ ალიოხინის უსამშობლობა. იგი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანი ჩანს. ჭადრაკში, უფრო ცხოვრებაში, ზიგზაგები უყვარდა — ოთხი წელი ბოლშევიკურ რუსეთში მსახურობდა, იყო მოსკოვის სამძებრო განყოფილების გამომძიებელი, კომინტერნში — თარჯიმანი, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მომენტს ეძებდა, რომ დაეტოვებინა განითლებული რუსეთი. პირველ მსოფლიო ომში კონტუზია და წმ. გიორგის ჯვარი მიიღო, ჰოსპიტალში იწვა, გამოჯანმრთელდა და იქით შევლოდა დაჭრილებს. 1919 წელს ოდესაში საჭადრაკო ტურნირისთვის ჩავიდაო, წერენ ერთნი, მეორენი გვეუბნებიან, იქიდან უნდოდა ათესვაო. ამასობაში ოდესაც გაანითლეს, დაიჭირეს, დახვრეტა მიუსაჯეს, გადარჩა, უკრაინის რევკომის უფროსმა — მანუილსკიმ იხსნა. ზოგნი იმასაც წერენ, მეორე ცოლი, შვეიცარიელი ჟურნალისტი ანა-ლიზა რიუგი იმიტომ შეერთო, ფიქრობდა, სამშობლოდან წასვლაში დამეხმარებო. ბარემ აქვე ვიტყვი, ალიოხინს ოთხი ცოლი ჰყავდა, ოთხივე მასზე უფროსი, მეოთხე რეკორდული ხნით, 16 წლით ჭარბობდა მოჭადრაკის ნლოვანებსა. მაროკოში მოკლულ გუბერნატორის ქვრივ გრეის ვისხარის-

თვის ალიოხინი მეოთხე ქმარი იყო, ორი მოუკვდა, ერთს გაშორდა, დიუპში დიდი სახლი ჰქონდა, ჭადრაკს თამაშობდა, ქალთა ტურნირებში მონაწილეობდა. ალიოხინს ჭადრაკის სიყვარულის გამო მითხოვდა მეოთხედ თუ ალიოხინმა ითხოვა ამისთვის მეოთხე ცოლად, არ ვიცით. ერთი რამ ცხადია, მდიდარი ქალბატონი ალკოპოლს ალექსანდრ ალექსანდრეს ძეზე ნაკლებად არ ეტანებოდა. მატერიალურად შეჭირვებული მსოფლიო ჩემპიონისათვის კი მდიდარ ქალთან ყოფნაც და სმაც ერთგვარი შვება უნდა ყოფილიყო. 28 წლის იყო ალიოხინი, პირველი ცოლი, ქვრივი ალექსანდრა ბატაევა რომ შეერთო, რომელსაც ერთი წლის მერე გაშორდა და, როგორც ვთქვით, შვეიცარიელ ჟურნალისტ ანა-ლიზა რიუგზე იქორწინა. არ ვიცით, ქვრივი გახლდათ თუ არა. კომინტერნის საქმეებით დაკავებულ შვეიცარიელსაც მალე გაშორდა და ამჯერად გენერლის ქვრივი, ნადეჟდა ვასილიევა შეერთო. იმასაც წერენ, ოფიციალურად არ იყვნენ ცოლ-ქმრად რეგისტრირებულიო, თუმცა ათი წელი ერთად გაატარეს და კოტოვიც და სხვა ბიოგრაფებიც ამ ქალბატონს უმადლიან, კაპაბლანკას დამარცხება გაუჭირდებოდა, ერთგული და თანგადაამყოლი ნადია რომ არ ჰყოლოდა გვერდითო, სულიერ და ფიზიკურ ტრავმებსაც ის უმსუბუქებდაო. უყვარდა ძალიან ალექსანდრ ალექსანდროვიჩი, ბუენოს-აირესში მსოფლიო ჩემპიონობაზე თამაშის დროს ექვსი კბილი რომ ამოიღო, ღამით აძრობდნენ, დილით ხოსე რაულს ერკინებოდა, ნადია ძალას მატებდა, გამარჯვების რწმენას უწერდავდა.

ალიოხინის მეოთხე ცოლზე ვთქვით. მოკლედ, იგი და გრეის ვისხარი ბარიბარში იყვნენ, ერთისთვის — მეოთხე ცოლი, მეორისთვისაც — მეოთხე ქმარი. ახლა მეორე მეორენახევარს, ანა-ლიზა რიუგს მივუბრუნდეთ. არ ვიცით, მიეხმარა თუ არა იგი ალიოხინს სამშობლოდან გაქცევაში, სავარაუდოა — კი, რამეთუ ქორწინებიდან მოკლე ხანში საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლევ კარახანმა რიგაში წასვლის ნება დართო. ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ჯერ იქ ჩავიდა, მერე —

ბერლინში, მერე — პარიზში და სამშობლოში აღარასდროს დაბრუნებულა.

ოდესის ციხეში გამოკეტილი სიკვდილს გადაურჩა. ევროპული ციხის კედლებიც ჰქონდა ნახეხი. პირველ მსოფლიო ომამდე მანჰაიმის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა, რომელიც ომის დაწყების გამო ექვსი ტურით ადრე დაასრულეს და გამარჯვებულად, არსებული მაჩვენებლებით, პირველ ადგილზე გასული ალიოხინი დასახელეს. კი დასახელეს, მაგრამ ის და მისი მეგობარი მოჭადრაკეები უკვე გერმანიასთან ომში ჩაბმული მტერი ქვეყნის — რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. ამას დაემატა ისიც, რომ ალიოხინს ჯიბეში საკუთარი ფოტო უპოვნეს, რომელზეც სამართლის სასწავლებლის მოსწავლის ტანისამოსში იყო გამონყობილი, რუსეთის ოფიცრის ფორმად მიიჩნიეს და ციხეში უკრეს თავი. ალიოხინის მოყვარულებმა ეს ამბავი კარგად იციან, არც ისაა უცნობი, რომ ალიოხინი რამშტატის ციხეში მეგობარ მოჭადრაკეებთან — ბოგოლიუბოვთან, რაბინოვიჩსა და ვაინშტაინთან იჯდა საკანში.

ოთხი უძლიერესი მოჭადრაკე ერთი ციხის ერთ საკანში. სამოთხრობო თუ არა, სანოვლო ამბავი მაინცაა. რა უნდა ეკეთებინათ, ნატრობდნენ, ჭადრაკი ეთამაშათ, მაგრამ სად ჰქონდათ?! არც ფურცელსა და სანერ-კალამს მიაერთმევდნენ, სვლები რომ ჩაენერათ. ერთი გამოსავალი რჩებოდა — უნდა ეთამაშათ ბრმად (ალარ ვიცი, რომელი სჯობს — ბრმად თუ უხილავად, ალბათ ორივეზე — დაფაზე დაუხედავადა უკეთესი), ჭადრაკის დაფა — თავში, სვლები — თავში, იგივე ტინისა და მეხსიერებაში აღენუსხათ.

როგორი ამბავია?! ციხის ვიწრო საკანში ზის ოთხი მოჭადრაკე, ხან ორ-ორად წყვილდებიან, ხან კიდევ ერთი ალიოხინი ეთამაშება სამს — ეუბნებიან ერთმანეთს ერთ, ორ, სამ, ოთხ და ხანდახან ორმოცდაერთ და მეტ სვლასაც და ბოლოს ერთ-ერთი ნებდება. ხომ შეიძლება ვინმე ჭინჭყლი გამოდგეს, ჩემი თეთრი ცხენი მანდ კი არა, აქ იდგაო, თქვას. დაფა ამიტომაცაა საჭირო, მაგრამ არა, ამას არავინ შერება, რადგან ყველა თავის ტვინს ენდობა, რომელიც ერთხელ თუ აირია, იქნებ ველარასდროს დაანყოს მერე. მოჭადრაკეები ან სხედან, სჯობს, დადიოდნენ, თუმცა ამხელა საკანი სად იქნებოდა, პლატონის აკადემიასავით თან ესეირნათ, თან სვლები ეთქვათ ერთმანეთისათვის. თუმცა, რატომაც არა! ე.წ. „პრაგულკაზე“, შეიძლება, კიდევ დადიოდნენ, კიდევ ეთამაშობდნენ. როგორი სცენაა?! დადიან, ბადრაგი თვალს არ აცილებთ, ერთმანეთს რალაცას ეუბნებიან, ფიქრდებიან, ყოვნდებიან. ისევ დადიან, ბადრაგს მათი ნათქვამი საიდუმლო პაროლიც შეიძლება ჰგონებოდა. არადა, საჭადრაკო სვლებს კარნახობდნენ ერთმანეთს.

ნაღდად დასამახსოვრებელი პასაჟი (თუ მეტი არა) იქნებოდა. მართალია, კოტოვი თხრობას ალიოხინის კაპაბლანკასთან მსოფლიო ჩემპიონობისათვის მატჩის მზადებიდან იწყებს, ასევეა ფილმშიც, „რუსეთის თეთრი თოვლი“ რომ ჰქვია, მაგრამ შეიძლება თუ რვა წლის წინანდელი რამშტატის ციხის ეპიზოდიც რომ ჩაერთო, ალბათ, რომანს ბევრს შესძენდა, უფრო სახალისოსა და ცოცხალს გახდიდა. ისიც ვთქვათ, ალექსანდრ ალიოხინს უხილავად სამთან კი არა, ოცდათორმეტთანაც ჩაუტარებია ერთდროული სეანსი, ბრმად ეთამაშა ორჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი, მაგრამ სად მოყვარულები და სად დიდოსტატები? ამ შემთხვევაში პარტია, საჯარაუდოა, ათ სვლაში არ დასრულდებოდა, გაგრძელდებოდა და გაგრძელდებოდა, დაიძაბებოდა, დაიძაბებოდა და ბოლოს ის აჯობებდა, ვისაც უკეთესი ტვინი ჰქონდა, უფრო სწორად, ვინც გონებით უკეთესად ხედავდა.

და მთავარი — ალიოხინი და სხვები, ვინც ჭადრაკის ამნაირი ეთამაშით იყვნენ გატაცებულნი, უხილავად ეთამაშებოდნენ თვალხილულებს. ჭადრაკის დაფას მიმჯდარი მათი მონინალმდევე (ხშირად — მონინალმდევენი) ყველაფერს ხედავდა, — ის ხედავდა, ეს შეუხედავად კარნახობდა სვლებს. რამ-

შტატის ციხეში კი მონინალმდევეები ვერაფერს ხედავდნენ. მოკლედ, ერთთაც და მეორეთაც გონებაში, წარმოსახვაში გაეშალათ საჭადრაკო დაფა, დაეღაგებინათ ფიგურები, რომელთაც ასევე წარმოსახვით გადააადგილებდნენ.

როგორი მეხსიერება და გონება უნდა ჰქონოდათ?! ალბათ ზეადამიანური...

იქნებ ალიოხინისათვის რამშტატის ციხეში ყველაზე ძნელად ასატანი ის რამდენიმე დღე იყო, ციხის უფროსის ქალიშვილისათვის უხეშად მიმართვის გამო კარცერში რომ ჩააყუდეს. იქ მონინალმდევე აღარ ეყოლებოდა, ჭერისთვის უნდა მიეღვინა მზერა და ისე ეთამაშა. ბავშვობაში მართლაც ასე ექცეოდა თურმე. მენინგიტადატანილ, მალალ, ქერა, ცისფერთვალეა და ახლომხედველ ალექსანდრეს ჭადრაკის თამაშს უკრძალავდნენ, ის კიდევ ჭერს მიმტერებულნი ეთამაშობდა.

ემანუელ ლასკერი ამბობდა: ძნელია, მაგრამ ეფექტურია დაფაზე დაუხედავად თამაში. ძალიან მოქმედებს ისეთ ადამიანებზე, რომელთაც ჭადრაკისა არაფერი, ფულის შოვნის კიდევ — ყველაფერი გაეგებათო.

ათი წლისა ყოფილა ალიოხინი, ამერიკელი მოჭადრაკის ჰარი პილსბერის დაფაზე დაუხედავად 22 მონინალმდევესთან თამაში რომ უნახავს, უნახავს და აღფრთოვანებულა. იქნებ მაშინ გაიფიქრა, ამას მეც ვიზამ, უფრო მეტ დაფაზე ვითამაშებ ერთდროულადო.

ხშირად აისრულა ბავშვობის ნატვრა.

კოტოვი წერდა, ალიოხინს ჭადრაკის დაფა რალაცნაირი კონტროლისათვის ჭირდებოდა, მისი განვრთნილი ტვინი მთელ საჭადრაკო პერიპეტეებს თვალუხილავადაც ნათლად ხედავდა, ახერხებდა შეუხედავად გადაწყვიტა ნებისმიერი ამოცანა, ყველაზე ჩახლართული ვარიანტებიდან მოეძებნა საუკეთესო გამოსავალი. მისი ტვინი უზუსტესად, სრული დატვირთვით მუშაობდა, შეეძლო ოცი წლის წინანდელი პარტია დეტალურად გაეხსენებინა, მოეძებნა იქიდან გამოსავალი, შეედარებინა სხვათა ნათამაშევისათვის, გაეკეთებინა დასკვნები. მოკლედ, ახლომხედველი ალიოხინი ყველაზე შორს ხედავდა, ყველაზე ღრმად წვდებოდა სიტუაციის არსში. თავში ედო ჭადრაკის დაფა, რომელზედაც, ბუნებრივია, განლაგებულ ფიგურებზე სულაც აღარ იყო ხელის შეხება საჭირო, ალიოხინის გიგანტ ტვინს გადაჰქონდა, გადმოჰქონდა, უკეთესი პოზიციისათვის ნირავდა, იმარჯვებდა.

„ერთ ბრმასა და ოცდაათ თვალხილულში“ გერმანელ ოფიცრებთან ალიოხინის ოცდაათ დაფაზე უხილავად თამაშია აღწერილი. კოტოვის მოგონილიაო, — წერენ, სინამდვილეში ასეთი რამ არასდროს მომხდარაო. მართალია, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ხშირად ატარებდა ერთდროულ სეანსებს ნაცისტ სამხედროებთან, მაგრამ რომანში მოთხრობილის მსგავსი არაფერი მომხდარა, თავიდან ბოლომდე მწერლის ფანტაზიის ნაყოფიაო. კარგი კია და, გამონაგონი რომაა, განა, ამით რამე აკლდება, ზუსტადაა მისადაგებული ალიოხინის ხასიათს, თამაშის სტილს, მანერებს, მე თუ მკითხავთ, რომანის ამ მონაკვეთში ყველაზე კარგად იგრძნობა კოტოვის მწერლური ტალანტი...

ობერშტურმბანფიურერმა შპაკმა შტურმბანფიურერ შეხტელს დაურეკა და უბრძანა ალიოხინზე შეეგროვებინა ინფორმაცია — სად, რომელ ტურნირებში მონაწილეობდა, რა შედეგებით დაასრულა და ა.შ. გაუკვირდა ხელქვეითს, რა საჭიროა ეს ყოველივე, მაგრამ იცოდა, რომ „დაბალჩინებმა“ ხმა არ უნდა ამოიღონ, უფროსის სურვილი უსიტყვოდ აღასრულონ.

მივყვით ტექსტს:

შეხტელი ხელქვეითის გულმოდგინებით შეუდგა ალიოხინის სპორტულ მიღწევათა აღწუსხვას, რომელიც მისთვისაც კი, ჭადრაკის რომ არაფერი გაეგებოდა, განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. როგორი ამბავია, ათქმევინებს ობერშტურმბანფიურერს კოტოვი, რუსებს ვებრძვით, ეს რუსი კიდევ პანტა-პუნტით ამარცხებს ჩვენს მოჭადრაკეებსო. თავიდან ალიოხინის

ფიზიკურ განადგურებაზეც ფიქრობდნენ თურმე, მაგრამ კულტურულ ერად უნდოდათ დარჩენილიყვნენ და გადაიფიქრეს. ერთი სიტყვით, შეხტელმა, ალიოხინი ესპანეთის ვიზას ითხოვსო — განუცხადა უფროსს და ისიც დაყაბულდა. გაუშვით, ოღონდ მეუღლის გარეშეო. თითქოს ამით უნდა გათავებულყო ამბავი, უფროსს ალიოხინის სპორტული მიღწევები აინტერესებდა და შეიტყო. ბუნებრივია, არ სიამოვნებდა, რუსი მსოფლიო ჩემპიონი მისი ერის მოჭადრაკეებსა თუ ჭადრაკის მოყვარულებს რომ ამარცხებდა და ესეც მოგვარდა. გაუშვებენ ესპანეთში და, ვისაც უნდა, იმას ეტოქოს და ებრძოლოს. მაგრამ შეხტელს გაახსენდა, რომ მეორე დღეს ალიოხინი გერმანელ ოფიცრებთან ატარებდა ერთდროულ სეანსს. უარის თქმა იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ არიული სისხლისანი დაფრთხნენ, არადა, ისიც არ ივარგებდა, წასვლის წინ კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა რუსს უძლეველობა. დაარწმუნა უფროსი, რომ გერმანელი ოფიცრები კარგად იყვნენ მომზადებული, თანაც ალიოხინი ის-ის იყო გამოვიდა საავადმყოფოდან და, რა თქმა უნდა, ფორმის აღდგენას დრო დაჭირდებოდა. ამ შემთხვევაში ობერშტურმბანფიურერმა შპაკმაც მოისურვა, შეზღოდა მსოფლიო ჩემპიონს, უნდოდათ, ესპანეთში წასვლამდე სამარცხვინოდ დაემარცხებინათ, გასაგებია, „რუსის მიბეგვის“ ერთ-ერთი მონაწილე შპაკიც იქნებოდა.

ვლადიმერ გარდინის კინოკურსებზე სწავლობდა ერთხანს ალიოხინი, წერენ ბიოგრაფები. კოტოვი იმასაც ამბობს, თითქოს კუპრინს ეთქვას ალექსანდრ ალექსანდრეს ძისათვის — დრამის მსახიობს კლავ შენშიო. ალიოხინის ხასიათში, საქციელში, უფრო — თამაშში, მართლაც ბევრი რამ იყო არტისტული, თეატრალური. თუნდაც სიამის კატა ჩესი, როგორც თილისმა, მაქს ეივესთან მატჩის დროს დაფას რომ დასუნავდა და მერე შეუდგებოდა კაპაბლანკას დამმარცხებელი თამაშს. მთვრალი ხომ ძალიან, ძალიან ხშირად გადიოდა ტურნირებზე, წერვიულობდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ხანდახან იმნამსვე ჰქონდა ანოფიქრებული სვლა, მაგრამ აყოვნებდა, ბოლო ნამამდე ანერვიულებდა მეტოქეს. მოკლედ, მსახიობობდა, ორნაირად თამაშობდა. ალიოხინის მსახიობური ნიჭი ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ დაბეჭდილ ნაწყვეტშიც კარგად ჩანს. თითქოს უყურებ, როგორ იქცევა დაუმარცხებელი ჩემპიონი, როგორ აბიაბრუებს მონინალმდეგეებს (ეს სცენა ფილმშიც შთამბეჭდავია)

სათვალე სადღაც დაკარგა, მაგრამ სეანსი რომ არ ჩაშალოს, მსოფლიო ჩემპიონი დაფაზე დაუხედავად გეთამაშებათ, — განუცხადა გერმანელ ოფიცრებს კალიჩკამ. — თქვენ ნათამაშეს მე მივანვდი საჭადრაკო ნოტაციით, იმის ნათამაშესაც მოგახსენებთ, უსათვალეო ალექსანდრ ალექსანდროვიჩი კი მეორე ოთახში მოკვალათდებო. ბუნებრივია, გერმანელთათვის შეურაცხყოფელი იყო ბრმასთან თამაში. თავდაპირველად შპაკმა სათვალის მოძებნა ბრძანა, მაგრამ როცა განუცხადეს, კვირაა და თანაც სათვალის მორგება არაა ორი წუთის საქმეო, ძალაუნებურად დაყაბულდა. ეგეცაა, მსოფლიო ჩემპიონის გაცამტკვერების შანსი უფრო აშკარა შეიქნა.

კოტოვი გვეუბნება, — ალიოხინიც შეკრთა თავიდან, თითქოს ინანა კიდევ ოინი — სათვალის დაკარგვა რომ მოიგონა. ინანა არა იმიტომ, რომ ძნელი დასამარცხებელი იქნე-

ბოდა ოცდაათი გერმანელი, არამედ რამდენად შეძლებდა ნავადმყოფარი ამის გაკეთებას.

ტექსტის მცირე მონაკეთი გავისხნოთ:

„ერთდროული თამაშის სეანსი დაფაზე დაუხედავად ყველაზე ძნელია საჭადრაკო ატრაქციონთაგან. ის ოსტატისაგან მოითხოვს გონებრივი ძალების, წერვებისა და მესხიერების გიგანტურ დაძაბვას. სეანსორის ორგანიზმი განიცდის ისეთ გადაჭარბებულ დაძაბულობას, რომ უკვე დიდი ხანია გარკვეული არის ამგვარი გამოსვლების მავნეობა. ალიოხინს ნაკითხული ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირში სეანსები დაფაზე დაუხედავად, როგორც მოჭადრაკეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი, სახელმწიფო დებულებით იყო აკრძალული. ეს საბჭოთა კავშირშია, მაგრამ დასავლეთში უყვართ რეკლამები, ოინები, ცნობის-მოყვარენი ამისთვის იმეტებენ თავიანთ დოლარებს და ფრანკებს, ალიოხინს რამდენჯერ მოუწია, რომ სწორედ ამგვარი თამაშის შემწეობით მიეზიდა მსოფლიო ყურადღება თავისკენ, ანდა თავის შერყეულ მატერიალურ მდგომარეობას შენეწნოდა.“

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ალიოხინმა ოცდაათი პარტიიდან მხოლოდ სამი დაასრულა ყაიმით, დანარჩენი მოიგო. ერთ-ერთმა მოთამაშემ (მფრინავმა) ბლოკნოტში ჩაინერა საჭადრაკო დაფაზე ფიგურათა განლაგება და ალიოხინს მოსთხოვა, დაესახელებინა სად რა ფიგურა იდგა მეცხრამეტე დაფაზე. მსოფლიო ჩემპიონმა მშვიდად ჩამოუკაკლა. მეორემ, ლაზიერს ვთამაშობ და შამათს ვუცხადებ ოთხ სვლაშიო, კალიჩკამ ალიოხინის დანაბარები გადასცა — დაგავიანდათ, ჰერ ალიოხინი ორ სვლაში გიცხადებთ შამათსო. ობერშტურმბანფიურერი ყველაზე ბოლოს დანებდა (ყველა ნაგებული მას ეხმარებოდა), მაგრამ დადლილმა ალიოხინმა ახლა უკვე დაფაზე დახედვით სამჯერ შეატრიალა პარტია, ხან თეთრებით, ხან შავებით ითამაშა, ბოლოს მაინც მოუგო.



ალექსანდრ ალიოხინი

ალიოხინის კიდევ ერთი საფინალო თეატრალური ჟესტი:

„ყურადღებით რომ გაუსწორა მზერა კალიჩკას (ამ დროს უკვე დიდოსტატი და დამხმარე კალიჩკა ქუჩაში მიდიან), ალიოხინმა გაილიმა, პიჯაკის ცვერღეთა ჯიბიდან სათვალე ამოიღო და კოსტად მოირგო ცხვირით.“

ყოველთვის როდია სასიამოვნო, შენს მონინალმდეგეებს ხედავდე — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა“.

მონინალმდეგეთათვის არ უნდოდა შეეხედა და შეუხედავად ითამაშა. დაფაზე დაუხედავად თამაშის დიდოსტატიც იყო, — წერენ. ბუნებრივია, იქნებოდა, ეს ხომ უფრო არტისტული იყო, ვიდრე მონინალმდეგის პირისპირ ჯდომა.

ცხოვრებაშიც თამაშობდა უხილავად თამაშისა და ჭადრაკის სიგაჟემდე მოყვარული. მისთვის ალბათ ყველაზე ბედნიერი წუთები იყო, კაპაბლანკასთან მოგების მერე არგენტინელებმა ატატებულ რომ მიიყვანეს სასტუმრომდე, ლისაბონში რომ შეხვდნენ ოვაციებით, ყველაზე უბედური — საფრანგეთში დაბრუნებისას, ლინდბერგმა ოკეანეს გადაუფრინა, გმირია, გმირიო — წერდნენ გაზეთები, ჭადრაკის გმირი არავის ახსოვდა.

ვერ ვიტყვით, არ უნდოდა სამშობლოში დაბრუნება. უნდოდა კი, ძალიან წყუროდა სამშობლოს ხილვა. იქნებ ის ცნობილი ფრაზაც — კაპაბლანკას დაუმარცხებლობის მითი როგორც დაიმსხვრა, ბოლშევიკთა დაუმარცხებლობის მითიც

ასევე დაიმსხვრევაო, — სულაც ალიოხინმა თქვა და ჟურნალისტს არ მიუკუთვნებია. კაცი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ყველასაგან დაუძლეველ კუბელ ხოსე რაულს დამაჯერებლად მოუგო და სწორედ მის ბაგეებს უნდა დასცდნოდა ეს სიტყვები. სამშობლო ენატრებოდა, სამშობლო, სადაც ბოლშევიკები ბოგინობდნენ და მათი გაქრობა ვის უნდა სურებოდა, თუ არა სამშობლოდან გადახვეწილ, საფრანგეთს თავშეფარებელ, საჭადრაკო ოლიმპზე ასულ ალიოხინს. ბუნიონის სიტყვების პერიფრაზით თუ ვიტყვით, ჩიტს — ბუდე, ნადირს — ბუნაგი, ადამიანს — მამისეული სახლ-კარი გააჩნია, მაგრამ როგორ გიკვდება გული, მას ნებით რომ არ ტოვებ, მიდიხარ, არ იცი, როდის დაბრუნდები. კოტოვის რომანში ალიოხინის ზემოთხსენებ ფრაზას დიდი ადგილი ეთმობა, აღწერილია, როგორ ცდილობდა საჭადრაკო კომბინაციათა დიდოსტატი, გაზეთ „ვოზროუდენიეს“ თანამშრომლები (ჩებიშვილი და სხვები) დაერწმუნებინა, რომ მის ბაგეებს ასეთი რამ არ დაცდენია და გაზეთში ტყუილი დაწერეს, მაგრამ ეს არაა მთავარი — იმავე დღეებში გამოქვეყნდა ალიოხინის ძმის შენიშვნაც — ყოველგვარ ანტისაბჭოთა გამოხდომებს, ვისგანაც უნდა მოდიოდეს, ვგობო, ძმასთან კი ყოველგვარ კავშირს ვწყვეტო — სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა ბოლშევიკურ რუსეთში დარჩენილი ალიოხინის თითქმის მოსახელე ალექსი.

ამის შემდეგ სამშობლოში ვინ შემოუშვებდა და, რომც შემოეშვათ, რასაც დამართებდნენ, დიდი გათვლა არ სჭირდებოდა. ალექსანდრ ალიოხინის კიდევ ერთი ზიგზაგური გამოხდომა — ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავი მიულოცა ბოლშევიკურ სამშობლოს. მოკლედ, მიმოიჩინოდა, უნდოდა მამულში დაბრუნება, მაგრამ ამკარა საფრთხეს გრძნობდა საჭადრაკო დაფასთან უამრავი საფრთხის ამომცნობი.

ეს იყო 1935 წელს. მანამდე დატრიალებული ხოცვა-ჟლეტა მომდევნო წლებში რომ გაძლიერდა, კარგად ეცოდინებოდა ალიოხინს. ბუნებრივია, იმასაც არავინ აპატიებდა, მამამისი ჯერ ზემლიანსკის, მერე ვორონეჟის გუბერნიის თავადაზნაურობას რომ წინამძღოლობდა. უბრალო არისტოკრატიული წარმომავლობის ადამიანებს არ ინდობდნენ, ხალხის მტრად ნათლავდნენ და კლასობრივი მტრის წინამძღოლისა და სახელმწიფო სათათბიროს წევრის შვილობას ვინ აპატიებდა.

ესეც არ დაჭირდებოდათ, თვითონ ალიოხინს დააბრალებდნენ რომელიმე ქვეყნის ჯაშუშობას, მის ახლომხედველობას აინუნშიც არ ჩააგდებდნენ, ისე კარგად ხედავდი, ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრა განგებზრახაო, და მორჩა, რასაც უზამდნენ, თქმა აღარაა საჭირო.

ომის გასრულების შემდეგ სხვა ქვეყნებში ტყვედ ჩავარდნას არავის პატიებდნენ, ისეთ ადგილებში ასახლებდნენ, ბუნებრივი პირობები რომ მოუღებდა ბოლოს ან სულაც შრომით მოკლავდნენ. მოკლედ, სამშობლოს მონატრებული სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდა, თუ მაინც გარისკავდა, იცოდა (უნდა ცოდნოდა), რაც ელოდა.

კოტოვი იმასაც წერს, სასაცილოა, ნოტინგემის საჭადრაკო ტურნირზე ლასკერი — სსრ კავშირს, ბოგოლიუბოვი — გერმანიას, ალიოხინი კიდევ — საფრანგეთს წარმოადგენდაო. როგორც იტყვიან, სასაცილოზე უფრო სატირალია, სამი მოჭადრაკიდან არცერთი არ თამაშობდა სამშობლოს სახელით, არეულ მსოფლიოს ჭადრაკის გიგანტებისთვისაც აებნია თავგზა.

ალექსანდრ კოტოვის რომანში „თეთრები და შავები“ სამი მსოფლიო ჩემპიონის — ხოსე რაულ კაპაბლანკას, ემანუელ ლასკერისა და ალექსანდრ ალიოხინის სიკვდილია აღწერილი. ორნი მიქელ-გაბრიელის მოკითხვისას აღარ იყვნენ ჩემპიონები, ალექსანდრ ალიოხინი კი მოკვდა, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, 1937 წელს ყველასაგან სუსტ მოჭადრაკედ აღიარებულ ჰოლანდიელ მაქს ეივესთან მატჩ-რევენშში გამარჯვებით რომ დაიბრუნა ეს ტიტული.

გარდაიცვალა (უფრო — მოკლეს) იმ დროს, როცა ყველაზე მეტად უნდოდა სიცოცხლე. 1946 წლის 23 მარტს ფიდემ მსოფლიო პირველობაზე ალიოხინ-ბოტვინიკის მატჩის ჩატარება გადაწყვიტა. თითქოს წერტილი დაესვა ალიოხინის ლანძღვასა და დადანაშაულებას — ნაცისტებთან თანამშრომლობდა, მათ ტურნირებში მონაწილეობდა, საგაზეთო სტატიებში ანტისემიტობდა, არიული ჭადრაკი — შემტევი, ხოლო ევროპული — თავდაცვასა და მონიანადმდევის შეცდომებზეა ორიენტირებული. მოკლედ, საფუძვლიან თუ უსაფუძვლო ბრალდებათა დრო წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ ამ ამბიდან ერთი დღის მერე ან სულაც რამდენიმე საათში ალიოხინიც წარსულის კუთვნილებად იქცა — სასტუმრო „ესტორი-ალში“ მკვდარი იპოვეს.

დღემდე ათას ჭორსა და მართალს ყვებიან მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონის, სიცოცხლეში ნათამაშევი პარტიებიდან ყველაზე მეტი — 58% რომ ჰქონდა მოგებული, გარდაცვალებაზე. ხორცის ნაჭერი გადაცდა და გაიგულაო, გულმა უმტყუნაო, უზომო სმისგან ციროზი გაუჩნდა და მოულოდნელად აღესრულაო. ამ ამბავთა დეტალურ გამრკვევად არ გამოვდგებით, თუმცა სიმართლესთან უფრო ის ვერსია უნდა იყოს ახლოს, საბჭოთა სპეცსამსახურებმა მონამლესო, რომ ამბობენ ზოგიერთები. ყველაზე მეტად საბჭოეთს არ აძლევდა ხელს, ალიოხინს ჯანი მოეკრიბა, დალევისათვის, როგორც არაერთხელ უქნია, თავი მიენებებინა, კიდევ ერთხელ დამტკიცებინა, რომ მიუხედავად ასაკისა, 53 წლისა გახლდათ ამ დროს, შემთხვევით არ ფლობდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

ბევრი ოქრობდა, გაუჭირდება ბოტვინიკს ალიოხინის დამარცხებაო.

უცნაურ ვითარებაში გარდაცვლილი ალიოხინი ოცდასამი დღე ჰყავდათ დაუმარხავი. სიკვდილის მიზეზსა და იმას არკვევდნენ, სად დაეკრძალათ. თუმცა ეს ამბავი უფრო იმისთვის გავიხსენეთ, ალიოხინის სიკვდილზე ალექსანდრ კოტოვის მონათხრობი რომ გავგეცნო მკითხველისათვის.

სასტუმროს პორტი იმ დღეებში ხალისიანად ეგებებოდა ალიოხინს — გვეუბნება რომანის ავტორი. იმ დღესაც სახეზე ღიმილგადაფენილს გადაუცია გასაღები და: ვახშამი ნომერშიაო, — უთქვამს. კოტოვი იქნებ შემთხვევით სულაც არ უსვამს ხაზს მორიგის სიმზიარულესა და ვახშამს. კომუნისტთა პარპაშის დროს დანერგულ ბიოგრაფიულ რომანში მეტ მინიშნებას ვერ გააკეთებდა. რაც დანერა, საკმარისია. ბუნებრივია, სასტუმროს მორიგე ალიოხინ-ბოტვინიკის მომავალი მატჩით არ იქნებოდა აღტაცებული, არც ეცოდინებოდა ამის შესახებ რაიმე. წინანდელი სიკუშტისა და მოღუშულობის სიმზიარულით შეცვლის მიზეზი სხვა რამ უნდა ყოფილიყო და, ვფიქრობთ, ამ „სხვა რამეზე“ მიგვანიშნა ალექსანდრ კოტოვმა.

ისევე კოტოვი: ალიოხინი სიკვდილის ღამეს თურმე დიდხანს გაჰყურებდა ფანჯრიდან ოკეანეს, მერე ჭადრაკის დაფაზე ფიგურები დაუნწყია და, ვიდრე იმას გაიფიქრებდა, რომელი ვარიანტი აერჩია სათამაშაოდ, მკერდში მძიმე ტკივილი უგრძვნია, ადრეც ტკენოდა თურმე, მაგრამ მალე მიყუჩდებოდა, ახლა კი სულ უფრო ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. თეთრების მეფე აულია, ვერ დაუჭირავს ხელში, ჭადრაკის ფიგურაც ძირს დავარდნია და თვითონაც იატაკზე გაშხლართულა.

ასე აღესრულა ჭადრაკის მეფე — გვეუბნება. თვითმხილველთა ერთი ნაწილი მოგვითხრობს — სავარძელში გაქვავებული იჯდა, წინ ჭადრაკის დაფა ედო ხელუხლებელი ფიგურებითო.

უძლეველი ჩემპიონი ალბათ უფრო ასე უნდა გაცლოდა სანუთროს.

იჯდა სავარძელში. მეტოქეს ელოდა. არ ჩანდა. ყველაზე დიდ მტერ-მეტოქესთან საბოლოო ანგარიშის გასწორების მერე დაფაზე დაუხედავად თამაში აღარ შეეძლო.

ნინო დეკანოიძე

ლირიკა — მოლოდინის საპირისპიროდ

მორიგი ლიტერატურული თავყრილობა „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში. ტრადიციული ხალხმრავლობის მაგივრად, უჩვეულო ხალხათობა და იმთავითვე იტყვის განზილებული მასპინძელი, თუმცა არაგანაწყენებული კაცის კილოზე: — ჩვენს შეხვედრას შეეძლო, მაღლით აღვსილ დღეებს რომ მოჰყვა. ალბათ მიეცნენ ნეტარებას ადამიანები და გადააბეს. ყველაფერი ხდება. ყოველ შემთხვევაში, რახან ამ დარბაზს ჰქვია სალონიც, ახლანდელ შეკრებას სალონური ეწოდოსო.

რასაკვირველია, იგულისხმა, რომ ბნა მურღულიას ფეისბუქზე გახმაურებული ლექსების გაყდერებას ჩვენს სალონში აღარაფერი დააბრკოლებდა. ...სულ მალე კი მოულოდნელობა — ქალაქში პოპულარული ადამიანის, ამავე დროს მეცნიერისა და მკვლევარის წარდგინება პოეტად — სასიამოვნოდაც გამართლდა და რახან ყურადსაღებია ჩანაწერმა თანმიმდევრულად, ასახოს ამბავი, ბარემ იყოს ისე, როგორც ითქვა იმ დღეს, 7 მაისს.

როსტომ ჩხეიძე:

— ვინც გაიგებდა, რომ გია მურღულიამ ლექსების წერა დაიწყო, ყველა იფიქრებდა, პირველყოფილისა ეს იქნებოდა ინტელექტუალური, ანალიტიკური, მედიტაციური ყაიდის ლექსები. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით მისი ფილოლოგიური გამოკვლევები, სრულფასოვანი, საუკეთესო ნაშრომები, სადაც ყოველთვისაა სიახლე, მიგნება, ახალი თვალთაა დანახული ის მოვლენები, რაც თითქოს აქამდე ვიცოდით, ის მწერლები, რომელთაც ძალიან კარგად ვიცნობდით. სულ სხვა კუთხით შეუძლია შეგვახედოს, იქნება ეს მასშტაბური წარმოჩენა თუ ცალკეული ნიუანსები.

მომხიბლავი ასპექტი იყო გია მურღულიას გატაცება ანეკდოტებით. არა მარტო აგროვებდა ამ მასალას, კარგადაც წარმოადგენდა. გვექონდა აქაც ასეთი შეკრება, მსგავსი ერთი მსახიობის თეატრისა. აი ახლა კი მისი ლექსები, მოლოდინის საპირისპირო რომ აღმოჩნდა. ეს არის ლირიკული პოეზია. ის ლირიკა, ამას ხშირად ვიმეორებ ხოლმე, რაც ძალიან მინავლებულია ჩვენს რეალობაში. იმიტომ, რომ უფრო ურჩევნიათ სწორედ განსჯა, სწორედ მედიტაცია და ერთიანობა მოდურადაც შემოიჭრა ქართულ პოეზიაში. მერე ამ მოდურობამ წაღეკა ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ ლირიკისათვის ადგილი აღარაა. და ამ დროს გიხარია ადამიანს, როცა წრფელ გრძობებს აწყდები. ესეც არაერთხელ მითქვამს: პოეზიაში სიყვარულის განცდა შეიცვალა სიყვარულის განსჯით — რა და როგორ არის. ამ განცდის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნაწარმოებები, რასაკვირველია, საინტერესოა, მაგრამ არ შეიძლება ყველა ამაზე იყოს მოფიქრალი ღრმად და ვიღაცას არ მოუნდეს, გამოხატოს უბრალოდ, უშუალოდ — მიყვარხარო.

ბ-ნი გიას პოეზიაში ეს უშუალოება იკითხება. ამ განცდითაა განმსჭვალული მისი ლექსები, სადაც უმთავრესია სატრფიალო მოტივი. ცალკეული შენაკადებიცაა, ოღონდ უფრო მკრთალად შესაცნობი, მაინც ლირიკისათვის ნიშანდობლივი.

მობდა ისე, რომ მომხსენებელი თემურ ქორიძე არ გახლავთ. რას ვიზამთ. მთავარია, რომ მან, ნამდვილ კრიტიკოსს როგორც შეეფერება, შეისწავლა ეს ლექსები და გამოქვეყნდება კიდევ სტატიად ცალკე. მკითხველს მიეცემა საშუალება ნახოს, როგორ გაიზრდეს კრიტიკოსი გია მურღულიას ლექსებს; მართლაც რომ გასაზრებელია და თავისი ადგილიც

აქვს მისაჩენი“.

და ჩვეულებსამებრ, სტუმარს შესთავაზა, ჯერ რამდენიმე საკუთარი ლექსი წაეკითხა ჭაშნიკად. მერე კი მოეყოლა, როგორ და რანაირად გადაიღვარა ზოგადად პოეზიის სიყვარული მისსავე ლექსებში; აგრეთვე, აუდიტორიას შეახსენა, გია მურღულიასთან დიალოგი რომ აუცილებლად დაურჩებოდათ სასიამოვნოდ, რადგანაც: ყოველთვის გამოირჩევა საინტერესო და სახასიათო მოსაუბრედო.

სტუმარმა, ვიდრე წასაკითხავ ლექსებს გადაათვალიერებდა და შეარჩევდა, მოინდომა, მსმენელის წინაშე გულახდილობა თვითირონით გამოეხატა.

გია მურღულია:

„ახლა როსტომს რომ ვუსმენდი, სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ სხვა კაცზე ლაპარაკობდა. ჩემს ლექსებს დიდი ამბით ან მთლად სერიოზულად ვუყურებდე, ვერ ვიტყვი“.

უფრო ზუსტად რომ აეხსნა თავისი იმწუთიერი მდგომარეობა, დიალოგი გაიხსენა ერთ-ერთი „ქართულად საყვარელი“ ფილმიდან: „— მდინარეს, თეთრ ქვეს, ზეცას და ჩვენ გაგვიმარჯოს. — მე კი ისეთი გრძობა მაქვს, შავლეგ, თითქოს მე კი არ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე, თითქოს სხვა ცხოვრობს ჩემს მაგივრად.

— რა კაი ჩამოსხმაა!

— გვარად აგული ერისთავი.

.....

— იფ! რა პამიდორია!

.....

რა ფილოსოფია, რის ფილოსოფია!“

და განავრცო გია მურღულიამ: „ერთ მშვენიერ დღეს რაღაცა მომეგუნება და გავრთიმე აზრი. მერე კაი ხანს ვადექი ამ გზას, თუთაშხიასი არ იყოს. საკმაოდ რომ დამიგროვდა, „სალამოს ლექსები“ დავარქვი. ფეისბუქში რომ ვკითხულობდი სხვების პოეზიას, ვიფიქრე, ეგებ ამ ხალხს ერთი ლექსი მოეწონათ-მეთქი. პირველად დავდე ჰაფეზის გენიალური ლექსი: „ჰაფეზ, შენს საფლავს სატრფომ სიოდ რომ ჩაუქროლოს, შემოგვხევა ვნებისაგან ტანზე სუდარა.“

ასეთ შედეგებს რომ ვკითხულობ, ხშირად მივუბრუნდები; ამ დროს გავიცებული გავიფიქრებ, და ალბათ მერამდენედ: — ელაპარაკე ახლა ამას... ეგეთი განცდა ნებისმიერს გაუჩნდება, თუნდაც რუსთაველის კითხვისას. ხშირად ვკითხულობ მერამდენედ და მერე რომ გავიმეტებ წიგნს გადასადებად, და ამ სიტყვებსაც მივყვარ: — ნეტა თავს დამანებებდე ცოტა ხანს, ხომ არ შეიძლება ამდენი დაუმთავრებელი... და დასძენს გია მურღულია: ცნობილი რეზო სირაძისგან მსმენია, რუსთაველმა თითქმის მთელი ოთხასი წლით დაამუხრუჭა ქართული პოეზიის განვითარებაო. მეფენიც კი ამბობენ: „ვინც ვერ მიჰყვეს რუსთაველის თქმულსა, გადმოზრდნაღეს ასე აქეთ“. რუსთველი ერთი იყო და დანარჩენები, დავით გურამიშვილამდე, ეპიგონებად ჩამოყალიბდნენ.

ე.წ. ნარატივი, ვიდრე ლექსების კითხვას მოაყოლებდა, ბნმა გია მურღულიამ ასე გააგრძელა: „ყოველთვის მომწონდა უბრალოება. უბრალოების ესთეტიკა ჩემთვის ესთეტიკის ესთეტიკაა. ლაო-ძის აქვს გენიალური ნათქვამი: „ნუ იბრწყინებ ვითარცა ბრილიანტი, იყავი უბრალო, ვითარცა ქვა“. ქვეტიქსტები აქვს, რასაკვირველია, ამ გამოხატულებას. ჯერ ერთი, ბრილიანტივით რომ იბრწყინო, უნდა შეგეძლოს, და უარი მერე თქვა ამაზე, თორემ თუ არ შეგნევს ძალა საიმისოდ, ისედაც ნაუარება.

...მიყვარს ყველაფრის გამოხატვა სიმშვიდით. ოღონდ ეს სიმშვიდე არ ნიშნავს უმოძრაობას. ჰარმონია მიყვარს. ვგრძობ ამას დროდადროც და ხშირადაც. მაგრამ, ბუნებრივია, გამოხატვაა ძნელი. ამას წინათ საჯარო ლექციაზე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ არსებობს სამყაროს აღქმის ორი მოდელი: ერთია ანტიკური მოდელი, რომლის თვალსაზრისითაც სამყარო სივრცეა, ადამიანი — მჭვრეტელი. ბიბლიური

მოდელით კი სამყარო მედინია. და ამ ნაკადში უნდა მიიღოს ადამიანმა მონაწილეობა თავისი ცხოვრებით.

აი, ამ ტიპის დინამიკა უფრო მომწონს. ჩემი პროფესიით გამოწვეული, ხშირად ვკითხულობ ძველ ლიტერატურას და დავფიქრებულვარ, რომ უშუალოდ განვიცდი შუასაუკუნეების ესთეტიკას. უფრო მეტიც, მგონია, ეს ძალიან მახლობელია ყოველი ჩვენგანისათვის, XXI საუკუნის ადამიანისათვის. იმიტომ, რომ ის სიმშვიდე, იქიდან სიოსავით მონაბერი, ცხოველმყოფელია.

ამგვარი განმარტების შემდეგ გია მურღულიამ ნაიკითხა სამი ლექსი: „წვეთი“, „ქვა“, „უბაი“.

სამი დროის კავშირი, უწყვეტობა და ე.წ. მედინი სამყარო საინტერესოდ წარმოჩნდა მის პოეტურ ნააზრევში. თანაც ნაიკითხა გამორჩეული დეკლამირებით, ისეთი წვდომით და სისადავით, მხოლოდ ავტორები რომ გამოირჩევიან მსახიობებისაგან.

რახან მსმენელი სრულ ყურისგდებად იყო მიმართული, გია მურღულიას გაუხანგრძლივდა ლექსების გახმაურება. თანაც წინმსწრები ამბებიც მოიგონა, თითოეულის თხზვისას რომ ხელი შეეწყო.

ლიტერატურული შეხვედრა მხოლოდ პოეზიის საღამოდ რომ არ გადაქცეულიყო, მასპინძელმა იდროვა და სიტყვა სთხოვა **მაია ჯალიაშვილს** — კრიტიკოსს, თვითონაც პოეტს და, რასაკვირველია, ლექსის „მაჯისაცა შემტყობარს“:

„გია მურღულიას ლექსების ნაკითხვის შემდეგ შეიძლება თქვა, რომ იგი გრძნობს სიტყვის ფერს, მუსიკას, სურნელს, სიტყვის „ასტრალურ სხეულებს“, როგორც გრივად რობაქიძე იტყოდა, მოიხელთებს... ამიტომაც არიან მისი ლექსის სტრიქონები დამუხტულნი არა მხოლოდ ზედაპირული, არამედ ფარული შინა-არსებით. როგორც ერთ ლექსში წერს: „უბრალო ქვას და ფოთოლსაც მაცხოვრის სახე ატყვია“, ამ სახის ხსოვნა არის დაუღვევლი წყარო სიყვარულისა, რომელიც გამოუთქმელი სიხარულით ალავსებს სიცოცხლეს. ამ სახის ხსოვნას მოაქვს მარადიულობის განცდა. დრო მიდის, მაგრამ რჩება ნაკვალევი, რომელსაც ყველაზე ლამაზად პოეზია იწახება. ამიტომაც არის იგი, უპირველესად, დროში მოგზაურობა. გუშინ, დღეს და ხვალე ლექსის სტრიქონებში მთლიანდება და ადამიანი გრძნობს, რომ უკვდავია სიტყვასთან ერთად.

რა არის გია მურღულიასთვის ლექსი?

„ლექსი ის არის, სიტყვებს რაც უნდათ მოსურვილება ერთმანეთისა“ („ერთობა“).

ლამაზად არის გამოთქმული, რომ სიტყვებს უყვართ ერთმანეთი და მათი მიჯნურობიდან იზადება ლექსი. პოეტი კი ის არის, ვინც ამ სიყვარულს შეეწევა, უმფარველებს. ვინც ხედავს დაფარულს.

და ამავე ლექსში არის პოეტური ხილვაც: **„სიტყვა რა არის? რაც ღვთის წინაშე ცოცხლებს და მკვდრებსაც აერთიანებს. როცა ლექსები გაცოცხლდებიან, თავს დაუხრიან ადამიანებს“**. გვახსენდება გიორგი ლეონიძის სტრიქონები: **„ვინ იჯადოქროს, უკვდავების დღეს მხოლოდ ლექსები დაესწრებიან!“**

გია მურღულია ლექსს აღიქვამს, როგორც მხსნელს, რადგან ის, უპირველესად, სულის ნაყოფია.

მან იცის, რომ იმ პირველი მიჯნურობის გამოსახატავად „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“, მაგრამ მის გარეშე სიტყვებს არ ექნებათ სიცოცხლე და სიბრძნე, ამიტომაც პოეტობა, ლექსების თხზვა გამუდმებული მცდელობაა შეუძლებლის გამოხატვისა.

პოეტი, ჩვეულებრივ საგნებსა და მოვლენებში ხშირად უჩვეულოსა და წარმოუდგენელს ხედავს და შემდეგ ცდილობს განცდილის სიტყვებით იმგვარად გადმოცემას, რომ სხვასაც შეაგრძობინოს.

„ღმერთი? მანდ არის, მაგ გულში შენ კი სულ სხვაგან გგონია“ („მანდ არის“), — წერს გია მურღულია.

ქართულ პოეზიაში ქრისტეს სახება არაჩვეულებრივი მხატვრული სახეებით არის გადმოცემული. ამ ტრადიციას ეხმიანება ეს სტრიქონები („დაბადების დღის მოლოდინში“):

**უკვე ლამეა სახარებაში
იესოს სძინავს და ხედავს სიზმრებს,
როგორ გახმება ლელვის ხე მაშინ,
როდესაც მის ხმას არავინ ისმენს.**

მკითხველს ხიბლავს ამგვარი სიახლოვის განცდა იესოსთან, რომელსაც პოეტი ერთგან ასე მიმართავს: **„და მხოლოდ ერთი მიცავს იმედი, რომ შენ მქომაგობ, ძმაო იესო!“** („თამაში ჭვავის ყანაში“). გვახსენდება, იესო სინანულით რომ ამბობდა: „მელთა ხურელი უჩნს და ფრინველთა ცისა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“.

ორიგინალური კუთხით არის დანახული იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლა ლექსში „ვირის ნათქვამი“, რომელშიც ჩანს, როგორ შეცვალა სამყარო ქრისტეს ჯვარცმამ და აღდგომამ.

...ძალიან ძნელია ყაყაჩოს შეეხო, იმდენად ლადო ასათიანისეულია ეს ყვავილი, მაგრამ გია მურღულიასთან სრულიად განსხვავებულად წარმოჩნდება („საჩუქარი“):

**ყაყაჩოების სინითლე —
სისხლის ცრემლების ალები —
საიდან გაჩდა? — შენ გეტყვის
ღვთისმშობლის სველი თვალები.**

უჩვეულო სიცხადით წარმოგვიდგება ცრემლებისგან ჩანითლებული შავი თვალები ღვთისმშობლისა და ჩვენც მწუხარებისგან გვენისლება მზერა.

გია მურღულია ბევრს წერს სიყვარულზე, რადგან ღმერთი სიყვარულია. მას გამორჩევი უყვარს ჰაფეზი და ამას ამგვარი მეტაფორით გამოხატავს: „ჰაფეზი არ იფანგება“.

გია მურღულიას ლექსებში ჩანს ქართული პოეზიის დიდი სიყვარული, ხშირად შემოიჭრებიან ჩვენთვის ნაცნობი ხმები გალაკტიონისა, ვაჟასი, ლადო ასათიანისა, გიორგი ლეონიძისა, ოთარ ჭილაძისა... მაგალითად, „თვალთა მუსიკამ ისაფეხურა“ გვახსენებს გალაკტიონის სტრიქონს: „ესაფეხუროს ლალის ტატნობი“.

„ხმათა ხავერდები“ გვახსენებს ლადო ასათიანის სტრიქონს: „ხმათა ხავერდების და ლექსების ენა“...

ნაცნობ პოეტურ სახეებთან შეხვედრა არ არის მოულოდნელი. სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიცაა, მაგრამ გია მურღულია ახერხებს თავისი ხმაც შეუერთოს ქართული პოეზიის მრავალფეროვნებას.

ერთ საღამოს გია მურღულიამ ფეისბუქზე გამოაქვეყნა ლექსი „რა ხდება?“, რომლის ბოლო სტროფი ასეთია:

**იმ ღრმა უფსკრულში ვარდები,
სადაც არავინ სახლდება,
დაშვებულა ფარდები
და უკვე იცი, რა ხდება...**

მე კი კომენტარში ექსპრომტად დავუნერე ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

**ანეულია ფარდები,
როლი არ არის ადვილი...
თქვენ ახლა პოეტს თამაშობთ...
ან პოეტი ხართ ნამდვილი...**

მოკრძალება და საუკეთესო სურვილები გამოხატა პოეტმა სევარიონ ნადირაძემ თავისი სიტყვით: „ბ-ნი გია არის პიროვნება, მკვლევარი და ხელოვანი, მონივნებით რომ აღგავსებს ადამიანს.

მისი ლექსები ისეთი პროფესიული ხერხებითაა ნასაზრდოები, თამამად შეიძლება ითქვას, მხოლოდ პოეტს ხელენიფება ასე ლამაზად გადმოსცეს სათქმელი“.

მერე კვლავ პოეზიას დაეთმო ტრიბუნა. გია მურღულიამ ნაიკითხა ლიტერატურული ალუზიებით შთაგონებული ლექსები, კერძოდ, ჰემინგუის განცდით „კატა წვიმაში“, „მარიტა“ — გიორგი ლეონიძის შთაგონებით. ხაზგასმული სიყვარულით ისაუბრა ოთარ ჭილაძის პოეზიაზე, ზოგადად ამ მწერლის როლზე, და დასძინა, მისი ახალგაზრდობისდროინდელი იმპრესიონისტული ლექსი როგორ ექცა წყაროდ საკუთარს გამოსახატავად.

თემატურმა დაჯგუფებამ მოიყოლა შეკითხვაც. მითუმეტეს დიალოგი იმთავითვე გახლდათ ნებადართული და ნახალისებულიც მასპინძლისაგან.

აი ეს შეკითხვა:

— ჩვენს სალიტერატურო სინამდვილეში, ბოლო წლებია განსაკუთრებულად დაანიაურეს ტერმინი ალუზია. მხატვრულ ტექსტებში მისი დაძებნა და გამოფრა აუცილებელ და ლამის დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენებს გაუტოლონ. და უკვირს, რასაკვირველია, უბრალო ადამიანს, მკითხველს, რატომ იქცა ეს სიტყვა პრესტიჟად. თანაც, ალბათ უახლესი ლიტერატურის კრიტიკოსთა მიმბაძველობით, მისაღებ გამოცდებზეც ერთ-ერთ „ჩამჭრელ“ ტესტად იშველიებენ ამ ტერმინს, აბიტურიენტთა ნაკითხობის შესამოწმებლად.

ერთი სიტყვით, ბ-ნი გია მურღულიას, როგორც განათლების სისტემის ღვანღმოსილ მუშაკს, ამ ამოჩემებზეც დაეკითხნენ.

— „კაცმა რომ თქვას, ეგ კითხვა გზის გასაყარზე დგას, მხატვრული ლიტერატურისა და განათლების სისტემისთვისაც. ალუზია ძალიან პიროვნულია, რომ ვილაცამ შეგიფასოს, შეგიმონმოს. რაც შეეხება ჩვენს განათლების სისტემას, მკვეთრ დახვეწას მოითხოვს. რა გითხრათ, აბიტურიენტთა ნაშრომებს რომ ვეცნობი, იმდენად სავალალო მდგომარეობაა, ვფიქრობ, დამატებითი სიმძიმე აღარ ესაჭიროებათ. გადასახედიან სახელმძღვანელოები. რომ იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ამ წუთში ჩემი XII კლასელები მიდგანან თვალწინ. დარბაზში მასწავლებლებს ვხედავ, ისინი თავიანთ მოსწავლეებზე ფიქრობენ ალბათ. და მახსენდება XII კლასელთათვის ერთ-ერთი გამოცემა: რა ტიპის დავალებებია იცი თქვენ იქა? აი, მაგალითად: „გაიხსენეთ ევროპული პოსტმოდერნიზმი, შეადარეთ რუსულ პოსტმოდერნიზმს და დაასკვნით განსხვავების შემდეგ, რუსული პოსტმოდერნიზმი ისეთივე არაბუნებრივი ნაწილია ევროპულია როგორც ქართული თუ არა?“

არადა პოსტმოდერნიზმი გამოიკითხო კი არა, „ვეფხისტყაოსანი“ ვინ დაწერა, ისიც არ იცის ზოგიერთმა. საკამათოდ არა ვარ განწყობილი, არც საქელიკოდაა საქმე, იმასაც არ დავფარავ და მოგახსენებთ, მშვენიერი ტექსტებია შერჩეული, მაგრამ ერთად თავმოყრილი ნამეტანი ბევრია და ასეთი წიგნი სახელმ-

ძღვანელოდ ვერ ივარგებსო — დასძინა ბ-ნმა გია მურღულიამ, უფრო განვრცობა ამ საკითხისა საჭიროდ აღარ მიაჩნია.

სამაგიეროდ, განათლების სადღეისო პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, როცა სიტყვა მოითხოვა ფილოლოგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **დარეჯან კვანჭიანმა**: „საქართველოში ყველა ფილოლოგი იცნობს გია მურღულიას და იცნობს მის ნააზრევს. უწინარეს ყოვლისა თქვენი ნაშრომი „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“ ვასილ მაღლაფერიძესა და გია ალიბეგაშვილთან თანაავტორობით, გადაუჭარბებლად ვიტყვი, სამაგიდო წიგნია ყოველი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის.

და კიდევ, წელან რომ შეკითხვას უპასუხეთ. რა თქმა უნდა, საჩოთირო მდგომარეობაში პედაგოგებიც აღმოვჩნდით. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, სიმართლე ალბათ უფრო ისაა, რომ განათლების სამინისტრო დებს ისეთ მოთხოვნებს, ავტორები იძულებულნი ხდებიან, მათი ბრძანების შესაბამისად შეადგინონ წიგნები. დიახ, ეს რთული საკითხია და, რასაკვირველია, უფრო სხვაგანაა სამსჯელო.

რაც შეეხება ლექსებს, ფეისბუქზე ნამიკითხავს. ანალიზს, მოგეხსენებათ, სხვანაირი მომზადება სჭირდება, განსაკუთრებული კვლევა. ერთს კი ვიტყვი, ბ-ნი გიას პოეზიაში არის განსჯისა და ლირიკის ნაზავი. მისი სამიჯნურო ლექსები უდავოდ სულის გამაფაქიზებელი, დამამშვენებელია, ულამაზეს გრძობებს იტყვს. ბედნიერებაა სწორედ, რომ მის პოეტურ კრებულს მკითხველი მშვიდად აიღებს ხელში, საიმედოობით და სანდოობით გადაშლის, არანაირ საჩოთიროსა და უხერხულს იქარ ნაანყდება...“

ბოლოს ორატორმა და ემოციურმა ქალბატონმა მადლობა გადაუხადა როსტომ ჩხეიძეს ზოგადად ღვანღმოსათვის; აგრეთვე სულის ოაზისად მიიჩნია დარბაზი, სადაც მუდამ საინტერესო შეხვედრები იმართება და ხელოვნების მოყვარულნი და ლიტერატურის დამფასებელნი იკრიბებიან.

სიტყვა ეთხოვა ბ-ნი **რეზო ესაძეს**, თუმცა ღვანღმოსილმა ხელოვანმა ბრძანა — ამ ანემარემში სიჩუმით ტკობა მიჯობსო.

პროფესორმა **ლია რუხაძემ** სასიამოვნო მოულოდნელობა უწოდა გია მურღულიას ლექსებს და შემოქმედებითი ნარმატებებიც უსურვა.

როგორც ყოველთვის კვლავ საინტერესო და ცინცხალი ჩანანერებით ნარდგა მსმენელის წინაშე **თემურ ნადარეიშვილი**, ცნობილი ფიზიკოსი, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორი. სხარტი მიგნება-მიმსგავსებანი გია მურღულიას ლირიკულ სტრიქონიდან ფიზიკის უზოგადეს კანონებს გადასწვდა, კერძოდ კოსმოლოგიისა და ელემენტარულ ნაწილაკების შეხებას და დიდი აფეთქების თეორია ისე თვალსაჩინოდ მოხაზა, მის ლექციაზე დასწრების ნატვრა გულში აღარ დაიჭია და ხმამაღლა გამოხატა დრამატურგმა **რეზო კლდიაშვილმა**.

...და რასაკვირველია, გახანგრძლივებულ შეხვედრას ჰქონდა ლოგიკური დასასრულიც.



როსტომ ჩხეიძე და გია მურღულია

გურამ ყორანაშვილი

ჩემი მოგონებები ზვიად გამსახურდიაზე

(SINE IRA ET STUDIO)

ზვიად გამსახურდიას პიროვნება ჩემს ცნობიერებაში გამოჩნდა 1956 წლის მარტის ჭეშმარიტად მღელვარე დღეებში. 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის შემდგომ ჩვენმა ქვეყანამ ასეთი მასობრივი საპროტესტო მოძრაობა პირველად იხილა. თბილისის გარდა ამოძრავდა პროვინციებიც. კერძოდ, ამ თვალსაზრისით დიდად აქტიურობდნენ გორის მიმდებარე რაიონები. საერთო მიზეზი გასაგებია: საქმე ხომ ეხებოდა რუსეთის მხრივ ჩვენი ქვეყნის მორიგ დაჩაგრვას, რაც გამოიხატებოდა „საქართველოს დიდი შვილის“ სახელის გაბიაბრუება-დიფამაციაში. რაც შეეხება გორს, მისი იმჟამინდელი აქტიურობაც საგულისხმოა: იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი) ხომ აქ დაიბადა! საყოველთაო მღელვარებას შევეურთდით ქვიშხეთის საშუალო სკოლის უფროსკლასელთა აქტიური ნაწილიც, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 9 მარტს გორში გამართულ დიდ მიტინგსა და დემონსტრაციაში.

კარგად მახსოვს, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა მომწყობნი უპირატესად იოსებ სტალინის სახელის დაცვას, რეაბილიტაციას ისახავდნენ მიზნად. უფრო შორს ადამიანთა უმცირესობა თუ მიდიოდა. ასევე იქნებოდა თბილისშიც.

სწორედ ასეთ ისტორიულ ფონზე შევიტყვეთ ზვიად გამსახურდიას თბილისური ჯგუფის („გორგასლიანი“) რევოლუციური (ეროვნული) აქტიურობის შესახებ. გადმოგვცემდნენ, რომ ეს ჯგუფი თავიანთი ლიდერის, გამოჩენილი ქართველი მწერლის შვილის მეთაურობით თითქოს შორს მიდიოდა და აშკარად უპირისპირდებოდა საბჭოთა კავშირის (განახლებული რუსეთის იმპერიის) ხელმძღვანელობას. კერძოდ, ხმები მოდიოდა, რომ ხსენებული ჯგუფის წევრები თვით მილიციელებსა და რუს ჯარისკაცებსაც კი ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ეს ამბავი, რასაკვირველია, დიდად აღგვაფრთხილებდა.

გულწრფელად გვჯეროდა, რომ საქართველო უახლოესი თვეების განმავლობაში თუ არა, ერთ წელიწადში მაინც აჯანყების ალში გაეხვეოდა და ეროვნული გათავისუფლების დღეც დადგებოდა. ცხადია, ამ დიადი პროცესის სათავეში ზვიად გამსახურდიასა და მის ჯგუფს მოვიზრებდით. ამით ვგრძნობდით ჩვენი თაობის გამორჩეულ როლს. სამწუხაროდ, მოვლენები ასე როდი განვითარდა და ჩვენ ძალიან გულუბრყვილონი აღმოვჩნდით. მაგონდება ჟორჟ კლემანსოს (1841-1929 წწ., ცნობილი ფრანგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე) სიტყვები იმის თაობაზე, რომ ვინც ახალგაზრდობაში რადიკალი არ ყოფილა, მას გული არა ჰქონია, ხოლო ვისაც მონიფულობა-სიბერეში ზომიერება არ გააჩნია, მას გონება არა ჰქონია.

მომდევნო 1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტალინის სახელს რომ ატარებდა, შევედი. აქვე, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, დაიწყო სწავლა ზვიად გამსახურდიამაც. იგი ჩემზე ერთი წლით უფროსი გახლდათ (სკოლაში ექვსი წლისა შემეყვანეს). ისტორიის ფაკულტეტზე ჩემთან ერთად აღმოჩნდნენ ზვიადის ყოფილი თანაჯგუფელები (პოლიტიკური): გურამ დოჩანაშვილი და ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე. უფრო მოგვიანებით გავიცანი ჯონდო ვეტრეველიც.

დიდად სამწუხაროდ, ზვიადს იმხანად არ ვიცნობდი. ვატყობდი, რომ უნივერსიტეტში იგი ცალკე, განმარტოებით

დადიოდა ხოლმე. მაშინდელ სტუდენტობაში დამკვიდრებული ტრადიციით, უნივერსიტეტის ბაღში რომელიმე ცნობილი პიროვნების ნოდარ დუმბაძის, შოთა ჩანტლაძის, ქართლოს კასრაძის და ნიაზ დიასამიძის — გარშემო სტუდენტთა ცალკეული ჯგუფები იკრიბებოდა. ძალიან მინდოდა რომელიმე ამ ჯგუფში ზვიადიც ყოფილიყო და იქ მივსულიყავი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

1962 წელს, ჩათვალეს რა ჩემი სადიპლომო ნაშრომი ანტიმარქსისტულად, ანტისაბჭოურად, მე არ მომეცა შესაძლებლობა მისი დაცვისა და, ამდენად, არ დამიშვეს სახელმწიფო გამოცდებზე და უდიპლომოდ დავრჩი. მოხდა ისე, რომ სწავლა გავაგრძელე (აღმადგინეს მეოთხე კურსზე) მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში და საერთოდაც ამ ქალაქში ცხოვრება მომიწია ექვსი წლის მანძილზე. ასე რომ, ზვიადთან ჩემი რაიმე ურთიერთობანი გამოირიცხებოდა. ზვიადი გავიცანი 1971 წელს, დღეს ფრიად აღიარებული მწერლის გურამ დოჩანაშვილის მეშვეობით. მშვენივრად მახსოვს ეს ამბავი, რომელიც ყოფილ კინოთეატრ „სპარტაკთან“ მოხდა. ჩემმა სენხიამ მას ჩემი თავი წარუდგინა. ვილაპარაკეთ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ატლანტიკის ცივილიზაციის თაობაზე, რომლითაც მაშინ დიდად ვიყავი გატაცებული. საკითხზე სტატიაც კი დავწერე, რომლის დაბეჭდვაც ვერ მოხერხდა. ზვიადმაც ცხოველი ინტერესი გამოიჩინა აღნიშნული თემის მიმართ.

ერთხელ, 1974 წელს სამხატვრო გალერეის წინ შეხვდით. იქვე, ალექსანდრეს ბაღში, ხანგრძლივი საუბარი გამიბა ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მას არ სჯეროდა ქართველ ისტორიკოსთა შორის გავრცელებული მითი დიდ ისტორიკოსთა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის — ტრიადისა. ამდენად, ფიქრობდა, რომ ივანე ჯავახიშვილთან დასახლებული ორი პიროვნების დანყვილება უადგილო იყო, იმ ორთაგან კი უპირატესობას ნიკო ბერძენიშვილს ანიჭებდა. რასაკვირველია, ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვა. საერთოდ, ვიტყვი, რომ ზვიადი ისტორიით საკმაოდ დაინტერესებული გახლდათ. აინტერესებდა ჩვენი უძველესი ისტორია, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეთა ცნობილი მოვლენების ობიექტური, საბჭოური იდეოლოგიისგან თავისუფალი ცოდნა. რასაკვირველია, მას ეს მიაჩნდა ახალი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ერთ-ერთ დასაყრდენად.

კერძოდ, ჩვენი ისტორიისა და ისტორიოგრაფიისადმი მიდგომისას თავს იჩენდა ზვიადის კრიტიკული აზროვნება. ცხადია, ამ ნიშან-თვისების გამოისობით მან ბევრი მტერი გაიჩინა, განსაკუთრებით, „ნითელ ინტელიგენციაში“. მაგრამ ეს მხარე, ჩემი მყარი შეხედულებით, ზვიადის უპირატესობას წარმოადგენდა. იგი ამ მხრივაც ნამდვილი ილიაელი იყო. დიდი დანაშებით ვიტყვი, რომ ამგვარი ნიშან-თვისება ქართველებს ნაკლებად გვახასიათებს დღესაც კი.

ზვიადის მიერ ადამიანის უფლებადაცვით სფეროში გამოვლენილი ინიციატივები და ენერგია (რამდენიმე პირთან, განსაკუთრებით მერაბ კოსტავასთან ერთად) მნიშვნელოვანი გახლდათ და შესაბამისად, ანტისაბჭოურად განწყობილი ამას ძალიან ვაფასებდით. ასევე ითქმის მისი რედაქტორობით გამოცემული თვითგამოცემით («Самиздат») ჟურ-

ნალეზე: „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმინდა“. თბილისში იმხანად არალეგალურად ვრცელდებოდა ალექსანდრ სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი“, რომელმაც საბჭოური წესწყობილების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში უფრო დიდი როლი შეასრულა, ვიდრე თავის დროს ალექსანდრ გერცენის წიგნმა «Былое и думы». გვეგონა, რომ აღნიშნული წიგნების ეგზემპლარები ჩვენთან მოსკოვიდან ვრცელდებოდა. გვიან შევიტყვე, რომ ჩვენთან „გულაგის არქიპელაგის“ არალეგალური გამოცემის ორგანიზატორი ზვიადი ყოფილა!

ამგვარად განწყობილთა საწინააღმდეგოდ, საერთოდ ქართველ ბიუროკრატებს რომ თავი დავანებოთ, გამოდიოდა „წითელი ინტელიგენციაც“. მანამდე ამ ტერმინს და შესაბამის ცნებას დადებითი შინაარსით მოიხსენიებდნენ და მათში გულისხმობდნენ მუშურ-გლეხური წარმოშობის ინტელიგენციას, თავადაზნაურულისაგან განსხვავებით. ზვიადის აზრით კი, აღნიშნული ტერმინი და ცნება ოდიოზური, უარყოფითი შინაარსით მოიაზრებოდა. კერძოდ, მათში იგულისხმებოდა კოლაბორაციონისტული, ბოზოლა ინტელიგენცია, რომელიც ფაქტობრივად მმართველი კლასის ბიუროკრატის — შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

„წითელ ინტელიგენციას“, ზვიად გამსახურდიასეული გაგებით, ჰქონდა სათანადო იდეოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია. მისი წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ ნაღდი პატრიოტები, უპირველესად საქართველოს ბედ-იღბალზე რომ ზრუნავდნენ. მაგრამ სინამდვილეში საბჭოური რეჟიმის სამსახურში ყოფნით ისინი პირველ ყოვლისა თავის კარიერასა და კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ზვიადი მართალი იყო და წითელი ინტელიგენციის ტერმინი და ცნების მისეული ხმარება დღესაც კი უპრიანია, ამის გარეშე ჩვენი ქვეყნის საბჭოურ პერიოდს ვერ გავივებთ.

თქმულიდან გამომდინარე, კერძოდ, ქართველ ინტელიგენციაში იყო ორი მიმართულება. ნამდვილად პატრიოტულად, რადიკალურად განწყობილი ნაწილი (შედარებით მცირე) დიდად თანაუგრძობდა ზვიადისა და მის თანამოაზრეთა აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობას, მეორე ნაწილი კი (უმრავლესობა) მათში დონ კიხოტებსა და უარესსაც ოდიოზურ აზროვნებასა და ქცევას ხედავდა. გულის სიღრმეში ესენი, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად იცავდნენ თავს. ზვიადი და მისი თანამოადასენი კი მათი დიდ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უქმნიდა.

რაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრების შემდგომ მოხდა, კარგად არის ცნობილი. პირველის მონაწილემამ ინტელიგენციის პირველი კატეგორიის წარმომადგენლებს დიდად დაგვწყვიტა გული. სამაგიეროდ, ამ ფონზე მაღლა აიწია მერაბ კოსტავას ავტორიტეტმა. სოფელ კოჩუბეში გადასახლებიდან დაბრუნებული ზვიადი საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში მეცადინეობდა ხოლმე (სხვათა შორის, შეხვედრებისას მე კვლავ „თქვენობით“ მივმართავდი. ის კი „ბატონო“-თი).



ზვიად გამსახურდია

ერთხელ ზვიადის სამუშაო მაგიდასთან ჩავლისას შემხერა და მაჩვენა ადგილი ილიას თხზულებების პავლე ინგოროყვასეული გამოცემის VI ტომიდან. აქ დაბეჭდილ ნოე ჟორდანიათა საწინააღმდეგოდ დაწერილ „უმეცრების ფართი-ფურთში“ (პირველად დაბეჭდა 1900 წელს) გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთფურტის ყრილობაზე (1892 წელს) მიღებული პროგრამის თაობაზე ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე წერდა: „ეს ის პროგრამაა, რომელიც მითომდა სახელოვანის მარქსის მოძღვრებაზეა აგებული“ (გვ. 259). ამის შემდეგ ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზიდან გამიხმო და მელაპარაკა თუ რა დაბალი აზრისა გახლდათ ილია კარლ მარქსზე, თითქოს სიტყვა „მითომდა“ სწორედ მისი მისამართით იყო ნათქვამი. ამაზე ვუპასუხე, რომ სერიოზული პასუხისთვის ჯერ მზად არა ვარ და ამ თემაზე სხვა დროს ვისაუბროთ-მეთქი.

მართლაც, ჩავუჯექი აღნიშნულ საკითხს, რის შედეგადაც დავრწმუნდი, რომ ილია კარლ მარქსზე, ნოე ჟორდანიათა და ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან (ესდემებისაგან) განსხვავებით, დიდი აზრისა გახლდათ. სიტყვა „მითომდა“ ამ მოაზროვნეს კი არა, არამედ ხსენებულ პროგრამას მიესადაგებოდა. ამაზე ზვიადი გაჩუმდა არ ვიცი, დამეთანხმა თუ აღარ მოინდომა კამათი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მიწა შევეხო ზვიადის შეხედულებას ილიას მკვლელობის თაობაზე. იგი, რასაკვირველია, სთვლიდა, რომ მის ტრეგიკულ აღსასრულში „ობრანკა“-ჟანდარმერისა კი არა, არამედ ქართველ ესდემებს მიუძღვით დანაშაული. ამაზე იმხანად მე სპეციალურად არ მემუშავა, მაგრამ ამ საკითხში ზვიადს უყოყმანოდ დავეთანხმე.

ღირს შეხსენებად, რომ აღნიშნულ საკითხზე ზვიადს თავისი პოზიცია წერილობითაც ჰქონდა დაფიქსირებული. ამის დასტურია მის მიერ „ოქროს საწმინდაში“ (1975, ?2) მოთავსებული იროდიონ ევდოშვილის წერილი, 1911 წლის 1 ნოემბერს გაგზავნილი სანდრო შანშიაშვილისადმი, ოღონდ კომენტარების გარეშე და ერთი პასაჟი 1975 წელს დაწერილი წერილიდან: „დიდად ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა მოხევე ლელთ ლუნის სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“-ო. ამას მიეღწეოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეენირა დიდი ილია“. საბოლოოდ მართლაც ასე იყო და ბევრი ამას ნათლად ახლაც კი ვერ ხედავდა.

ვფიქრობ, ზვიადი, ასევე, მერაბ კოსტავა, ილიას ტრეგიკულ აღსასრულთან, საერთოდ საქართველოს უახლეს ისტორიის გაგებასთან დაკავშირებით ბატონ კონსტანტინესაგან იყვნენ სათანადოდ დამოძღვრილი.

1982 წელს მერაბ კოსტავას სასჯელის ერთი ვადა დაუმთავრდა, მაგრამ მეორე ვადაც მიუსაჯეს. ამის შესახებ ოთხმა პიროვნებამ გადაწყვიტეთ, შესაბამისი თხოვნით (დეპუტის ფორმით) მიგვემართა ლეონიდ ბრეჟნევისადმი. შევეთანხმდით, რომ ამას გავაკეთებდით ზვიადის ჩაურევლად. მაგრამ, ეტყობა, მან შეიტყო ჩვენი განზრახვის თაობაზე და შემოგვიერთდა ყოფილ პლენარის გამზრზე მდებარე ფოს-

ტამბის შენობაში (პირველ სართულზე), საიდანაც ვაპირებდით დეპუტის გაგზავნას.

დავჯექით რა დეპუტის ტექსტის შესადგენად, დარბაზში გამოჩნდნენ „კაგებეს“, ანუ როგორც ზვიადი ცდილობდა დაემკვიდრებინა, „სუკ“-ის თანამშრომლები ფილერები, მეთვალთვალები. ტექსტის შედგენა გადაწყვიტა ზვიადმა და დაწერა კიდევ. მართალი გითხრათ, ტექსტის ტონი არ მომეწონა, იგი აგრესიულად იყო დაწერილი. რაკი მივხვდით, რომ ტექსტს ამ დაწესებულებიდან ვერ გავაგზავნიდით, გადავწყვიტეთ დავგეტოვებინა ეს ადგილი და დეპუტე გავგეგზავნა რუსთაველის გამზირზე მდებარე კავშირგაბმულობის შენობიდან. ვავემგზავრეთ ტაქსით. ჯორჯიაშვილის ქუჩის ბოლოს (ზემოთ) მანქანიდან გადმოსვლისას ზვიადს ვუთხარი: თქვენ მერაბთან განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდათ და უმჯობესი იქნება დეპუტე თქვენ ცალკე გააგზავნოთ-მეთქი. დამიჯერა და დაგვმორდა.

ამის შემდეგ კავშირგაბმულობის სახლში შევედით და დავწერეთ ლოიალური ტექსტი, „ძვირფასი“ ლეონიდ ილიჩისადმი გასაგზავნი. დავწერეთ, რომ მერაბ კოსტავასთვის სასჯელის გაგრძელება უადგილო იყო, გარდა ამისა, იგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ჰყავდა ავადმყოფი დედა, რომლისთვისაც მერაბი ერთადერთი დასაყრდენი გახლდათ. არ ვიცი, ეს დეპუტე კავშირგაბმულობის სახლიდან გააგზავნეს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის გამო „სუკ“-ში არ გამოვუძახივართ.

მანამდეც ზვიადსა და მე არაერთხელ გვექონია საუბარი ედუარდ შევარდნაძის მიერ ჩაფიქრებული გეორგიევსკის ტრაქტატის პომპეზურად ჩატარების თაობაზე. უკანასკნელი იქამდეც კი მივიდა, რომ მოხსნა დებულება, სტალინთან ნიკო ბერძენიშვილის მიერ შეთანხმებული, საქართველოს რუსეთთან „შეერთებაზე“, როგორც უმცირეს ბოროტებაზე. ამის სანაცვლოდ „უდიდესმა პოლიტიკოსმა“ იგი წარმოადგინა „საკითხის აღმავალ სპირალად“. გაჩაღდა დიდი სამზადისი, რა პირობებშიც „წითელ ინტელიგენციას“ სანინააღმდეგოდ, ცხადია, ხმა არ ამოუღია. საბოლოოდ ქართველმა საბჭოთა ბიუროკრატებმა ეს თარიღი ისეთივე პომპეზურობით აღნიშნა, როგორც ჩვენმა თავად-აზნაურობამ საქართველოს შეერთებისა (მიერთების) 1901 წლის სექტემბერში.

ზვიადი მეკითხებოდა თუ რას მოვიმოქმედებდით ისტორიკოსები „ზემთან“ დაკავშირებით. გვინდოდა დაგვეწერა ცალკეული სტატიები და ისინი ერთ კრებულად გამოგვეცა, ასევე ვფიქრობდით ივანე ჯავახიშვილის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ ნაშრომის არალეგალურად დაბეჭდვაზე. სამწუხაროდ, ეს არ გამოვიყვინა. ზვიადმა კი გვაჯობა და 1983 წელს ჟურნალ „საქართველოში“ (22) სპეციალური ნომერი მიუძღვნა აღნიშნულ საკითხს. აქ მოთავსებული იყო ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომები, სტატია გაზეთ „ისკრიდან“. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს აქცია ზვიადს ანტისაბჭოურად ჩაუთვალეს.

უნდა ითქვას, რომ საპროტესტო განწყობილება ამით არ დამთავრებულა. ოცდაათიოდე პირმა ეს გამოვხატეთ სათანადო აქციებით, ოთხმა-ხუთმა ციხეშიც კი ამოჰყო თავი, ხოლო ერთი (ისტორიკოსი ზურაბ ცინცაძე) არხანგელსკის ოლქში იქნა გადასახლებული. დაე, ეს ყველაფერი დაბრალდეს ედუარდ შევარდნაძეს, რომლის მლიქვნელობასაც რუსეთის წინაშე საზღვარი არა ჰქონდა.

რასაც ჩვენ, მიაბიტი ახალგაზრდები, 195657 წლებში ველოდით, ისტორიის გონმა ამის აღსრულება იწეა 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. საბჭოური სისტემის დაუძლურება, კრახმა დასავლეთთან დაპირისპირებულობაში, ამით გამოწვეულმა ე.წ. „პერესტროიკის“ მცდელობებმა ქართვე-

ლობის წინაშე ახალი ისტორიული შესაძლებლობები დასახა. ახალ ისტორიულ გამოწვევას ბალტიისპირელებმა (საბჭოთა) ერთიანი ეროვნული ორგანიზაციების შექმნითა და სათანადო პროგრამების შედგენით უპასუხეს, ჩვენ კი სხვადასხვა, დაპირისპირებულ ორგანიზაციებში აღმოვჩნდით, საერთოდ მომავლის ბუნდოვანი გააზრებით, რამაც, ცხადია, მძიმე შედეგები მოგვიტანა.

მაგონდება 1987 წლის 19 ივნისი, მთავარი საარქივო სამმართველოს შენობა. აქ ჩვენ შევიკრიბეთ ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორის, კარგი პიროვნების, ბატონ ვახტანგ გურგენიძის მოხსენების მოსასმენად, რომელშიც უკანასკნელი ილიას მკვლელობას ქართველ ესდეკებს აბრალებდა. ცხადია, სააქტო დარბაზის კარები ჩაკეტილი დაგვხვდა. მალე აღნიშნული არქივის დირექტორიდან გაათავისუფლეს ბ-ნი ვახტანგ გურგენიძე, რომელმაც თავისი ეს მოხსენების ტექსტი რამდენიმე ინსტანციას გაუგზავნა და პარტიდანაც გავიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, „დამნაშავეს“ მხარს ვუჭერდით. მაგრამ ეს იყო ოდენ მორალური სახის მხარდაჭერა. უფრო აქტიური იყვნენ ზვიადი და მერაბი, რომელთაც საბჭოურ დისიდენტურ გამოცემებზე დაყრდნობით აიძულეს ხელისუფლება, რომ ბატონი ვახტანგი სამსახურში აღედგინათ.

როცა საზოგადოების წინაშე მწვავედ დადგა დავით გარეჯისა და ხევსურეთზე რკინიგზის გაყვანის პრობლემები, ცხადია, მთელი ოპოზიცია ერთად ვიყავით. ეს იყო ბედნიერი დრო (მსგავსი 1978 წლის 14 აპრილისა), როდესაც ოპოზიციაში „ჩვენ“ და „ისინი“ არ ვარსებობდით. ვიყავით მხოლოდ ჩვენ, რომელიც ვუპირისპირდებოდით „მათ“ ჩამყაყებულ ძალებს.

ასევე თვალწინ მიდგას 1989 წლის ნოემბერი, კინოს სახლი. აქ ზვიადს შეკრიბა თავისი თანამოაზრენი და განიხილავდნენ აფხაზთა წარმომავლობის პრობლემას. როგორც კი ერთ-ერთ მცირე დარბაზში შევედით, ზვიადმა მყისვე წარუდგინა შეკრებილთ ჩემი თავი შემოვიდა „ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი“ გურამ ყორანაშვილი, რომელსაც ვთხოვთ გავგარკვიოს ამ საკითხში. ამასთანავე იქ მყოფთ შეახსენა ის ამბავი, რომ საკითხის თაობაზე სიმონ ჯანაშიას შეხედულება არასწორი გახლდათ და სწორი იყო მოსაზრება ნიკო ბერძენიშვილისა, რომელიც ამჯერადაც პირველთან შედარებით უფრო მაღლა დააყენა.

მე მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოვთქვი ჩემი აზრი, რასაც დღესაც ვიზიარებ და სრულიადაც არა აფხაზ სეპარატისტებისადმი და მათი ვიგინდარა ლიდერებისადმი რაიმე შემინებილური პოზიციის გამოისობით. აღვნიშნე, რომ კერძოდ, ნიკო ბერძენიშვილის შესაბამისი შეხედულება ბევრ გაურკვევლობას შეიცავს, რომ ვერ დავიჯერებ წარმოდგენას ჩრდილოეთიდან მიგრირებული (ახ. ნელთალრიცხვის დასაწყისში) აბაზგებისა და აფშილების ვითარცა კოლხური წარმომობის ხალხების თაობაზე. ტოპონიმიკური ფაქტებიც ადასტურებენ-მეთქი სხვა გარემოებას, რასაც სიმონ ჯანაშიასთან ერთად დიდი ივანე ჯავახიშვილიც გახაზავდა. ვილაპარაკე აგრეთვე მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრებ პროტოხეთებზე (ხათებზე), როგორც აფხაზურ-ადილეური მოდემის ხალხზე და ა.შ. აუდიტორიამ ჩემი საუბარი, ცხადია, გულგრილად მიიღო, არ მოეწონათ, რადგან სხვაგვარი განწყობისა იყვნენ.

მსგავს სიტუაციას ჰქონდა ადგილი ორი-სამი კვირის შემდგომაც. საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძემ (მოგახსენებთ, რომ მე ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრი ვიყავი) მითხრა, რომ სხდომათა დარბაზში მოხსენება წამეკითხა აფხაზთა ვინაობაზე. დარბაზში იმყოფებოდნენ ზვიადი და მერაბიც.

საკითხზე კარგა ხანი ვისაუბრე, გავიმეორე ის, რაც ჩემი მეცნიერული მრწამსი იყო. მისმენდა თითქმის 400-კაციანი აუდიტორია, რომლის უმეტესობას, შესაძლებელია აბსოლუტურსაც კი, ჩემი ნალაპარაკები არ მოეწონა. სიტყვა დავამთავრე სიჩუმეში, კარგია რომ სტვენითა და ხმაამალაი უკმეხი წამოძახილებით არ შემხვდნენ.

ზვიადი და მე ურთიერთდაპირისპირებული აღმოვჩნდით 9 აპრილის მოვლენის წინა დღეებში. უმცირესობასთან ერთად მეც ვფიქრობდი, რომ ხელისუფლებასთან რადიკალური დაპირისპირება იმხანად არ ღირდა და მომიტინგეები უნდა დაშლილიყვნენ. ვფიქრობდით, რომ საბჭოური რუსეთის დამსჯელი ძალები ამას ძალადობით, ცემა-ტყეპით და წყლის ჭავლებით მოიმოქმედებდნენ. მაგრამ თუ ამას მომხდარი სისასტიკით ჩაიდენდნენ, ეს ნამდვილად ვერ წარმოგვედგინა! თუმცა ამჟამად მოწმენი გავხდით იმისა, რომ დღევანდელი „დემოკრატიული“ რუსეთი ჩვენი ქვეყნის მიმართ კვლავაც აგრძელებს უკეთურ ქმედებებს...

მაგრამ როდესაც დაპატიმრებულთა, მათ შორის, ზვიადისა და მერაბის, გათავისუფლებაზე მიდგა საქმე, ვიკრიბებოდით კინოს სახლის ერთ-ერთ ოთახში და ვითხოვდით მათ გათავისუფლებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით, აქტიურობდნენ ბატონები: ჯანაშია ჩარკვიანი და ნოდარ ნათაძე.

ზვიადი და მე ერთდ მოვხვდით, ასე ვთქვათ, პრეზიდენტში მიტინგისა, რომელიც გაიმართა 1990 წლის 25 მარტს მთავრობის სახლის წინ. გვინდოდა გამოგვეთქვა ჩვენი მხარდაჭერა ლიტველი ხალხისადმი, დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ზვიადს ვუთხარი, რომ რაკი „გურულმა ყაზახმაც“ (ცხადია, ვგულისხმობდი საბჭოთა კავშირის იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძეს) ალიარა ეს ფაქტი, იმედია იგი საქართველოსათვისაც მოინდომებს მსგავსი აქტის ხელშეწყობას. ზვიადმა ამაზე არაფერი მიპასუხა, მაგრამ სახეზე კი შევამჩნიე ირონიული ღიმილი.

დაპირისპირებულობა ჩვენს შორის უფრო გაღრმავდა. მაშინ და ახლაც ვფიქრობ, რომ ჩვენ, ქართველებსაც უნდა გავგველო ბალტიისპირელთა (ლიტველთა, ესტონელთა და ლატვიელთა) გზა „საბჭოური“ არჩევნების გზით დამოუკიდებლობის მოპოვება. ამის საპირისპიროდ, ჩვენში სხვა გზა გამონახეს. მაშინაც და ახლაც არ ვიყავი და არ ვარ გარკვეული ე.წ. ეროვნული კონგრესის საზრისში. კარგია რომ ზვიადმა და მისმა მომხრეებმა მიატოვეს ეს პოლიტიკური იდეა და საღ აზრზე დადგნენ.

ზვიადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ მთელი სამი თვე საპროტესტო ხმა არ ამომილია. მაგრამ ეს დროც დადგა. პროტესტი გამოვხატე (გაზეთ „დრონი“) აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, მათ შორის, თბილისში, ოსთა შევიწროების გამო. ორჯერ დაგებეჭდე კრიტიკული გამოხმაურება ზვიადის ესეზე „საქართველოს სულიერი მისია“. აქტიურად ვმონაწილეობდი ე.წ. „დემოკრატიულ ტრიბუნაში“. ბევრთან ერთად მიმანხნდა, რომ არჩეული პარლამენტი უსუსური იყო და მოვითხოვდით ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ზვიადთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრა შედგა 1991 წლის 9 მარტს პარლამენტის შენობის დაბლა სართულზე გამართულ სხდომაზე. ამ სხდომას ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელიც დაგვასწრეს. ესენი მოვითხოვდით მასმედი-


ის თავისუფლებას და საპარლამენტო სხდომების გასაჯაროებას (უპირველესად ტელევიზიით). ყოველივე ამაზე ვილაპარაკე ტრიბუნაზე. ზვიადმა ასეთი რეპლიკა მომცა: „ბატონო გურამ! აბა კონკრეტულად დამისახელეთ ვაზეთები, რომლებიც თქვენ სტატიებს არ გიბეჭდავენ“-ო. მეც ჩამოვთვალე, მაგრამ დარბაზში ისეთი ხმაური, ღრიანცელი იყო, რომ სათქმელის აუდიტორიამდე მიტანა ძალზე გაძნელდა (სხვათა შორის, ჩემეული ეს გამოსვლა დაიბეჭდა მოგვიანებით, „საქართველოს რესპუბლიკაში“). თითქოს იყო შესაძლებლობა ხელისუფლების შეცვლისა მშვიდობიანი ფორმებით, მაგრამ პროცესში ჩაერია სხვა ძალა, რომლის გამოისობითაც მოვლენები ფრიად ტრაგიკულად წარიმართა. საქმე გაართულა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხრივ „გკჩპ“-ს ფაქტობრივმა მხარდაჭერამაც.

იმხანად ნათლად ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ მოგვიანებით (1994 წელს) მივხვდი, რომ ჩვენში წარმოქმნილი მწვავე დაპირისპირება მნიშვნელოვანწილად ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ. სამხედრო ოპოზიციასთან თანამშრომლობა, ცხადია, საზოგადოების ნორმალური, ზომიერი ნაწილის მხრიდან გამორიცხული იყო და პირადად მე მისგან შორს ვიყავი. კერძოდ, არ მიმილია შემოთავაზება „ტრიუმფორატის“ ერთ-ერთი ლიდერისა, რომელსაც სურდა თბილისის ზღვასთან ისტორიკოსებთან შეხვედრა.

შემდგომ რაც მოხდა ყველასათვის კარგად არის ცნობილი და ილიასი არ იყოს „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“. უახლესი პერიოდის „ქართლის ცხოვრებაში“ იგი არამც და არამც არ გახლავთ დემონსტრირება ჩვენი დიდი პოლიტიკური გონიერებისა. როგორც უნდა იყოს, ზვიადის ისტორიული დამსახურება ჩვენს უახლოეს წარსულში თვალსაჩინოა, როგორც ნოე ყორდანისა 1918 წლის მაისის დადგომაში. მაგრამ ამათ შორის განსხვავებულობა ის იყო, რომ პირველი ყოველნაირად ცდილობდა ნანატრი მოვლენის მოახლოებას, მეორისთვის კი ეს უმთავრესად მსოფლიო, კერძოდ რუსეთის ისტორიის კონიუნქტურის შედეგი გახლდათ. იგივეს ვიტყვდი ედუარდ შევარდნაძესთან დაკავშირებითაც.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავ იმ მასობრივ აღფრთოვანებას, რასაც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევისას (1991 წლის 26 მაისს) ჰქონდა ადგილი. მე ამას ვაკვირდებოდი, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი, თბილისში, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში. ვიმეორებ, მხარდაჭერა საყოველთაო იყო.

დაბოლოს, ერთ მომენტზე შევჩერდები. როდესაც საპარლამენტო კომისია შეიქმნა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შესასწავლად, დიდი იმედოვნება მასში ისტორიკოსთა მონაწილეობისა. პირადად მეც ამის დიდი სურვილი მქონდა, მითუმეტეს მაქვს პროფესიული გამოცდილება ილიასა და დიმიტრი ყიფიანის მკვლელობათა გამოძიებისა. დიდად სამწუხაროდ, ამას ადგილი არა ჰქონია. იქნებ ანალოგიური კომისია, უფრო წარმომადგენლობითი და სერიოზული, კვლავაც შეიქმნეს და ამჯერად მაინც მომეცეს შანსი მასში მონაწილეობის მიღებისა. ამ მხრივ, ჭეშმარიტების დადგენა იქნება მორალური კათარზისი, პატივისცემა ჩემი თაობის გამოჩენილი წარმომადგენლის მიმართ, რომელთანაც, საბედნიეროდ, მოკრძალებული ურთიერთობანი მაკავშირებდა.



ნონა კუპრეიშვილი

ურმია, როგორც ყოფიერების სარკე

ხარფუხში ვახტანგ კოტეტიშვილის ბიოგრაფიულ მასალებზე მუშაობის დროს ნავაწყდი იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოფილოპის დამადასტურებელ კიდეც ერთ “სამხილს”, იშვიათ ნიგნს – ვიქტორ შკლოვსკის “სენტიმენტალურ მოგზაურობას”, რომელიც 1926 წელს ქართულად კონსტანტინე გამსახურდიასა და ვახტანგ კოტეტიშვილის მიერაა თარგმნილი. მოგვიანებით ვნახე იმავე ნიგნის ახალი რუსული გამოცემა, რომელსაც ინფორმაციულად დატვირთული და უკვე თანამედროვე რუსული ლიტერატურული რეალიების გათვალისწინებით გააზრებული ალექსანდრე გალუშკინის წინასიტყვაობა ჰქონდა დართული. სწორედ მაშინ გაჩნდა კითხვა თარგმანის მოტივაციასთან დაკავშირებით: რატომ განხორციელდა ასეთი ლიტერატურული ინტერესისთვის, ფაქტობრივად, შეუფერებელ დროს ბოლშევიკებისთვის იმთავითვე არასაიმედო მწერლის თარგმნა და ისიც მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება რეალურად ძალას იკრეფდა. პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, ცალსახა არ აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ თარგმნა მატერიალური ინტერესითაც იქნებოდა განპირობებული (ან კი როდის არ იყო ქართველი მწერალი უსახსრობით შევიწროებული), უთუოდ არსებობდა პროფესიული ინტერესიც რუსული რევოლუციების თვითმხილველისა და აქტიური მონაწილის, ღრმა ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ავანგარდისტი მწერლისადმი, რომელიც მოვლენებზე იმდენად ობიექტურად რეფლექსირებდა, რომ მისი შეხედულებები არა მარტო მთარგმნელთა, არამედ მემარჯვენე იდეების ერთგული იმდროინდელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის პოზიციებს ენათესავებოდა. თუმცა ბოლშევიკური “დემოკრატიის” პირობებში, იმდროინდელი საცენზურო კომიტეტისთვის, რომელიც ის-ის იყო იწყებდა საბჭოური აკრძალვების სისტემის შემუშავებას, ორი ნიგნისგან შემდგარი ავტობიოგრაფიული დილოგია „სენტიმენტალური მოგზაურობა“ მთლიანად მისაღები ვერ იქნებოდა. მის პირველ ნაწილში, სახელწოდებით „რევოლუცია და ფრონტი“, რომელსაც მთარგმნელები, ცხადია, გაეცნობოდნენ და რომელზედაც ჩვენც საგანგებოდ ვისაუბრებთ, რუსული იმპერიული მანქანის ისეთ მძაფრ კრიტიკას ვაწყდებით, რომელიც, ეჭვგარეშეა მთავრობისთვის მიუღებელი იქნებოდა, თუმცა ადეკვატურ ემოციურ გამოძახილს ჰპოვებდა იმხანად უკვე რეაქციონერ-ნაციონალისტებად მონათლულ გამსახურდიაკოტეტიშვილსა და ახალ რეჟიმთან ოპოზიციაში მდგარ მათ თანამოკალმეთა შორის. დილოგიის მეორე ნიგნის “საწერი მაგიდის” მიმართ, რომელიც შკლოვსკისეული რიტმული პროზის სტილითაა შესრულებული და არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც კულტურის საკითხებს შეეხება, პრეტენზიები ნაკლებად იყო მოსალოდნელი. სწორედ ეს მონაკვეთია შერჩეული ქართველი მთარგმნელების მიერ. თუმცა “სენტიმენტალური მოგზაურობის” ერთი მონაკვეთის თარგმნაც საზოგადოებაში ამ ნიგნისა და მისი ავტორის მიმართ ჯანსაღ ინტერესს აღძრავდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს მაინც არ არის ერთადერთი მიზეზი, რამაც ამ ნიგნისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია. თუმცა მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრულად:

* მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაპასა“ და ვიქტორ შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ მიხედვით

1922 წლის ბერლინურ ზაფხულს ერთად ატარებს ახალგაზრდების ჯგუფი. ისინი განსაკუთრებული ახალგაზრდები არიან და ჯგუფიც შესაბამისად, განსაკუთრებულია: ვლადიმერ მაიაკოვსკი, ვიქტორ შკლოვსკი და რომან იაკობსონი. მათ ახლავთ ქალბატონებიც: ლილია ბრიკი და მისი და ელზა ტრიოლე. მალე ამ ახალგაზრდების გზები საკმაოდ დრამატულად გაიყრება. თუმცა დარჩება სხვა რამ: ერთი კონტექსტიდან ამოზრდილი სამი უმნიშვნელოვანესი სახელი და სამი განსხვავებული სამყარო, პიროვნულიც და შემოქმედებითიც. ვლადიმერ მაიაკოვსკი ფავორშია, იგი “ხალხთა მსხნელი” ხელისუფლების ტრუბადური ხდება; ვიქტორ შკლოვსკისა და მის მეგობარს, რომან იაკობსონს, კი ბოლშევიკები დაეძებენ. ინტერესის მიზეზი ძირითადად მათ მიერ ახლადდაწერული ფორმალისტური მეთოდია. შკლოვსკისთან სხვა პრეტენზიებიც არსებობს: იგი, როგორც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, წმინდა გიორგის ჯვრით უშუალოდ გენერალ კორნილოვის მიერაა დაჯილდოებული, ამასთან თანაუგრძობდა არა ოქტომბრის, არამედ რამდენადმე უფრო ადრე მომხდარ თებერვლის რევოლუციას და აქტიურად იყო ჩართული ესერთა შეთქმულების მომზადებაში. ამიტომაც “სენტიმენტალური მოგზაურობა” შკლოვსკის მიერ აქ, ბერლინში, დაგეგმილი მეძებრისგან თავდახსნილის აზარტულობით იწერება. ავტორს ყოფნის ნებისყოფა ყოველგვარი დისტანციის გარეშე, რომ იტყვიან, პირდაპირ ცხელ კვალზე ხელმეორედ შეხვდეს საკუთარ წარსულს, რომელსაც უზრუნველს ნამდვილად ვერ უწოდებ. საგულისხმოა, რომ იგი ბუნებით არა უბრალოდ თავგადასავლების, არამედ ხიფათის მძივების ადამიანია. არა მარტო ბესარაბიის, უკრაინისა თუ სპარსეთის ფრონტებზე ხეტილისას, არამედ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც რუსული ქაოსით მოცული მშობლიური პეტროგრადის სასტიკი ყოფის პირობებში გაუთავებლად, თითქმის ისტერიულად წერს. საერთოდაც, მისივე სიტყვებით, “...ოპოიაზი” და გასვლები ფრონტზე პარალელურად მიმდინარეობდა” (“იყო და არა იყო რა”, თბზ. ტ.1, 1973), ანუ ამ საყოველთაო უგზოობაში იქნებოდა “სიტყვის ალორძინება” (1914), სტატიები კრებულებისთვის “პოეტური ენის თეორიის კრებულები. პირველი გამოშვება” (1916) და “პოეტიკა. პოეტური ენის კრებულო” (1919 – გამომც. ვლ. მაიაკოვსკი), “ხელოვნება, როგორც ხერხი” (1917), “როზანოვი” (1918), “წერილები დონ კიხოტზე” (1918), “სიუჟეტი, როგორც სტილური გამოვლენა” (1921), “სენტიმენტალური მოგზაურობა” (1922), “ზოო ანუ წერილები ცალმხრივ სიყვარულზე” (1922), მოგვიანებით „პროზის თეორია“ (1925) და სხვ. მაშინვე გაჩნდა ეს სენტიმენტალური მოსაზრებაც: “ადამიანი ცოცხლობს არა იმით, რასაც რეალურად წარმოადგენს, არამედ იმით, რასაც სულიერად დაფუძავს, ასე ვთქვათ „მოინელებს“. ხელოვნება კი ის ფერმენტია, რითაც ეს პროცესი ხორციელდება”. როდესაც გაიაზრებ, სად და როგორ იწერებოდა ყველაფერი, რწმუნდები, რომ ნიჭიერებით დამუხტული გონებისთვის დაბრკოლება არ არსებობს. “გენიალურობის ნიშნების მატარებელ” ამ ადამიანს ციკლოპივით მესამე თვალი აქვს, რომლითაც იგი ყველაფრის აღქმას და ჩანერას ახერხებს.

ლიტერატურული მემუარების პრინციპით აგებული “სენტიმენტალური მოგზაურობა”, უპირველეს ყოვლისა, იმითაა საინტერესო, რომ იგი “თავისუფალი ხელოვანის მიერაა შექმნილი”(მოგვიანებით შკლოვსკი “მოთვინიერდება”. ქვემოთ ამის შესახებაც ვისაუბრებთ). ავტორმა გამოიყენა საკუთარი ფორმალური მეთოდით “მკვდრეთით აღმდგარი” სტერნის (თვითონ ასე განმარტავს, “საინტერესო საკითხავი გაეხადე უინტერესო სტერნიო”) ერთ-ერთი რომანის სახელწოდება “სენტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში”, რითაც ნიგნში აღწერილი ზომაზე მეტად სერიოზული მოვლენების ერთგვარი ირონიზება მოახდინა. განსაკუთრებული ინტერესი ჩემში გამოიწვია სიუჟეტური ხაზის იმ განვი-

თარებამ, რომელიც ახალგაზრდა შკლოვსკის ერთ-ერთ “მივლინებას” — ამჯერად ჩრდილოეთ სპარსეთში — ეხება. პეტროგრადიდან, სადაც თებერვლის მოვლენების შემდეგ ქუჩებში დაქროდნენ თოფიანი კაცებით დახუნძლული სატვირთო და მსუბუქი მანქანები, რომლებსაც ავტორი ხატოვნად თებერვლის რევოლუციის “მუზებსა და ერინებს” უწოდებს, იგი, როგორც გასამხედროებული ავტოდივიზიონის ინსტრუქტორი, მოგვიანებით კი დროებითი მთავრობის სამხედრო კომისარი (სწორედ ამ მთავრობამ შექმნა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი) ჯერ იგზავნება სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, კიევში (ბრძოლაში გამოვლენილი მამაცობისათვის წმინდა გიორგის ჯვარს დაიმსახურებს), ხოლო შემდეგ რუმინეთის ფრონტიდან (სხვათა შორის, თბილისის გავლით) აღმოჩნდება ჩრდილოეთ სპარსეთში, კერძოდ კი, ურმიის განლაგებული რუსული ჯარის შტაბბინაში. ათწლიანი ბატონობის შემდეგ აქედან უნდა გავიდეს ის სამხედრო ძალა, რომელიც ერთხელ აღებული პოზიციების ასე ადვილად დათმობას ჩვეული არ არის. “მონყენილობა ისევე მეზიდებოდა განაპირა მხარეებისკენ, როგორც მთვარე იხმობს ხოლმე მთვარეულს სახურავისკენ” — ამგვარი შკლოვსკისეული ლოგიკითაა შეფასებული ეს ნებაყოფილობითი გამგზავრება. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გარკვეული როლი მასშტაბური და ყოვლისმომცველი რევოლუციური ქაოტურობისგან თავდახსნის სურვილმა, ან კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თვითგადარჩენის ინსტინქტმაც ითამაშა, თუმცა სპარსეთშიც უსახელო სიკვდილის ალბათობა ისეთივე მალალი იყო, როგორც იმპერიის დედაქალაქში.



მიხეილ ჯავახიშვილი

1917-სა და 1918 წლებს შორის ხდება რუსული ჯარის გასვლა ჩრდილოეთ სპარსეთიდან, ანუ როგორც შკლოვსკი მეტაფორულად იტყვის, გადაადგილება, რომელიც “მინაში წყლის ვეება ნაკადის ჩაკარგვას” ემსგავსება; ქალდეველები-სა და ასირიელების დროიდან უკაცრიელი ურმიის მარლიანი ტბის ნაპირას რუსებს საომარი ოპერაციების მეტი ეფექტურობისთვის, ჯარის მობილურობისთვის თავიანთი სახელდახელო ფლოტი განუვლავებიათ, რითაც, სხვათა შორის, დაუფრთხიათ მშვენიერი ფრინველები — ფლამინგოები, რომლებიც აფრენისას მოვარდისფრო ფრთების გულებს აჩენენ.. და ორ წელიწადში ასევე სახელდახელოდ აგებული პორტი, სახელწოდებით შერიფხანე ეს რუსული ანტვერპენი აღმოსავლეთში. თუმცა “ფარშევანგის კუდივით ჭრელი” და ეგზოტიკური აღმოსავლეთის ნაცვლად შკლოვსკის თიხით ნაღეს ქოხებს შეხიზნული, დამკურთხელთაგან შევიწროებული, უფლებააყრილი, ნახევრად მშობიერი და გაბოროტებული ხალხის ადგილსამყოფელი ხდება. იგი, როგორც ფილოსოფიური განსჯისკენ მიდრეკილი ნატურა, უპასუხოდ ვერ დატოვებს კითხვას: რა ჯანდაბის გამო ტრიალებს ამ მოუსავლეთში, ამ მტვერსა და ხორშაკში, რა ესაქმება აქ მასაც და მის სამშობლოსაც, რომელიც “თვალახვეული” გიგანტივით მოაბოტებს ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისკენ, ახლა კი, პოლიტიკური კლიმატის მკვეთრი შეცვლის გამო, იძულებულია ტლანქად შემოტრიალდეს და ვინ იცის რა გუნებაზე დამდგარი, უკუიქცეს. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ზემოქმედებს მოახდენ-

და ქართველ მთარგმნელებზე ტექსტის ეს მონაკვეთი, რომლის გამომზეურება, როგორც აღვნიშნეთ მათ, სამწუხაროდ, არ შეეძლოთ: “..ჩვენ მოვედით სხვის ქვეყანაში და დავიკავეთ იგი. მის სიბნელესა და ძალადობას ჩვენი სიბნელე და ძალადობა დავუმატეთ, დავცინეთ მის კანონებს, შევზღუდეთ მისი ვაჭრობა, შაჰის მხარდაჭერის საბაბით არ მივეცით მას ფაბრიკების გახსნის საშუალება. სწორედ ამისთვის, რევოლუციის შემდეგაც, (ცხადია, თებერვლის მოვლენებს გულისხმობს - ნ. კ.) გვეყავდა იქ ჯარი. ეს იყო იმპერიალიზმი, რაც მთავარია, რუსული იმპერიალიზმი, ანუ იმპერიალიზმი უგუნური.. ბევრი ფული დაიხარჯა სპარსეთში. და ყველაფერი უშედეგოდ, რადგან ეს მხოლოდ ბატონყმური ბალეტი იყო. ჩვენ ყელში ვუჭერდით და ვახრჩობდით, მაგრამ ამასთან მკვდრის ხორცს არ მივირთმევდით.” (“სენტიმენტალური მოგზაურობა”, ნაწ. 1, “რევოლუცია და ფრონტი”).

ქართველ მკითხველს, რომელიც კარგად იცნობს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას, ცხადია, უკვე თქმულის მიხედვითაც არ გაუჭირდება, დაინახოს თემატური მსგავსება “პირქუშ მოთხრობად” სამართლიანად წოდებულ “ლამბალო და ყაშასა” და “სენტიმენტალური მოგზაურობის” იმ თავს შორის, რომელსაც “რევოლუცია და ფრონტი” ეწოდება. (როგორც აღვნიშნეთ, მეორე თავი - „საწერი მაგიდა” ნაკლებად ეხება პოლიტიკურ პროცესებს და შკლოვსკის მიერ დანახულ 20-იანი წლების რუსეთის წინააღმდეგობრივ ლიტერატურულ ცხოვრებას ასახავს). ორივეგან მხატვრული დროისა და სივრცის მეტ-ნაკლები დამთხვევის მონმენი ვხვდებით. მხოლოდ ესაა, ის, რაზედაც ფიქრიც კი არ უნდა ეპისკოპოს პავლეს (სპარსეთიდან გასვლას გულისხმობთ - ნ. კ.) — გაიხსენეთ მისი რეპლიკა: “არ ნავალ! სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის. არ ნავალ! ვერ გამოიბედავენ!..” — “სენტიმენტალური მოგზაურობის” მიხედვით შეუქცევად ისტორიულ პროცესად ქცეულა.

მიხეილ ჯავახიშვილმა, ისევე როგორც ვიქტორ შკლოვსკიმ, მწერლის ყოვლისშემძღონი თვალთა ალიქვა სპარსეთის ჩრდილოეთი პროვინცია (სხვაგვარად, ირანის აზერბაიჯანი) და განსაკუთრებით, უკაცრიელი ურმიის ტბის შემოგარენი, რომელიც ჯავახიშვილის ოსტატური შედარების მიხედვით, “ღვინონარევი რძის ფერია”. ორივემ იგრძნო სპარსული ცის სიღრმე, ხრიოკ (თუმცა მამადი იზათისა და მისი ვაჟის, ლამბალოს, მსგავსი ადამიანების მიერ მოყვანილი ხილის სურნელთი გაზავებულ) მინაზე განოლილ ავურისფერ მთათა გრეხილის თავისებური სილამაზე, კლდეზე შერჩენილი უძველესი წარწერის გარემოსთან კონტრასტულობა, პატარა სახლებს შორის მოქცეული ხელისგულისოდენა შიდა ეზოების — უდაბნოს ამ ოაზისთა მიმზიდველობა, ჩუმი ამტანობა პირმოხვეული სპარსელი ქალებისა, რომელთა სულიერი სამყარო ისევე მიუწვდომელია, როგორც მათი პირისახის ნახვა, ვინრო შუკებში მოთოხარივე დატვირთული ჯორებისა, რომლებიც ქალების მსგავსად, ამ ხალხის მძიმე ყოველდღიურობასა და მოთმინებას განასახიერებენ. და კიდევ სიტყვა “პროვოკაციის” ხორცშესხმული, გასაგნებული არსი, რომლის მნიშვნელობა ჯავახიშვილისა და შკლოვსკისთვის საკმაოდ განსხვავ-

ვეულად ჟღერს. (როგორც შემდგომ ვნახავთ, ეს მათ შორის არსებული ერთადერთი აცილება არ არის). მიუხედავად ამისა, იქაც და აქაც მოვლენებს ფონად გასდევს “ირანის ლომის” სრული დაუძღვრების მათხეველი ნიშნები: ჯავახიშვილთან - ურმიის გუბერნატორ ითიმად უდ დოულეს მხატვრული სახე; ეპისკოპოს პავლეს შორს გამიზნული რიტორიკა და ქმედება; მისი ჯაშუშის, ასირიელი მღვდლის, ყაშა-ლაზარეს, თავგასულობა და სპარსელთა, მათ შორის კი, ხილით მოვაჭრე ლამბალოს, დისკრიმინაცია; შკლოვსკისთან - სპარსელთა მძიმე ყოფის ამსახველი სურათები; მათი უნდობლობა როგორც რუსების, ასევე ინგლისელებისადმი; სპარსულ-ქურთულ-ასირიული გამბიტი, ეთნიკური სიჭრელითა და განსხვავებული აღმსარებლობით მანიპულირების შესაძლებლობათა კასკადი, რომლითაც მტერი, როგორც ყოველთვის, ოსტატურად სარგებლობს და, რა თქმა უნდა, “ომი, რომლის, სარჩული თითქოს ისე არსად ჩანს, როგორც აქ”, სპარსეთში, სადაც დამხვედურის წინააღმდეგობის ხარისხი დამპყრობლის სისასტიკის პირდაპირპროპორციულია. ამ მრავალსახოვნებას, ცხადია, ჯავახიშვილიც ხედავს: “..რით იბრძვიან? ყველაფრით: ფულით, ხორბლით, მკურნალობით, მფარველობით, დაშინებით, დაპირებით და... ტყუილით..”

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ვიცით, სპარსეთში 1916 წელს (ერთი წლის ვადით) გაემგზავრა. ეს იყო მატერიალური სივიწროვით გამოწვეული გადაწყვეტილება, რომელიც წამდვილ მწერალს სამწერლო საქმიანობას აშორებდა. თუმცა ქართველთათვის ისტორიულად მიმზიდველი მხარე (ძველი ქალაქის თემა, რომელსაც იმხანად გრ. რობაქიძე და „ცისფერყანსწლები“ ამუშავებდნენ) სრულიად ლოკალურად მწერალს არაერთი მხატვრული ჩანაფიქრის წინაპირობად ექცა. ამათგან დღის სინათლე იხილა მოთხრობა “ლამბალო და ყაშაშა”, ხოლო ქეთევან ჯავახიშვილის ცნობით, განუხორციელებელი დარჩა ქურთების ცხოვრებისადმი მიძღვნილი რომანი “სისხლის ყივილი”. მწერლის საქალაქელები, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯავახიშვილის ურყევი ჩვეულებისამებრ, თემატურად დიფერენცირებული შემდეგი მასალებით გაივსო: “სპარსეთი და სპარსელები”, “ფერეიდანი”, “დილმან-სოფიანი”, “ურმია”, “ბრძოლის ეპიზოდები”, “ასიორები”, “ასურელები”, “ქურთები”, “ომი” და სხვ. სამუშაო და საანალიზო ბევრია, რადგან ქართველი მწერალი ურმიის საკუთარ ისტორიულ ფესვებს საკმაოდ მძაფრად გრძნობს: “ურმიის მიდამოებში ქართული რაშები, ტაიჭები და ქურანებიც ჭიხვინებდნენ და ჩვენი აღმებიც ჰბიბინებდნენ..”, „სპარსეთში საღმასის პროვინციაში ვმუშაობდი. აქ იყო გუბერნატორად გადახვენილი ალექსანდრე ბატონიშვილი (ქურთისტანის საზღვარზე - მ. ჯ.), ქეთევან ნამებულის სოფელს და თამარ მეფის მწვერვალს (შაჰ აბასის მიერ გადმოსახლებულ კახელთა მიერ ასე შერქმეულს) ხანტახტის კლდიდან გაკვირვებით დასცქერიან ქვის ფიცარზე გამოჭრილი მაკედონელის ლეგიონერები..”

ვიქტორ შკლოვსკი სპარსეთში მომდევნო 1917 წელს ჩადის. ისინი იმთავითვე საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდნენ (სპარსეთიდან და სპარსეთისკენ) და ამიტომ ვერც შეხვდნენ ერთმანეთს. (ჩამოსვლამდე შკლოვსკიმ თბილისზე გადმოსვლისას მოასწრო შექმნილია, რომ იგი “მოსკოვის ყაიღის მშვენიერი ქალაქია (! - ნ. კ.), სადაც კარს მომდგარ და მოუკიდებლობას ეროვნული სასიათის თავისებურების გამო უმისამართო სროლებით აღნიშნავენ. ამასობაში ქართველი მწერლები ფუტურისზმით დაინტერესებულობას ავლენენ და (უთუოდ მწერალი აქ რევოლუციას გამოქცეულ რუს ხელოვანთა ჯგუფს გულისხმობს - ნ. კ.) ჩეხოვის სამ დაზე უფრო მეტად ენატრება მოსკოვი..” - “სენტიმენტალური მოგზაურობა”).

მიუხედავად იმისა, რომ ანტიიმპერიალისტური მესიჯი შკლოვსკისთან საკმაოდ შთამბეჭდავია, იგი მაინც ძალთა იმ განლაგების სქემას ეყრდნობა, რომლითაც რუსული არმია

ხელმძღვანელობს: ქურთი მტერია, ასირიელი კი — მოკავშირე. ქურთებთან ომის ერთი შემზარავი ეპიზოდი (მონინალმდეგის მოჭრილი თავით თამაში) ყველა სხვა, ჩემთვის კი აფხაზეთის, ომის ალუზიას აღძრავს სრულიად კონკრეტული ნიშნების გამო, რომელთა შესახებ ამჯერად საუბარი არ მსურს. ინვის და იძარცვება ქურთების ქალაქი სოლოჟუღლაკი, სპარსელებისა და ქურთებისგან ინმინდება სეიუნ-კალე, არც ქალაქი მოსული, საიდანაცაა “მუსლინი”, დაცულია მტრისგან, კუშჩინის ხეობას მიუყვება სახლ-კარიდან აყრილადამიანთა და უპატრონოდ დარჩენილ ნახევრად შიშველ ბავშვთა ქარავანი, ურმია კი, რომელშიც უცხო ქვეყნების მისიები განლაგებული, ხელიდან ხელში გადადის. სპარსელები დროდადრო ქურთებთან ერთად ერთგებიან ბრძოლაში, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა უცხოელს თავიანთი არსებობა შეასხენონ. ქურთებს წარმოადგენს მათი ბელადი სიმკო, რომელმაც ხანის ტიტულს არა წარმომავლობით, არამედ გამჭრიახი გონებით მიაღწია, ასირიელებს — მათი ახალგაზრდა პატრიარქი ბენიამინ მარ-შიმუნი, “26 წლის თმაჭალარა ჭაბუკი”. ორივე ეს სახელი “ლამბალო და ყაშაშა” და მის ავტორს უკავშირდება. ქურთების ბელადი ისმაილ-ალა-სიმკო მწერლის ბიოგრაფიულ მასალებში ჩნდება. (იხ. ქ. ჯავახიშვილი „მოგონებანი მამაზე“, 2000). უფრო გასაგები რომ იყოს, ეს იმდროინდელი შამილ ბასაევი, ამიტომაც სიცოცხლეს სწორედ მის მსგავსად ამთავრებს (ამის შესახებ ინფორმაციას შკლოვსკი გვანდის). მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: “.. ქურთების ბელადი ისმაილ-ალა-სიმკო თავზე ხელაღებული, გაბედული მებრძოლია, მალე დამიკვებრდა. რუსეთის კონსული და სიმკო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ჩემს კაბინეტში. ასე რომ, რუსეთის პოლიტიკა ქურთისტანში ამ ოთახში კეთდებოდა..” ტერიტორიულად ძალიან პატარა ქურთისტანი ირანსა და ერაყს შორისაა გამოჭყლეტილი, დამოუკიდებლობაზე ვერც იოცნებებს, მით უმეტეს, რომ ჯავახიშვილის მეტაფორისტიკით ეს მიდამოები ბულდოგისა (ეს ინგლისია) და დათვის (ეს კი რუსეთი) ინტერესთა დაპირისპირების ასპარეზად ქცეულა. ამიტომ სიმკოს ორმაგი თამაშის გარდა არაფერი დარჩენია. იგი მასზე ძლიერის, თუმცა იმავდროულად პოტენციური მტრის, ცრუმოკავშირე ხდება და ეს ვითარების სრულ ლუსტრაციამდე გრძელდება. მიხეილ ჯავახიშვილს ცნობილი მიზეზების გამო, არ უჭირს ამ ორპარტიანობაში გარკვევა. ამით აიხსნება მისი სიახლოვე სიმკოსთან, მეგობრობის ნიშნად მათ შორის ქართული ხმლისა და წმინდა ჯიშის ცხენის ურთიერთგაცვლა და სხვ. (“ლამბალო და ყაშაშა” ეს ცხენიც ფიგურირებს: “..ფეხმარდი ქურთული რახსი (წაბლისფერი - ნ. კ.) ცხენი მყავდა. ალიონზე ავდგებოდი, ცხენს მოვაჯდებოდი და ორივე საათით ხან დილმანისკენ ნავიდოდი, ხან გიულმანხანესკენ გავისეირნებდი, ხან კიდევ სოუჯბულაღის გზას დავადგებოდი..”) მოთხრობაში კი, როგორც ჩანს, ქურთებისადმი სიმპათიის ღიად გამჟღავნებას მწერალი მაინც მოერიდა (იგი ხომ რუსული არმიის წარმომადგენელი იყო წითელი ჯვრის ორგანიზაციაში, სადაც საავადმყოფოს ადმინისტრატორის, კონტროლიორის, ქართული კორპუსის რწმუნებულის თანამდებობებს იკავებდა, გარდა ამისა, იმ დროისათვის, როცა მოთხრობა იწერება, ანუ 1925 წელს, რუსების მიერ სიმკო უკვე მოკლულა) და დიდი სახელმწიფოებისგან გათელილ-განწინრული და უუფლებო ადამიანების კრებით სახედ ბორჩალოელი თათარი, ლამბალო წარმოგვიდგინა. იმ პირობით, რომ დიდი თანაგრძობით შექმნილ ამ პერსონაჟში არა მარტო ჩრდილოეთ სპარსეთის დაჩაგრული მოსახლეობის, არამედ ქურთების ბედისწერაც იქნებოდა ნაგულისხმევი. ამ ვარაუდს, ჩემი აზრით, ადასტურებს მოთხრობის ერთი ეპიზოდი, რომელშიც ბარადოსტიდან გადმოსული ქურთების ბელადის სიმკოს კაცი, აბდულ რეზაკია, ნახსენები, რომელთანაც ვითომ შეხვედრას გენერალი ჩერნოზუბოვი ქართველ ექიმს სე-

რიოზულ ბრალდებად უთვლის. სწორედ ამაზეა მიბმული ჯავახიშვილისათვის, როგორც ქართველი პატრიოტისთვის, ძალზე მნიშვნელოვანი იმპერიათა კრახის კანონზომიერების იდეა, რომელიც მან, მთელი სიმწვავეით სწორედ სპარსეთში ყოფნის დროს იგრძნო.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 20-იანი წლების პროლეტარულმა კრიტიკამ, რომელიც გააფთრებულ შეტევებს ახორციელებდა მწერლის ყოველ ახალ ნაწარმოებზე, ეს მოთხრობა ჯეროვნად არ ან ვერ გაიგო. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ამ თვალსაზრისით სამართლიანად მიიჩნევა XX-XXI საუკუნეთა მიჯნის ქართული ლიტმცოდნეობის მონაპოვრად (მხედველობაში მაქვს პერსონაჟთა მხატვრული სახეების სიმბოლურ-ალეგორიული პლანის გახსნა, "განგების ეთიკის" დაკავშირება სპარსეთის თემის მწერლისეულ ინტერპრეტირებასთან — თ. ვასაძე, ლ. ნიქარიშვილი, მ. ჯალიაშვილი) მძვინვარე ბოლშევიკური კრიტიკის მასალად ჩვეული დემაგოგიურობით არ იქნა გამოყენებული. შესაძლოა ნაწილობრივ იმიტირებდეს, რომ იმპერიული ცოდვების (მთ უმეტეს, თუკი ეს ეკლესიასა და მის მსახურებს ეხებოდა) აქცენტირება ბოლშევიკების მიერ ასე თუ ისე შეწყნარებული იყო.

შკლოვსკიც ადასტურებს რუსული ეკლესიის როლს სპარსულ მისიაში. მასთანაც ჩნდება ჯარისკაცთა სულების მსხველი ანაფორიანი ღვთისმსახურები, რომლებიც ეპისკოპოსს პავლეს შემართებით არა, მაგრამ არანაკლები მონდობებით არიან ჩართულნი "რუსული საქმის" აღსრულების პროცესში. თუმცა ის სარკაზმი, რომლითაც, ფაქტობრივად, გაშიშვლებულია ვითომ "კაცთმოყვარე რუსული მისიისა და მისიონერების კაცთმოძულეობა", "ლამბალო და ყაშას" ავტორის პრეროგატივაა და შკლოვსკისთვის იგი გასაგები მიზეზების გამო აქტუალური არ არის.

რაც შეეხება ასირიელების პატრიარქ ბენიამინ მარ-შიმუნს, იგი დოქტორ შეედთან ერთად "სენტიმენტალური მოგზაურობიდან" (1921) "ლამბალო და ყაშაში" (1925) გადაინაცვლებს. ორივე ისტორიული პირია და ეპისკოპოსს პავლეს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის "სულთა მტაცებლობისთვისაა" შეჩვენებული: "... ეპისკოპოსი პავლე კვლავ ჰქუხდა და სუითვე მხარეს ებრძოდა: ნესტორიანელთა პატრიარქს ბენიამინეს, "ნუნკალ პერსიუკებს", დოლარებით გატენილ დოქტორ შეედს, ინგლისელ ბრაუნს და ფრანგ კათოლიკეებს, რომელნიც ასურელთა საცხოვნებელ სულებს პავლეს ხშირად პარავდნენ და მრევლს იმრავლებდნენ...". შკლოვსკისთან მარ-შიმუნს ნმ. ვლადიმირის ორდენის კავალერი, ე.ი. შკლოვსკისავე განმარტებით „ჩვენიათა“. იგი სიმკოს ვერაგული გემის მსხვერპლი ხდება (რუსების მიერ სიმკოს განადგურების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ეს ინციდენტი იქცა). შკლოვსკი დოქტორ შეედის აპოლოგოსად წარმოთქვამს. ამ უცნაურ კაცს, "ლამბალოსა და ყაშას" პერსონაჟი ეოლარებით გატენილად რომ მოიხსენიებს, რამდენიმე ათასი ბავშვი სიკვდილს გადაურჩენია, თავრიზში ჩაუყვანია და მშობლებისთვის ჩაუბარებია, ანუ დიდი სიკეთე ჩაუდენია. თუმცა თავრიზში ჩასულს მამაცი სიმკო, როგორც ფაკირს გველი ისე მოუჯადოებია, ჩაუსვამს თავის ყვითელბორბლიან შავ ინგლისურ ეტლში და გასასამარტებლად იმავე ინგლისელებისთვის ბაღდადში მიუგვრია. შკლოვსკის უკული უჩუყდება ამ ამბების გახსენებისას, რაც, თუ მის რაციონალურ ბუნებას გავითვალისწინებთ, მომხდარის განსაკუთრებულბაზე მიგვანიშნებს. ჯავახიშვილთან შეედის გმირობის რამდენადმე განსხვავებული ვერსიაა წარმოდგენილი. იგი 100 000 ასურელის მოსეა, რომელსაც ისინი, ურიათა მსგავსად, ირანიდან სამშვიდობოს, ანუ ერასში ჩამდგარ ინგლისელებთან გაჰყავს. ნიშნავს თუ არა ამას მიდევნებული ფრაზა. „... დოქტორი შეედი სხვებზე ადრე ნააქციეს...“ იმას, რომ იქ სხვა ძალები ჩაერივნენ — რთული სათქმელია. ფაქტია, რომ განგების, ბედისწერის აღსრულების ჯავახიშვილისეულ მარტიროლოგში დოქ-

ტორი შეედი აშკარად გამონაკლისია, სხვებზე კი (მაგ. სიმკოზე) დამატებითი ცნობები არ არის.

და მაინც, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ეს ნაჩქარევი შედარებაც კი თვალსაჩინოს ხდის იმ განსხვავების შინა-არსს, რომელსაც ერთი და იმავე დრო-სივრცული არეალის მხატვრულად ათვისებისას ორი სუბიექტი, ქართველი და რუსი მწერალი ავლენენ. მართალია, ისინი ილუზიათა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, საკუთარ იდეალთა მსხვერვის ეპოქაში მოღვაწეობდნენ და ამის გამო გული დიდ ტკივილს ატარებდნენ (შკლოვსკი წერდა გორკის: "არავინ მყავს. სრულიად მარტო ვარ. არავის არაფერს ვუმხელ. ჩავყვინთე, როგორც მანიაში, მეცნიერულ ძიებებში სიუჟეტის შესახებ, რათა ცრემლებმა არ დამაღრჩოს. გთხოვთ, ნუ გამაღვიძებთ": გაგახსენებთ ჯავახიშვილსაც: თითქოს დანა დამკრეს რევოლუციის შემდეგ, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმად მესობაო). დამოკიდებულება სოციალური რევანშის ტალღაზე მოსული იმ ტლანქი ძალისადმი, რომელსაც ჯავახიშვილი, როგორც ვიცით, "ნითელ ეშმას" უწოდებდა და რომელსაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება ერქვა, მათი სულიერი კონსტიტუციიდან გამომდინარე სხვადასხვა აღმოჩნდა. ბერლინიდან სამშობლოში დაბრუნებულმა შკლოვსკიმ საბჭოთა ხელისუფლების მიღების დროს სოლომონისეული იგავით იმართლა თავი: ჩვენ ხელი ვუშვით საყვარელ ბავშვს-სამშობლოს და დავუთმეთ ბოლშევიკებს, რათა იგი შუაზე არ გაგვეხლიჩაო. შემდეგ არაერთი მონანიების წერილი გამოაქვეყნა, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში, სტალინის მიერ კოსმოპოლიტიკის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის დროს და თავს დაესხა თავისი მთარგმნელის, კონსტანტინე გამსახურდიას რომანს "დავით აღმაშენებელს", უწოდა რა მას ზიანის მომტანი ნაციონალიზმის გამოვლინება. (კ. გამსახურდია თავს იმით იცავდა, რომ აცხადებდა, შკლოვსკის თავისი ძველი ფორმალისტური ცოდვების დაფარვა სურს და ამიტომ მე შემომიტიანო.. შკლოვსკის და მის მიმყოლთ სურთ .. ქართული მწერლობა" ობლასტანია ლიტერატურად" აქციონ. თუ ყველა ქართველ მწერალში ვინმეს მიმბაძველი არ დაინახეს, მომზადებული აქვთ ეპითეტი „ნაციონალისტური...“ — ს. სიგუა „მარტვილი და აღამდარი“, 1997); უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე, მსოფლიოში ცნობილი ჩეხური ლინგვისტური სკოლის დამაარსებელი რომან იაკობსონი ნაძალადევად დაივიწყა თუ გულიდან ამოიგლიჯა, ამოშალა კია თავისი გვიანდელი მოგონებებიდან, როგორც არარსებული ან გასახსენებლად ზედმეტად მტკივნეული რამ; ბიბლიურ პეტრესავით მრავალგზის უარყო თავისი ფორმალური მეთოდი, რომელსაც ხელოვნების იმანენტურობის დამადასტურებელ აუცილებელ გარღვევად მიიჩნეოდა და ა.შ.

ჯავახიშვილმა 1923 წლის მოვლენების შემდეგ, პირიქით, უშედეგოდ სცადა გასცლოდა თავის წყვეულ ქვეყანას – საქართველოს. (იხ. მისი წერილი აკაკი ხოშტარისადმი). იგი, ფაქტობრივად, დარჩა, რათა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ზვარაკად ქცეულიყო. მართალია, ბოლშევიკებსა და მათ წინამორბედ სოციალ-დემოკრატებს იმდენად კარგად იცნობდა (რაც კარგად ჩანს მის პუბლიცისტიკაში), რომ ილუზიები მათ მიმართ არც შეიძლებოდა ჰქონოდა, მაინც დაესწრო მრავალ უთავბოლო სხდომასა და თათბირს, იარა მონიწივე კოლმურ-ნებებში და სცადა დითირამში ემღერა იმისთვის, რასაც თვითონ "ნგრევის შენებას" ("ჯაყოს ხიზნები") უწოდებდა. საბედნიეროდ, აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან როგორც კი საკუთარ მრწამსსა და შთავგონებას ლალატობდა, მხატვრულად, კომპოზიციურად და რაც მთავარია, კონცეპტუალურად ტექსტი უკიდურესად ყალბი ხდებოდა. ეს უკვე იყო არა მიხეილ ჯავახიშვილის, არამედ სრულიად სხვა — გამტყდარი და მხატვრულადაც სუსტი ავტორის ნაწერი. ასეთ ავტორად ყოფნა კი მას, საბედნიეროდ, არ ეწერა.

გიორგი ყაჯრიშვილი

დაიდგას მაშინ, როცა დაინერა

(ლაშა ბულაძის
„ახალი ქართული დრამატურგია“)

ქართულ პოსტსაბჭოთა დრამატურგიას „ახალ ქართულ დრამატურგიას“ ვუნოდებდი, რომელიც თავისთავად ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა. მისმა წინამორბედმა დრამატურგებმა ალექსანდრე ჩხაიძემ, თამაზ ჭილაძემ, თამაზ ბაძალაძემ, ირაკლი სამსონაძემ, შადიმან შამანაძემ, ლაშა თაბუკაშვილმა, გურამ ბათიაშვილმა, მამუკა დოლიძემ, თამაზ მეტრეველმა და სხვ. ხელშემწყობი და ნაყოფიერი ნიადაგი მოუშადადეს დათო ტურაშვილის, თამარ ბართაიას, ბასა ჯანიკაშვილის, ლაშა ბულაძის, მანანა დოიაშვილის შემოქმედებით წინსვლას.

ამ „ახალი ქართული დრამატურგიის“ ერთ-ერთი საინტერესო წამომადგენლის, ლაშა ბულაძის შემოქმედება ფართო მკითხველის და თეატრის სპეციალისტებისათვის ცნობილი გახდა პიესების კითხვის იმ ღონისძიებებით, რომელიც პირველად რუსთაველის „თეატრალური სარდაფის“ ინიციატივით იქვე გაიმართა. მსმენელმა მოისმინა ავტორის მიერ წაკითხული რამდენიმე პიესა და მოიხიბლა ცოცხალი იუმორით, პერსონაჟთა ხასიათების სიზუსტით, დრამატურგიულ კანონთა ცოდნით, წერის მანერით (ჩემთვის ეს ახალი არ ყოფილა, ვინაიდან მას თეატრალური ინსტიტუტის სწავლის დროიდან ვიცნობდი და ერთ სემესტრში ლექციებსაც ვუკითხავდი). 30-მდე პიესის ავტორი ლაშა ბულაძე ახალი ქართული დრამატურგიის იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა საქართველოს უახლესი ისტორიის ქარცეცხლი. ზოგი ბოლო ეტაპის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იყო ჩართული და ძალიან აქტიურადაც. მათ არც პოლიტიკურ „თამაშებში“ მონაწილეობაზე უთქვამთ უარი. ამდენად თუ მათი შემოქმედებაში დღევანდელი და გუშინდელი მოვლენების ანარეკლს ვხედავთ, ეს არავის არ უნდა უკვირდეს. მაგ. ბასა ჯანიკაშვილის „ომობანა“, ლიკა მორალიშვილის „ეთერი“ და „თავისუფლების შუალაქი“, თუმცა აქვე მინდა დავუმატო, რომ მიუხედავად ბოლო დროის საქართველოში მიმდინარე მოვლენების, ფაქტების და ამბების სიუხვისა, დღევანდელ დრამატურგთა შემოქმედებაში მათი ასახვა სრულად ვერ მოხერხდა. ეს, რასაკვირველია, ეხება ლაშა ბულაძის დრამატურგიასაც. მე აქ მხოლოდ აფხაზეთისა და რუსეთის ომის შესახებ არ ვლაპარაკობ. ლაპარაკია ახალი თანამედროვე ქართველის სახის ჩამოყალიბების პროცესზე, იმ გმირის ან გმირთა პორტრეტების შექმნაზე, რომელზედაც შემდგომ დიდწილად იქნება დამყარებული სამშობლოს მომავალი. ჩემი აზრით, დრამატურგთა სამიზნე უნდა ყოფილიყო იმ პერსონაჟთა წარმოჩენა, რომლისთვისაც ისეთი ფუნდამენტური მოვლენები, როგორცაა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება, დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა და დემოკრატიული სახელმწიფოს შენება, კანონმორჩილი საზოგადოების შექმნა და ერის თვითშეგარძნების და თვითპასუხისმგებლობის ჩამოყალიბება გახდებოდა ძირითადი ზნეობრივი ფასეულობა, ის, რაც მთლიანად ცვლის არამარტო რომელიმე კერძო პიროვნებას, არამედ მთელ თაობას.

შესაძლებელია ერის ევოლუციურ და ისტორიულ ასპექტში ამ სახელცვლილებათა შესახებ ჯერ ადრეა საუბარი და სათანადო დასკვნების გაკეთება, რასაც შესაბამისი სოციოლოგიური თუ ზოგადად ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები უნდა ედოს საფუძვლად, მაგრამ ლიტერატურა და

დრამატურგია ხომ ხელოვნების ის დარგებია, სადაც აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოებაში მიმდინარე დღევანდელი პროცესები. ამ კუთხით ლაშა ბულაძის დრამატურგია საინტერესოდ მეჩვენება, თუმცა ასევე გულისტკივილით მინდა ყურადღება მივაქციო ერთ მნიშვნელოვან მომენტს. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა უღერდეს, აღმოჩნდა, რომ გარდა ერთი წარმოდგენისა — „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“, რომელსაც დრამატურგიულ პირველწყარო არა აქვს (იგი ძირითადად რეჟისორ რობერტ სტურუასთან ერთად შეიქმნა), ბოლო დროს ლაშა ბულაძის პიესების სასცენო გადაწყვეტა თითქმის ყოველთვის „იგვიანებს“. მხედველობაში მაქვს თუნდაც ბოლო დროს ქართულ სცენაზე განუხორციელები და „ნაფტალინი“.

მისი პირველი პიესებიდან არის რამდენიმე, მაგალითისათვის გავიხსენებთ თუნდაც „ნუგზარს და მეფისტოფელს“, რომელსაც კონკრეტული დროს არ აქვს და ამდენად მას „სიძველე“ არ ელის. ხოლო რაც შეეხება ისეთებს, რომლებიც სცენაზე არ ყოფილა წარმოდგენილი, ჩემი აზრით, ავტორისეულ გადახედვას მოითხოვს (იგივე აღნიშნა თვით დრამატურგმა „ნაფტალინის“ პრემიერის შემდეგ!). ის, რომ მის პიესათა პერსონაჟები თანამედროვე საქართველოს შვილები არიან, რასაკვირველია, გარდა ისტორიული პიროვნებებისა — სტალინი, ვასილ მუჟანაძე და სხვ. სულაც არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ცხოვრებითაც ცხოვრობენ. პერსონაჟთა კარიკატურულობა, ინდივიდუალურობა ხშირ შემთხვევაში აკნინებს ზოგადად თანამედროვე ქართულ ხასიათს. მეჩვენება, რომ განზოგადების პრინციპის ნაკლებობა არის ის მიზეზი, რაც ამ ავტორის პიესებს თანადროულობას უკარგავს. კერძო მოვლენა, კერძო შემთხვევა ხდება ხშირად მისი ძირითადი სიუჟეტი. ამის მაგალითად თუნდაც მისი ბოლო პიესის ისტორიაც კმარა. ერთმა რეჟისორმა ლაშა ბულაძეს შეუკვეთა პიესა თეატრის შესახებ. დრამატურგმა იმ დროს ქალაქში ფართოდ გავრცელებული ჩვენები მეგობრის მიერ ცოლის მოყვანის ამბავი მოყვა და, თეატრთან დაკავშირების მიზნით, მთავარი პერსონაჟი თეატრის რეჟისორად გამოიყვანა, ავტორმა ეს თბილისური ამბავი თეატრალურ ინტრიგად აქცია და მოვლენა თეატრის სამყაროში გადაიტანა. მალე ამბავი მოძველდა, ის წყვილი დიდი ხანია დასცილდა ერთმანეთს, აღარც პიესა დაიდგა, ვინაიდან იგი სულ მალე ყველასთვის უინტერესო გახდა.

ძალზე რთულია ამ მიზეზებზე საუბარი, შესაძლებელია ეს ჩემი სუბიექტური განწყობაა და სხვა მკვლევარს სხვაგვარად მოეჩვენოს, მაგრამ ერთი კი ფაქტია. ლაშა ბულაძის პიესა უნდა დაიდგას მაშინ, როცა ის დაინერა და არა ორი, სამი და უფრო მეტი წლის შემდეგ. მის დრამატურგიას გვიანეულ კომედია დელ'არტეს შევადარებდი, სადაც საქმე გვაქვს ზოგად სქემასთან, თუ გნებავთ სცენართან (აქ არ უნდა დავივინყოთ, რომ ლაშა ბულაძე კინოდრამატურგია სპეციალობით!) და მის ნილაბ-სახეების, ნილაბ-პერსონაჟთა სახეცვლილებებთან, რომელთა ნახვაც სცენაზე ზუსტად იმ მოვლენებს უნდა მოჰყვეს, რომელიც გუშინ, გუშინწინ მოხდა ჩვენს ქალაქში. ეს ნილაბებია; „ყოფილები“ — რაიკომის მდივანი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საბავშვო ბაღის ყოფილი გამგე, მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, ინტელიგენტი — მეცნიერი, ექიმი, პროფესორი, საზოგადოებრივი და ელიტის წარმომდგენლები — პროფესორის ცოლი, მომლერალი, მსახიობი, ხელოვნების სხვა დარგის, ასევე დაბალი ან საშუალო ფენის წარმომდგენლები — ქორეოგრაფი, ძუნწი და ხარბი მეზობელი ან შორეული ნათესავი. ამ სქემებში და ფსიქოტიპების მეშვეობით მიმდინარეობს ძირითადი ქმედება ამ და იმქვეყნიურ სამყაროში — „ნაფტალინი“, „სტალინი და დანარჩენი 10 სტალინის ცხოვრება, სიკვდილი, დაკრძალვა, გადაკრძალვა და დაბრუნება“, „ნუგზარი და მეფისტოფელი“, „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პო-

პულარული მწერლის, ასევე საინტერესო თვითმყოფადი დრამატურგის პიესების პრემიერებით არ ვართ განებობრებული. უხვად დაწერილი პიესებიდან მხოლოდ რამდენიმე ნახა რამპის შუქი. მსურს გავერკვე, რა მოვლენაა ეს და რატომ მრჩება ასეთი შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე რეჟისორებში ლაშა ბულაძის — არამარტო მისი — შემოქმედების მიმართ ინტერესი ნაკლებია. დასკვნების გაკეთება კიდევ იმიტომ მიჭირს, რომ ცოტა გაუგებარია, რის კრიზისთან გვაქვს საქმე: თანამედროვე რეჟისორის, სარეჟისორო კადრების, სარეჟისორო სკოლისა, თუ ზოგადად თანამედროვე დრამატურგიისადმი ინტერესის დაკარგვის. თუმცა აქვე აუცილებელად უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა რეჟისორების დავით საყვარელიძის („ოთარი“, „სულიერი არსებები“, „ნაფტალინი“) და გიორგი თავაძის („ნუგზარი და მეფისტოფელი“ — ორჯერ) დამსახურება, რომელიც ყველაზე ხშირად მიმართავდნენ ლაშა ბულაძის დრამატურგიას.

ბულაძის პიესების დადგმებიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა, რობერტ სტურუას პოლიტიკური სპექტაკლი „ჯარისკაცი, დაცვის ბიჭი, სიყვარული და... პრეზიდენტი“ და არა იმიტომ, რომ სხვა დანარჩენი დადგმები არ იყო საინტერესო. არა! ამ სპექტაკლმა დიდი ხმაური გამოიწვია და მეტიც — ხელისუფლების უმაღლესი ემელონის, რეჟისორის და მთელი რუსთაველის თეატრის დაპირისპირებაში გადაიზარდა. მაგრამ ამ ყველაფერში ყველაზე საინტერესო იყო ის, თუ როგორ იმუშავებს რეჟისორმა და დრამატურგმა იმ იდეებზე, რომელიც ბულაძისგან მოდიოდა და რა ფორმა მიიღო მან სტურუას მემკვიდრით. საერთოდ კიდევ ერთი რამეა მნიშვნელოვანი — დრამატურგს თითქმის არც ერთხელ არ მოსწონს სპექტაკლი, რომელიც მისი პიესის მიხედვითაა დადგმული და ეს არც „კეკლუცობა“ პრესის წინაშე და არც მეგობრების წინ „თამაში“ — ვფიქრობ, ლაშა ბულაძე ნამდვილად დიდ მოთხოვნილებას უყენებს საკუთარ შემოქმედებას და იმას, რაც ამ შემოქმედებას მოაქვს.

ასეა თუ ისე, საქმე გვაქვს თვითმყოფად დრამატურგთან — ჩამოყალიბებული სტილითა და წერის მანერით, საკუთარი კონცეფციებით, მისწრაფებებით და, რაც მთავარია, თეატრის ზოგადად და კერძოდ კი დრამატურგიულ კანონთა ფლობით და თეატრალური ხელოვნების ცოდნით.

მისი პირველი პიესა „ოთარი“ განხორციელდა 1997 წელს რუსთაველის „თეატრალურ სარდაფში“ დავით საყვარელიძის მიერ, რომელსაც მალევე მოყვა „ეს სკამი და ეს საწოლი“ (რეჟისორი ოთარ ევაძე), „ნუგზარი და მეფისტოფელი“ გიორგი თავაძის დადგმით სამეფო უბნისა და ბათუმის თეატრებში, შარშანდელ სეზონში კი „პანთეონი“ მუსიკისა და დრამის (რეჟისორი გ. იაშვილი) და ახმეტელის (რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი) თეატრებში, რომლის სიუჟეტიც მოჭარბებული მიტინგების ფონზე მიმდინარეობს. გროტესკული კომედია იმაზე, თუ რომელ საზოგადოებრივ მოღვაწეს უფრო მეტად ეკუთვნის საწუკარი განსასვენებელი პანთეონში და რომელში — მთანმინდაზე თუ დიდუბეში.

და ამავე სეზონში „ნაფტალინი“ ისევ დავით საყვარელიძის მიერ განხორციელებული მარჯანიშვილის თეატრში, რომელიც წარმოდგენილი იყო მიხეილ თუმანიშვილის ფონდის მიერ ჩა-

ტარებული თანამედროვე ქართული პიესის კონკურსის ჟიურის წევრთა მოწონება დაიმსახურა, თუმცა ნომინირებული არ იქნა კონკურსის პირობების (ის ჟურნალში აღმოჩნდა გამოქვეყნებული) დარღვევის გამო. სპექტაკლი იუმორით, სახასიათო სახეებით და, რაც მთავარია, მსახიობთა — ოთარ მეღვინეთუხუცესის და გურანდა გაბუნიას — უაღრესად საინტერესო, უმაღლესი ოსტატობითა და მომხიბლაობით შესრულებული როლებით, რაც ჯანსაღ და გულწრფელ სიცილს იწვევდა დარბაზში.

სხვა ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ისტორიული პიესა „სტალინი და დანარჩენი 10 სტალინის ცხოვრება, სიკვდილი, დაკრძალვა, გადაკრძალვა და დაბრუნება“, რომელმაც სალვადორ დალის სურათი „ლენინის ექვსი გამოცხადება“ გამახსენა, აღსავსე გროტესკული და სარკაზმული ელემენტებით, „კავკასიოლოგი“ — რუსეთ-საქართველოს ომის გამოძახილი, სადაც ხაზგასმულია ამერიკის გადამწყვეტი მისია და როლი ამ პროცესებში, „თავი“ — თანამედროვე ფანტასმაგორია კომპიუტერული ტექნიკითა და ვირტუალური სამყაროთი.

პირველ პიესებში ავტორი ძირითადად ჭარბად მიმართავდა რემარკებს, რაც თანამედროვე თეატრში იშვიათობაა, ხოლო პოსტმოდერნისტულ დრამატურგიაში ქმედების ეს ნიშნები, მითითებული ავტორების მიერ, საერთოდ გაქრა. ლაშა ბულაძესთან კი ამ რემარკებს ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე და ზოგჯერ ყოველი ფრაზის შემდეგ. მაგ. შეიძლება ითქვას, რომ „ოთარი“ რემარკების კრებულია, არც გვიანდელ პიესაში „სულიერი არსებები“ შეიმჩნევა რემარკების ნაკლებობა, ისეთი ტიპის რემარკებისა, როგორიცაა „გაიხედა“, „გაიწინა“, „გაიციწინა“ და სხვ.

ლაშა ბულაძის პიესების სცენური ვერსიებიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა „7 პე“ — 7 პატარა პიესამ: „გოგიკო და ძიძა“, „დედის მონოლოგი“, „აღშფოთებული ტატიანა“, „ციციო დეიდას ტრაგედია“, „გოგის უხერხულობის ამბავი“, „ბიძინას ამბავი“, „ორი დაცემინების ამბავი“ — დადგმული ზურაბ გენაძის მიერ კინომსახიობის თეატრში, სადაც ყველაზე ნათლად გამოჩნდა ლაშა ბულაძის დრამატურგიის უმნიშვნელოვანესი ნიშანი — მინიატურულობა, მოქმედების ცალხაზობრივობა, ფაბულის ზუსტი მოხაზვა, სიუჟეტის სიმძაფრე და სიზუსტე, ცოცხალი იუმორი, ხასიათების ზუსტი განსაზღვრა.

როდესაც ლაშა ბულაძის დრამატურგიაზე ვსაუბრობთ, იმ ძირითად თვისებათა გარდა, რაც ზემოთ აღინიშნა, არის ერთი მთავარი და დასამახსოვრებელი — პიესები მონოლოგებითა და დიალოგებით, საინტერესო ეპიზოდური ისტორიებით, მაგრამ ძირითადი ლერძი, „გამჭოლი ხაზი“, თუ გნებავთ ისტორია, ამბავი ნაკლებად მოიპოვება. პიესის კითხვისას რთულია ამ ამბის აღმოჩენა, რომელიც შეიძლება არც იყოს და რაც უფრო ართულებს მის დადგმას. იმიტომ რეჟისორთა ძალისხმევა ამ ფაბულის გამოსაყოფად სრულიად გასაგებია. ვინმე შეიძლება მომიყვებს, რა ხდება მაგალითად იმ ტექსტში, რაც „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“ წერია? — თითქმის არაფერი. რობერტ სტურუას რეჟისურით კი იგი „დამრტყმელი ძალა“ გახდა იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. დადგამს კი როდისმე მას კიდევ ვინმე? — არა. სწორედ ეს არის ის რეალობა, რაც ლაშა ბულაძის დრამატურგიას ახასიათებს.



სცენა სპექტაკლიდან: „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“

ნიკოლოზ შამუგია

კენტავრის ღიმილი და „ძველბერძნული სათვალე“

არავინ იცის, ვინ იპოვა, ან სად და როდის აღმოაჩინეს მომღიმარი კენტავრის ერთი ძველბერძნული, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მცირე ზომის ქანდაკება. ვიცით მხოლოდ, რომ არქაული ეპოქის სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ შედეგად მიჩნეული ეს სტატუეტი 1997 წელს ვინმე დეიმენ მეძაკაპამ გადასცა საჩუქრად პრინსტონის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმს. იმ დროისთვის, მეოცე საუკუნის დამლევს, ანტიკური მითოლოგიის მრავალი ღვთაება, ცხადია, უკვე ჩინებულად შეესწავლათ კლასიკური სიძველეთმცოდნეობის სპეციალისტებს. ხელოვნებათმცოდნეებს დეტალურად გამოეყოთ ყველა ის ნიშანი, რაც ამა თუ იმ ღმერთის სახეს ახასიათებდა ძველი ბერძნული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ასე გახლდათ კენტავრთა სახის შემთხვევაშიც.

გასული საუკუნის მიწურულს სხვადასხვა უნივერსიტეტის კლასიკოსი სტუდენტები კითხულობდნენ (დღესაც კითხულობენ, ბუნებრივია) არაერთი მეცნიერის გამოკვლევებს და იცოდნენ, რომ ძველ ბერძნულ ხელოვნებას, განსაკუთრებით გეომეტრიული (ძვ. წ. 900-700 წლები) და არქაული (ძვ. წ. 700-500/480 წლები) ხანისას, ბარბაროსული, აგრესიული, საშიში, უხეში, ველური ძალის აღსანიშნავად აერჩია კენტავრთა სახე.

გამოკვლევები, როგორც წესი, ცდას არ აკლებდნენ, ელინ გმირთა ცივილიზებული თვისებების ფონზე რაც შეიძლება ველურად წარმოეჩინათ ეს მითიური არსებანი და პირიქით: ცივილიზებული, დახვეწილი, ჰარმონიული ელინური სული იკვეთებოდა იმ ლიტერატურული პასაჟებისა და ხელოვნების ნიმუშების ანალიზისას, სადაც (როგორც მაგალითად, ჰომეროსთან ან პართენონის სამხრეთ მეტოპებზე) ელინური სამყარო კენტავრთა სახით სიმბოლიზებულ უკულტურო, თავზეხელაღებულ, ბარბაროსულ და აგრესიულ ძალას ამარცხებდა სასტიკად. 1997 წლამდე კლასიკური სიძველეთმცოდნეობა, ისევე როგორც მეტწილად დღევანდელიც, სამწუხაროდ, ძველი ბერძნების თვალთუყურებდა ამ ორბუნებოვან არსებებს. არავინ უკვირდებოდა, რომ მათი აზრით ცივილიზებული ძალის განმასახიერებელი მრავალი მითოლოგიური ელინი გმირი შეუდარებლად უფრო დიდ ველურობას სჩადიოდა, ვიდრე კენტავრები, თან გაცილებით ხშირადაც, და რომ ამ ცხენკაცების უარყოფითად წარმოჩენის საფუძველი მათი არა მართლაც ველურობა, არამედ ელინურ ძალასთან დაპირისპირება იყო.

თავის დროზე ძველი ბერძენი მწერლები სხვადასხვა ინოვაციური ლიტერატურული შტრიხით უწერგავდნენ ან უძლიერებდნენ თავიანთ მსმენელსა თუ მკითხველს კენტავრებზე ძალმომრის, საშიშის შეხედულებას: ამ მხრივ, ჩვენს ყურადღებას იქცევს უწინარესად თესალიური კენტავრომაქიის ეპიზოდი ჰომეროსის „ილიადიდან“. ჰომეროსისეული ინოვაცია, მხატვრული ინტერპრეტაცია ვლინდება იმით, რომ პოეტი თავისთვის საინტერესო მომენტებს ირჩევს შორეულ წარსულში ბერძნულენოვანი ტომების რწმენა-წარმოდგენაში გაჩენილი ამ მითიდან და ტვირთავს მათ გარკვეული მწერლური ჩანაფიქრით, იდეით.

ტრადიციული ხალხური მითი ასეთი იყო: თესალიელი კენტავრები ლაპითა მეფე პეირითოსსა დაპატიჟა საკუ-

თარ ქორწილში. ცხენკაცები დათვრნენ და პატარძლისა და ახალგაზრდა ლაპით ქალთა მოტაცება მოინდომეს. ამას მოჰყვა თესალიური კენტავრომაქია — დაუნდობელი ბრძოლა თესალიელ კენტავრებსა და ლაპითებს შორის, რომელიც ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა.

ახლა ვნახოთ რა მწერლურ ინტერპრეტაციას ახდენს ჰომეროსი „ილიადაში“: ელინური ტომები გაერთიანებულან მიკენის მეფე აგამემნონის წინამძღოლობით და უკვე მეცხრე წელია ტროის აღებას ცდილობენ. უნდა ანანონ ბარბაროს ტროელებს სპარტის მეფე მენელაოსისთვის ოქროსთმიანი ელენეს მოტაცება. მოულოდნელად განზე დგება და შინ დაბრუნებას აპირებს აგამემნონზე განრისხებული ელინ გმირთა საუკეთესო წარმომადგენელი, ის, ვისზეც იმედს ამყარებს ყველა — უძლეველი აქილეუსი. მთელმა ლაშქარმა იცის, რომ აქილეუსის განზე დადგომა ნიშნავს საერთო ელინური იდეის სრულ კრახს. წამოდგება მოხუცი, ბრძენი ნესტორი და ეუბნება აქილეუსს: მე მიომია შენსა და აგამემნონზე უკეთესი გმირების, ლაპითებისა და თესვისის, მხარდამხარ; თავად მათ მიხმეს კენტავრების წინააღმდეგ საბრძოლველად; უმხნესნი იყვნენ და უმხნესთ ებრძოდნენ; ისინი ითვალისწინებდნენ ჩემს რჩევებს და ახლა შენც ისმინე ჩემი რჩევა, ნუ მრისხანებ! (ილიადა, I, 254-279).

პასაჟი მთლიანად ნოვატორულია: ტრადიციულ მითში ჩამატებული არიან ნესტორი და თესვისი. ინოვაციის მიზანი და სახისმეტყველება ნათელია: ბარბაროსმა, ველურმა კენტავრებმა დააპირეს ქალების მოტაცება და მათ წინააღმდეგ ერთად დადგნენ რჩეული ელინი გმირები. ახლაც ბარბაროს ტროელებს ელენე მოუტაციათ და ელინები ადრინდელივით ერთად უნდა წინ აღუდგნენ ამ ველურობას უცხო აგრესიული ძალისას. ლიტერატურაში პირველად ასე დაიტვირთა კენტავრთა სახე უცხო ძალმომრის იდეით, თესალიური კენტავრომაქია კი — ცივილიზაციის ბარბაროსულობასთან დაპირისპირების ალეგორიულობით.

სახვით ხელოვნებაში კი მსგავს ალქმას უდიდესი ბიძგი მისცა სპარსელთა შემოჭრამ საბერძნეთში. ძვ. წ. V საუკუნეში, სპარსელებთან ომის შემდეგ, უმნიშვნელოვანეს ელინურ ტაძართა ფრონტონები, ფრიზები და მეტოპები დაიხუნძლა უკულტურობაზე ცივილიზაციის გამარჯვების იდეით დატვირთული თესალიური კენტავრომაქიის გამოსახულებებით: პართენონი ათენში, აპოლონის ტაძარი ბასიში, პოსეიდონის ტაძარი სუნიონში, ჰეფესტოს ტაძარი ათენის აგორაზე, ზევსის ტაძარი ოლიმპიაში... ამ უკანასკნელი ტაძრის დასავლეთ ფრონტონზე გამოსახულია, თუ როგორ წარმართავს გამარჯვებისკენ, როგორ ხელმძღვანელობს კენტავრთა წინააღმდეგ თესვისისა და ლაპითების ბრძოლას თავისი ღვთაებრივი ძალით, სიმბოლურად განვდილი მარჯვენათი, თვით აპოლონი (სურათი 3), ღმერთი, რომელიც ძველბერძნულმა ხელოვნებამ უმაღლესი კულტურული ძლევა მოსილუბისა და მშვენიერების განსახიერებად აირჩია.

ასე და ამრიგად, 1997 წელს „ბერძნული სიმართლის სათვალე“ ეკეთათ და, ტრადიციული, არსებითად ელინთავან ნამემკვიდრები შეხედულება ჰქონდათ კენტავრებზე მეცნიერებაში. და აი, მოულოდნელად პრინსტონის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმში ვილაც გამოჩნდა და მუზეუმს

გადასცა სტატუეტი კენტავრისა, რომლის ღიმილმაც თვალი მოსჭრა „ბერძნული სიმართლის სათვალთან“ კლასიკოსებს: უტყუარდნენ მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებას და, მათდა გასაოცრად, კენტავრს მოძალადე, საშიში, ველური არსებისათვის დამახასიათებელი შტრიხები სულაც არ ჰქონდა. იგი საოცრად დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით მიდიოდა, ლამაზი, მონესრიგებული და კულულებად დახვეული თმა-წვერი შვენიოდა, თავი ოდნავ მოებრუნებინა და მათ უღიმოდა.


„ძველბერძნული სიმართლე“ შეირყა.

დასანანია, მაგრამ „ძველბერძნული სიმართლის სათვალის“ მოხსნა და საკუთარი თვალით დაკვირვება არავინ ისურვა. ყველა ამ სათვალის ხილვადობის დასაცავად დადგა. ქანდაკება დაახლოებით ძვ. წ. 530 წლით დათარიღდა, ანუ არქაულ ხანას განეკუთვნა. ცხადია, უმალ იფიქრეს, კენტავრს უბრალოდ არქაული ღიმილი ამშვენებსო. არქაული ეპოქის ყველა ბერძნულ ქანდაკებას ხომ ოდნავი, თბილი ღიმილი დასთამაშებს, იმ ეპოქის უტყუარი მახასიათებელი.

თუმცა ამგვარი მეცნიერული ახსნის შემოთავაზება ნიგნისა ან სტატიაში თავდაჯერებულად ვერცერთმა კლასიკოსმა გაბედა. ყველა შინაგანად გრძნობდა და გრძნობს: არქაული ხანის სახვითი ნიმუშებისაგან განსხვავებით, ამ ქანდაკებაზე იკითხება ჩვეულებრივ ატრიბუტადქცეულ ღიმილზე მეტი — დარბაისლური სული. ღიმილი აქ უბრალო ეპოქალური მახასიათებელი როდია, არამედ კანონზომიერად აკვირგვინებს იმ მრავალი შტრიხის ერთობლიობას, რომელიც არაორაზროვნად ერთ მიზანს ისახავს — ლაღი, გახარებული კენტავრის სახის წარმოჩენას, კენტავრისას, რომელსაც თვალეში სასიამოვნო სიხარული ჩასდგომია. ამ ცხენკაცის უჩვეულოდ ბედნიერ გამომეტყველებად იკვეთება — სიხარულისაგან გაბადრული თვალებითა და ზეანეული წარბებით.

დამაჯერებელი ახსნის ძიებაში უმალ გაჩნდა მეორე მოსაზრებაც, თუმცა კვლავინდებურად ორჭოფული, ყოყმანით თქმული. მომღიმარი კენტავრი მიჩნეულ იქნა სავარაუდოდ კენტავრ ქირონად, რომელიც ძველბერძნულ მითოლოგიაში ყველასთვის ცნობილია როგორც ბრძენი, ელინი გამირებისადმი კეთილგანწყობილი და მრავალის — მათ შორის იასონის, აქტეონის, ასკლეპიოსის, ტირესიასის, ჰერაკლესა და აქილევსის — აღმზრდელი. მართალია, ეს მეორე შეხედულება მის ავტორსაც არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ამ მიდგომას ჰქონდა მნიშვნელოვანი ღირსება: მასში იგრძნობოდა აუცილებლობა, კენტავრის ფიგურა განმარტებულიყო გარკვეულ კონტექსტში, რომელიც ან მხატვრულ ლიტერატურაში, ან მითში, ან ეგზე სულაც სახვით ხელოვნებაში უნდა დაძებნილიყო. ასეთ კონტექსტად ამ შემთხვევაში იქცა პინდაროსის მეცხრე პითიური ოდა. ამ ოდაში ყოვლისმცოდნე ღმერთი აპოლონი ეკითხება კენტავრ ქირონს, სამართლიანი და მისაღები თუ იქნება, გაუმიჯნურდეს ნიმფა კირენეს. პასუხად ქირონს, როგორც პინდაროსი ამბობს, „ოდნავ გაეციონა წარბების ზეანეით“ და ასე მიუგო ღმერთს: „სიყვარულ-

ში დარწმუნების ხერხი დაფარულია!“ ქირონის გაცინება თითქოს მიგვანიშნებს, რომ ამ ბრძენმა კენტავრმა ეს დაფარული ხერხი უწყოდა, და მისი რეაქცია თითქოს ღმერთ აპოლონისთვის დაფარული რაღაც საიდუმლო ცოდნის მფლობელი ბრძენი კენტავრის გაღივებაა. ამ პასაჟის დახმარებითა და მეცნიერთაგან მისთვის მიწერილი ცივილიზირებულობის გამო გაუიგივდა ქირონი უცნობ მომღიმარ კენტავრს. გაიგივება იმთავითვე არადამაჯერებელი იყო: ა) პინდაროსმა მეცხრე პითიური ოდა დაახლოებით ძვ. წ. 474 წელს შეთხზა, სტატუეტი კი სამოცდახუთიოდ წლით უფრო ძველია; ბ) დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უცნობ კენტავრს ხელში ეჭირა და მარჯვენა მხარზე გადაებული ჰქონდა კომბალი, — რიგით კენტავრთა განუყრელი ატრიბუტი, რომელიც ქირონისათვის უცხოა (კომბალი, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაზიანდა კენტავრის ცხვირსა



კენტავრის სტატუეტი. ძვ. წ. 530 წელი

და ფეხებთან ერთად). ფიგურამ პრინსტონის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმში დაიდო ბინა, როგორც მუზეუმის ერთ-ერთმა უძვირფასესმა ექსპონატმა, და იქიდან უღიმოდა „ბერძნული სიმართლის სათვალთან“ კლასიკოსებს თავისი ენიგმური ღიმილით.

მე მინდა ახლა კლასიკურ სიძველეთმცოდნეობას „ბერძნული სიმართლის სათვალე“ მოვხსნათ და ისე შევხედოთ ამ უცნობ კენტავრს: ასე ნამდვილად გვეტყვის, ვინ არის და რატომ გვიღიმის. პირველი გარემოება, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ისაა, რომ ეს სტატუეტი წარმოადგენდა ღვინის შესანახი დიდი ზომის ძველბერძნული ჭურჭლის, დინოსის სახელურს. ამ ფუნქციის გათვალისწინება გონებაში უმალ ამოატივტივებს ღვინოსთან დაკავშირებულ მითებს კენტავრებზე. ასეთია ზემოთნახსენები ლეგენდა თესალიელ ცხენკაცებზე, რომლებიც იმდენად დათვრნენ, რომ მასპინძელთა ქალებს დაუპირეს მოტაცება. მაგრამ არის კიდევ ერთი მითი. ის პელოპონესელ, მთა ფოლოზე მობინადრე კენტავრებს ეხება და, სხვადასხვა დროის ბერძენ მოღვაწეთა მონათხრობის გათვალისწინებით, შემაჯამებელი სახით ასე შეიძლება გადმოიკვს: ევრისთევსისგან მიღებული მესამე დავალების შესასრულებლად, ერიმანთოსის ტახის ცოცხლად დასაჭერად მიმავალმა ჰერაკლემ გზად პელოპონესელ კენტავრ ფოლოსს შეუარა, რომელიც, თესალიელი ქირონის დარად, ელინი გამირებისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. ფოლოსი ხორციტ გაუმასპინძლდა სტუმარს. ამასთანავე, თავი ახადა ღვინის დიდ ჭურჭელს, რომელშიც მთა ფოლოზე მცხოვრები ყველა კენტავრის საერთო ღვინო ინახებოდა, და გამირს ღვინო შესთავაზა. ღვინის სურნელი ეცათ კენტავრებს და ნელ-ნელა, აქეთ-იქიდან დაიძრნენ ფოლოსის გამოქვაბულისკენ, რათა შეერთებოდნენ მეინახეთ. სწორედ აქ, ფოლოსის მღვიმეში, მოხდა ჰერაკლესა და პელოპონესელ კენტავრთა ბრძოლა, რასაც, ცხადია, კენტავრების არაცივილიზებულობითა და ველურობით ხსნიან ძველი ბერძენი ავტორები. არადა ეს ცხენკაცები უბრალოდ თავიანთი საერთო ღვინის დაღვევას აპირებდნენ მათთან ან მასთან ერთად, ვინც მოძმე ფოლოსის

მღვიმეში დახვდებოდათ. ეს მითი ძვ. წ. 530 წლისთვის უკვე ცნობილი იყო. ამას მოწმობს ერთი შემორჩენილი ფრაგმენტი ძველ ბერძენ პოეტ სტესიქოროსის (ძვ. წ. 640-555) ეპიკური პოემიდან „გერიონისი“, სადაც ფოლოსთან სტუმრად მისულ ჰერაკლეს ნათქვამია: „ღრმა თასი, ფოლოსმა რომ გაუვსო, ტურნებთან მიიღო და გამოსცალა“ (ფრაგმენტი 181).

ახლა დავაკვირდეთ სტატუეტს! დაკვირვებული თვალისთვის ნათელია, რომ ეს უცნობი კენტავრი მთა ფოლოზე მობინადრე ერთ-ერთი რიგითი კენტავრია, რომელსაც ეს-ესაა ეცა ფოლოსის გამოქვაბულიდან გამომავალი საერთო ღვინის სურნელი, გაელიმა, გაუხარდა, სახე გაეზადრა, უჰ, უჰ, ჩვენს ფოლოსს, ეტყობა, ვინმე ეწვია, უთუოდ მიზეზი რაიმე აქვს მოლხენის, ნავიდე, შევეურთდე, მეც მოვილხინო.

ღვინის არომატით დაბანგული, სიხარულით იმართება მხრებში სანუკვარი სასმელის სურნელზე, მხარზე კოხტად მოირგებს თავის განუყრელ კომბალს და ისე დინჯად გაეშურება ფოლოსის გამოქვაბულისკენ, თითქოს ამ სიარულითაც გამოხატავს, რომ წინდანინ ტკბება მოსალოდნელი ლხინით. ცხადია, ჰერაკლე ჯერ არც დაუნახავს, ახლა მიეშურება ფოლოსის გამოქვაბულისკენ. კომბალი აქ კენტავრის ტრადიციული ატრიბუტი იქნებოდა უთუოდ და არამცდარამც ძალმომრე, საომრად გამზადებული ცხენკაცის იარაღი.

ამ მითის მართლაც რომ საოცარი ინტერპრეტაციაა ხელოვნებაში!

უცნობმა ბერძენმა ხელოვანმა გონებაში წარმოისახა, მოიფიქრა, გამოყო ისეთი დეტალი მითისა, რაზეც არც მანამდე, არც შემდეგ არცერთ სხვა ელინ ოსტატს არ უფიქრია. იგი არ გაჰყვა ტრადიციულ, გატკეპნილ გზას კენტავრთა მთვრალ და მოძალადე არსებებად წარმოსახვაში. ამ უცნობმა ოსტატმა დაინახა კენტავრთა ყოფის ხიბლი, სილამაზე. შეხედა და დაუფიქრდა საგნებს იმ თვალთ, როგორც მათ მითური ცხენკაცები უყურებდნენ, და ამ გზით იოლად ამოიციო კენტავრული ბუნება.

ვფიქრობ, ასეთი უზადლო ინტერპრეტაციები იშვიათია ხელოვნების ისტორიაში, და ერთ-ერთი უპირველესი, ამ მხრივ, უდავოდ ეს მომღიმარი კენტავრია. აქ გენიალურია არა მხოლოდ იდეა და ჩანაფიქრი, არამედ მისი ხორცშესხმაც. სტატუეტი საოცრად დახვეწილია, მაღალი ესთეტიკური გრძნობით შესრულებული.

დაბოლოს: ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ თუ ძველი ბერძენი ხელოვანი ხარ და ღვინის დიდი ჭურჭლის დამზადება-შემკობას აპირებ, ძნელია მოიფიქრო უფრო გენიალური სახელური, ვიდრე ეს სტატუეტი: ის ხომ მყისვე ლეგენდარულ წარსულს გაახსენებს ამ ჭურჭელთან ღვინის ამოსაღებად მისულ კაცს, და კენტავრის — ამ მითური ცხენკაცის — გაბანგული ღიმილით მიანიშნებს მოლხენის მსურველს, ღვინო შეება და ლხენააო.



თესალიური კენტავრომაქია. ოლიმპიის ზევის ტაძრის დასავლეთი ფრონტონი. ძვ. წ. 470 - 456 წლები.

მურმან ჯგუბურია

„ცისატყელას ქვეშ გავივლი“

ანუ „მაღლით მდიდარი და ცოდვით ღარიბი“ მესიტყვის ნიშნი

მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი) — „ალთქმული გაზაფხული“: ამ ლექსთა კრებულის კითხვა-გაცნობამ ერთი ასეთი სალამო მომავონა:

„ფორმა თუ შინაარსი? რომელია მთავარი?“ — შემეკითხა ცხონებული ნოდარ დუმბაძე და მაგიდაზე წამოდგა არაჩვეულებრივი ფორმის მქონე, თხილის ტკეჩებით მოწულ-მოხვეული, ალექსანდროულით საესე პატარა დოქი.

„ღვინო მოგართვით, — მითხრა ჩემმა თანასოფელმა გურულმა კაცმა, დოქზე კი არაფერი უთქვამს“, — მთავრობა ნოდარმა შეკითხვას და გაჩუმდა. ჩემს პასუხს დაელოდა.

ორივე ერთადაა კარგი და სასურველი, ვუპასუხე. დიდი ხანი ვსაუბრობდით, მთისა ვთქვით, ბარისა, შებინდებამდე, ვიდრე მდინარე ვერეზე გადმომდგარი სახლები ხომალდებს დაემგვანებოდნენ.

ის პატარა და ლამაზი თიხის დოქი გამოვცალეთ. გადააბრუნე-გადმოაბრუნე ის დოქი მასპინძელმა. წვეთი ღვინო არ ჩამოვიდა.

„ფაფუ! — თქვა, — გათავდა შინაარსი, ახლა, ახლა როგორ მიპასუხებო“, — შეკითხვა გამიმეორა.

რა უნდა მეპასუხა? ერთი უკრაინელი პოეტის (ივან დრაჩის) სტრიქონი მომაგონდა და ვთქვი:

„ბოთლი რომ ცარიელია, ცითაა საესე“. ეს პასუხი არ არიო, — მითხრა ნოდარმა და სქელი, დაფანჩული წარბებიდან გამომხედა.

აი, ეს დიალოგი მომავონა მირიან იორამიშვილის ლექსების კრებულმა.

ხანი გამოხდა, და მე თანდათან ჩემი იმჟამინდელი მასპინძლის განააზრისკენ გადავიხარე, რა განააზრსაც დაუსწრებლად უპასუხა მირიან იორამიშვილმა.

ამ კრებულში შინაარსია მთავარი. შინამო. ანუ სული. სულიერება. სარწმუნოება. ილია მართლის მიერ მონიშნული სამეების (მამული, ენა, სარწმუნოება) მესამე წევრი.

რატომ მესამე, და არა პირველი, ან — მეორე? იმიტომ, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, ერთი ცახე სამშობლო გავგაჩნია, და სამეულის მეორე წევრი (შუაწევრი) თუ წაგვიხდა, როგორც გვითხრა პოეტმა და გენერალმა, ერიც წახდება და ტაძარსაც ჩირქი მოეცხება. სამაგალითოა ამ მხრივ ჩვენი ძირძველი აჭარა: რა არ გადახდა, მაგრამ დედა-ენა რომ შეინახა.

უპრეცედენტო ფაქტია: სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ სახელმწიფო ენა მუდამ გავგაჩნდა.

უპრეცედენტოა დედა-ენის ძეგლიც. „უშენოდ აზრი არ აქვს არაფერს“.

გვეუბნება ენისადმი მიძღვნილ ლექსში მირიან იორამაშვილი, რომელმაც ა-ნიდან ჰ-ამდე იცის სარწმუნოების (ქრისტიანობის) მადლი და ძალ-მოსილება.

სამაგალითოდ: ჩვენი მარადი მეზობლები, რუსები, ჩვენი ერთმორწმუნენი არიან, მართლმადიდებლები არიან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სარწმუნოებამ არ შეუშალათ ხელი, ძირძველი მინები წაეგლიჯათ და დავერბიეთ.

ამიტომაც არის, რომ ამ კრებულში ერთმანეთს ენაცვლებიან ჩვენი დედა-ენის მარადი ქომაგები: ფსევდო იოანე ზოსიმე, რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, სულხან-საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, ლეონიძე, ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე, მანანა ჩიტიშვილი... თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ მირიან იორამაშვილი (მიტროპოლიტი თადეოზი) უწინარესად რელიგიური პოეტი, უფრო კონკრეტულად, გურამიშვილისა და გრანელის აქეთ, ყველაზე მეტად რელიგიური, ანუ — მორწმუნე...

„როცა მის ლექსებს კითხულობ, ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ქადაგებას ისმენ“, — წერს წინათქმამო ნინო ჩხიკვიშვილი.

არა-ერთი ლექსი აქვს მიძღვნილი მირიან იორამაშვილს ქეთევან წამებულისა და ჩვენი პატრიარქისადმი; განსაკუთრებით უყვარს ვაჟა-ფშაველა. ბუნება და ბუნების მესაიდუმლე. ესა და ეს ლექსი დიდმა ვაჟამ შთამაგონაო, გვეუბნება; ასევე ჩანან პოეტის ხედვის არეალში პატოსანი და უმნიკვლო შემოქმედნი და მამულისშვილნი: შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონი, ლეონიძე, ოთარ ჩხეიძე, ნიკო სამადაშვილი, ჰამლეტ გონაშვილი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია...

მისი ლექსების ფორმა უმთავრესად ხალხური პოეზიიდან გამომდინარეობს. შაირიდან. რუსთაველისა და ვაჟას სალექსო თარგი ერთიდაიგივეა. „ლექსში უნდა იყოს მხოლოდ აუცილებელი სიტყვა“. აუცილებელი სიტყვებისაგან შესდგებიან ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ფშავესურული პოეზია. მეგრულ-სვანური პოეზია. ანუ მთავარია შინაარსი, სათქმელი და სათქმელი განაპირობებს ამა თუ იმ ლექსის ფორმას. მირიან იორამაშვილის ლექსები, ჩემი გაგებით, მეტწილად ხატ-წერას მოგვაგონებს, ხატ-წერას უახლოვდება და ენათესავება. ხომ განსხვავებულია ერთმანეთისაგან ხატ-წერა და ფერ-წერა.

გაზაფხულის ძალას ჰგავს სულის აღორძინება.

ეს უფრო სულის თვალთა დანახული, ცხადია; თუმცა პოეტის ზოგიერთი ხატ-სურათი თვალის ჩინსა და სულის თვალს თანაბრად მოიცავს:

**მთა-ბარს უცნაურ შრიალით ერტყმის
ნისლი ნოტიო და უფერული...**

„უცნაური შრიალი“.
„ნოტიო ნისლი“.
სხვაგან პოეტი ამბობს:

გამოჩნდება, რაც კი გულში გაგივლია.

ანუ ავი და კარგი გაფიქრებულიდან ავი და კარგია. არა-ფერია ცის ქვეშ დამალული. და იქვე, მახლობლად:

**ლობეში, ტირიფებს შორის
ნაცნობი ჯაფარა ჩანს...**

„ნაცნობმა“ მომაგონა:
ერთხელაც მეუფემ მითხრა, ბაჩანა ბრეგვაძეს შევეხმიანოთ და ბატონი აკაკი განერელია ვინახულოთო. ნეტარი ავგუსტინეს „აღსარება“ უნდა ვუსახსოვროო, ქართული თარგმანი, ცხადია, და ასეთი ლექსი მოაყოლა:

**შენ კი გენაცვალე, ღმერთო,
ჩვენი გამოსახვისთვისო,
ახლო-მახლო დაგვასახლე
ერთმანეთის ნახვისთვისო.**



მეუფე თადეოზი

ვენწივით ბატონ აკაკის. ნობათმა გაახარა. როგორც მკითხველმა იცის, მანესტრო ნეტარი ავგუსტინეს დიდი თაყვანისმცემელი და მცოდნე გახლდათ.

დიდი ხანი ვისაუბრეთ. უკეთ. ისაუბრეს ბატონმა აკაკიმ, მეუფემ და ბაჩანამ. მათი ცოდნა-მსჯელობის არეალი ჩემს კნინ ცოდნას აღემატებოდა და იმიტომ.

„ცოდნა სტუმარია. ჭკუა — მასპინძელი. ცუდ მასპინძელთან სტუმარი დიდხანს არ გაჩერდება“, — ამბობს კოლხი თავადიშვილი პეტრე დადიანი.

დიდი ხანი, თითქმის გათენებამდე შერჩნენ ერთმანეთს სტუმარ-მასპინძელი, ანუ იქამდე, ვიდრე ვინ იყო მასპინძელი და ვინ სტუმარი, არცთუ იოლი გასარჩევი შეიქნებოდა.

საკვირველია მირიან იორამაშვილის ცოდნა-განათლების მასშტაბი. მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რასაც არ ამბობს. თუმცა მთელი სიგრძე-სიგანით იცის. და ხმას არ იღებს. თუკი სიტყვა (სათქმელი) დუმოლზე აღმატებული არაა. დუმოლზე აღმატებული სიტყვები კი ამ კრებულში არა-იშვიათია:

ცისარტყელას ქვეშ გავივლი...

კანტის ცნობილი გამონათქვამი გაგონდება, — ადამიანისა და სამყაროს მიმართება ერთმანეთთან.

**ჭიხინებენ ცხენები,
ჩვენ არ მოგვესვენება...**

ეს ზედმინეწით ჩენილი ჩვენებური (ქართული) გარემოა.

**სიცოცხლე საამურია,
თუ სინდისი გაქვს წმინდა.**

ეს მარტო ქართველებს არ ეხება — საყოველთაოა.

მადლით მდიდარი, ცოდვით — ღარიბი.

ესეც.

მთანმინდა რამდენს აღგვიძრავს ფიქრებს...

ამ გამონათქვამმა, ძვირფასო მკითხველო, ასეთი სტრიქონი მიკარნახა:

მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ, —
შემიძლია ახლა ვნახო მთანმინდა.

მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ, —
როცა მინდა, მაშინ ვნახავ მთანმინდას.

მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ, —
შემიძლია, რომ არ ვნახო მთანმინდა.

თუკი ეს ლექსი, თქვენდა საკადრისად მიიჩნით, ამა წუთიდან თქვენია და თქვენდამი მიძღვნილი, მეუფევე და მე-სიტყვევე.

მაგრამ მე ვინ, როცა თქვენი სათქმელ-სახვეწარი თვითილია მართლის „ლოცვას“ ენათესავენა:

**მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმპყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის,
მამაო ჩვენო, საკვირველნად მსუფევეო ცაში,
მოვედ ამქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმანკო ბავშვის...**

ეს ლექსი, ლოცვა-სავედრებელი, ილია მართლის „ლოცვასთან“ ერთად, ჩემი გაგებით, ძლიერ უახლოვდება ფსალმუნს...

„ფსალმუნი განანათლებს გონებას, ის აღმაყვანებელია ზეცად. ის კაცთ ღვთის თანამოსაუბრედ ჰყოფს“ (წმ. ეფრემ ასური).

P.S.

ათასში ერთხელ პოეტს გულში დარდი გაურბენს და სოფლის სამდურავი აღმოხდება („ეჰა, სანუთროვ, ცრუო“), — მაგრამ ეს წამითია, როგორც მცირედი ბნელის სიახლოვე ნათელთან, რაც მეტად გამოაჩენს ნათლის ძალ-მოსილებას.

**მიტროპოლიტ თადეოზს
(მირიან იორამაშვილს), ანუ
მინანური წიგნზე: „აღთქმული გაზაფხული“**

**შენ როგორც გიყვარს ყვაილი,
იმგვარად გიყვარს მრევლი,
„ცისარტყელას ქვეშ გაივლი“,
გაბრწყინებული ცრემლით.**

**და შეხვალ ციურ ქალაქში
მარად მლოცველი მრევლზე,
რათა მობრუნდე კვლავაც შინ
დედა-სამშობლოს შემნედ.**



რუსუდან ნიშნინიძე

სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“

ღირსება — ეს მყარი ფასეულობაა; ის არ იცვლება. იგი ადამიანებს აქვთ, ან — არა. ლექციაზე არაერთ თემაზე საუბრობ: მწერლის ბიოგრაფიაზე, რომელიც შეუძლებელია კონტექსტის გარეშე კარგად დახატო: გეოგრაფიული სივრცის, სად ხდება და ეპოქის — ანუ დროის გარეშე; ლაპარაკობ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე: რამდენად განსაკუთრებულია იმ სივრცეში, რომელშიც ისინი იწერება ანდა ქვეყნდება... აქ არაერთი ასპექტიცაა გასათვალისწინებელი. ვთქვათ პირდაპირ, სხვადასხვა თაობას სხვადასხვა აქცენტები აქვს; ეს ბუნებრივია და, რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს, მაგრამ როცა მუდმივად გაურკვეველი ფასეულობის ტირაჟირება ხდებოდა და განათლების ხარისხიც...

არაერთი ლიტერატურული ტექსტი გახდა განსჯის, განალიზების საგანი. დისკუსია მიუფრო საინტერესო აზრთა დაპირისპირების დროს ხდებოდა. 1989 წელს ამერიკაში გადაიღეს ფილმი (რეჟისორი: პიტერ უირი) სათაურით „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. ფილმს ძალიან კარგი პრესა (შეფასებები) ჰქონდა, ნომინირებული იყო ოსკარზეც... მასში ძალიან ცნობილი მსახიობები იყვნენ დაკავებულნი (რობინ უილიამსი, რობერტ შონ ლეონარდი...) ფილმის ძირითადი სივრცე კოლეჯში მიმდინარეობს. არის „რალაჯ“, რასაც გარკვეულ ასაკში უკვე აქცენტირებულად უნდა მიაქციო ყურადღება. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელია, რომელიც გაკვეთილზე სტვენით შემოდის და ეს სტვენა „თავისუფლების“, უდარდებლობისა და ვიციყოდი, კოლეჯის ბიჭუნებთან დაახლოების ერთი ხერხიცაა. გამორჩეულად უყვარს და ამიტომაც მის გაკვეთილზე ძალიან ხშირად ისმის დიდი ამერიკელი პოეტისა და მოაზროვნის სტრიქონები, ერთი ლექსი მაინც განსაკუთრებულია: „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო“. უოლტ უიტმენმა ეს ლექსი აბრაამ ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ დაწერა. ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტს ქვეყნის მართვა სამოქალაქო ომის (სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებს შორის) უმძიმეს ფაზს მოუხდა. მოგვიანებით პოპულარული გახდა პრეზიდენტის მიერ თქმული არაერთი ფრაზა; ვფიქრობ, ერთი გამორჩეულია: „ის, რაც ზნეობრივად მცდარია, ვერასოდეს იქნება პოლიტიკურად მართებული.“

ზნეობა — როგორი მარტივი და როგორი რთული; თუმცა, ადამიანს გააჩნია; ვისთვის გაუგებარია, როგორ უნდა იცხოვრო სხვანაირად და ამიტომაც, მარტივი; ვისთვის გაუგებარი სწორედ ისაა, როგორაა შესაძლებელი ასე ცხოვრება და ვის სჭირდება ეს, ამდენად — რთული...

ფილმში ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი მაგიდაზე ადის და სვამს კითხვას, როგორ ფიქრობენ მონაფეხზე, რატომ მოიქცა ასე?! თვითონვე განუმარტავს: უნდა ამაღლდე საკუთარ თავზე, ყველაფერ იმაზე, რაც გარშემო გახვევია, იმიტომ, რომ ამ სიმაღლიდან სხვაგვარად ჩანს ყველაფერი და შესაბამისად, სხვაგვარად აფასებ კიდეც. იმასაც ასწავლის, რომ პოეზიას არ შეიძლება ჩარჩოები ჰქონდეს და რომ

ერთი შკალით ვერ გაზომავ ბაირონს, შექსპირსა და სხვებს... თუნდაც გენიოსებს.

არ მგონია, ჯონ კიტინგი ამას მხოლოდ თავის მოწაფეებს ეუბნებოდეს, მეტიც, ვფიქრობ, რომ ეს ფილმის ერთ-ერთი სათქმელთაგანია იმ ათასობით ყურადღებადღცემული მსახურებისთვის, მოქმედების განვითარებას ასე გულისყურითა და გაფაციცებით რომ ადევნებს თვალს. ამერიკელი პოეტის გენიალური სტრიქონები შენი სიტყვებითა და შორეული პერიფრაზით შეგიძლია ამგვარად გაიაზრო: შენი სიცოცხლე იმის დასტურია, რომ შენი შეგიძლია მნიშვნელოვანი სტრიქონის შეტანა... და რომ შენი იქნება თქვენი სტრიქონი?

და აკვლევი ერთი, გამორჩეული ეპიზოდი: ეზოში გამოყვანილი მოსწავლეებიდან ჯერ სამს სთხოვს, გაიარონ. დანარჩენებს დააკვირვებს, როგორ თავისებურად მიდის თითოეული, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ერთად, გვერდიგვერდ სვლისას, როგორ აუწყობენ ერთმანეთს ფეხს. მასწავლებლის შეგონება: არ დაკარგოთ თქვენი ინდივიდუალობა, არც თქვენი გზა, დინამიკის საინააღმდეგო მიმართულებით იარეთ... და ყველას სთხოვს, გაიარონ ეზოში. ყმანვილები სიამოვნებით იწყებენ სეირნობას და, იმავდროულად, თავსაც აკვირდებიან და სხვებსაც... ერთი არ იძვრის ადგილიდან მხოლოდ:

— მე ვიყენებ ჩემს უფლებას, არ ვიარო სხვებთან ერთად.

— თქვენ ყველაფერი სწორად გაიგეთ, — ეს კმაყოფილი მასწავლებლის ლიმილიანი პასუხია.

მშობლებს დიდი გავლენა აქვთ შვილებზე. ლოგიკურად ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ აქ, ფილმში ხშირად ირღვევა ზღვარი... მათ არც კი ახსოვთ, რა აჩუქეს წინა წელს შვილს დაბადების დღეზე და იმავე ნივთს უგზავნიან ახლაც, ანუ მხოლოდ „მოვალეობას იხდიან“; წინასწარ გეგმავენ შვილების ცხოვრებას და არ ითვალისწინებენ, იმათ მოსწონთ თუ არა ის პროფესია, რომელსაც მთელი ცხოვრება უნდა ემსახურონ, დაბოლოს, სიუჟეტის დასასრულს, კოლეჯის ერთ-ერთი მოსწავლე თავს მოიკლავს. რა შეიძლება მოხდეს ამაზე მძიმე იმ სივრცეში, სადაც მათი შვილები ცხოვრობენ... არცერთი მშობელი საფუძვლიანად არ გამოიკვლევს მომხდარს! თავად არ გააკვირვენ და შვილებს „საერთო წერილზე“ ხელის მოწერას ავალბებენ, უფრო ზუსტად, აიძულებენ... მოკლედ, ფილმი ძალიან ბევრ საფიქრალს ტოვებს... (გასაოცრად მრავალმეტყველი ფრაზა: „დაიჭირო წამი“, ან ფილმის დასათაურება: „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ — იმას, რასაც ამხელა გავლენა და იდუმალი ხიბლი აქვს და ის, რაც სხვადასხვა თაობაში ახერხებს არსებობას და ფუნქციის გაგრძელებასაც... და ა.შ.) და როგორ უყურებენ ამას მათივე, პერსონაჟების თითქმის თანატოლები? რა ახსენდებათ, როგორ მოთხოვნებს უყენებენ?

თავისუფლება ეს არაა ინსტინქტებით ცხოვრება, არამედ სინდისსა და ღირსებასთანაა მჭიდრო კავშირში. შინაგანი მზაობა ზუსტად გვიჩვენებს, ესა თუ ის ადამიანი პოზიციითაა ლიდერი თუ ზნეობრივი ლიდერია.

არის მდგომარეობა, როცა ვერ მოიქცევით მის მაგივრად, მაგრამ შეგიძლიათ დაანახოთ, როგორია სწორი საქციელი! კიტინგი მხოლოდ მასწავლებელია... არადა, ზოგადად ყველა სხვადასხვანაირად სწავლობს; როცა ძალიან ტრაგიკული



ფაქტი მოხდება და ერთ-ერთი ყმანვილი — ნილი — თავს მოიკლავს, ყველა ბიჭი დაზაფრულია, მაგრამ თითოეული საკუთარ გადაწყვეტილებას იღებს: ვინ ბოლომდე პრინციპული რჩება და ამისათვის კოლეჯიდან გარიცხავენ, ვინ საკუთარ მომავალზე იწყებს შფოთვას და „ზრუნვას“ და ადმინისტრაციის მითითებებს უსიტყვოდ ემორჩილება, ვის კიდევ უსამართლობის განცდა კი აწუხებს, მაგრამ მშობლებისა და უფროსების საინააღმდეგოდ ვერაფერს (თუ არაფერს) აკეთებს. ასეა, „გაკვეთილი“ ვისთან როდის იჩენს თავს, ან იჩენს თუ არა საერთოდ, წინასწარ არავინ იცის. თუმცა მანამდე მსურველი ხედავს რიტმის აყოლილ ბიჭებს, ხედავს ამ რიტმზე როგორ ცეკვავენ...

ძალიან შთაბეჭდავია ფინალი. ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელი — ჯონ კიტინგი — თავისი ნივთების წამოსაღებად უკანასკნელად შედის საკლასო ოთახში, სადაც გაკვეთილს უკვე სხვა (კოლეჯის დირექტორი) ატარებს. შეუძლებელია, მოსწავლეებმა უხერხულობა არ იგრძნონ, არ მოუბოდიშონ უნებლიე სისუსტე, უსუსურობა... და როცა ამ განმარტების, სიტყვის თქმის შესაძლებლობას დირექტორი კატეგორიული ტონით არ მისცემს, რეჟისორი პოულობს არა—ჩვეულებრივ „გამოსავალს“, ბევრად უფრო მეტყველს და ემოციურსაც: ფილმის დასასრულს, ბიჭები — თითოეული საკუთარ მაგიდაზე ადის და მასწავლებელს მიმართავენ:

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!
ახლა ისინი სხვანაირად ხედავენ სამყაროსაც და თავის თავსაც, ამ სიმალლიდან მათ ბოდიშის მოხდაც შეუძლიათ (ხომ ცნობილია, პატარა ადამიანებს ეს არ „ეხერხებათ“). სულიერად, ღირსებით ერთად არიან (მათთან ერთად უიტმენიცაა, საკუთარი სტრიქონითაა აქ).

...და რაც ასევე, ძალიან ზუსტადაა ფილმში — ყველა არ ადის საკუთარ მერხზე, ნაწილი თავჩაღუნული რჩება სკამებზე (ყველა „ვერ სწავლობს“, ან — ყველა ვერ იქნება ღირსეული); ისინიც და კოლეჯის დირექტორიც, რომელიც შეძახილით განმარტებული გადი-გამოდის მაგიდებს შორის, მუხლებამდე ვეღარ წვდება „ამაღლებულ“ მონაფეებს, და მუხლებში მორის გამორჩენილი მათი თავები საუკეთესო მეტაფორული კადრებია...

— გმადლობთ, ბიჭებო, გმადლობთ! — ესაა მასწავლებლის და ფილმის უკანასკნელი რეპლიკა. ღირსება, სისუფთავე ყველაფერზე მაღლა დგას.

ის, რაც მათ აქამდე ისწავლეს, ის, რაც მათ გარშემო ხდება; რაღაცამ შესაძლოა გაგვაკვიროს, ან დაგვაფიქროს, რატომ იფიქრეს ასე? ზოგადად, მათი შეფასების კრიტერიუმები — მე მაინტერესებდა, ამიტომაც ჩავთვალე რომ მათ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს ეს ფილმი უნდა ენახათ (ისე, მგონია, ბევრმა უნდა ნახოს). თუმცა დავავალე, ერთი ასპექტი ყოფილიყო აქცენტირებული — „ღირსება“.

როგორ და რაზე მსჯელობენ, რაა მათთვის მნიშვნელოვანი, დაფიქრებულნი წერენ, აკი თითოეულს საკუთარი სათქმელი აქვს... ეს ჩემთვის საინტერესო გახლდათ; ვფიქრობ, თქვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს...



სალომე დეკანოშვილი
(მაგისტრატურა — II კურსი)

აზროვნების თავისუფლება პიროვნული თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, რომელიც გემოვნების, სურვილებისა და მისწრაფებების თავისუფლებასაც გულისხმობს. ნებისმიერ პიროვნებას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის, ცხოვრებისეული პრიორიტეტის განსაზღვრისა და იმ გზის არჩევის უფლება, რომელიც მისთვის ფასეული და სასურველია. პიროვნების თავისუფლებას უმეტესწილად ის დოგმები და ჩარჩოები ზღუდავს, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული. სწორედ ეს ჩარჩოები არ აძლევს ადამიანს საკუთარი აზრის ღიად და საჯაროდ გამოხატვის საშუალებას. სოკრატე ამბობს: „ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ აცალეთ რომ ანათოს“. მართლაც, თითოეულ პიროვნებაში არის რაღაც განსაკუთრებული ღირებულება, რითიც იგი ყველასგან განსხვავდება და გამოირჩევა. საჭიროა მხოლოდ ის, რომ შეძლოს საკუთარი „მეს“ გამოვლენა, არ შეეშინდეს საკუთარი იდეებისა და აზრების ღიად დაფიქსირებისა.

აზროვნების ჩამოყალიბებაში საგანმანათლებლო გარემოს ყველაზე საპასუხისმგებლო მისია აკისრია. მეტწილად სწორედ ამ გარემოსა და პედაგოგიურ ხელოვნებაზე დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებს მოზარდი საკუთარი თავის პოვნას, ინდივიდუალობის გამოვლენას.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემატიკა, რაც რეჟისორ პიტერ უირის ფილმში „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ დგას, სწორედ აზროვნების თავისუფლებაა. ფილმი განსაკუთრებულად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და მოქმედებს მის ცნობიერებაზე. შეუძლებელია მისი უემოციოდ ყურება. მასში ისეთი პრობლემებია წამოჭრილი, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება საზოგადოებისთვის აქტუალური: თაობებს შორის უთანხმოება, ადამიანთა შორის ურთიერთობა, პირადი არჩევანის თავისუფლება...

ფილმში მოქმედება ქალაქ ველტონის ვაჟთა მოსამზადებელ კოლეჯში ვითარდება. ტრადიცია, ღირსება, დისციპლინა და სრულყოფილება ის ოთხი ბოძია, რომელზეც ველტონის აკადემია რამდენიმე ათეული წელიწადია ურყევად დგას. ამ დევიზში კარგად იკითხება აღზრდისა და განათლების ის კონსერვატიული სტილი, რაც ველტონშია დამკვიდრებული. აქ პედაგოგები ძირითადად მკაცრად დადგენილი დოგმებით, წესებითა და კანონებით ხელმძღვანელობენ, რაც, რა თქმა უნდა, ზღუდავს ახალგაზრდების აზროვნებასა და მსოფლმხედველობას, თუმცა, მიუხედავად დამკვიდრებული კონსერვატიზმისა, მოსწავლეებს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც თუმცა ფარულად, მაგრამ მაინც აკრიტიკებენ სკოლის დიქტატორულ პრინციპებს. ისინი ჩუმად ოცნებობენ, კამათობენ, მსჯელობენ, სურთ დაარღვიონ დადგენილი წესები და კანონები. ასე გრძელდება უილტონის სკოლის „ნაცრისფერი“ ცხოვრება, იქამდე სანამ გამოჩნდება ინგლისური ენისა და ლიტერატურის ახალი მასწავლებელი — კრეატიული, იმპულსური და ნოვატორული იდეების მატარებელი ჯონ კიტინგი.

„წამის მოწყვეტა“ და ყოველი დღის სათანადოდ გამოყენება ჯონ კიტინგის მთავარი პოსტულატია. იგი უარყოფს ყოველგვარ დოგმასა და კანონს, არაა მოქცეული ჩარჩოებში, აზროვნებს და მოქმედებს თავისუფლად, გადმოსცემს თავის

სათქმელს ღიად და ხმამაღლა და, რაც მთავარია, იმავეს მოითხოვს მოსწავლეებისგან. არ უშინია, გააკრიტიკებენ თუ არა სხვები მის ქმედებას, როცა მოსწავლეებს სთხოვს ამოხიონ სახელმძღვანელოდან ფურცელი მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეთანხმება ავტორის პოზიციას. თუმცა არაფერია გასაკვირი, რომ დოქტორ პრიჩარდის პოზიცია, რომელიც პოეზიასა და ლექსებს საკოორდინატო სიბრტყეზე ათავსებს და ისე აფასებს მათ ღირებულებას, მიუღებელი აღმოჩნდა ჯონ კიტინგისთვის, რადგან მან ზუსტად იცის, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი ვერასდროს ჩაეტევა დოგმატურ ჩარჩოებში. პოეზია მისთვის თავისუფალი სულის ზეიმია. ჯონ კიტინგს არც მაშინ უშინია სხვისი კრიტიკისა და აზრის, როცა შუა გაკვეთილზე მაგიდაზე ადის, იმის სადემონსტრაციოდ, რომ მოვლენები და საგნები სხვადასხვა არეალიდან განსხვავებულად აღიქმება. სწავლების ეს არასტანდარტული მეთოდი გაკვირვებასთან ერთად აღტაცებასაც იწვევს მოსწავლეებში. მის მიერ ჩატარებული პირველივე გაკვეთილის შემდეგ მთელი ფილმის განმავლობაში ვხედავთ ცვლილებებს მათ აზროვნებაში, მოვლენათა მათეულ შეფასებაში. ისინი უფრო გაბედულნი და თამამები ხდებიან. კიტინგი ეხმარება საკუთარი თავის პოვნაში, კომპლექსების დაძლევაში და არწმუნებულ საკუთარ შესაძლებლობაში. იგი ურჩევს მოსწავლეებს, უყურონ მსოფლიოს პოეზიის თვალთ, რადგან, მისი თქმით, მხოლოდ სიტყვასა და იდეას შეუძლია სამყაროს შეცვლა. და მართლაც, პოეზია მოსწავლეთათვის ხდება ერთადერთი საშუალება საკუთარი აზრისა და შესაძლებლობათა გამოვლენისა. ისინი აღადგენენ ძველ ტრადიციას და აყალიბებენ „მკვდარი პოეტების საზოგადოებას“, ღამით ძველ ინდიელთა გამოქვაბულში იკრიბებიან, კითხულობენ როგორც საკუთარ, ისე სხვა პოეტთა ლექსებს და ამით ერთგვარად უპირისპირდებიან სკოლის ტირანულ შინაგანაწესს.

ფილმს რეჟინივით გასდევს სიტყვები უოლტ უიტმენის ლექსიდან „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო“. ჯონ კიტინგი ეუბნება მოსწავლეებს, რომ თუკი ეყოფათ სითამამე, სწორედ ასე მიმართონ მას. ზოგადად იგი ხშირად ახსენებს უიტმენს, მოჰყავს ფრაზები მისი შემოქმედებიდან. აშკარაა, რომ უიტმენი მისი სულიერი მეგობარია. ის იდეები, რასაც კიტინგის პედაგოგიური მეთოდი ემსახურება, კარგადაა გამოვლენილი უიტმენის შემოქმედებაში. უიტმენის პიროვნული „მე“ მსოფლიო მეობის განცხადებაა, მისი შემოქმედების ცენტრში ადამიანი დგას მუდამ, მისი ვნებათა უსაზღვროება, პულსი, ძალა და მოქმედების თავისუფლება, რომლითაც პიროვნება ახორციელებს ღვთის მარადყამულ კანონმდებლობას. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაც კიტინგისთვის უოლტ უიტმენის პოეზია ასე ახლობელი და მისეული.

შთამბეჭდავია ფილმის ფინალი, რომელიც იმაზე მიგვანინებს, რომ საბოლოოდ ჯონ კიტინგი სანადელს აღწევს. იგი აღვიძებს მოსწავლეებში სკოლის დიქტატორული რეჟიმის გამო მიძინებულ, მემამბოხე ახალგაზრდულ სულს. ეს ძალზედ ამადლელებლადაა გადმოცემული ფინალურ სცენაში. აკადემიიდან უსამართლოდ გაგდებული ჯონ კიტინგი ნივთებს ალაგებს და საკლასო ოთახიდან გადის. ამ დროს მოსწავლეებს საკუთარი ღირსების გრძნობა, რომელიც არავისგან და არაფრისგან არაა ნაკარნახევი, რომელიც ჩვენშია და ჩვენსავე არჩევანს განაპირობებს, არ ძლევს იმის საშუალებას, რომ უემოციოდ, უხმოდ, პროტესტის გამოხატვის გარეშე ვააცილონ მათთვის ესოდენ საყვარელი, სულიერი მეგობარი და ღირსეული ადამიანი, რომელმაც ახლებური ხედვა ასწავლათ, წინ გადაუშალათ სულ სხვანაირი სამყარო, ასწავლათ სხვანაირი ხედვა და დააჯერა, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებულია.

მოსწავლეები არჩევანს საკუთარი ღირსების სასარგებლოდ აკეთებენ, მაგიდაზე ადიან და თამამად მიმართავენ მას „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო“.

ლეილა ჯავახიშვილი

(ბაკალავრიატი — IV კურსი)

ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება.. რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა, რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება...

ღირსება — ეს არის მაღალი ადამიანური ღირებულების შეგნება, პატივდებული საზოგადოებრივ-მორალური მდგომარეობა — ასე განმარტავენ ამ სიტყვას ლექსიკონები. მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა კი ვაცლებით მეტის მთქმელია. წარმოქმნილია „ღირს“ ზმნის პირიანი ფორმისაგან, სემანტიკურად გულისხმობს იმას, რაც ღირს, რასაც აქვს ფასი... ეს რაც შეეხება ამ სიტყვის ლინგვისტურ მნიშვნელობას. მის შინაარსობრივ განმარტებას კი ასე რამდენიმე წინადადებით ნამდვილად ვერ შევძლებ, იმაშიც კი ეჭვი შეპარება, შევძლებ თუ არა საერთოდ. „ღირსება“ რომ განმარტო, ემპირიულად უნდა იცოდე კიდევ, რა არის ის... შექსპირი კი ამბობდა: „უფრო ღირსეული იქნები, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას რომ არ ახსენებდე...“ მაპატიოს შექსპირმა, მაგრამ იძულებული ვარ საკუთარ თუ სხვის ღირსებებზე დაყრდნობით ვისაუბრო ამ თემაზე. ღირსება, თუკი აქვს ის ადამიანს (მართლაც, სიტყვიდან გამომდინარე), ვხვდებით, რომ ის ადამიანად ღირს და რომ მასთან ღირსეული ურთიერთობა ღირსეულად შესაძლებელია. ღირსება ერთგვარი კონტურია, რომელიც შემოსაზღვრავს ადამიანის სამართლიანად ყოფნის კოეფიციენტს დედამიწაზე... ღირსება შესაძლოა განვიხილოთ სხვა სიტყვებთან მიმართებაშიც. მაგალითად: ღირსება და ადამიანები, ღირსება და განათლება, ღირსება და გამოცდილება, ღირსება და საკუთარი ღირსება, ღირსება და სხვისი ღირსება, ღირსება და დაგვიანებული ღირსება...

ღირსება და ადამიანი — ზედაპირული გადაკითხვით ისინი შეიძლება ერთმანეთის სინონიმებადაც კი მივიჩნიოთ. თუმცა ადამიანი უღირსებასაც ჰქვიათ. ღირსება, შეიძლება ითქვას, ადამიანის ამქვეყნად მოვლინების იდეის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. „ხატად ღვთისა“ შექმნილი ადამიანი არ შეიძლება ზეციერს უღირსად დაესახა. ღირსება კი თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა ამ ხატთან ყველაზე მეტად დასაახლოებელი საშუალება...

ღირსება და განათლება — ამ საკითხზე საზოგადოების აზრი ორად იყოფა: ერთნი ფიქრობენ, რომ განათლება ადამიანის უკვე ერთგვარი ღირსებაა, რომ განათლებული აუცილებლად ღირსეულიც იქნება, რომ სწორედ განათლებას მოაქვს ეს ღირსებაც... საგულსხმოა, რომ განათლებულობა, რა თქმა უნდა, არის ადამიანის უდიდესი დადებითი მხარე, მაგრამ ამას ნუ დავარქმევთ ღირსებას, თორემ სიტყვასაც გავაუფასურებთ და ყოველ, ასე თუ ისე, დადებით მოვლენას, არასწორი სიტყვით მოვიხსენიებთ... საზოგადოების მეორე ნაწილის აზრით, განათლება ადამიანში „კლავს“ ყველაფერს, რაც კი იყო მასში ნამდვილად ღირსეული, რაც ადრე სხვაგვარად ეჩვენებოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ განათლება ადამიანში ცვლის რაღაცებს, თუმცა ნუ ვიფიქრებთ მხოლოდ უარყოფითი კუთხით. განათლება მხოლოდ აფართოებს ადამიანის თვალსაწიერს „ლურჯად ნახავერდებ უდაბნოზე“, ეს კი გაცილებით ბევრისმომცველია, ვიდრე ცალმხრივად ამ მოვლენის უარყოფითად შეფასება.

ღირსება და გამოცდილება — მათი ურთიერთობა საკმაოდ საკამათოა. სადავოა ის ფაქტიც, თუ რომელი უფრო ადრე გააჩნდა ადამიანს, უფრო ზუსტად, ღირსება მას და-

ბადებიდანვე დაჰყვება თუ გამოცდილებით მოდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ღმერთი ედემის ბაღში უღირსს არ დაასახლებდა. აქედან გამომდინარე, ვხვდებით, რომ ღირსების ნატამალი ბავშვის არსებაში მისი გაჩენისთანავე ძვეს გენეტიკურ კოდად, ამ პატარა, თანდაყოლილი ღირსების გაზრდა და გამორწვრთნა კი უკვე გამოცდილების საქმეა. ცხოვრება ხან ეცდება ადამიანისათვის ღირსების წართმევას, ხანაც მისით ტკობის საშუალებას მისცემს... ამ „მოულოდნელი აღმართ-დაღმართების თამაშში“ კი სწორედ ღირსეული გაიმარჯვებს.



ღირსება და საკუთარი ღირსება — საკუთარ ღირსებაზე საუბარი ოდნავ ამცირებს ამ ცნებას, რადგან ღირსეული საკუთარ ღირსებებზე ყურადღებას არ ამახვილებენ, არამედ იქცევიან ისე, რომ იძულებულს ხდიან სხვებს, ეს მათ გააკეთონ. ღირსეულმა ადამიანებმა უკეთ იციან, თუ რა არის ღირსება, რადგან ისინი ამას გრძნობენ და, შესაბამისად, უკვე ემპირიულადაც იციან, თუ როგორი „ფერისა“ და „გემოსია“ ის. ღირსების წონაც მათ ყველაზე უკეთ იციან. იგი არ არის მსუბუქი და ალბათ, მხოლოდ ძლიერები შეძლებენ მის ტარებას მთელი ცხოვრების მანძილზე, შესაბამისად, ამ „შეჯიბრშიც“ ისინი გაიმარჯვებენ და დაჯილდოვებიან ღირსეულის სახელით...

ღირსება და სხვისი ღირსება — მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ სხვის თვალში ბუნვისი დანახვა უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარ თვალში — ღირსისი. ხშირ შემთხვევაში ასევე ძნელია სხვისი ღირსების დანახვა და დაფასება. სხვისი ღირსება, შესაძლოა მეტად ფასობდეს, შენ კი, რადგან ის არაა შენი, არ იცი, ვერ გრძნობ მის წონასა და მოცულობას... ადვილია სხვის შეცდომებზე საუბარი, ძნელია საკუთარის გაკრიტიკება. ღირსეული კი ყოველთვის შეამჩნევს სხვის ღირსებას — „სულმა სული იცნო“-ს მაგალითზე და გავლენით...

ღირსება და დაგვიანებული ღირსება — ღირსება მიმენონიან პრივილეგიათა კატეგორიაში შედის. ადამიანს კი მისი ტარებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან დიდი ძალა ესაჭიროება. შესაძლოა დადგეს მომენტი, როცა მის ტარებას ვეღარ შეძლებ და, როგორც გზაზე მიმავალი, ზურგიდან ჩამოიღებ ამ „მძიმე ტომარას“. თუმცა მიხვდები, თუ როგორ შეგისისხლბორცვია შენ ეს ტვირთი და რამდენიმეწამიანი შესვენების შემდეგ ისევ აიღებ და უკვე ხელახლა გაუდგები გზას ახალი შემართებითა და განახლებული ძალებით. შესაძლოა ამ რამდენიმე წამში უკვე უღირსად ჩავთვალონ ამ ტვირთის („ღირსების“) ტარებისათვის, რადგან სისუსტემ გძლია და სულ ცოტა ხნით შეისვენე... ის კი დაგავიწყდა, რომ ადამიანის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი სწორედ ღირსებაა, და თუ ცოტა ხანი უიმისოდ დაჰყავი, ნუ გაგიკვირდება, რომ უღირსი გახდი... სიტყვებიდან გამომდინარე მიხვდი, რომ ღირსების გარეშე ყოფნა სწორედ უ-ღირს-(ებ)-ობაა. მისი დაბრუნება კი შესაძლოა დაგვიანებული აღმოჩნდეს. დაგვიანებული ღირსებაც დასაფასებელია, რადგან იგივეა, რაც „სინდისის რეანიმაცია“...

სწორედ ღირსებას, დაგვიანებულ ღირსებასა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემურ საკითხს ეხმაურება პი-

ტერ უირის ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. სიუჟეტი ქალაქ ველტონის ვაჟთა კოლეჯში ვითარდება, რომელიც სიმკაცრითა და ტრადიციულობით გამოირჩევა. ამერიკელი მშობლები ყველაფერს აკეთებენ საკუთარი ღირსების დასაცავად, რომელიც მათი შვილების სწორედ ამ სასწავლებელში ჩარიცხვით შემოიფარგლება... კოლეჯის დირექტორიც, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რათა აკადემიას „ღირსეული სახელი“ შეუნარჩუნოს. მისი თქმით, სასწავლებელი სწორედ იმ ოთხ საყრდენ ბოძზე დგას, რომლებსაც ტრადიცია, ღირსება, დისციპლინა და სრულყოფილება ეწოდებათ. თავად მოსწავლეები კოლეჯს „ველტონის“ ნაცვლად „ჰელტონს“ (helton — ჯოჯოხეთური) უწოდებენ, რაც ნათლად გამოხატავს მათ დამოკიდებულებას კოლეჯის მიმართ.

მოსწავლეები შეჩვეულნი არიან, რომ ყოველი სემესტრი ერთნაირად მოსაწყენი, ბანალური „სიბეჯითის“ სემესტრი იქნება, თუმცა მათ ჯერ არ იციან, რომ ბედი ინგლისური ლიტერატურის ახალი მასწავლებლის, ჯონ კიტინგის, სახით დიდ სიურპრიზს უმზადებთ. კიტინგი წინააღმდეგია „ნაცრისფერი ცხოვრებისა“ არა მხოლოდ კოლეჯში, მის საზღვრებს გარეთაც... მას გაკვეთილების ჩატარების არაორდინარული მეთოდები შემოაქვს, რითაც ბიჭებს ინტერესს უღვივებს ლიტერატურის მიმართ და სტიმულს აძლევს სწავლისათვის, ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სხვაგვარად მასაც არ შეუძლია სწავლება. იგი ბიბლიური მოსეს ალევორიული სახეა, რომელსაც დიდი მისია აქვს დაკისრებული — „პოეზიის აღთქმულ მიწაზე“ ნაიყვანოს თავისი „სამწყსო“.

ფილმის დასასრულს ვხვდებით, რომ ეს მისია შესრულებულია... მან შეძლო დამოუკიდებლად აზროვნება ესწავლებინა ყმანვილებისათვის. ნილ პერიც, მამის მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, მაინც თამაშობს მთავარ როლს შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“ (არაა აუცილებელი ყველა, მშობლის დაჟინებითი მოთხოვნით, ექიმში გამოვიდეს). მშვენიერი საღამოს ფინალი — ნილის სუიციდი — პროტესტია ისეთი მშობლების წინააღმდეგ, როგორებიც მხოლოდ საკუთარ ღირსებაზე ზრუნავენ და სწორედ ამით უგულვებლყოფენ შვილების ღირსებას, ინდივიდუალობას, ინტერესებსა და უბრალოდ ყველაფერს, მათთვის ღირებულს... ნილისთვის ხომ დიდი მსახიობის მომავალზე ოცნება ყველაფერი იყო... მამის წინააღმდეგ ნამდვილად კი მხოლოდ თვითმკვლელობის გზით წავიდა და ეცადა, საკუთარი ღირსება ამგვარად დაეცვა. მანამდე კი... მანამდე იყო არაორდინარული გაკვეთილები, „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ აღდგენის მცდელობა და ის პირველი და უკვდავი შთაბეჭდილება, რომელიც კიტინგმა მოახდინა ახალგაზრდებზე...

„carpe diem - წამის მოწყვეტა“ — დაკრიფე ვარდები, ვიდრე ჰყვავიან... დრო მიდის, ყვავილი, რომელიც დღეს თვალს ახარებდა, ხვალ შეიძლება აღარც კი არსებობდეს... დაკრიფე სანამ დროა, სანამ ძალა გაქვს... დაიჭირე მომენტი, შეაჩერე წამი... რადგან ერთ მშვენიერ დღესაც გახდები მატლების ულუფა... გაცივდება შენი სხეული... უნდა მოასწრო ყველაფრის თქმა, თორემ მალე ნარცისების სასუქად, მიწად გადაიქცევი... „მკვდარ პოეტებსაც“ ეგონათ, რომ სამყარო მათ ფეხქვეშ იყო განრთხმული, ფლობდნენ „იმედების დიდ არმიას“... მაგრამ ერთ დღესაც მიხვდნენ, რომ ვერაფერიც ვერ მოასწრეს... დაიჭირეთ წამი, გახადეთ ცხოვრება საინტერესო, რათა თქვენც არ დაგიდგეთ ის ერთი დღე, როცა ცხოვრება დაგენანებათ, დრო გაფლანგულად მოგეჩვენებათ და ინანებთ, რომ არ „მოწყვიტეთ წამი“, იფიქრებთ, რომ თქვენს მიერ განვლილი გზა

სისხლ და ხორც-უსრულია...“. „არ აქვს მნიშვნელობა ფორმასა და შინაარსს, წიგნიდან ფურცლების ამოხვევისა და უშინაარსო სტერეოტიპების მსხვრევისათვის „მდუღარეში არ დაგვავენ“, რადგან ეს არაა ბიბლია... ეს ცხოვრებაა, ღირსებებით სავსე და საზღვრებისაგან დაცლილი... ისწავლეთ თავისუფალი აზროვნება, სიტყვებსა და აზრებს შეუძლიათ სამყაროს შეცვლა. პოეზია — სილამაზე და ოცნება — ეს ისაა, რისთვისაც ვცხოვრობთ ჩვენ... ჩვენი არსებობა ამტკიცებს, რომ ცხოვრება ღირს, რომ ისიც არსებობს. შენი არსებობა ადასტურებს, რომ „დიადი თამაში“ გრძელდება და შენ შეგიძლია მასში შენი წვლილი შეიტანო...“. „სიმაღლიდან მეტის დანახვას შეძლებ, როდესაც დგახარ სათანადო სიმაღლეზე, სულ სხვანაირად აღიქვამ მოვლენებს, უფრო ღრმად, საკუთარი თვალებით უყურებ სამყაროს... პოეზიაშიც „საკუთარი ხმა“ უნდა მოძებნოთ. რა საშინელებაა, დაემორჩილო მათ დაწესებულ კონფორმიზმს, რომელთაც არც კი იცნობდი, და რომელნიც, თავის მხრივ, ალბათ, არ გიცნობდნენ შენ — პოეზიაში!..“ „როდესაც სიკვდილის დრო მოვა, არ ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვიცხოვრია ნამდვილი ცხოვრებით... ჩვენ უღრან ტყეში შევდივართ, რათა ვიცხოვროთ სისხლის ბოლო წვეთამდე...“ — ეს ყველაფერი კიტინგის „უგისოსებო“ გაკვეთილების პერიფრაზებია... ასეთი ემოციური განცხადებები გულგრილს ნამდვილად ვერ დატოვებდა მსმენელებს... თანაც „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ ახალ თაობას, მის მომავალ წევრებს...

თუმცა აკადემიის სტუდენტის თავზე დატრიალებულ უბედურებას ხომ უნდა შეეწიროს „განტევევის ვაცი“, რათა არ შეილახოს სასწავლებლის ღირსება, რათა არ დამტკიცდეს აკადემიისა და „ღირსეული მშობლების“ დანაშაული ამ ტრაგედიაში...

მსხვერპლის კანდიდატს პრეტენდენტი არც ჰყოლია, ხელმძღვანელობამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ის ჯონ კიტინგი იქნებოდა... ამას ხელმონერებით დაეთანხმნენ კიდევ ნილის მეგობრები, მხოლოდ გული სხვას ფიქრობდა... ოჯახისადმი პატივისცემა თუ გარკვეული სისუსტე კი იმ მომენტში დაჰყვა ერთ-ერთი თანაკლასელის სიტყვებს — „მას, ვისაც ველარ უშველი, ვინც ისედაც განწირულია, თავი უნდა დაანებო და არ ეცადო მის გადარჩენას, საკუთარი თავი მაინც უნდა გადავირჩინოთ, ვიდრე ეს შესაძლებელია...“ კალამმა სხვა რამ დაამტკიცა თეთრ ქალღმერთზე ავტოგრაფების მოხაზვით, გულმა და გრძობებმა კი — სხვა...

საკუთარი ღირსებით გაღვივებული სხვების ღირსება — კიტინგთან განშორება ყველაზე მეტად უძნელდებათ გრძობა და ღირსება-გაცოცხლებულ ახალგაზრდებს, ფინალურ სცენაში ისინი ფორმითაც და შინაარსითაც უმტკიცებენ „ინდივიდუალიზმის მქადაგებელს“, რომ აღარაფრად მიაჩნიათ სკოლის ადმინისტრაციის საყვედურები, რომ უკვე სხვა სიმაღლეებიდან ხედავენ ყველაფერს, მათ შორის თვითონ კიტინგსაც, რომელიც უკვე „მათი ღირსეული კაპიტანია“, რომლის მიმართაც ამ უესტიტო უსაზღვრო პატივისცემასა და სიბოძის გამოხატავენ...

ღირსებისათვის ბრძოლას ვილაც საკუთარი სიცოცხლით, ვილაც სამსახურიდან გათავისუფლებით, ვილაც შესაძლოა ველტონში სწავლის „პრივილეგიითაც“ შეეწიროს, მაგრამ მთავარი ერთია... კიტინგის პიროვნებას უკვალოდ არ ჩაუვლია „ჰელტონში“, თანაც, არ დაგვაინყდეს, ჯოჯოხეთიდან მას აძევებენ, ვისი ადგილიც იქ არ არის... რადგან მას გააჩნია სწორედ ის ერთადერთი, რომელიც ხშირად „სამოთხის საგზურადაც“ შეიძლება მოვიპოროთ — ღირსება...

გურამ პეტრიაშვილი

ირინეს ბავშვობა

7 მარტი, 1983 წ.

გუშინ, 6 მარტს, დილით ცხრის ნახევარზე დაიბადა ჩემი მეორე ქალიშვილი.

ვარქმევთ ირინეს. ასე გადაწყვიტა ოლიკომ. შარშან ქვიშხეთში რომ ვისვენებდით მწერალთა სახლში, ოლიკო დაუამხანაგდა ვახტანგ ჯავახიძის გოგონას — ირინეს და, ვფიქრობ, სწორედ ამიტომ მოუნდა დისთვის ამ სახელის დარქმევა.

17 აპრილი, 1983 წ.

ახლა ხანდახან ლოგინში რომ ვწევარ, უცებ მომეჩვენება ხოლმე, თითქოს მე ვარ ჩემი პატარა ირინე. მომინდება მასავით ვიცქირო, შევიშოშოშო, მოვკუმო ტუჩები...

დღეს ორმოცი დღის გახდა ირინე, ორჯერ ოცი დღის! უკვე აქვს თავისი ხასიათი. თუმცა, ხასიათი ალბათ დაბადებიდანვე ჰქონდა. როცა დავცქერი, მიყურებს ძალიან დაკვირვებით.

2 მაისი, 1983 წ.

დღეს პირველად გამიღიმა ირინემ. აქამდეც კი ილიმებოდა ხოლმე, მაგრამ ის ღიმილები იყო უმისამართო, უბრალოდ სიამოვნების გამომხატველი: რომ თბილად იყო ან არ შიოდა, ან კიდევ ეძინებოდა. ახლა კი სწორედ მე გამიღიმა. მაჩვენა, შენ გიღიმიო.

15 ივნისი, 1983 წ.

ხელში მყავდა აყვანილი. ვუცქეროდით ერთმანეთს და... გამიცინა. ადრე თუ მხოლოდ მიღიმიოდა, სასიამოვნოდ ოდნავ პირგახსნილი, ახლა ხმაც დაამატა ღიმილს: „ჰა, ჰა, ჰა...“-ო.

12 აგვისტო, 1983 წ.

ირინე ჩერნიგოვშია, თავის დედულეთში. მეც ჩამოვედი. თვრამეტი დღე იყო, არ მენახა. მეშინოდა, ვაითუ ვეღარ მიცნოს-მეთქი. მიცნო რომელია, მიყურა, მიყურა და გამიღიმა. ჯერ მიღიმიოდა, მერე კი უცებ ტირილი ამოუშვა. ისე ტიროდა, რომ ვიგრძენი, ამით მეუბნებოდა, ამდენ ხანს რატომ არ იყავი ჩემთანო. იმასაც მეუბნებოდა, აღარ ნახვიდო. ჩავიხუტე გულში და გაჩუმდა. რომ დამშვიდდა, ასე ერთმა საათმა გაიარა და „ლაპარაკი“ დამიწყო. დიდხანს „მიყვებოდა რაღაც ამბებს“ თავისებურად: ერთმანეთზე მიუბმელი ბგერებით.

28 ნოემბერი, 1983 წ.

ისევ თბილისში ვართ... დღეს პირველად შევამჩნიე, რომ ჩემს თქმაზე, მოდი ჩემთან-მეთქი, ხელებს მიწვდის და ისე მოინვეს ჩემსკენ, სიარული რომ შეეძლოს, წამოხტებოდა, გამოიქცეოდა და ჩამეხუტებოდა.

19 დეკემბერი, 1983 წ.

ამ ორი დღის წინ ვიგრძენი, რომ უკვე დიდია. რა მინდა ამითი ვთქვა? უკვე გამოხატავს სურვილს.

ამას ასე შვრება: ამბობს „უ-უ-უ!“ გუშინ ასეთი თამაში წამოვიწყეთ: ის ნევეს დივანზე გულაღმა, მე კი ირგვლივ დავდივარ, მისკენ არ ვიხედები და ხმამაღლა ვიმეორებ ერთსა და იმავეს:

— ირინე!.. ირინე!.. სად არის ირინე? ვითომ ვეძებ და ვერ მიპოვია. ირინე გაღიმებული მიცქერის. განვაგრძობ სიარულს და ძახილს: — ირინე!.. ირინე!.. ირინე ილიმება... ბოლოს კი გავითამაშებ, რომ ვიპოვე: — აი, ირინე! — ვამბობ გახარებული. ირინე იცინის და სიამოვნებისგან იქნევს, ღუნავს და შლის მაღლა აშვერილ ფეხებს.

11 თებერვალი, 1984 წ.

ასე ვთამაშობთ მე და ირინე: შევისვამ მხრებზე და დამყავს აქეთ-იქით. თან ვმღერო-ვარ: „აჩუ, აჩუ, ცხენო!.. შე კუდმოსაჭრელო!..“ ირინეს ეს თამაში ძალიან მოსწონს და, რომ ვიტყვი „აჩუ, აჩუ“-მეთქი, ისიც დასძენს ხოლმე „აცი!“ კი არა და, ერთხელ, ხელში რომ მყავდა აყვანილი, თვითონ მითხრა: „აცი!“. ესე იგი, მხრებზე შემისვიო... დამყავს მხრებზეშემსული. უცებ ვიტყვი ვითომდაც შეშფოთებული, სად არის ირინე-მეთქი. და მაღლიდან ჩამომხედავს გაცინებული.

29 თებერვალი, 1984 წ.

დღეს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. უფრო სწორად, გადმოდგა: კარადასთან იდგა. უცებ ხელი გაუშვა კარადას და ჩემსკენ წამოვიდა.

1 მარტი, 1984 წ.

გოდერძი ჩოხელი მიღებს თავის ფილმში. ფილმს ჰქვია „დამიანთა სევდა“, ჩემს როლს კი „დარდების შემგროვებელი“. ვიღებთ ხევსურეთის სოფელ ხახმატში. სშირად მივდი-მოვდივარ თბილისიდან ხახმატს და იქიდან აქეთ. დღეს დილით, ხახმატში რომ უნდა წამოვსულიყავი, ირინემ იგრძნო ეს და სულ ჩემსკენ იწვედა, მეხუტებოდა.

8 მარტი, 1984 წ.

დღეს დიდი დღეა! ირინემ დღეს წამდვილად გაიარა. დადის და თვითონაც უხარია, ტკბება ამით. რომ ვთხოვ, მანვდის ნივთებს. მაგალითად, ვეჭყვი, ირინე, აის წიგნი მომეცი-მეთქი. მივა, აიღებს და მომიტანს. და ვილიმებით ორივე...

26 მარტი, 1984 წ.

დილით სახლიდან რომ გავდიოდი, ირინე ჩამეკრა მკერდში, მომეხუტა და დიდხანს იყო ასე. საღამოს, რომ დავბრუნდი, მაშინაც ასე ქნა. მერე სავარძელში ვიჯექი ტელეფონის ახლოს, ირინე მოვიდა, აიღო ყურმილი, მომანოდა და მითხრა: „ბაბო“. ესე იგი, ბაბოს დაურეკეო.

12 მაისი, 1984 წ.

დღეს პირველად ქნა ასე (ან იქნებ მე შევამჩნიე პირველად?): ხელში ეჭირა თოჯინა და ეუბნებოდა, ნანა-ნანაო. აძინებდა, ესე იგი.

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №5, 6

15 მაისი, 1984 წ.

უკვე სამი კვირა იქნება, რომ ვკითხავ, ვინა ჩემი გოგო, ვის შემოვევლე, ვის ვენაცვალე-მეთქი, მპასუხობს: „მე“.

პირველად ეს ასე მოხდა. ვუმღეროდი სიმღერას, რომელიც მისთვის გამოვიგონე: „მურაბის ქილას ვინ დავახატო, ვინ დავახატო მე?..“ და ირინემ მიპასუხა: — მე.

რასაც დაინახავს მისთვის უცნობს, ესალმება. ეუბნება: „განა!“ ასე გამოთქვამს „გამარჯობას“. გუშინ მთვარე დავანახვე და მაშინვე უთხრა: „განა“. დღეს მაკოცა. მომადო ლოყაზე ტუჩები და „მპ, მპ“-ო. რამდენიმე დღის წინაც ქნა ასე, მაგრამ ნამდვილ კოცნას დღევანდელი უფრო ჰგავდა.

16 მაისი, 1984 წ.

დღეს გავხდი 42 წლის. ალა ავადაა. ირინეს მე ვუვლიდი მთელი დღე. ოლიკო წაიყვანეს კომკავშირში მისაღებად. დაუსვამთ კითხვა: ლანჩხუთის ჯღანები სჯობია, თუ გერმანიის ადიდასებიო. ოლიკოს უპასუხია, გააჩნია, თუ ვის რა მოსწონსო... მოვიდა კოკისპირული წვიმა. შიგადაშიგ სეტყვის მარცვლებიც ერია. ირინეს ეძინა ამ დროს. ალბათ ძილში ჩაესმოდა წვიმის ხმაური.

სალამოს, ნანვიმარზე ირინე გავიყვანე სასეირნოდ. ვილაც კაცი სახლის ძირას მოგროვილ ბელურებს მეხუთე სართულიდან უყრიდა საკენკს.

20 მაისი, 1984 წ.

სალამოა. მომყავს საბავშვო ეტლით (ისეთით, დასაჯდომი რომაა). ხელში აკაცის ყვავილი უჭირავს და დასცქერის. გაიხედა ჩამავალი მზისკენ და ჩუმადა თქვა: მზე... მერე ისევ ყვავილს მიუბრუნდა. ეთამაშებოდა და ამბობდა ნამღერებით: მზე... მზე... მზე... მზე... მზე...

26 მაისი. 1984 წ.

ირინემ გაიხედა ფანჯრისკენ. უკვე დაბნელებულიყო. მზე ნანა, — თქვა ირინემ. ყოველ ღამე ძილის წინ მიმყავს ხოლმე ფანჯარასთან და ეუბნები: მზემ ნანა, ხეებმა ნანა, აფუმ ნანა, ჩიტებმა ნანა... ასე ჩამოვუთვლი ბევრ არსებას და საგანს. და ამით ვუადვილებ დაძინებას, რადგან ყველაფერს სძინავს, ესე იგი ირინემაც უნდა დაიძინოს-მეთქი. ეს ყველაფერი ახსოვს და ახლა სიბნელე მისთვის ნიშნავს ამას: „მზე ნანა“.

8 ივნისი, 1984 წ.

სალამოს ბინაში რომ შემოვედი და გაიგო, ქოთნიდან წამოხტა. — მამიკო ირინე! — დავუძახე მე. — მამი! — დამიძახა იმანაც. უკვე ერთ კვირაზე მეტი იქნება, ისე, დიდებმა რომ იციან, დაიწყოს უკან ხელებს და ასე დადის ხოლმე.

რამეს რომ ვაძლევ, დაიმორცხვებს, უკან-უკან და გვერდ-გვერდ მიდის ლიმილით. ამ ცოტა ხნის წინათ ინვა და ამბობდა სხვადასხვა სიტყვებს. და ასეთი რამაცა თქვა: „მე მზე“. დღესა თქვა სამმარცვლიანი სიტყვა: „ბოდში“.

ამ ორი თუ სამი დღის წინათ წინ ჩავუცუცქედი და ველაპარაკებოდი. მოვიდა და მომეყრდნო. მომეხუტა.

დედაჩემმა მითხრა: არავისთან არ მიდის, მაგრამ თუ ვინმე ეტყვის, ნამო, მამასთან წაგიყვანო, მაშინვე ააყვანინებს თავსო.

ხანდახან, როცა ვაცმევ, ვითომ მკებენს ხელებზე. ხან კი სახეზე მკოცნის. აი, ასე: ტუჩებს სახესთან მომიტანს და „მპ, მპ“-ს შვრება. და სულ ოდნავ, მსუბუქზე მსუბუქად მეხება სახეზე.

16 ივნისი, 1984 წ.

უკვე გრძნობს, როდესაც სახლიდან გასვლას ვაპირებ. ამ რამდენიმე დღის წინ, რომ დამინახა წასასვლელად ვიცვამდი, მოვიდა, წინ დამიდგა და „მითხრა“: მპ, მპ, მპ? ესე იგი, ისე მიდიხარ, არა მკოცნიო? ავიყვანე, ვაკოცე და მომეხუტა. უკვე ხვდება, როცა უნდა დავმორდე.

წუხელის ონკანის ქვეშ დავიჭირე და თბილი წყლით გამოვბანე ტაკუნები. მივიყვანე, დავანვინე და ვუმშრალე პირსახოცით. — მოგეწონა? — ვკითხე. — კიდე! — მითხრა და დაამატა: „კაგია“ (კარგიაო, ესე იგი).

გუშინწინ პომიდორს ვაჭმევდი და ჭამა რომ დაამთავრა, ჯამში დარჩენილი წვენი მივუტანე, ტუჩებთან. მოიყუდა. ბევრი დაექცა, მაგრამ ცოტა მაინც დალია. დადგა ჯამი მაგიდაზე და მითხრა: — კაგია!

უკვე წინადადებებსაც ამბობს. იატაკზე ვიჯექი და ტელეფონს ვუჩხიკინებდი. მოვიდა და მითხრა: — მამა, ადე! (ადექიო, ესე იგი).

გუშინ მთლად გამაოცა. მოვიდა და მეუბნება: დანი წიგი, დანი წიგი! „დანი წიგი“ მისებურად ნიშნავს „დათვის წიგნს“ (ასე ეძახის ნახატებიან დიდ წიგნს დისნეისას).

მერე კი მითხრა: — დაჯე, მე და სენა. ესე იგი, დაჯექი, მე და შენ დავათვალიეროთ „დათვის წიგნი“.

როცა დაინახა, რომ გამეხარდა მისი მომართვა („მე და შენ“), მერე ხშირად იმეორებდა: — მე და სენა... მე და სენა... მე და სენა...

აღრეც უყვარდა სინათლის ჩართვა-გამორთვა. ამყვანინებდა თავს და ხელს გაიშვერდა ჩამრთველისაკენ. მივიყვანდი და დაუნყებდა „ბრძოლას“ ჩამრთველს. აჭერდა თითებს, მაგრამ ძალა არა ჰყოფნიდა და დიდხანს უხდებოდა წვალება. ახლა ძალაცა აქვს და კარგადაც იცის, თუ სად უნდა დააჭიროს, რომ ჩაირთოს სინათლე და სად კიდევ — რომ გამოირთოს.

ოლიკოს ან დედაჩემს რომ გაჰყავთ სასეირნოდ, ხანდახან ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის უკან გაიყვანენ ხოლმე.

უყვარს ბალახებში სიარული. ჩაცუცქედება და დასცქერის ბალახის ღეროს თუ ღეროზე მიმავალ ჭიანჭველას.

ფანჯრიდან რომ გადავიხედავ და დავუძახებ, ირინე-მეთქი, ძალიან გაეხარდება ხოლმე.

ამომცინებს და თავში წაიშენს ხელებს მსუბუქად.

ასე გამოხატავს ძლიერ სიხარულს.

გვულისხმობ, რომ ეს მისებური ტაშია:ვაშა, მამას ვუცქერიო.

დისნეის ზღაპრების დიდ წიგნს ვათვალისწინებდით დღეს და დათვი რომ ვაჩვენე, ვთქვი, რა კარგია-მეთქი.

და ირინემ კოცნა დაუნყო ნახატს.

23 ივნისი, 1984 წ.

უკვე საკმაოდ რთულ წინადადებებს ამბობს.

თავისი კაბა ეჭირა ხელში და თქვა:

— კაბა იკიდა მამა.

ესე იგი, მამამ იყიდა კაბაო.

ქოთნის სკამზე იჯდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გააკეთა, მამა, მამა გააკეთა...

სკამი მართლაც მე შევაკეთე, სახელური რომ მოსტყდა.

2 ივლისი, 1984 წ.

გუშინ სკოლის ბაღში მყავდა.

დაინახა შტოზე მჯდომი ნემსიყლაპია.

მივიდა ახლოს.

უყურა, უყურა და ტუჩებით „მპ, მპ“ ქნა. აკოცა, ესე იგი.

მერე კი უთხრა:

— მოდი, მოდი ჩემთან.

ერთ კვირაზე მეტია ასეთი რამ ისწავლა.

ძალიან წვრილად ვუჭრი თევზზე პომიდორს.

მიიტანს თევზს პირთან და ისრუტავს.

სულ რომ შეისრუტავს, ასწევს თავს და აუცილებლად იტყვის ხოლმე:

— კაგია!

უკბინა კოლომ.

იკიდებს ხელს ნაკბენზე და ამბობს: „კოგო გიკინა“. ესე იგი, კოლომ მიკბინაო.

ემინია კოლოსი.

მინდოდა აღარ შინებოდა.

ამიტომ, რომ ვაძინებდი, ჭერზე კოლოს მისრესვა დავაპირე.

ირინე დავანვინე ლოგინზე და პირსახოცი ვესროლე კოლოსს.

არ ვიცე, კოლო მოვკალი თუ ვერა, ირინემ კი, უცებ ხმამაღალი ტირილი მორთო, ჩამეხუტა და მთელი საათი მეკვროდა.

როგორც კი ლოგინზე დაწვენას დავუპირებდი, ტირილს უმატებდა. მერე წყალი დავალევი, ცოტა დაწყნარდა და ჩაეძინა, მაგრამ ძილშიც მეკვროდა და ჩემს ხელს იყო ჩაფრენილი.

რომ დავფიქრდი, მიხვდის, რამაც შეაშინა.

ეტყობა, თვალს ვერ შეასწრო, პირსახოცი რომ ავისროლე და უცებ დაინახა, რაღაცა საშინელი ფრინველივით მოფრინავდა მისკენ. ალბათ სწორედ ასეთად აღიქვა პირსახოცი.

ორი დღე კიდევ ახსოვდა კოლოსსა და პირსახოცის ამბავი.

მეუბნებოდა: „ნ-გემი, ნ-გემი“. ესე იგი, მეშინიაო.

დავხატე კაცი, რომელსაც კისერზე ბავშვი უზის.

ირინემ დაჰხედა და თქვა: აჩი... აჩი...

ეცნო, რაც იყო დახატული. ასე ხომ მას შევისვამ ხოლმე კისერზე.

7 ივლისი, 1984 წ.

ჭამს საჭმელს. ვეუბნები, გულსაფარი არა გაქვს და კაბა გეცვრება, წადი შენს ოთახში და მოიტანე-მეთქი.

წავიდა.

მივაძახე, მგონი იატაკზე გდია-მეთქი.

მოიტანა. ჩამოვიკიდე გულსაფარი კისერზე. განაგრძო ჭამა.

დადის და მღერის:

— ნანა, პატარა გოჭი... ნანა, პატარა გოჭი...

ასე მე ვუმღერი ხოლმე ძილის წინ.

17 ივლისი, 1984 წ.

ოლიკო და მე ჩამოვედით ლატვიის კურორტ დუბულტაში მწერალთა დასასვენებელ სახლში. ირინე დავუტოვეთ ჩერნიგოვში დედამისს.

იქ სტუმრად ვართ ჩემი მეუღლის ბებიასთან და აქედან მასთანვე დავბრუნდებით.

ბებიას აქვს პატარა სახლი პატარავე ეზოიან-ბალიანი.

ახლა ჩავინერ ირინეს ამბებს ბოლოდროინდელს.

რამე რომ უნდა, მომადგება და მეუბნება: „გინდა, გინდა, გინდა, ხო, ხო, ხო...“

თუ არ უნდა და, წყნარად აქნევს თავს აქეთ-იქით და ამბობს: „ა გინდა, ა გინდა...“

ვუყიდე სათამაშო პიანინო.

გავიტანდი ხოლმე ეზოში.

ირინე მიუჯდებოდა და „უკრავდა“.

ჯერ იყო და, უბრალოდ უბარტყუნებდა. მერე, როცა ნახა, რომ ყველა კლავიშს თავისი ხმა ჰქონდა, უფრო დაკვირვებულად უკაკუნებდა ცალკეულ კლავიშებს.

ეზოში ვიჯექი პატარა სკამზე და ჩემს მუხლებს ზურგით მოყუდებულ ირინეს რაღაცას ვუყვებოდი.

თავისი ხუხულიდან თავი გამოყო ძაღლმა და ყეფა დაიწყო.

ძაღლს ვუთხარი: ციც, აფუ-მეთქი.

მერე ირინეც ასწევდა თითს, გადაიხრებოდა ძაღლისკენ და ეუბნებოდა: ციც, აფუ, ციც!

თუ ძაღლი ყეფას უმატებდა, ირინე მუხლებზე ზურგით მეკვროდა და ისე უცქეროდა.

მერე სახლში შევედით.

რომ უნდა გამოვსულიყავით, ირინემ ჯერ გაალო კარი, მერე თავი გაყო და ძაღლს დაუნყო ცქერა. თან ამბობდა: ციც, აფუ, ციც!

ატატებული მყავდა და ვუმღეროდი სხვადასხვა სიმღერებს.

დავიწყე: „ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა“ და გავჩუმდი.

ირინემ თავისით გააგრძელა:

— დელია ნანინაა...

რომ ნახა, თუ როგორ გაგვეხარდა დედამისსა და მე, გახალისებულმა დაიწყო გამეორება:

— დელია ნანინა, დელია ნანინა, დელია ნანინაა!

ჩვენი წამოსვლის დღეს დილით ქუჩაში მყავდა.

დავინახეთ მამალი.

გავჩერდით და ვუცქეროდით.

— „კო“ — ვუთხარი ირინეს.

მანამდე მხოლოდ წიგნში ჰყავდა ნანახი. „კო“-ც მაშინ დაარქვა.

გაოცებული უცქერდა.

მამალი მოგვიახლოვდა.

ირინემ უყურა, უყურა და უთხრა:

— მპ, მპ, მპ, აკოცე კო.

ესე იგი, გკოცნო.

კიდევ უყურა და თქვა: კადი.

კადი მისებურად ქუდს ნიშნავს.
ესე იგი, მამლის ლამაზი ბიბლო ქუდად მიიჩნია.

ოლიკო და მე რომ უნდა წამოვსულიყავით, ირინეს ეძინა.
დავცქეროდი და გაელვოდა.
მაშინვე თვალეში შემომხედა და გამილიმა.
მილიმოდა.

დახუჭავდა თვალებს, ისევე გაახელდა და მილიმოდა. თან
ნეტარებით იზმორებოდა.

ავიყვანე. ვიხუტებდი მკერდში და ვკოცნიდი.
თვითონაც მაგრად ჩამეხუტა.
ჩავაცვი.

ავიღეთ ოლიკომ და მე ჩვენი ბარგი და ყველანი გამოვე-
ღით ქუჩაში.

ირინე დედას ჰყავდა ხელში აყვანილი.
ვუთხარი, ნახვამდის-მეთქი და ვაკოცე ბევრჯერ.
ახლა შენც მაკოცე-მეთქი.
მითხრა: მპ, მპ, მპ-ო და მაგრად მაკოცა ლოყაზე.
რამდენიმე ნაბიჯზე რომ დავშორდით, წამოიტირა.
დედამისმა სასწრაფოდ შეიყვანა ეზოში, თორემ ეტყობო-
და, ხმამალალ ტირილს აპირებდა.
უკვე დიდია. გრძნობს განშორებასაც და მის სიმწარესაც.

ზაფხული, 1984 წ.

ორივე ხელით უჭირავს მოხარული სიმინდის ტარო და
მიერთმევს დაგემოვნებით.

წარმოვიდგინე, რომ ეს ტარო ტარო კი არაა, არამედ —
ფლეიტი. და ირინე „უკრავს“ ზაფხულის ამ ლამაზ დღეს, ამ
ბაღს, ამ ცანსა და მინას...

ირინეს ჩაებლუჯა ჩემი კალმისტარი და რალაცებს „წერ-
და“ ფურცელზე.

მერე იმდენად ძლიერ დააჭირა კალმისტარი ქაღალდს,
რამდენადაც კი შეეძლო.
ახლა ეს კალმისტარი ძალიან მსხვილადა წერს.
სწორედ ისე, როგორც მიყვარს.

ივლისი-აგვისტო, 1984 წ.

ბებიას მეზობელს ჰყავს თხა.
დედამ უთხრა ირინეს, რომ თხას ჰქვია „კაზა-ბეე“.
მე და ირინე ვუცქეროდით როგორ კორტნიდა ფოთლებს
ჩვენს ღობეს მომდგარი თხა.

მოვტეხე შტო და გავუნოდე თხას. მერე ირინეს მივეცი შტო
და მანაც გაუნოდა. თხამ მოაკორტნა ფოთლები ამ შტოსაც.

- ამის მერე მთელი საუბარი გამოგვივიდა ირინეს და მე.
- რა გააკეთა კაზაბეემ? — ვკითხე მე.
- გაკეთა — მიპასუხა ირინემ.
- რა გააკეთა?
- გაკეთა.
- ჭამა, ხო?
- ხო.
- რა ჭამა, შვილო?
- ფო-თო-ლი — მიპასუხა ირინემ.
- ვინ აჭამა ფოთოლი?
- მამამ — მიპასუხა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.
- კიდევ ვინ აჭამა?
- მამამ.
- ირინემ — გავუნწორე მე.
- ი-რი-ნემ — გაიმეორა ჩუმად და დაფიქრებით.

15 აგვისტო, 1984 წ.

დადის, დაბაჯბაჯებს, თავს იქნევს და ლილინებს.
ხელში რომ ავიყვან და სადმე უნდა წავიყვანო, მაშინვე
იწყებს ლილინს.

სადაც უნდა წავსულიყავი.
ვეკითხები:

- ირინე, კაფა გინდა?
- „კაფა“ მისებურად კამფეტს ნიშნავს.
- ა გინდა! — მითხრა.
- ესე იგი, არ მინდაო.
- მაშ რა გინდა?
- მამა.

8 სექტემბერი, 1984 წ.

უკვე ერთი თუ ორი თვეც იქნება, რამე რომ მოენონება,
ადგილზე იწყებს ქანაობას. ხან ერთ ფეხზე გადაიტანს სხე-
ულის სიმძიმეს, ხან — მეორეზე. თან თავსაც აქანებს და
იღიმება.

თუ საჭმელი მოსწონს, ჭამისას ამბობს: ნტ, ნტ, ნტ.
აქაოდა, რა გემრიელიაო.

მოირბენს, დამიდგება წინ და ჩქარ-ჩქარა სუნთქავს.
ამით გამოხატავს მოუთმენლობას, ხალისს და კიდევ ბევრ
რამეს.

6 ოქტომბერი, 1984 წ.

დღეს პირველად „ჩამიხატა“ უბის წიგნაკში.
„ნახატი“ ისაა, რომ რალაც ხაზებია გავლებული.
ამ ხაზების გასმისას ამბობდა:
— კაფა... კაფა... მზე.
ხომ კარგია, რომ კამფეტით დაინყო და მზით დაამთავ-
რა!

15 ოქტომბერი, 1984 წ.

ნუხელის სიზმარი ვნახე ძალიან ლამაზი.
ვუცქერდი პატარა ბაღს, რომელშიც ხეები თითქოს
ცოცხლები იყვნენ. ქალისას უგავდათ ტანი.

უცებ რხევა დაინყეს ხეებმა.
და მოშორებით მეორე ბაღიც დავიხანხე.
იქაც შეირხნენ ხეები.
ჯერ აქ შეირხეოდნენ მერე იქ. ჯერ — იქ, მერე — აქ.
ქარი უბერავდა.

დაუბერავდა, გადაუვლიდა ორივე ბაღს.
მე სიზმარშივე ვიფიქრე:
რა არის ქარი? ქარი ისაა, როცა ორი პატარა ბაღი ერთმა-
ნეთს შერხევით ესალმება-მეთქი.

ო, რა ლამაზი იყო: ორი ბაღი ერთმანეთისგან მოშორებით
და ქარისაგან შერხევა მათი.
ეს ლამაზი და ლალი სიზმარი ალბათ იმიტომ დამესიზმრა,
რომ გუშინ საავადმყოფოდან გამოვიყვანეთ ირინე.

იქ გვეწვა, რადგან დიდი სიცხეები ჰქონდა და ძლივასლა
სუნთქავდა, ისე ჰქონდა გაციებული სასუნთქი გზები.

საავადმყოფოში რომ ავიყვანე ხელში, საშინლად შევშინ-
დი, ისეთი ცხელი ჰქონდა სხეული.

ინვოდა თითქოს.
იქ ძალიან ეშინოდა ექიმისა.

მომეკვრებოდა ხოლმე, როცა ნემსი უნდა გაეკეთებინათ
ან გაესინჯათ.
მთელი დღეები იქ ვიყავი.
ალა წამოვიდოდა სახლში და ისვენებდა, რომ მერე ღამე
ეთია იქ.

18 ნოემბერი, 1984 წ.

- ვეკითხები:
- ირინე სიზმარში რამე ნახე?
- ჰოო.
- რა ნახე?
- მზე — მითხრა წყნარად.

2 დეკემბერი, 1984 წ.

როცა ირინეს ველაპარაკები ან ვეთამაშები, ჩემში იღვიძებს ყველაფერი საუკეთესო, რაც გამაჩნია.

ასე იყო ოლიკოს პატარაობის დროსაც. ჩერნიგოვიდან რომ ჩამოვიყვანდი და ჩემს გვერდით იყო, ვგრძნობდი, რომ მთლიანდებოდა ჩემი არსება.

აი, ახლა ვეთამაშებოდი ირინეს.

გადავბრუნე სამზარეულოს უზურგო სკამი და შიგ ჩავსვი, როგორც ციგაში.

„ციგას“ თოკი მოვაბი და დავასრიალებდი პარკეტზე...

უცებ ვიფიქრე: იქნებ ასევე მოძრაობაში უნდა გადაწყდეს ფილმის ესა და ეს სცენები ან იქნებ მთელი ფილმიც მეთქი.

ვაპირებ გადავიღო „ელისა და რარუს თავგადასავალი“.

ჰოდა, იქნებ ასევე სკამით უნდა აცურაოს ნაიანამ ელი და ელიმ უცებ უნდა წამოიძახოს, მივხვდი, სადაცაა ბრუნო?

ერთი სიტყვით, შვილები კაცს ხელს კი არ უშლიან მის საქმეში, პირიქით, დიდად ეხმარებიან.

4 დეკემბერი, 1984 წ.

ნასვლას ვაპირებდი.

ვკითხე, რა მოგიტანო-მეთქი.

წინგიო, მიპასუხა და დასძინა:

— კაგი, კაგი, წითელი, წითელი წინგი!

წითელში ალბათ ფერად წიგნს გულისხმობდა.

მერე კარი გამოაღო და მითხრა:

— ნადი, მამა, ნადი!

უნდოდა, რომ მალე მომეტანა წინგი.

რომ ავიყვან და ხელებსა ვბან, ლოყაზე ლოყას მომადებს ან ხელს მომიტათუნებს. მეფერება.

უკვე ორი თვეც იქნება ტელეფონით „საუბრობს“.

მივა, აიღებს ყურმილს და იტყვის: „ბატონო...“

მერე კი მოაყოლებს სხვადასხვა სიტყვებს.

იმეორებს იმ ინტონაციებს, რომლებიც ოჯახის წევრებს გვაქვს ხოლმე ტელეფონით საუბრისას.

აკეთებს პაუზებს: „უსმენს“ მოსაუბრეს.

უცებ გაიცინებს, ვითომც სასაცილო რამ უთხრეს.

ძალიან უყვარს, ზღაპარს რომ ვუყვები.

ძილის წინ მომთხოვს ხოლმე: იკორა, იკორა!

ეს „იკორა“ არის ქართული ზღაპრის დასაწყისი: „იყო და არა იყო რა“.

გუშინ თოვლში ვასრიალე ციგით. გუშინწინაც.

იყო პირველი თოვლი.

ფაფუკი და მშვენიერი.

ირინეს ძალიან მოეწონა ციგაობა.

მივდიოდი. ვექაჩებოდი თოკს და მესმოდა, თავისთვის როგორ დუდუნებდა რალაცებს.

აი, ახლა გაელვია.

მესმის, როგორ ელაპარაკება დედამისს.

ეტყობა, ქოთანზე ზის.

5 დეკემბერი, 1984 წ.

დარბის დერეფანში.

სწრაფ-სწრაფად ურტყამს ფეხებს იატაკს: ტკაპ-ტკაპ-ტკაპ-ტკაპ...

19 დეკემბერი, 1984 წ.

დილით შევედი ირინესთან.

არხინად ნევს დედის ლოგინზე. მივუნექი გვერდით. ამბობს:

— ირინე და მამიკო, ირინე და მამიკო...

მივხვდი, რომ გახარებულმა ამ სიტყვებით მითხრა: რა კარგია, რომ მე და შენ ერთადა ვართო.

თამაშობდა.

მერე უცებ თქვა:

— ქული დავიხურო თავზე... და წავიდეთ ატაში... და ვითამაშოთ რალაცა...

20 დეკემბერი, 1984 წ.

სავარძელში ვიჯექი. გვერდით ეგდო დიდი სათამაშო ძაღლი.

ეს ძაღლი ზომით ირინეზე დიდია. რბილია და ფაფუკი.

ირინე მოაჯდა ზურგზე მხედარივით, დაიწყო ხტუნვა და მთლიანადა თქვა ლექსი:

„კავო, კავო, კანჩალა, აქ რამ მოგაჩანჩალა...“

ეგრე შავი რათა ხარ, რათა ჩხავი ჩქარ-ჩქარა...“

პირველი ორი სტრიქონი ხალხურია. გაგრძელება ვერ გავიხსენე და ამიტომ ბოლო სტრიქონები თვითონ გამოვიგონე.

ირინეს ასე ვეთამაშები ხოლმე:

დავჯდები სკამზე და დავიყენებ წინ გაშვებულ ტერფებზე. მერე მიჭირავს მისი ხელის მტევენები, ვაქანავებ აღმადალმა და თან ვამბობ ამ ლექსს: „ყვავო, ყვავო ყვანჩალა...“

ძალიან მოსწონს. ამიტომაც გავიხსენა ახლა.

ეს სათამაშო ძაღლი რომ ვუყვიდე, ირინე უკვე დადიოდა. დავინახე თუ არა, მამინვე მომეწონა და ვიფიქრე, ირინესაც მოეწონება-მეთქი.

სახლში რომ მივიტანე, ირინე სასეირნოდ ჰყავდა ნაყვანილი ოლიკოს.

დივანზე ისე დავდე, რომ ოთახის კარის გაღებისთანავე მის დრუნჩს დაინახავდა კაცი...

აი, ირინეც დაბრუნდა.

ვუთხარი აფუ გიყიდე-მეთქი.

შევედით ოთახში.

ირინემ დაინახა თუ არა, უკან დაიხია და მე ამომეფარა.

ვუთხარი, ნუ გეშინია, სათამაშოა-მეთქი.

მაგრამ მაინც შეშინებული უცქეროდა.

მივედი, ავნიე ძაღლი, შევატრიალე ჰაერში და ისევ დავდე დივანზე.

— აი, ხომ ხედავ, რომ სათამაშოა, — ვუთხარი ირინეს.


მაინც დაეჭვებული უცქეროდა.

მერე მივიდა ერთ-ორ მეტრში, გაჩერდა და უთხრა: აფუ! აფუ! რადგან დარწმუნდა, არ ინძრევავო, გაბედა და მიუახლოვდა.

ოღონდ წინიდან კი არა, უკანიდან მივიდა.

ფრთხილად გაინოდა ხელი და კუდში ჩაავლო.

მოქაჩა.



მხატვარი ინა ჭელიძე

კიდევ მოქაჩა.
მერე კი ყურში ჩაავლო ხელი, მოსწია და ძირს გადმოავლო.
ძალი ისევ დივანზე დავედ.
ირინე თავისით აცოცდა დივანზე და ძალს ზურგზე მო-
აჯდა. მერე ძალის ყურები სადავეებივით მოზიდა, ახტუნდა
და გაიცინა...

30 დეკემბერი, 1984 წ.
იზრდება ირინე.
წუხელის მითხრა: სათამაშო!
მომეციო, ესე იგი.
— რომელი სათამაშო გინდა? — ვკითხე მე.
— მამიკომ გამოიღო სათამაშო — მითხრა.
ესე იგი, ის სათამაშო, მე რომ გამოვიღე საიდანაც.
ახლა ვეღარ ვისხენებ, მგონი ასეც კი თქვა: მამიკომ რომ
გამოიღო.

ბაფთები ეკეთა.
ძალიან გაეხარდა, როცა მონონებით გავიკვირვე.

ოლიკო თხუთმეტი წლისაა.
აქედან გამომდინარე ყველა შედეგი:
დიდი თავმოყვარეობა, ცოტა ჭირვეულობაც, სარკის წინ
დგომა და ასე შემდეგ.
მაგრამ მთავარია, რომ აქვს ნებისყოფა და ხასიათი.

1 იანვარი, 1985 წ.
ვიჯექი სავარძელში და წიგნს ვკითხულობდი.
ირინე იქით დაფუსფუსებდა თავისთვის.
უცებ მესმის მისი სიმღერა:
პანანინა გოჭი ვარ...
სხვისი არავისი ვარ,
სხვისი არავისი ვარ...
მარტო მამიკოსი ვარ!
ეს სიმღერა მე გამოვიგონე.
მთლიანობაში ასეთია:
— პანანინა ბეკეკა,
პანანინა წინილა,
პანანინა გოჭი ვარ...
სხვისი არავისი ვარ,
სხვისი არავისი ვარ,
მარტო მამიკოსი ვარ!
ამას ვუმღერე ხოლმე, როცა ვაძინებ.
ეტყობა, მოსწონს და დაიხსომა.

როცა რამე მოსწონს, საქმელი იქნება, ნახატი თუ წიგნი,
ასე შვრება:
ზის, ირნევა აქეთ-იქით და ამბობს (ყ)პ, (ყ)პ, (ყ)პ...
ასეთი ბგერა არაა ჩვენს ენაში (და, ალბათ, არც სხვა ენებ-
ში. ის ირინემ აღმოაჩინა. და რადგან ცოტათი ჰგავს ჩვენ „ყ“-
ს, ასე ჩავწერე: (ყ).

15 იანვარი, 1985 წ.
ღამით თოვლი მოსულიყო.
დილით ირინე მეყენა ფანჯრის რაფაზე.
თოვლს უცქეროდა...
მასთან ყოფნა ფილოსოფიურად განმანყოფს.
იმ წუთას ვფიქრობდი იმაზე, რომ სამყაროს სურს თავისი
თავის შეცნობა. ამიტომ შექმნა ადამიანი. და რადგან ყოველი
ადამიანი თავისებურად აღიქვამს სამყაროს, ამიტომ უთვა-
ლავი თვალთახედვის კუთხით სწავლობს სამყარო თავის
თავს.
აი, ჩემი ირინე — ირინეა ციკლე ერთი თავისებური შემ-
ცნობა სამყაროსი...

მერე ფიქრმა ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა:
...მაგრამ ყოველი ადამიანი ხომ თვითონაც მთელი სამყა-
როა, პატარა, მაგრამ მაინც სამყარო. ჰოდა ეს უთვალავი პა-
ტარ-პატარა სამყაროები რომ ემატებიან დიდ სამყაროს, ამი-
ტომ უფრო ძნელდება მისი შეცნობა. და ამიტომაც სამყარო
ვერასოდეს შეიცნობს თავის თავს ბოლომდე.

დღეს განსაკუთრებული დღე იყო.
თითქოს დღეს ირინე-ირინე უცებ გაიზარდა.
დილით, რაფაზე რომ მეყენა, ვუთხარი, აბა შემომხედე-
მეთქი.
თავი ჩალუნული ჰქონდა და ამომხედა ღიმილიანი თვალებით.

ლოგინზე ვიჯექი, ვფიქრობდი და ხელები ლოყებზე მქონ-
და შემონწყობილი.
თავისით მოვიდა და შემომხედა გაღიმებულმა.

თოვლში ვასრიალე ციგით და თოვლის პაპაც დავუდგი.
უხაროდა.

ციგითვე წავიყვანე მაღაზიაში.
იქ ვიყიდეთ ბოსტნეული.
ირინეს ჩურჩხელა ვუყიდე.
მომყავდა. ჩურჩხელიდან თხილს ვურჩევდი და ჭამდა გემ-
რიელად.
ჩურჩხელა ვერ იყო ისეთი, როგორც საჭიროა. გამხმარი-
ვით იყო. ამიტომაც ფელამუშის ზედა ფენას ვაცლიდი და
თვითონა ვჭამდი. შიგა რბილ ფენას კი ირინეს ვაძლევდი.
ამასაც გემრიელად მიირთმევდა.

სალამოს მუხლებზე მეჯდა და მკლავზე გადავიწვინე:
მშვიდად დამყვა.
ადრე ამას მხოლოდ ძილის წინ მანებებდა, სხვა დროს კი
— არა. ეშინოდა, არ დამაძინოსო.
ახლა კი იწვა არხეინად და თან რალაცას დუდუნებდა თა-
ვისთვის. ხანდახან კი ღიღინისმაგვარსაც გაურევდა.

ძილის წინ დედას უთხრა, მამას უნდა ვუთხრა „ნახვამდის“-ო.
მომიყვანა ალამ.
გამიცინა ირინემ და მითხრა: „შენთან გინდა“.
ესე იგი, შენთან მინდა, შენ დამაძინეო.

17 იანვარი, 1985 წ.
გუშინ სალამოს პირველად ქნა ასე:
მუხლებზე მეჯდა.
უცებ თქვა:
— ირინე ჩაეხუტოს მამიკოს, ხელები მოხვიოს.
ჩამეხუტა და მომხვია ხელები.
ადრე მე ვეუბნებოდი ხოლმე, ჩამეხუტე და ხელები მომხ-
ვიე-მეთქი.
და ეს გაახსენდა ახლა.

დღეს დილით კი, მე აქეთ ოთახში ვიყავი და თავისი ოთა-
ხიდან დამიძახა უცებ:
— მამიკო, სადა ხარ?

საოცრად გაიზარდა ამ რამდენიმე დღეში.
ახლა ჩემთან იჯდა ლოგინზე და ხელზე ჩამომაყრდნო ნი-
კაპი. ასე ჩაფიქრდა.

ჟურნალში რაღაც ხოჭოს მაჩვენებდა. ხელს დააფარებდა
და იტყოდა, დაიმალო.
მერე კი დამაფარებინა ხელი, თვითონ კი ჩუმად ჩურჩუ-
ლებდა: „დაიმალო, დაიმალო“-ო.

ეს ჩურჩული შევამჩნიე დაახლოებით ორი კვირის წინაც. კამფეტი უნდოდა, კარადასთან მიმავანინა თავი და რალაცას ჩურჩულებდა. თითქოს კამფეტს შელოცვის სიტყვებს ეუბნებოდა...

1 თებერვალი, 1985 წ.

ამ სამი დღის წინ მოვიდა ჩემთან და დამიწყო პერანგზე შესხნილი ლილების შეკვრა. თან მითხრა გამოკვეთილად: „მამიკო, არ შეგცივდეს!“

5 თებერვალი, 1985 წ.

ირინეუჩა წამოწვა ჩემს ლოგინზე, მიეყუდა ბალიშს და მითხრა: „დანეჭი, მამიკო“.

რომ მივუხეივნი გვერდით, თქვა: „ირინე და მამიკო ძმაკაცები არიან“. უფრო სწორად, ნაიძლერა ასე.

17 თებერვალი, 1985 წ.

გუშინ საღამოს, როცა ვაძინებდი, დავინწყე მღერა: „ჩემო ციციანათელა, დაფრინავ ნელა-ნელა...“

უცებ გამაჩერა და მკითხა:

— მამიკო, ეს რა არი — „ციციანათელა“?

ავუხსენი, პატარა ფუტკარივითაა, ტყეში დაფრინავს, სადაც ბევრი ხეებია, აენთება, ჩაქრება, აენთება, ჩაქრება-მეთქი.

— გაიგე? — შევეკითხე.

— ჰო, — მითხრა.

დავინწყე ისევ სიმღერა.

ისევ გამაჩერა:

— მამიკო, ეს რა არი — „ციციანათელა“?

ისევ ავუხსენი და განვაგრძე სიმღერა.

ახლა მკითხა:

— ეს რა არი — „შორით ნათება“?

ავუხსენი.

ვმღერი.

ახლა ეს მკითხა:

— ეს რა არი — „დამწვა და დამწვა“?

ავუხსენი, ის რომ ანათებს, მე მაშინ კარგადა ვარ-მეთქი.

აბა, სხვაგვარად რა უნდა მეთქვა?

დღეს კვლავ „ციციანათელა“ ვუმღერე.

სიმღერა რომ დავინწყე, კვლავ მკითხა:

— მამიკო, ეს რა არი — „ციციანათელა“?

ავუხსენი, აენთება და ჩაქრება-მეთქი.

ვაჩვენე: შუქი ავანთე და ჩავაქრე.

მგონი ბოლომდე მიხვდა ყველაფერს.

მანამდე მკითხა, იქ ხეებია, მამიკო?

ახსოვდა ჩემი გუშინდელი ნათქვამი, ტყეში ანათებს-მეთქი.

ჰო, იქ ხეებია. გაჩვენებ... — ვუთხარი.

ძალიან მშვიდად და სიამით ავსილი მიყურებდა.

მივეფერე, შენა ხარ ჩემი ციციანათელა-მეთქი.

სიამოვნებისაგან სიცილი დაიწყო. ოღონდ პირმოკუმულმა.

მეტად მშვიდად ჩაეძინა.

შესაძლოა, მეთამამებოდა, იმ კითხვებს როცა მისვამდა...

5 მარტი, 1985 წ.

ღამეა.

ირინეს ვაძინებ. შუქი ჩამქრალა.

— ნაი, მინდაო, — მითხრა. ესე იგი წყალი უნდა.

მოვუტანე.

განა მაშინვე დაღვეს, ჯერ სინათლეს ამანთებინებს ხოლმე:

— ჩართე შუქი, მამიკო. ჩართე შუქი, კაცო!

ამ ორი კვირის წინ.

სავარძლის ბალიში დააგდო ძირს და დაიწყო ზედ ბტუნვა.

დედამისი გაჯავრდა და მე დამიწყო ჩხუბი, წაართვიო.

ირინემ უყურა, უყურა და მერე ჩუმადა თქვა:

— ვაი!

ეს ისე იყო ნათქვამი, აბა, ვინლა წაართმევდა ბალიშს.

ხვალ ირინე ორი წლის ხდება.

6 მარტი, 1985 წ.

ღამით, რომ ვაძინებდი.

ნახევრად მძინარი, თვალდახუჭული მღეროდა და, ეტყობოდა, ჰსიამოვნებდა:

„ჩემო ციციანათელა, დაფრინავ ნელა-ნელა...“

შენმა შორით ნათება დამწვა... დამანელა...“

10 მარტი, 1985 წ.

აი, ამ წუთას, 12 საათზე ირინემ, როგორც მახსოვს, პირველად თქვა რალაც მეტად ფილოსოფიური.

წიგნში მაჩვენებდა პლანეტა სატურნს და მკითხა: „იქით რა არი?“

არ ვიცოდი, რა მეთქვა და ვუთხარი, ჰაერია-მეთქი.

„— იქით რა არი?“ — მკითხა ისევ.

ისევ ვუთხარი, ჰაერია-მეთქი.

და მაშინ მკითხა:

„— იქის იქით რა არი, მამიკო?“

„იქის იქით“ — საოცარია!

22 მარტი, 1985 წ.

ამ ორი თუ სამი დღის წინ სიტყვები გართმა.

მითხრა: „ფისოს უნდა ფისი“.

კი იცის, რომ „ფიში“ უნდა თქვას (ასეც ამბობს ხოლმე), მაგრამ ახლა განგებ თქვა „ფისი“.

ჩემს სანოლში ხან რას ვნახავ და ხან რას.

აგერ ახლა საბნისპირში ფინჯანი და ჭიქები აღმოვაჩინე.

რამდენიმე დღის წინ ლეიბის ქვეშ რალაც-რალაცები. მერე ხახვები.

ირინე რატომღაც მაღავს აქ საგნებს.

ასე თამაშობს, ან იქნებ მე მეთამაშება რალაც მის მიერ გამოგონილ თამაშს.

საღამოს დისნეის დიდ წიგნს ვათვალიერებდით.

ერთ ილუსტრაციაზე გნომები ტირიან ფიფქიას სანოლთან.

ირინემ დაჰხედა, თითი დაადო ერთ გნომს და თქვა:

— ტირის კაკადილი და წვიმა მოდის.

ცრემლები წვიმას შეადარა.

ხოლო „კაკადილი“ იმიტომა თქვა, რომ გნომი ნიანგს მიამგვანა.

26 მარტი, 1985 წ.

გუშინ საღამოს, სახლში რომ დავბრუნდი, ირინე დიდ ოთახში თამაშობდა.

უცებ გაჩერდა, ხელები თავს უკან წაიღო და კეფასთან აპკრა ორივე ხელი თავის თმებს.

ასე ქალებმა იციან ხოლმე.

ახლა ოპერიდან მოვდივარ.

სპექტაკლის დაწყების წინ შინ დავრეკე, დამაგვიანდება-მეთქი. და ვთხოვე, ირინე მოსულიყო ტელეფონთან.

ირინე მისმენდა, თუ როგორ ვეფერებოდი და ორჯერ მითხრა: „მამიკო!.. მამიკო!..“ მეტი არაფერი.

15 აპრილი, 1985 წ.

ალა სადღაც უნდა წასულიყო.

ირინე ხელში მეჭირა.

უცებ გადაიხარა და აკოცა დედას!

უკვე დიდა.
რამე რომ მოხდება, მეკითხება: „რა არი, მამიკო?“
ვინმე რომ ლაპარაკობს, მეკითხება: „რა თქა, მამიკო?“

გუშინ დილით სასეირნოდ გავიყვანე.
ცხვარი იყო მიბმული ბოძზე.
მივედით ახლოს.
მოვიდნენ ვილაც ბიჭები და ქვებს ესროდნენ ცხვარს.
ჩხუბი დაგუწყე, ნუ შერებთ-მეთქი. ერთ ნუთს დამავინყ-

და ირინე.
მივიხედე და ვხედავ, თვალბეჭე აუფარებია ხელები და
თითებს შორის იცქირება შეშინებული.

ვკითხე, შეგეშინდა-მეთქი?
ვერ გავიგე, რისი შეეშინდა, ცხვრისა თუ იმისი, ბავშვები
ქვებს რომ ისროდნენ.

მერე კი მითხრა: „ზაბადნიოტი!“
ეს ქართულად დაახლოებით ამას ნიშნავს: „გვირქენს“.

ალბათ დედამ რაღაც ლექსი წაუკითხა, სადაც ეს სიტყვა
იყო.

შუადღის ძილის შემდეგ იყო ძალიან სერიოზული და წყნარ-
რი. მოჰყვა მთელი ამბავი, თუ როგორ ვიყავით ცხვართან და
როგორ ვეჩხუბე ბიჭებს. სწორედ ასე თქვა: „მამიკო ეჩხუბა
ბიჭებს“.

მერე ვუხსნიდი, თუ რა ორგანო რისთვისაა, რომ ყურებით
გვესმის, ცხვირით ვსუნთქავთ... აბა, დახუჭე თვალები, ხომ
ველარ ხედავ, გაახელ და ყველაფერს დაინახავ-მეთქი.

თითქოს შეეშინდა. შემომცქეროდა ჩუმადა.

ხშირად ჩამეხუტებოდა ხოლმე. უფრო სწორად, რომ ჩავი-
ხუტებდი, დამყვებოდა ნებაზე.

თითქოს უცებ გაიზარდა: აღარც ჭირვეულობდა და არა-
ფერი.

18 აპრილი, 1985 წ.

გუშინწინ საღამოს, დედამისმა რომ დაუძახა საჭმელად,
ჩემს ოთახში იყო. კარებთან იდგა. ხელი დაუქუნიე, ნახვამ-
დის-მეთქი.

წავიდა და დაბრუნდა. თავი გამოყო კედელს იქიდან და ხე-
ლი დამიქნია.

დავუძახე, მოდი გაკოცო-მეთქი.

მოვიდა, ვაკოცე და თვითონაც მაკოცა.

მერე წავიდა.

უყვარს რომ მე დავაძინო.

ბევრად ადრე, ვიდრე იძინებს ხოლმე, ქოთანზე იჯდა და
დაინყო სიმღერა: „ჩემო ციცინათელაა...“ და უცებ თქვა, ძი-
ლი მინდაო. რუსულად უთხრა დედას. და დასძინა, მამამ და-
მაძინოსო.

დედამისის ლოგინში მივუნექი გვერდით.
ნეტარებით გაიღიმა და ხელები გაშალა.

დავინყე მღერა. და მალე ჩაეძინა.

21 აპრილი, 1985 წ.

ნაშუადღევს მეძინა (ღამით უნდა მეძუშავა და ვისვენებდი).
ძილში ვგრძნობდი, რომ ირინე დაფუსფუსებდა საწოლთან.
წიგნები ჩამოყარა სკამიდან და რაღაცას თამაშობდა.

ბოლოს რომ გამეღვიძა, საწოლთან იდგა და მიყურებდა.
გარეთ წასასვლელად იყო ჩაცმული.

წავიდა, კართან რომ მივიდა, დავუძახე, ნახვამდის-მეთქი.
„მამიკო, ირინეს უნდა რო გაკოცოს!“ — დაიძახა და გამო-

იქცა ჩემსკენ.
მოვიდა. მივუშვირე სახე და მაკოცა ლოყაზე.

მეც მინდოდა მეკოცნა, მაგრამ არა ქნა.
გავიდა.

მერე მობრუნდა, შემოყო თავი კარში და მითხრა:

„მალე მოვალ“...
ჰო-მეთქი.
კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა, მალე მოვალო.
უკვე სულ დიდა.

28 აპრილი, 1985 წ.

ახლა გორში მივედივარ ავტობუსით.
წამოსვლის წინ ირინე გავიყვანე სასეირნოდ.
წავედით ოლიკოს სკოლის ბაღში.

ვერ სოკო-შადრევანზე დავალევივინე წყალი.
მერე შევედით ბაღში და მივედით ბეტონის ვიწრო კიბეს-

თან, რომელიც საკმაოდ გრძელია და გორაკის თავამდე ადის.
ხელში არ ამიყვანია, თვითონ ამოვიდა.

იქ რკინის ძალიან მსხვილი მილი იყო და იმაზე გავატარე.
უყვარს ასეთი ამბები.

ძირს რომ უნდა ჩამოვსულიყავით, მითხრა, ირინე გაფ-
რინდესო (ის ახსოვდა, რომ წინა სეირნობისას კიბის ბოლო

საფეხურებზე მაჯებში ჩავავლე ხელები და ჩამოვავრიალე).
წავავლე ხელები მაჯებში და „ჩამოვავრინე“.

შუა კიბეზე მითხრა, ირინე ჩიტიაო.
რომ ჩამოვედით, მერე თვითონ დადიოდა აქეთ-იქით.

გაიარა ძირს დაგდებულ ფიცარზე.
მერე ფერდობზე მოინდომა ასვლა.

ეტადა რამდენჯერმე. მერე თქვა: „ვერა“. მაგრამ ისევ მიბ-
რუნდა და სცადა ასვლა.

დაჯდა მიწაზე ერთხანს.
წამოდგა, გაინმინდა ხელები და კაბაც ჩამოიფერთხა.

ავიყვანე ფერდობის მესამედზე და იქ დავაყენე. თვითონ
ძირს ჩამოვედი.

ჩამოირბინა და დავიჭირე.
ძალიან გაიხარა.

მერე ჭიანჭველების ბუდე ვაჩვენე. ინტერესით უცქერო-
და, თუ როგორ ჩადიოდნენ ბუდეში და როგორ ამოდიოდნენ.

მუხლებზე მეჯდა, მე კი ფერდობზე ვიჯექი.
ადგა, ფეხი გაუცურდა და ბუდეს დაადგა.

ორი ჭიანჭველა დაშავდა (ალბათ ეს იყო ირინეს პირველი
უნებლიე ცოდვა ამ ქვეყანაზე).

ერთი ჭიანჭველა გაიმართა როგორც იქნა. მეორე კი სა-
ცოდავად იკლაკნებოდა და სხვა გზა არა მქონდა, ტანჯვა

რომ შემემსუბუქებინა, ირინე იქით გავახედე და მოვკალი ის
საწყალი.

მერე ცაში თვითმფრინავი დავანახვე.
თვითმფრინავი ბოლს უშვებდა და ბოლი უკან რჩებოდა,
როგორც ხაზივით სწორი ღრუბელი.

მკითხა, რა არისო.
ავუხსენი.

სად მიდისო.
თავის სახლში-მეთქი.

მერე მეორე ისეთივე თვითმფრინავი დავინახეთ.
ძალიან დიდი ინტერესით უცქეროდა.

ჰო, ზევით რომ ვიყავით მიღზე, იქიდან მთვარე დავანახვე.
ახლაც დავანახვე მთვარე და ვუთხარი, მოდი ვუთხრათ

მთვარეს, რომ ჩვენი ძმაცაცია და ძირს ჩამოვიდეს-მეთქი.
მთვარე ვერ ჩამოვთავა, — მითხრა.

რატომ, შვილო?
იმიტომ შტო (ასე ამბობს იშვიათად: ერთ სიტყვას ქართუ-

ლად, მეორეს — რუსულად) ძირს ცუდიაო.
რა არის-მეთქი, ცუდი?

აი, ესეებით — მინისაკენ გაიშვირა ხელი.
ქვები-მეთქი?

ვერაფრით ვერ ვიხსენებ, თუ რა მიპასუხა.
წამოვედით.

ნაი გინდა-მეთქი?
მინდაო.

დავალევიწე.
სოკო-შადრევის მილს ხელს ვაჭერდი, რომ მაღალი ყო-
ფილიყო ჭავლი.
მერე ირინეც აჭერდა.
რომ სვამდა, ცხვირში შეუვიდა წყალი.
მითხრა, ცხვირში შემვიდაო.
მივეცი ცხვირსახოცი და მერე კარგად მოვწმინდე ცხვირი.
მითხრა, ხელებიცო.
მერე მე დავჯექი იქვე მორზე, ირინე კი დიდხანს დადიოდა
ქვის ბორდიურზე.
ძალიან უყვარს ასე რაღაცებზე სიარული, რაღაცებზე ას-
ვლა და ძროშიალი.

1 მაისი, 1985 წ.

დღეს ირინემ თქვა:
— მე მეგონა, რო სპილოს უყვარს თაფლი.
ზუსტად ასე თქვა.
მთელი დიდი წინადადება!

ლილოში ვიყავით.

ელავდა და ქუხდა.
ირინე შეშინებული ჩამეკრა მკერდში.
მკითხა, რა არისო.
ღრუბლები ხმაურობენ და ხან აინთება, ხან ჩაქრება-მეთქი.
— როგორც ციციანათელა, — თქვა ირინემ.
ვუთხარი, ჰო, როგორც დიდი ციციანათელა-მეთქი.
პასუხმა დააკმაყოფილა.

2 მაისი, 1985 წ.

ირინემ გართობა სიტყვები.
თქვა:
— დუზო, ბუზო, ირინუზო.

4 მაისი, 1985 წ.

სალამოს ვინეტი ლოგინში და რაღაცას ვკითხულობდი (თუ
წნერდი).
მოვიდა ირინე.
რაღაცას ლეჭავდა.
რა არის-მეთქი.
— ბოლოკი, — მითხრა მშვიდად.
მერე სანოლს მოეყუდა, ხელები დააწყო, ნიკაპით დაეყრ-
დნო და ჩუმად მომაცქერდა.
თავზე მოვეფერე.
ფეხსაცმელები გაიხიდა და სანოლზე ამოვიდა.
დანვა ჩემს გვერდით და თავი მკლავეზე დამადო.
მერე კი გადმობრუნდა და მომეხუტა.
როგორც ფრთის ქვეშ, ისე მენვა ილიის ქვეშ.

16 მაისი, 1985 წ.

ჩემი დაბადების დღისთვის ალას პატარა სუფრა გაეწყო.
მოვიდნენ ჯარჯი და მანანა.
დავსხედით, დავლიეთ თითო ჭიქა.
უცებ გავიხედე და ვხედავ: ირინე ჩვენგან მოშორებით სა-
ვარძელთან მიმდგარა ზურგით ჩვენსკენ, თავი ჩაულუნია ისე,
რომ თითქმის სავარძლის საჯდომზე უდევს. გარინდულა უც-
ნაურად მობუზული.
მივედი, ლაპარაკი დავუწყე. ჩამეხუტა და, რომ მიწოდდა
სუფრისკენ გამოეხედა, ტირილს იწყებდა.
აღბათ ჯარჯის წვერისა შეეშინდა. მანამდე არ ენახა წვე-
რიანი კაცი.
გავიყვანე თავის ოთახში, დავაწვინე და უცებ ჩაეძინა.
რომ დავაძინე, ისევ სტუმრებთან გამოვედი.
ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ და წავიდნენ, თვითონა
გვეყავს სტუმრებო.

სავარძელთან ისე საცოდავად იდგა ირინე, რომ კინაღამ
გული გამისკდა...

20 მაისი, 1985 წ.

გუშინწინ ვეთამაშებოდი სიტყვების გართმევას.
ვიტყვი მაგალითად ასე: „ტაპუ, მაპუ“.
ის მიპასუხებს: „ირინაპუ“.
ეს თამაში იმით დაიწყო, რომ პირველად თვითონა თქვა:
„დუზო, ბუზო, ირინუზო“.
თამაში გავართულე იმით, რომ უცებ შევცვალე დასაწყი-
სი: ორი სიტყვის მაგიერ ერთი სიტყვა ვუთხარი, თანაც მართ-
ლა არსებული.
ამეცა.
რამდენიმე სიტყვის შემდეგ ვთქვი „დედოფალა“, მაშინვე
მიპასუხა „ირინალა“ და დაამატა „ემმაკების დედოფალა ირი-
ნალა“.
ემმაკების დედოფალო-მეთქი მანამდე მქონდა მისთვის
ნათქვამი, როცა რაიმე ემმაკობას ჩაიდენდა.

ეს სამი დღეა, ავადა ვარ და ლოგინში ვწევარ.
ირინეს ვუთხარი, ჩემთან ახლოს არ მოხვიდე, თორემ შენც
ავად გახდები-მეთქი.
ჯერ იყო და მეკითხებოდა: „მამიკო, უკვე აღარა ხარ
ავად? (ზუსტად ასე, დალაგებულად).
მეორე დღეს მოსწყინდა, რომ არ ვეთამაშებოდი. მოდიო-
და ჩემთან, მაგრამ მთლად ახლოს ვერა ბედავდა მოსვლას,
სანოლს ეყუდებოდა ზურგით და თავს უხახუნებდა. მობრუნ-
დებოდა, შემომყურებდა. ერთხელ კი ჯერ იდგა სანოლთან და
მერე წაილიღინასავით: „მამიკო... მამიკო... მამიკო...“

გუშინ დღით ვუთხარი ისევ რითმისთვის: „ფისო, მისო“.
მაშინვე მიპასუხა: „ირინისო“. მერე კი თვალები გაუბრწყინდა
და დაამატა: „ფისო, მისო, უსინდისო“ („უსინდისო“ გაახსენდა
საბავშვო ლექსიდან).

უკვე ორი თვე იქნება და იქნებ მეტიც, მომართვის ასეთი
ფორმა ისწავლა: „მომეცი რაა!“
მეტყვის ხოლმე რამეზე: „მამიკო, მომეცი რაა!“ და ბოლოს
კოხტად გააგრძელებს ხოლმე „ა“-ს.

31 მაისი, 1985 წ.

უყვარს საბეჭდ მანქანასთან ჩხირკედელაობა.
თითებს ურტყამს კლავიშებს, რკინის გადასაწვე-გადმო-
საწვევებს უტრიალებს...
გუშინ კი აიღო ჟურნალის ფურცლის ნახევი და თავისი სა-
თამაშო პიანინოს კლავიატურასთან, ღრიჭოში შედო.
— რასა შვრები-მეთქი, ვკითხე.
მშვიდად მიპასუხა, უნდა დავბეჭდო სურათიო.
ესე იგი, თავისი პიანინო საბეჭდ მანქანას მიამსგავსა.
ამას უყურე!

ვეტყვი რაიმე სიტყვას და ირინე იმ სიტყვას თავის სახელს
მიართმევს.
მაგალითად, „ანცუ-ბანცუ“ ვეტყვი მე. ის კი მეტყვის
„ირინანცუ“.
ჰოდა გუშინ ვუთხარი: „ანჩი, ბანჩი“.
ველოდი, რომ მეტყოდა, ირინანჩიო. მაგრამ მითხრა: „ყა-
ჩალანჩი“. ეს აღბათ იმიტომ, რომ ვეუბნები ხოლმე, ყაჩალი
ხარ-მეთქი.

მაისი, 1985 წ.

უკვე რამდენიმე თვეა, რომ უნდა მითხრას, ერთად გავაკე-
თოთ საქმეო, დაიწყებს ძახილს: „ირინე და მამიკო, ირინე და
მამიკო!“

მაგალითად, ვაძინებდი და იატაკზე დაუვარდა „სოსკა“. ვთქვი, ნავალ, გავრეცხავ-მეთქი. წამოხტა ლოგინში და ხმა-მალლა დაიძახა: „ირინე და მამიკო, ირინე და მამიკო“.

24 ივნისი, 1985 წ.

რომ ვნევიარ და ვნერ, მოვა, ამოვა ხვნივით სანოლზე, გვერდზე გამწვანეს და მოკალათდებო: მიეყუდებო ჩემს ბალიშს და ამოიხრებო, ვითომც, რა კარგად მოვეწყეო.

„ვიმუშაო. ირინემ იმუშაოს. მე უნდა ვიმუშაო“ — ასე ამბობს, ვიდრე მოიკალათებს. მერე კი მთხოვს, დამიხატე რამეო ან — წამიკითხე რამეო.

გუშინწინ თუ გუშინ წინწკლავდა და ქოლგით დავდიოდით. აყვანილი მყავდა ხელში. მითხრა, მეც მინდა პატარა ქოლგა, მიყიდეო. ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი, პატარა ქალო-მეთქი. და მითხრა ზუსტად ასე: „პატარა ქალს უნდა პატარა ქოლგა, მიყიდე რა, მამიკო...“

დღეს ფოტოაპარატი წავიღეთ და წავედით სასეირნოდ. იქ წავიყვანე, სადაც გუშინ ერთ ქალს პატარა ბეკეკა ჰყავდა. ბეკეკას ჩვენ ბეკო დავარქვეთ. შორიდან დავანახვე, ბეკო არაა იქ-მეთქი. ირინემ მითხრა: „გადავიღოთ სურათი, სადაც ბეკო იყო...“

გუშინ მყავდა თბილისის ზღვაზე. ჩავისვი ნავში. ჯერ სლუკუნი დაიწყო. შეეშინდა, მაგრამ მერე შეეჩვიდა. და მხმარებოდა, რომ ნიჩაბი დაგვერტყა წყალზე და გაგვეშხეფებინა.

მერე დიდი კატერით გავასეირნე. შემომხვია კისერზე ხელები, მომეკრა და ვიდრე ნაპირზე არ გადმოვედით, ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინე. გარინდული იყურებოდა. ეტყობა, ეშინოდა. ღამით ძილში წამოიტირა კიდეც.

28 ივნისი, 1985 წ.

ხმამალლა ვიკითხე: სადა ხარ, მამიკო-მეთქი. ირინე გამოვარდა სამზარეულოდან ძახილით: „აქა ვარ, მამი, აქა ვარ!“ გამოვარდა და გამოიქცა ჩემსკენ.

1 ივლისი, 1985 წ.

მიზის მუხლებზე, ყურმილი უჭირავს და ვითომ ვილაცას ელაპარაკება ტელეფონით: „კაცო, კაცო... მამიკო გადაიღე კინოში, რო მამიკომ წვერი გაიპარსოს და ირინემ აკოცოს... ჰო, ნახვამდის...“ დაამთავრა ლაპარაკი. მომიბრუნდა და მაკოცა.

ცოტა ხნის წინ ვკითხე, ბანაობა გიყვარს-მეთქი? — არა, მე მიყვარს შინაობაო. — შინაობა რა არის? — პუგატ! — მითხრა. ესე იგი, როცა ვინმეს ვაშინებო. ასე თამაშობს ხოლმე: „უ, უ, უ“ გვეუბნება ყველას და „გვაშინებს“ ხოლმე.

ვკითხე, ვინა ხარ, საიდან მოხვედი-მეთქი. წვიმიდანო — მითხრა, — ღრუბლებიდან ჩამოვფრინდიო. ალბათ გაახსენდა, ძილის წინ რომ ვუმღეროდი ხოლმე: — ვინ მოვიდა ღრუბლიდან... ვინ ჩამოვიდა.

5 ივლისი, 1985 წ.

მაჩვენებს თავის კოპლებიან ტრუსებს და მეუბნება: — უყურე, მამიკო, წვიმიანია. ესე იგი, წვიმის წვეთები დაეცა ტრუსებს და დააჩნდაო.

12 ივლისი, 1985 წ.

ერთი შეხედვით, თითქოს ეს ჩანანერი ჩემზე უფროა, ვიდრე ჩემს პატარა ირინეზე. მაგრამ იმედი მაქვს, მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ჩანანერის გარეშე ირინეს ცხოვრების ამბები ვერ იქნება სრული.

დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი უსათაურო ლექსი. აი, ისიც:

სალამოს, როცა ვარდისფერი ხდება ღრუბლები,
პატარა შვილი სასეირნოდ მე გარემო გამყავს...
აქ გორაკია, ნელა-ნელა გორაკზე ამყავს,
ცისა და მიწის წამდვილ ამბებს ჩუმად ვუყვები.
მივიღვართ, მისმენს, უცებ თვალებს შემომანათებს...
მე გავუღიმიე, ვუნვდი ლამაზ ბაბუანვერას,
მას მოაქვს ფრთხილად, არ აცილებს ფიქრიან მზერას,
მზე ჩამავალი მის ხელებში ყვავილს ანათებს...
შორიდან ვჩანვართ, კაცი მშვიდად ბავშვს დავატარებ,
მე კი მსუბუქი დამდის ცრემლი და გულს ვახარებ,
ვუხსნი პატარას: რა დაფრინავს, რა სტვენს, რა ჰყვავის
სამფლობელოში ახალ პატრონს ძველი ვატარებ
და, ვით დაისით განათებულ ბუმბულა ყვავილს,
მთელს სამყაროსაც ამ პანია ხელებს ვაბარებ.

ლექსი ძალიან ბევრს მოეწონა. თანაც თავიანთი მოწონება გამოთქვეს ადამიანებმა, რომელთაც პატივს ვცემ. მეც მომწონს ეს ლექსი, რადგან მასში შეეძელი გადმომეცა ის ნაზი სიყვარული, რომლის გარეშეც მამამვილობა უბრალო ბიოლოგიური ფაქტია და მეტი არაფერი.

13 ივლისი, 1985 წ.

ლამე გამეღვიძა. მომინდა, რომ რამე შემეჭამა, მაგრამ სამზარეულოში გასვლა დამეზარა. უცებ ვიგრძენი, რომ ჩემს საბნისპირში რაღაც ეგდო მკვრივი. თურმე ფუნთუშის ნაჭერი ჩაუგდია აქ ირინეს. ამოვიღე. თუმცა გამხმარი იყო, ასეთი გემრიელი ფუნთუშა არასოდეს მიჭამია.

14 ივლისი, 1985 წ.

მოვამუშტინე ხელი. მერე გავაშლევინე ერთი თითი და ვკითხე: ეს რამდენია? ერთიო, მიპასუხა. მეორე თითიც გავაშლევინე. ახლა რამდენია? მპასუხოვს: ორი. სულ გავაშლევინე მუშტი, ახლა? და მიპასუხა: ბევრი.

ტელევიზორში უყურა მულტფილმს. იქ ხის ფესვებს ხრავდნენ ხოჭოები და საშველად, როგორც ექიმი, ბაყაყი მოდიოდა. ერთი საათის შემდეგ მეუბნება: — შენ ხარ ხე. — რატომ? — მე ვარ ექიმი, — მეუბნება, — უნდა მოგარჩინო.

დედამისმა აჩვენა თეფში:
— აი ხინკლები და ეს კიდეც ერთი პელმენიო.
— კაკ ლუნა, — უთხრა ირინემ.
მთვარეს მიაშვანა პელმენი.

უკვე ნახევარ წელზეც მეტია, ყველაფერი, რაც დიდია, ირინესთვის არის „მამა“, რაც პატარაა — ის „ირინეა“.
დიდი ძალი და ლეკვი ესაა „მამიკო აფუ და ირინე აფუ“.
დიდი ქვა და პატარა ქვა — „მამიკო ქვა და ირინე ქვა“.
დიდი ფუნჯი და პატარა ფუნჯი — „მამიკო ფუნჯი და ირინე ფუნჯი“. და ასე შემდეგ.

ვაჩვენე, ეს კაკლის ხეა-მეთქი.
(მერე, სხვა კაკალი რომ დაინახა, იცნო).
ალვაზე ვუთხარი:
— ეს ალვის ხეა-მეთქი.
— მე ძალიან მიყვარს ალვის ხე — თქვა ირინემ.

სახლში ვართ.
მამიკო მოუშვი ნაი, უნდა დავიბანო ხელები, — მითხრა და დიდდევით შეაბიჯა სააბაზანოში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დინო ბუძატი

ომის სიმღერა

დიდ, ფოლადისგან ჩამოსხმულ და აღმასებით მოჭედილ სამუშაო მაგიდასთან მჯდომმა მეფემ თავი ასწია და იკითხა:

— დალაზვროს ეშმაკმა, ამას რას მღეროდა ჩემი ჯარისკაცები?

გარეთ, კორონაციის მოედნის გავლით, მწყობრი ნაბიჯითა და სიმღერით, საზღვრებისკენ მიაბიჯებდნენ და მიაბიჯებდნენ სამეფო ბატალიონები. მძიმე ტვირთი არ აწვავდა ჯარისკაცებს: მტერი უკვე უკუგდებული იყო და ქვემოთ, შორეულ ველებზე, დიდების მეტს ვერაფერს მოიქიდიდნენ, ხოლო შინ დაბრუნებულებს გამარჯვების შარავანდედით შეამკობდნენ. მეფეც უჩვეულოდ მხნედ ბრძანდებოდა; მტკიცედ სჯეროდა მბრძანებელს, რომ სულ მალე მთელი სამყარო მის ფერხით გაერთხმებოდა.

— ეს მათი სიმღერაა, თქვენო უდიდებულესოებო. — უპასუხა სამხედრო დისციპლინის თანახმად თავიდან ფეხებამდე აბჯარასხმულმა პირველმა მრჩვეულმა.

— ნუთუ უფრო მხიარული არაფერი იციან? შრიოდერმა ხომ მშვენიერი სამხედრო ჰიმნები შექმნა მათთვის. მეც მომისმენია ის მარშები; ნამდვილი ჯარისკაცული სიმღერებია. — ბრძანა მეფემ.

— მათთან ვერაფერს გახდებით, თქვენო უდიდებულესოებო, — უპასუხა აბჯარის სიმძიმისგან წელში ჩვეულებრივზე მეტად მოხრილმა მოხუცმა მრჩვეულმა. — ჯარისკაცებს თავისი უცნაურობანი სჭირთ, ბავშვებზევით არიან. მსოფლიოში საუკეთესო ჰიმნები რომც დაუნერო, თავის სიმღერებს მაინც არ მოეშვებიან.

— მაგრამ ეს ხომ საომარი სიმღერა არ არის, — განაგრძობდა მეფე. — შეიძლება ითქვას, ნაღვლიანიც კია. არა მგონია, საამისოდ მიზეზი ჰქონდეთ.


— ვერ დაგეთანხმებით, — პირზე მაცდური ღიმილით სიტყვა გადაუკრა მრჩვეულმა. — ალბათ სასიყვარულო სიმღერაა. არა მგონია, სხვა რამ აზრი ჰქონდეს.

— მაინც რას მღეროდა? — დაიუხინა მეფემ.

— სიტყვები არ ვიცი, — უპასუხა მოხუცმა გრაფმა გუსტავომ. — მაგრამ ვუბრძანებ, მომახსენონ.

ჯარებმა საბრძოლო მოქმედებათა საზღვარს მიაღწიეს. მტერს კიდეც ერთი დამარცხება აგემეს. სამფლობელოები გააფართოვეს. მთელს მსოფლიოში ჰქუხდა მათი დიდებული გამარჯვებების ექო; მეფის სასახლის მოვერცხლილი გუმბათებიდან სულ უფრო და უფრო შორეულ ველებს სწვდებოდა მათ ბედაურთა ფლოქვების თქარათქური. მაგრამ შემოლობილი სამხედრო ბანაკებიდან ისევ და ისევ მოისმოდა

ჯარისკაცების სიმღერა. არათუ გამარჯვების მანუშები და საომარი, არამედ სევდითა და ნაღველით სავსე. ჯარისკაცები დაპურებული იყვნენ. ტანთ ფაფუკი ტანსაცმელი და ღუნღულა ქურქები ემოსათ; სომხური ტყავის ჩექმები უმშვენებდათ ფეხს. მათი ბედაურები კი სულ უფრო და უფრო შორს მიიწევდნენ, მტრის დროშების მპყრობელი მეომრის ტვირთის სიმძიმით გადრეკილნი.



გენერლები კი გაუთავებლად ერთსა და იმავე შეკითხვას სვამდნენ: რა საშინელ სიმღერას მღეროდა ჯარისკაცები, ნუთუ უფრო ხალისიანი არაფერი აგონდებათო.

“რას იზამთ, თქვენო ბრწყინვალეებო, ყოჩაღი ბიჭები არიან, მაგრამ უცნაური ახირება იციანო”, პასუხობდნენ “სმენაზე” გაჭიმული შტაბის ხელქვეითები.

მართლაც უცნაური ახირებააო, უგუნებოდ ეთანხმებოდნენ გენერლები. — “ეშმაკმა წაიღოს, თითქოს ტირიან. მეტი რა უნდათ, ნეტავ. კაცი იფიქრებს, უკმაყოფილო არიანო.”

თუმცა ძლევამოსილი ლაშქრის ჯარისკაცები კმაყოფილი იყვნენ. მართლაც, რა შეიძლება ენატრათ მეტი? დაპყრობას დაპყრობა მოსდევდა, უმდიდრეს ალაფზე იოლად მიუწვდებოდათ ხელი, ნორჩი ქალებით ტკბებოდნენ, შინ კი ტრიუმფალური დახვედრა ელოდათ. მათ ახალგაზრდულ, ძალ-ღონისა და სიჯანსაღის მაუნყებელ შუბლებზე იკითხებოდა სურვილი მტრის საბოლოო განადგურებისა და მიწის პირისგან აღგვისა.

— მაინც რას მღეროდა? — იკითხრა გენერალმა ცნობის-წადილით.

— რალაც უაზრო, სულელური სიტყვებია. — ჩვეული სიფრთხილითა და თავშეკავებით უპასუხეს ხელქვეითებმა შტაბის გენერალს.

— უაზროა თუ არა, მინდა ვიცოდე, რას მღეროდა.

— ზუსტად ვერ გეტყვით, თქვენო ბრწყინვალეებო. — უპასუხა ერთმა.

— შენ, დაიპლემ, იცი სიმღერის სიტყვები?

— ამ სიმღერის სიტყვები? სამწუხაროდ, არ ვიცი, მაგრამ აქ კაპიტანი მარენია. მან, ალბათ...

— სიმღერის არაფერი გამეგება, პოლკოვნიკო. — უპასუხა მარენმა. — მაგრამ თუ ნებას დამრთავთ, მარშალ პეტრსს შევეკითხები.

— აბა, მარდად, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, ნაძლევს ჩამოვალ... — და გენერალმა ამჯობინა სიტყვა აღარ დაემთავრებინა.

აღლევებისგან გახევებული მარშალი პეტერსი შეკითხვებს პასუხობდა:

— თქვენო უბრწყინვალესობავ, პირველი სტროფი ასეთია:

**მინდვრად თუ სოფლად,
დაფის ხმა ისმის.
ნლები მიჰქრიან,
გზას შინისაკენ,
გზას შინისაკენ
ვერვინ პოულობს...**

ამას მეორე სტროფი მოსდევს:

იქით და აქეთ...

— რაო? — შეანწყვტინა გენერალმა.

— “იქით და აქეთ”, თქვენო ბრწყინვალეობავ.

— რა შუაშია “იქით და აქეთ”?

— ვერაფერს გეტყვით, თქვენო ბრწყინვალეობავ, მაგრამ ზუსტად ასე ამბობენ.

— კეთილი. კიდევ რას ამბობენ?

**იქით და აქეთ,
წინ-წინ მივდივართ,
ნლები მიჰქრიან,
სადაც დაგტოვე,
სადაც დავშორდით,
დღეს იქ ჯვარია.**

— შემდეგ მესამე სტროფი მოდის, მაგრამ მას თითქმის არასოდეს მღერიან. ასე იწყება...

— საკმარისია! — შეანწყვტინა გენერალმა. მარშალი მხედრულად გამოემშვიდობა.

— მართლაც ნაღვლიანი სიმღერაა. — ჩაილაპარაკა გენერალმა, როგორც კი ხელქვეითი გავიდა. — ომს არ შეეფერება.

— ნამდვილად არ შეეფერება. — ჩვეული მონინებით კვერი დაუკრეს შტაბის პოლკოვნიკებმა.

სალამოხანს, ბრძოლის დასასრულს, როცა გავარვარებულ მიწას ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა, ფეხმარდი მსრბოლები ლაშქარს გამოეყოფოდნენ, რათა ქარზე უსწრაფესად გაფრენილიყვნენ და დედაქალაქში გამარჯვების ამბავი ჩაეტანათ. ქალაქებში დროშები გადმოეფინათ, ქუჩებში ხალხი ერთმანეთს ეხვეოდა, რეკდნენ ეკლესიის ზარები. მაგრამ თუკი ღამით დედაქალაქის ღარიბთა კვარტლებში გაივლიდით, აუცილებლად მოკრავდით ყურს სიმღერას. კაცები, გოგოები, ქალები სულ ამ სიმღერას მღეროდნენ, ღმერთმა იცის, აქ როდის და რა გზით მოღწეულს. და ამ მართლაც ნაღვლიან სიმღერაში უდრტვიწველი მორჩილება გაისმოდა. ფანჯრის რაფას იდაყვდაბჯენილი ქერა ახალგაზრდა ქალები ამ სიმღერას თავდავიწყებით მღეროდნენ.

მსოფლიოს ისტორიის მანძილზე, საუკუნეთა უსასრულო წიაღში, ვერავინ გაიხსენებდა ვერც მსგავს გამარჯვებებს, ვერც ასეთ იღბლიან ლაშქარს, ვერც ესოდენ ბრწყინვალე გენერლებს, ვერც უფრო ჩაუქ მენინავეებს, ვერც ამდენ დაპყრობილ მიწა-წყალს. იმდენი რამ დაგროვდა გასაყოფი, თვით ყველაზე უხეირო ჯარისკაციც კი, შეიძლება ბოლოს მდიდარ ბატონად ქცეულიყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს საზღვრებიც წაიშალა. ქალაქებში უკვე განცხრომას მისცემოდნენ. სალამოობით ღვინო თითქმის კარის ზღურბლიდანვე იღვრებოდა; მათხოვრები ცეკვავდნენ, ჯარისკაცები სასმისს სასმისზე ცლიდნენ, მაგრამ შუალედებში ისევ ის სიმღერა ჟღერდა: “მინდვრად თუ სოფლად...” ხმაშენწყობით და მესამე სტროფის ჩათვლით მღეროდნენ ჯარისკაცები.

და როცა კორონაციის მოედნის გავლით, ახალ-ახალი ბატალიონები ომის გზას გაუდგებოდნენ, პერგამენტებსა და რესკრიპტებში თავჩარგული მეფე მცირე ხნით თავს აიღებდა, ჯარისკაცთა სიმღერას ყურს მიუგდებდა და ვერაფრით ხვდებოდა, რატომ უფუჭებდა გუნებას ეს სიმღერა.

ველად თუ სოფლად, ლაშქარი წლიდან წლამდე სულ უფრო შორს მიემართებოდა. უკან დაბრუნება არავის უფიქრია. ამასობაში იმათაც კარგავდნენ, ვისთანაც ნაძლევი დაედოთ, რომ მომავალ ჩამოსვლაზე უკანასკნელ და უფრო იღბლიან ამბებს ამცნობდნენ. ბრძოლები, გამარჯვებები, გამარჯვებები, ბრძოლები... ჯარები ახლა უკვე ისეთ შორეულ მიწებზე მიაბიჯებდნენ, რომ მათ რთულ სახელთა წარმოთქმასაც ვერავინ ახერხებდა.

ასე გაგრძელდა, ვიდრე გამარჯვებასა და გამარჯვებას შორის არ დადგა დღე, როცა კორონაციის მოედანი დაცარიელდა, სასახლის ფანჯრები დაიგმანა, ქალაქის კარიბჭესთან კი უცხოტომელთა უცნაურ ოთხთვალათა გრიხინი გაისმა. დაუმარცხებელი ლაშქრიდან კი შორეულ დაბლობებზე უწინ არარსებული ტყეები იშვა — ჯვრების ერთფეროვანი ტყეები, ჰორიზონტზე რომ იკარგებოდნენ და სხვა არაფერი... რადგან ბედისწერა მეტროლოთა მახვილების ჩახაჩუხში, ცეცხლის ალსა ან თავანწყვეტილ მეომართა მრისხანებაში კი არ ყოფილა დაფარული, არამედ იმ სიმღერაში, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ და რომელიც მეფესა და გენერალისიმუსებს, სრულიად მართებულად, ომისთვის შეუფერებლად მიაჩნდათ. წლების მანძილზე, იმ უბრალო მელოდიით ბედისწერა ჯიუტად იმეორებდა და წინასწარ ამცნობდა ადამიანებს თავის გადანყვეტილებას. მაგრამ სამეფო კარი, წინამძღოლები, განსწავლული მინისტრები ქვასავით უგრძნობი იყვნენ: ვერავინ ვერაფერს მიხვდა, გარდა უბირო ჯარისკაცებისა, ასი გამარჯვების გვირგვინი რომ ედგათ, როცა შებინდებისას, დაქანცულები, სიკვდილის გზაზე სიმღერით მიაბიჯებდნენ.



მხატვარი ნუგზარ მექმარიაშვილი

იტალიურიდან თარგმნა
თამარ ჟღენტაძე

სრულიად საიდუმლოდ

უნდა აიკრძალოს თუ არა მთელს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“? ალბათ დაგვეთანხმებით, შოკის მომგვრელი შეკითხვაა. ემანდ ვინმეს პროამერიკული ჩვილი გული არ გაუსკდეს! რატომ და რისთვის უნდა აიკრძალოს, ამას ქვემოთ მოგახსენებთ და მერე თავად განსაჯეთ, უნდა აიკრძალოს თუ არა გამოცემა ამ უპოპულარესი და უსაყვარლესი გაზეთისა.

...სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ დაზვერვა ძალზე პროზაული საქმიანობაა და მარტოოდენ დილექტანტის ცნობიერებაში წარმოსდგება რომანტიკული შარავანდედით.

ე.წ. „საჯაშუშო რომანების“ სახელგანთქმული ოსტატი, ინგლისელი მწერალი ჯონ ლე კარე წერს: „მზვერავისათვის, რომელსაც უნევს ცხოვრება თავისი ქვეყნის მტრების წინაშე, არსებობს ერთი უმთავრესი წესი: ყურადღება არ უნდა მიიპყრო, ღმერთმა დაგიფაროს, რომ ვინმემ შეგამჩნიოს, სხვათაგან გამოგარჩიოს“.

ადგილობრივ მკვიდრთა ჯგროში, მასაში უნდა გაითქვიფო! მაგრამ ინგლისელ მზვერავს ჯვიმს ბონდს, უკაცრავად პასუხია, ფეხებზე ჰკიდია ინგლისელი მწერლის ზემოთქმული შეგონება და სხვა მჯღაბნელთა მთელი მხედრონიც. მხოლოდ თავისი მშობლის — იან ფლემინგისა სჯერა.

ცხონებულმა ფლემინგმა ისეთი სული შთაბერა თავის საყვარელ გმირს, რომ მთელმა მსოფლიომ შეიყვარა მზვერავის (ანუ მსტოვარის, ჯაშუშის, შპიონის — როგორც გვინებოთ) იგავ-მიუნდომელ სიმბოლოდ შერაცხული ინგლისელი სუპერმენი, რომელსაც ზედმინვნით მიესადაგება ძველქართული გამოთქმა: „უშიში, ვითარცა უხორცო“.

დაიხ, მთელი თავისუფალი სამყარო იცნობს ჯვიმს ბონდს, ეთაყვანება და ზეპირად იცის მისი ფანტასტიკური, წარმოუდგენელ-დაუჯერებელი თავგადასავალ-ფათერაკებით უხვად დახუნძლული ცხოვრება.

და ათასში ერთ კაცს თუ სმენია რუდოლფ აბელის სახელი და, მით უფრო, მისი ასავალ-დასავალი. აბელი ბინადრობდა ნიუ-იორკში, თავს ირჩენდა ნატურმორტებისა და ამერიკული პეიზაჟების ხატვით, სისტემატურად კითხულობდა „ნიუ-იორკ ტაიმსს“ და იქიდან ამოკრეფილი საიდუმლო ინფორმაციით სისტემატურად ამარაგებდა მოსკოვს.

სპეცსამსახურთა ისტორიკოსები და მკვლევარნი მას აღიარებენ XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მზვერავად. ჩანს, ამასვე ფიქრობდა ამერიკული მართლმსაჯულება, როდესაც ხელქვეითის გამოისობით ჩავარდნილ აბელს ოცდაათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მაშასადამე, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ საიდუმლო ინფორმაციით ამარაგებდა საბჭოთა მზვერავს! რასაკვირველია, ეს ფაქტი სრულიადაც არ აკნინებს რუდოლფ აბელის პროფესიულ რეპუტაციას. მე და თქვენ ყოველ დილა-სალამოს შეუსვენებლივ რომ ვიკითხოთ ზემოხსენებული გაზეთი, ერთ მილიგრამ საიდუმლოებასაც კი ვერ მივაგნებთ და ამაოდ დაგვრებთ. მაშასადამე, არ უნდა აიკრძალოს, ვინაიდან ჩვენ მილიონები ვართ, აბელი კი ერთადერთია.

ბრიტანელი ისტორიკოსი ა. ტელიორი გვარწმუნებს, რომ დაახლოებით 90 პროცენტი იმ ინფორმაციისა, სპეცსამსახურებს რომ აინტერესებთ, შეიძლება მოიძიოთ ღია, გაუსაიდუმლოებულ წყაროებში.

კიდევ უფრო შორს წავიდა ამერიკელი ისტორიკოსი შერმან კენტი, აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობის გამოცდილება რომ ჰქონდა. მან გაითვალისწინა ამერიკული საზოგადოების უპრეცედენტო გახსნილობა (გულღიაობა?) და ტელიორისეული თამასა 95 პროცენტამდე ასწია.

შერმან კენტი, თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად, სახელგანთქმული იელის უნივერსიტეტის ხუთ სახელგანთქმულ პროფესორს შესთავაზა, მოეზადებინათ ანგარიში, სადაც ასახული იქნებოდა აშშ შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობა, საბრძოლო ნაწილებისა და შენაერთების (არაუმცირეს დივიზიისა) ოდენობა, სამხედრო ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიმძლავრე. ოღონდ, ყოველივე ამის მოსამზადებლად, უნდა ესარგებლათ მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის ღია წყაროებით!

მუშაობა მთელი ზაფხული გაგრძელდა. მეცნიერებმა შ. კენტს წარუდგინეს მონაცემთა რამდენიმე ასეული ფურცელი. დამკვეთმა მათი შრომა ასე შეაფასა: ანგარიში 90 პროცენტით შეესაბამებოდა საქმის ჭეშმარიტ ვითარებას.

ბედის ირონია ეთქმის იმას, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაუყოვნებლივ გაასაიდუმლოვა ჩატარებული სამუშაოს შედეგები, რომელსაც „იელის ანგარიში“ ეწოდა.

გაასაიდუმლოვა მასალები, ამოკრეფილი ინფორმაციის ღია წყაროებიდან!

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს გასაიდუმლოების სამი დონე: „კონფიდენციალურად“, „საიდუმლოდ“ და „სრულიად საიდუმლოდ“.

1985 წელს აშშ თავდაცვის სამინისტროში ჩატარდა რევიზია, რომელსაც თავკაცობდა დადამდგარი გენერალი არმიისა რიჩარდ სტილველი. რევიზიის შემაჯამებელ ანგარიშში ვკითხულობთ შემდეგს: „სავსებით აშკარაა, რომ საიდუმლო დოკუმენტთა მოცულობა უზომოდ გაიზარდა. უდავოა, რომ თავდაცვის სამინისტრო საჭიროებს მთელი თავისი საქმიანობის გასაიდუმლოებას და მაინც უნდა ითქვას, რომ დოკუმენტთა უზარმაზარ ოდენობას ასაიდუმლოებენ გაუმართლებლად, ისევე, როგორც გაუმართლებელია მათთვის მინიჭებული საიდუმლობის კატეგორიები“.

ამერიკელი სენატორი სემ ნუნი იხსენებდა ერთ დახურულ თათბირს, რომელშიც მონაწილეობა მოუწია. მისი სიტყვით, მაგიდაზე მდებარე უკლებლივ ყველა დოკუმენტი გასაიდუმლოებული იყო, მათ შორის — ბარათიც, რომელზედაც ეწერა მარტოდენ დევიზი: „ჩვენ არ უნდა დავმარცხდეთ!“ და როდესაც ნუნმა იკითხა, ამ ტექსტის გასაიდუმლოება რა საჭირო არისო, ვერავინ ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

სემ ნუნი ასკვნის: „საკმარისია დაიწყო გასაიდუმლოება და მერე ვერაფრით ველარ შეჩერდები... მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოიქმნება საპირისპირო ეფექტი: ცდილობ გაუფრთხილდე ყველაფერს და სინამდვილეში ვერაფერს ველარ გაუფრთხილდები“.

გაასაიდუმლოების უაზროდ გამოყენების მაგალითები აურაცხელია, სანამუშოდ ერთი მათგანის დამონებაც იკმარებდა.

გაასაიდუმლოეს სია დამშიფრავი მანქანებისა, რომლებიც მოიპოვებოდა სადაზვერვო საზღვაო ხომალდ „პუებლოს“ ბორტზე, ჩრდილო-კორეელებმა რომ იგდეს ხელთ 1968 წლის იანვარში. მაგრამ სასაცილო ის გახლავთ, რომ ამ სიის ასლები ინახებოდა არა მარტო ვაშინგტონში, არამედ — ფხენიანსა და მოსკოვშიც (აღბათ, თავად დამშიფრავი მანქანებთან ერთად).

როგორც აღნიშნავენ, ამგვარი „საიდუმლობანას“ თამაშები არავითარ სარგებელს არ იძლევა და საყოველთაო სამასხაროდ გამოფენს სისტემას, რომელიც უნდა იცავდეს ნამდვილად საიდუმლო ცნობებს ისეთ ადგილებში გაჟონვისაგან, როგორებიცაა ფხენიანი და მოსკოვი.

ამ სფეროში აბსურდის კულმინაცია მოხდა 1987 წელს, როდესაც აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ თავის სამოქალაქო სპეციალისტებს, საიდუმლო მასალებზე რომ იყვნენ დაშვებულნი, უბრძანა — ხელი მოეწერათ ქალაქისათვის, რომელიც მათ ავადდებულება დაეცვათ დუმილი არა მარტო არსებული საიდუმლო ინფორმაციის შესახებ, არამედ — იმ ინფორმაციის შესახებაც, რომელიც შესაძლოა მომავალში გასაიდუმლოებულიყო! უარისმყოფელთ სახელმწიფო სამსახურიდან ითხოვდნენ „შეგნებულობისა და ერთგულების“ უქონლობის გამო. იმავე წლის შემოდგომაზე ცნობილი გახდა, რომ პირობის ქალაქს ხელი მოაწერა დაახლ. მილიონ შვიდასი ათასმა (1 700 000) კაცმა — აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების სამოქალაქო და სამხედრო სპეციალისტებმა.

დაიხ, ღვთივკურთხეულ სახელმწიფოში, თავის დროზე, ატომური ბომბის საიდუმლოებანი ქარს რომ გაატანეს მოსკოვის მიმართულებით, ახლა, როგორც ერთი უცხო და უცნაური ტომის ანდაზა ბრძანებს, რძეზე პირდამწვარი წყალსაც კი სულს უბერავენ...

სამშენებლები, დიასაც სამშენებლები

ქართულ საისტორიო მწერლობაში ყოველთვის საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მონათხრობისათვის, როდესაც ის თავად აღმწერლის თვალით ხილული იყო. ქართველი ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ხოლმე, ესა და ეს ამბავი საკუთარი თვალთ მინახავს ანდა სანდო თვითმხილველის ცნობას ვყვრდნობო.

ამის თქმა არც სენია ჩხეიძეს ავიწყდება. მას თავისი ნაშრომისათვის „მეფეთა ცხოვრება“ დაურქმევია. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, სენია ჩხეიძის თხზულება მართლაც ქართლის მეფეთა ცხოვრება უფრო არის, ვიდრე საკუთრივ ქართლის ისტორია და რაკილა ბედის უკუღმართობით ქართლის მეფეები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში იძულებულ იყვნენ თავიანთი მეფობის უმეტესი ნაწილი სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაეტარებინათ და სეფიანთა ირანის სპასალართა თუ ბეგლარბეგთა სახელობით დატვირთულ ირანის ურჩ ქვეშევრდომთათვის შეეღობათ ძალ-ღონე და დღე, ისტორიკოსსაც მათი ცხოვრება უნდა დაეწერა „ამბოთა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა“.

მწარე ხვედრი ერგოთ წელიდა სენია ჩხეიძის დაქანდებული ქართველი მეფე-ბატონიშვილებს და ქართველი ისტორიკოსიც ხშირად იზიარებდა თავის პატრონთა უბედობასა თუ ბედს. მათთან ერთად იყო ჭირშიც და ლხინშიც, მათი ტყივილი სტიქიოდა და მათი სიხარულით ხარობდა. ხან ბრძოლის ველზე ახლდა მათ, ხანაც გამაღილი სუფრასთან უმშვენიერად მხარს.

სენია ჩხეიძე დანვრილებით და ამალელებლად მოგვითხრობს ქართველ მხედართა თავგადასავალს ქორმან-ბელუჯისტანსა და ყან-დარში. ქართველი მეფე-ბატონიშვილები სეფიანთა ლაშქარს სარდლობენ, სეფიანთა პროვინციებსა თუ ქალაქებს განაგებენ, სეფიანთა სახელმწიფოს მართლმსაჯულებასაც მსახურებენ, მაგრამ მათი მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის არის გამიზნული და ნაყოფიც სათანადო უჩნდება. ქართლში მშვიდობა სუფევს, ქვეყანა წელში გაიძარბა, მოლონიერდა, შენდება განუწყვეტელ რბევათა შედეგად გაპარტახებული სოფლები, თბილისში ფესხ იდგამს პირველი ქართული სტამბა, სადაც უახლოეს ხანში, სასულიერო წიგნებთან ერთად, ვეფხისტყაოსანიც დაიბეჭდება.

უცხო მხარეში დაღვრილ „მცირე სისხლს“ არანაკლები სარგებლობა მოაქვს სამშობლოსათვის, ვიდრე იმ სისხლის მდინარეებს, ზოგიერთ სასტიკ ომში რომ ნაუღლეკავი საქართველოს ველ-მინდვრები.

ამგვარად, სენია ჩხეიძის თხზულებაში აღწერილი ბრძოლები უშუალოდ და ორგანულად უკავშირდება ქართლის მავჯისცემას და „მეფეთა ცხოვრება“ თამამად შეიძლება ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილად.

კითხულობ ქართველი ისტორიკოსის ჩანაწერებს და თვალწინ წარმოგადგება გადამწვარ-გადახრუკული უდაბნო, სადაც არც წყალია, პირი რომ გაისველო, არც ხის ჩრდილი, ცოტა ხნით მაინც რომ დაემალო გავრავარებული მზის მცხუნვარებას. ორგელივ, უთვალავ კილომეტრზე, გადაშლილი თვალუწვანელი სივრცე, პირქუში და იდუმალი. შეიძლება ერთი თვე იარო შეუსვენებლივ და კაციშვილს ვერ გადაეყარო. ამ უგემურ მიდამოებში მიდიან საომრად ქართველი მხედრები და, ეტყობა, მაინც არ დაუკარგავთ ჩვეული ხალისი და მხნეობა. სენია ჩხეიძეს ელიმება: „ასრე სიხარულით მივდიოდით, ვითარცა ქორწინისა შინა წვე-

ულ ყოვლილიყავით, მაგრამ ჩვენის ჯარის სიმცრო გვიძიძდა“.

ლევან ბატონიშვილის რაზმი შებინდებისას შეჩერებულა კლდესთან დაბანაკებულ ბელუჯთა მახლობლად. ბელუჯებმა ყორივ არ შეიბრტყენ. ჯერ-ერთი, მტრის ოდენობა ეცოტავათ და მორივ — ყიზილბაშნი იმდენჯერ დაემარცხებინათ, რომ აინუნში აღარ აგდებდნენ.

გარიურაუხე გუშაგები შეეხმინან ერთმანეთს. ბელუჯთა მხრიდან დამცინავი მუქარა გაისმა: ვის შეუცდენინართ, თქვე საცოდავებო, რამდენჯერ ჯარი ამოვიწყვიტო, რამდენჯერ კუდით ქვა გასროლინეთ, ახლა უარეს დღეს ვაგითენებთო!

ამჯერად ასეთი პასუხი მიიღეს: „მოვიდა რისხვა ღვთისა თქვენზედაო, მოპოვანდა საქართველოს ვალი ლევან, ახლავს ქართველნი ჯარნი კაცის მჭაბუნნიო!“

ქართველთა ხსენებაზე კი შეფიქრიანებულან ბელუჯები. „ეს კი არ იცოდნენ, — ვეღარ იკავებს სიცილს სენია ჩხეიძე. — არც ოციოდ ქართველი გვახლდა, თითოს ქათმის შეჭმაც არ შეგვეძლო“.

რუსთველის ლექსთან ერთად იუმორიც თან დაჰყვებოდათ უდაბნოში ბრძოლით გატანჯულ ქართველ მხედრებს, მალამოსავით კურნავდა ჭრილობას, უნარჩუნებდა მხნეობას და კიდევ ერთხელ შეახსენებდა, ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსაო.

ლექსი ყველგან გაჰყვებათ, არასოდეს დაავიწყებიათ და არც დაეკარგებთ, მაგრამ ლექსით წყურვილის მოკვლა ვინა თქვა, ვისა სმენია?! ქართული წყაროს წყალი კი საქართველოში დარჩათ, ერთი პეშვიც კი აუხდენელი ოცნებაა, საიდან გააჩენენ ამ წყეულ უდაბნოში უუკვდავების წყალივით მიუწვდომელ ქართულ წყაროს?

სივ ვათხოვოთ ყური სენია ჩხეიძეს:

„გარდავხედით ნაომარსა ადგილსა, მაგრამ დამაშვრალი უწყლობითა, მას ადგილსა წყალი არ იყო. შევხედით ცხენსა იმავე სალამოსა, ხანი სისტანისა ბელადი [მეგზური] იყო და ადგილი მისი გვითხრა: წყარო არის ალაჯსა ორსაო, იქ უნდა დადგეთო. გვიამა და შეგვექნა სიხარული წყარო მისთვის, გვეგონა ქართლის წყაროს მსგავსი იქნებოდა. ვიარეთ ალაჯი ორი და დაეცა ბინდი. მივედით ადგილსა მას, სადაცა წყარო გვითხრეს. შევექნით ძებნა წყაროსი. გვაჩვენეს, ვნახეთ, ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს ის წყარო, ასეთი მარილი ედვა ნაღინარსა მის წყლისასა, თავმან თქვენმან, კურდღელი მოიკვლიდა, წყალი იყო მწარე მარილისაგან. შეგვექნა ზოგათა სიცილი, და ზოგათა მის ხანისა გმობა. მაგრამ რა ღონე იყო, დავედეთ მას ღამესა აქ“.

ქართველ მხედრებს ისეთი ადგილები გამოუვლიათ უდაბნოში, რომ გზითაც არავის გაველო, თორემ საომრად ვინ წავიდოდა!

ორიოდ წელიწადში ქორმანის ადგილი ყანდაარმა დაიჭირა.

სენია ჩხეიძე იქაც ერთგულად ემსახურებოდა პატრონს. აი, როგორ აღწერს ყანდაარს ქართველი ისტორიკოსი:

„ქალაქი ცხელი, სალამო ჟამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდნენ, ეს მინახავს აქაურის სიციხისაგან კვერცხი სპილენძის თევზზე გათქვეფილი და დასხმული მზისგან შემწვარიყოს და ციხის საღს კლდეზედ პური მიეკრას და გამამცხვარ იყოს“.

ქართლის მშვიდობა და ქართული კულტურის წინსვლა ქართველ მხედართა სისხლით იქნა შედუღებული. უღმობელი ეპოქა თავის ხარკს ითხოვდა.

უფლისა და მოყვანის სიყვარულისთვის

„მიხარია, რომ თქვენ და მე სიყვარული შეგვიძლია, კიდევ შურისა და ბოროტების დამარცხება შეგვიძლია, მოყვანის სიხარულით გახარება და ვალაღება შეგვიძლია და უფრო მეტი სიყვარული გვსურდეს — ესეც შეგვიძლია!“ — ეს იმ ადამიანის სიტყვებია, რომლის შემოქმედებით სალამოც გაიმართა 6 ივნისს „წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“.

ლონისძიება მიეძღვნა **არქიმანდრიტ ადამის**, იგივე **ვახტანგ ახალაძის** შემოქმედებას. სალამოს უძღვებოდა ამავე უნივერსიტეტის რექტორი **სერგო ვარდოსანიძე**.

მამა ადამი არის პიროვნება, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი მედიცინას მიუძღვნა. იგი არის „წმინდა თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტის“ რექტორი და ასევე „თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის“ წინამძღვარი. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სასულიერო პირები მხოლოდ რელიგიის სფეროში არიან განსწავლულები და რომ მათთვის მხოლოდ სასულიერო ლიტერატურაა მნიშვნელოვანი, მამა ადამი კი არის მაგალითი იმისა, რომ ეკლესიის მესვეურნი ისეთივე წარმატებით ფლობენ საერო ხელოვნებას როგორც სასულიეროს. მისი შემოქმედება კი, რაღა თქმა უნდა, უფლისა და ქვეყნის სიყვარულს ეძღვნე-

ბა.

6 ივნისს გამართულ ღონისძიებაზე არ დასმულა კითხვები, თუმცა იყო პასუხები მრავალ კითხვაზე, რადგან მოძღვარმა თავისი სათქმელი უკვე მრავალჯერ გადმოგვცა თავისი ლექსებით. ლექსებს დიდი სიყვარულით და რუდუნებით კითხულობდა თავად და თითქოს ამ ლექსებით ეფერებოდა იქ მისულ ყველა მსმენელს. შუაღმედებში, პროექტორზე ახმოვანებდნენ მის ქადაგებებს უფლისა და ადამიანის სიყვარულზე, ლიტერატურაზე და აბორტის საშინელებაზე...

სალამოზე პოეტმა **ემზარ კვიციანი** მამა ადამს გრიგოლ ხანძთელის პირდაპირი შთამომავალი უწოდა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პოეტი **ნატა ბარათელი**. მან ისაუბრა სიტყვის ძალაზე და იმაზე როგორი დიდი მნიშვნელობის არის მამა ადამის შემოქმედება. გათვალისწინებული იყო, რომ სალამოზე დაუკრავდა პიანისტი **ვალერიან შიუკაშვილი**, თუმცა მიზეზთა გამო ეს ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ მამა ადამს გამოეგზავნა აუდიო ჩანაწერი. პიანისტის ვირტუოზულმა შესრულებამ კიდევ უფრო სასიამოვნო გახადა ეს ღონისძიება.